

მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

3560
Вани
Vani
2019 წ.

№17

სარჩევი

1. საასალწლო მიღწევა	3
2. პაოლო იაშვილი	
მდუმარე ვედრება	4
3. ნანა მეზარიშვილი	
ნახე რა სამშობლო მოგცეს (შვილებს)	5
4. ინდირა გოგოძე	
„ტაძრების ქვაში მშენებლობის ეტაპი დასრულდა, ახლა სულიერი ტაძრების შენების უამია“	6
5. ივანე მამფორია	
ვანის მუნიციპალიტეტის 2007-2018 წლების ბიუჯეტის შედარებითი ანალიზი	19
6. ნანა ლილუაშვილი	
ვანის ტურიზმის ცენტრის მიზანი – არსებული და ცნობილი ტურისტული ლოკაციების მუდმივი განახლება და ახალი მიმზიდველი ლოკაციების აღმოჩენა	34
7. გრიგოლ ტყეშელაშვილი	
სოფელ ბზვანის დემოგრაფიული, გენიალოგიური და ონომასტიკური მიმოხილვა (1934-2006 წლების საკომლე ნიგნების მიხედვით)	38
8. ავთანდილ ნიკოლაიშვილი	
არტურ ზუტენერის „აჭარლები“ – რომანი ოსმალთა დროინდელ აჭარაზე	47
9. ლუკა დვალისხვილი	
საჭირო და საინტერესო ნიგნი	57
10. ომარ კაპანაძე	
1917 წლის თებერვლის რევოლუცია და საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ვანის თემ-საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	63
11. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი	
მოგონებები	85
12. დავით შავიანიძე	
დინამიკო-ისტორიის გვარ-სახელები (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	97
13. აკაკი თევზაძე	
მოგონებები გალაკტიონზე	105
14. ელენე ბაგაშვილი, ომარ კაბნიძე	
საგანმანათლებლო ვითარების შესახებ XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში	121
15. ინდირა გოგოძე	
მადლითა და სიკეთით სავსე ფურცლები უფალთან მისატან სიცოცხლის ნიგნში	130
16. თეიმურაზ ადგიშვილი	
პროფესორი ვალტერ კაშია	133
17. პროფესორი ჯონი შანიძე	137

მიმდინარე მე-17 ნომრის გამოსვლიდან უმოკლეს დროში ქართველთა ოჯახებში შემობრძანდება ახალი 2020 წელი. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“, ცენტრის კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია სარგებლობს შემთხვევით და დამდეგ ახალ წელს ულოცავს...

– რაიონის ყველა ოჯახსა და მაცხოვრებელს, სრულიად საქართველოს.

– კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრებს, პროფესორებს: **გურამ ყიფიანს, თეიმურაზ სურგულაძეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, თეიმურაზ ადეიშვილს, უჩა დვალიშვილს, ლუკა დვალიშვილს, ომარ ძაგნიძეს, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორს ომარ გაბუნიას.**

– ჩვენს სასიქადულო მეცნიერებსა და მკვლევარებს, რომლებიც ინტენსიურად თანამშრომლობენ „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრთან“ და „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანესთან“; ბატონებს, პროფესორებს: **გია კვაშილავას, სერგო ვარდოსანიძეს, მალხაზ ერქვანიძეს, დიმიტრი ახვლედიანს, ქალბატონ დარეჯან კაჭარავას, როზა დევდარიანს, ქრისტინე მეძველიას, ნანა გონჯილაშვილს, შორენა პირველს, ნანა ვალიშვილს, მაია ჭელიძეს, ზოია ცხადაიას, დოდო ჭუმბურიძეს. უხუცეს მეცნიერს სიმონ არველაძეს, გურამ ბელთაძეს, კობა არაბულს, რენიკო საკანდელიძეს, ბადრი ბუხაიძეს, მერაბ კეზევაძეს, ლადო სულაბერიძეს (უმცროსი), ელენე გეგეშიძეს, მარიამ შუბლაძეს, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელს მანანა ვაშაყმაძეს.**

პატივს მივაგებთ პროფესორების „ვანის რაიონის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებლებების ამირან ნიკოლეიშვილისა და თორნიკე ეფრემიძის ხსოვნას.

– ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელებს: **ალექსანდრე გოგორიშვილსა და ალექსანდრე ლილუაშვილს,** მათ ცალკეულ სამსახურებსა და თანამშრომლებს.

– რედაქტორ-გამომცემლებს, ბიზნესმენებს: **ბეჟან წაქაძეს, ზაურ თათვიძესა და ბიჭიკო პაიკიძეს.**

– ყველა იმ მეცნიერსა და მოღვაწეს, რომლებიც სიტყვითა და საქმით გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრს“.

– ვანი-ბაღდათის ეპარქიის ვანის ოლქის სამღვდლო და სამონაზვნო დასს, რომლებიც გულწრფელად იღვნიან ქრისტიანული რწმენის გაძლიერებისთვის და აღავლენენ ლოცვებს ერისა და მუნიციპალიტეტის უკეთესი მომავლისათვის.

– **გულწრფელად ვულოცავთ ქვეყნისა და ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას, მომავალ თაობას „სამშობლო არ დაივინყოთ, სამშობლო – უმთავრესია.“**

– კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი სტატიების, ნარკვევების, წერილების ავტორებს, მათ მკითხველებს.

– ვანის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს“, მის ყველა თანამშრომელს.

– ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ყველა საჯარო სკოლას და მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრის“ საქმიანობას.

– ვანის ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ვანელს, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ საკმაოდ რთულ პროცესებში დაუდგნენ ვანს გვერდით.

– შპს „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს.

ბედნიერება იყოს თითოეული მათგანის, მათი ოჯახების გზამკვლევი!

ბედნიერება, დამშვიდება და გამთლიანება ვუსურვოთ სრულიად საქართველოს!

მღუშარე ვედრება

ღმერთო! შენ დაამშვიდე ჩემი მამული,
ის არის სისხლით დანამული.
მან არ იცის - სინარული როგორია!
უფალო! ჩემი ხვეწნა - ამბობია.

წინათ მას სდარაჯობდა ქალწული ნინო,
დღეს კი ქართველი სამშობლოში არი ულხინო!
ღმერთო! სად არი ჩვენი ბედი, ჩვენი იღბალი!
სუსტი ვარ, მაგრამ მენატრება გმირების ხმალი!

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი და - წმინდა.
როცა მხურვალეთ მომინდება მამულზე ლოცვა.
მაგრამ მე ვიცი, არ დაგვტოვებ უფალო ისეთ -
რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს ახალი ქრისტე,

რომ კიდევ ერთხელ არ ვინილთო მტრის მორჩილობა
და სინარულით შევიხვიოთ მკერდის ჭრილობა,
ღმერთო! გვისმინე! ნუ დაგვტოვებ ქართველებს მარტო,
მე აღარ ვიცი როგორ გითხრა, როგორ მოგმართო!

ქვეყნიერების სინარული როცა იწყება,
მე მეშინია საქართველოს გადავიწყება.
უფალო! შენ ხარ ქვეყნის მეფე, ქვეყნის მართველი,
დიდი ხანია შენს წინაშე იწვის ქართველი!

და ჩვენი ლოცვა დღეს სხვა ლოცვას აღარ ედრება,
უკანასკნელი გავიგონე ღმერთო ვედრება!

ნახე რა სამშობლო მოგცემს
(შვილებს)

ნახე რა მიწა გაქვს, ნახე, რა სამშობლო შვილო,
სადაც ახლა დგახარ უფლის ნაკურთხია თავად,
ყლორტო მამულისა, ხვალ კი საიმედო ძირთ,
რწმენით იარე და მზერა არ მოზიდო ავად.
ნახე რა მთები გაქვს, ცასთან მიგიწვდება სანე,
მხრებში გაიშალე ქართველს არ უხდება მოხრა,
რა სამშობლო გერგო თავად უფლისაგან ნახე,
წამიჯ არ გაივლო გულში წუწუნი და თხვრა.
გახსოვს ბავშვობაში ლოცვას გასწავლიდი შვილო,
ხატებს ვერ სწვდებოდი ცერებს ადგებოდი ზედა,
ჩემო საფიცარო საქართველოსავით ტკბილო,
ჯერ ის დაიფიცე, მერე დაიფიცე დედა.
ამ ვრცელ სამყაროში ერთი საქართველო არის,
ისიც შენ გეკუთვნის, ნახე, რა სიმდიდრე მოგცეს,
მასში სხვა მზე არის, სულ სხვა ელვარება მოვარის,
უფალს მადლობდე და მისთვის აღავლეხდე ლოცვებს.
შენ რომ მამული გაქვს, მსგავსი არ არსებობს არსად,
აბა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ იცის,
ფიქრშიც არ გასცვალთ, არც რა თქრო-ვერცხლის ფასად,
მიზონგაჟღერთილი მადლი საქართველოს მიწის.
ნახე რა ზეცა გაქვს, ნახე რა ტაძრები გიჯავს,
მთათა ბილიკები, ყველა სალოცავში მიდის,
შენ რომ თავზე გზურავს ბევრი ეშურება იმ ცას,
იზგვლივ ღალატია, ვიდაც სინდის-ნამუსს ყიდის.
აბა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ დედი,
შენი წინაპარი თითქმის წმინდანია ყველა,
ღმერთმა დაგაბერტყა მადლად ქართველობის ბედი,
ჯიშს არ უღალატებ, ვიცი, შენი გულის მჯერა.
ცისკრის შესადარი ენით შეგიძლია ლოცვა,
ვისი გორისა ხარ, პაპა ანდერძივით გწერდა,
ნახე დალოცვილმა, ნახე, რა სამშობლო მოგცა,
ჯერ ის დაიფიცე, მერე დაიფიცე დედა.

**„ტაქრების ქვაში მშენებლობის ეტაჟი დასრულდა,
ახლა სულიერი ტაქრების მშენებლის ჟამია“**

არ არსებობს საქართველოს ისტორიაში იმაზე უარესი პერიოდი, ვიდრე ეს მუსულმანთა შემოსევა-სპარსულ-თურქული იმპერიების საუკუნოვანი მპყრობელობის დროს არსებობდა, როდესაც სარწმუნოების შეცვლაზე კატეგორიული მოთხოვნა იყო და ზოგიერთ შემთხვევებში აღწევდნენ კიდევ ამას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, აქაც მართებული იქნებოდა თუ ვიტყვოდი – ურთულესი ისტორია, აუტანელი ეგზარქოსობის პერიოდშიც იყო (1811-1917 წ.წ.). ეს იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც წინ უძღოდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, თუმცა შეიძლება დავინახოთ პირიქითა პროცესი, რომელსაც მტერთაგან და შინაფეოდალური დაპირისპირებებისას დანგრეული და გაპარტახებული ეკლესიების აღდგენა – ახლის მშენებლობა მოჰყვა და გარემშემოსევისა და ურთიერთდაპირისპირებებისაგან დაცულ პირობებში ქართველთა მიერ განხორციელდა. დაინტერესებულ მკითხველს აქვე ვთავაზობთ იმ დროს რესტავრირებულ და ახლადაგებულ სასულიერო დანესებულებათა ჩამონათვალს.

ვანში ეგზარქოსობის დროს აგებული და განახლებული ეკლესიების ნუსხა

	ეკლესიის სახელწოდება	კურთხევის წელი	რითაა აგებული
1.	ვანის ბაგინეთის მთავარანგელოზის	1835 წელს ეკურთხა	ხით
2.	ზზვანის ღვთისმშობლის მიძინების	1809 წ.	ქვით
3.	გადიდის წმ. გიორგის	1854 წ.	ხით
4.	დიხაშხოს წმ. სამების	1870 წ.	ქვით
5.	დეცხუნის ღმრთისმშობლის	1868 წ.	ხით
6.	ვანის მაცხოვრის ამაღლების	1886 წ.	ხით
7.	ვანის მთავარანგელოზთა	1886 წ.	ხით
8.	ვანის წმ. გიორგის	1830 წ.	ხით
9.	ზენობნის წმ. სამების	1883 წ.	ხით
10.	იმერუბუთის წმ. კვირიკეს და ივლიტეს	1850 წ.	ხით
11.	ინაშაურის ღმრთისმშობლის შობის	1872 წ.	ქვით
12.	ისრიეთის წმ. გიორგის	1894 წ.	ქვით
13.	კუშუბაურის მაცხოვრის ჯვარცმის	1860 წ.	ქვით
14.	ონჯოხეთის მაცხოვრის ფერისცვალების	1860 წ.	ხით
15.	რომანეთის წმ. გიორგის	1853 წ.	ხით
16.	საბეკის ღმრთისმშობლის მიძინების	1890 წ.	ხით
17.	სალომინაოს ღმრთისმშობლის შობის	1848 წ.	ხით
18.	სალომინაოს ღმრთისმშობლის შობის	1884 წ.	ქვით
19.	სალომინაოს წმ. გიორგის	1863 წ.	ხით
20.	სალომინაოს წმ. გიორგის	1898 წ.	ხით
21.	სალომინაოს წმ. გიორგის (ჯიხეთის)	1900 წ.	ხით
22.	სალხინოს სულიწმინდის მოფენის	1862 წ.	ხით
23.	სალხინოს სულიწმინდის მოფენის	1891 წ.	ხით
24.	სულორის (დვალიშვილების) წმ. გიორგის	1862 წ.	ქვით
25.	ტობანიერის (ეწერტობანიერის) წმ. სამება	1855 წ.	ქვით
26.	ტობანიერის წმ. გიორგის	1891 წ.	ხით
27.	ტყელვანის წმ. სტეფანეს	1851 წ.	ხით
28.	უხუთის ღმრთისმშობლის შობის	1840 წ.	ხით
29.	უხუთის ღმრთისმშობლის შობის	1884 წ.	ქვით
30.	უხუთის წმ. გიორგის	1856 წ.	ხით
31.	უხუთის წმ. გიორგის	1880 წ.	ხით
32.	ქედის წმ. გიორგის	1834 წ.	ქვით
33.	ყუმურის (საპაიჭაოს) წმ. გიორგის	1848 წ.	ქვით
34.	ციხისუბნის ღმრთისმშობლის	1815 წ.	ხით
35.	ძულუხის წმ. გიორგის	1852 წ.	ხით
36.	ძულუხის წმ. გიორგის	1886 წ.	ხით
37.	ჭყვიშის მაცხოვრის ჯვარცმის	1872 წ.	ხით
38.	ჭყვიშის მთავარანგელოზთა	1875 წ.	ხით
39.	ჭყვიშის ღმრთისმშობლის შობის	1815 წ.	ხით
40.	ჭყვიშის ცხოველსმყოფელის ჯვრის	1817 წ.	ხით
41.	ჭყვიშის წმ. გიორგის	1824 წ.	ხით
42.	ჭყვიშის წმ. გიორგის	1877 წ.	ხით
43.	ჭყვიშის წმ. გიორგის	1903 წ.	ხით

აქედან მოყოლებული, არც შემდგომ გახლდათ სათანადო და ღირსეულ ამპლუაში წარმოდგენილი ქართული სასულიერო ცხოვრება. ამ შემთხვევაში მხედველობაშია რუსეთის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული სიონისტურ პოზიციებზე მდგომ ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის, განსაკუთრებით ტროცკისა (ლევ ბრონშტეინი) და მისი ჯგუფის წევრთა მოქმედება, რომელიც ასევე მართლმადიდებლურ რელიგიასთან ბრძოლის გზით წარიმართა, რომელსაც ირიბად ლენინიც უჭერდა მხარს. ესაა პერიოდი 1920-იანი წლებიდან ვიდრე ტროცკიზმის, როგორც პოლიტიკური მიმართულების საბოლოო განადგურებამდე. ამდენად, ქართული მართლმადიდებლობა ათწლეულების მანძილზე თითქოს ყოველი ახალი საუკუნის დასაწყის ეტაპზე, თავიდან იწყებდა ფენიქსივით აღდგენა-განვითარებას. რომ არა ქართველებში ჩადებული კოდი სულიერი მისიისა, ალბათ მაქსიმალურად შევიწროებულ ვერავითარი სიძლიერის შკალის სიმალლე ვერ მოერეოდა ეკლესია-მონასტრებისთვის ისევ სიცოცხლის შთაბერვას და ძველებური დიდების დაბრუნებას. მიუხედავად ამ დონის სირთულეებისა, წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ იმ მძიმე პერიოდშიც საქართველოში, კერძოდ იმერეთში, 1600 მღვდელი და 600-მდე ეკლესია არსებობდა. კერძოდ, მიუხედავად ირგვლივ გამეფებული ნეგატიური მდგომარეობისა, აიგო 500-ზე მეტი ეკლესია, 60-ზე მეტი კი განახლდა (აღდგა). განსაკუთრებული იყო გაბრიელ(ქიქოძე) ეპისკოპოსის მოღვაწეობა, რომლის დროსაც 300-მდე ტაძარი ეკურთხა. აქედან 250-მდე წმ. გიორგის სახელზე იყო აგებული, შემდეგ მაცხოვრის, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზთა და სხვა.

საქართველო უნდა ამაცობდეს იმით, რომ განგებამ მას მიუსაკუთრა უძლიერეს მწყემსმთავართა, კათოლიკოს-პატრიარქთა მთელი პლეადა, რომელთა მხრებზეც გადადიოდა ერის სასულიერო მისიის აღორძინების ურთულესი პერიოდები, ხოლო XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისს, ეს ემთხვევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მოღვაწეობას, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა 1943 წელს, ი. სტალინის უშუალო ძალისხმევით და მისი უწმინდესობის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მოღვაწეობის დროს, რუსეთის საპატრიარქოსაგან 200 წლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღდგენილი, ქართული უძველესი საპატრიარქოს ხელმძღვანელობა, კუთვნილი ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლა. და თუ დღეს ქართულ სივრცეში მართლმადიდებლურ ტაძართა მშენებლობა და ქართული სულიერების აღზევებაა, უპირველესად მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ძალისხმევითა და უდიდესი ავტორიტეტითაა მიღწეული.

საარქივო დოკუმენტებიდან ვანის სინამდვილეში იკვეთება ისიც, რომ გარკვეულმა გვარებმა, სასულიერო ოჯახური დინასტიის სახე მიიღო და ხანგრძლივი დროით მოღვაწეობდნენ ამა თუ იმ ტაძარში. მაგალითად, ცნობილია, რომ ვანის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში მსახურობდნენ ტაბატაძეები, ხოლო ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიაში-ტაბიძეები. ამა თუ იმ ცნობათა სრულყოფილად წარმოჩენა, ჯერ კიდევ მომავლის საქმეა და იმედია ამ საკითხთა კვლევა-ძიება არ შეწყდება. წარსულის საფუძვლიანი შესწავლა და სამზეოზე გამოტანა, ხომ მომავლის ღირსეულად გაგრძელებისთვისაა საჭირო, რამეთუ მსგავსნი უნდა გავხდეთ ჩვენი სამაგალითო წინაპრებისა, გავაგრძელოთ მათი ღვანლით მოსილი გზა. გზა, რომელიც მხოლოდ ტაძართან მიგვიყვანს...

2016 წლის შემოდგომაზე ვანი-ბაღდათის ეპარქიის შექმნიდან 20 წელი გავიდა. იუბილეს აღნიშვნამ ტაძრის შენობიდან, ვანის ქუჩებში გადაინაცვლა ლიტანიობის ჩატარებით. საჩინოს ძველი ქუჩები საკმევლის არაამქვეყნიურმა სურნელმა მოიცვა და ერისკაცთა სადგომებთან ღვთაებრივი მაღლი მიიტანა. თითოეულს სახლის კარებზე დაუკაკუნა და კიდევ ერთხელ ახარა წყალობა უფლისა, მეოხება დედაღვთისა, წმ. ნინოსა და მშობელთა მისთა ზაბულონისა და სოსანასი – ვის სახელსაც ვანის საკათედრო ტაძარი ატარებს. საკმევლის საღმრთო სურნელს მაგალობელთა ხმა ახმოვანებს და კოლხეთის დაბლობის ერთ-ერთი ლამაზი კუთხის-იმერეთის ორ მუნიციპალიტეტში, ღვთაებრივი სიმფონია იღვრება-ვანი-ბაღდათის ეპარქიას დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. ზეიმი დაიწყო. იმ დღეს ვანის სასულიერო გიმნაზიის ეზოში კიდევ

ერთი ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, სადაც დიდმა თუ პატარამ საძირკველში თავიანთი რწმენის პატარა ქვები ჩააყოლეს და თავიანთ ოჯახებს შეურყეველი, საძირკველიდანვე ძლიერი და მტკიცე რწმენა უსურვეს სრულიად საქართველოსთან ერთად. ერმა და ბერმა დიდი პატივისცემით აღნიშნა ეს თარიღი, როგორც ვანის მუნიციპალიტეტში ისე ბაღდათში. მრევლმა სამღვდლო დასთან ერთად აღნიშნა იუბილე, ნიშნად უფლისადმი მადლიერებისა. თბილისში კი, სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მეუფე ანტონის 20 წლიანი მოღვაწეობა დალოცა.

დავინყოთ იქედან, თუ რა გზებით და საით იარა ქართულმა სულმა ღვთის სიყვარულში, როგორი იყო მიზანი, სურვილი და მოქმედება, რა იყო დასაწყისში...

საქართველოში 90-იანი წლების დროს მომხდარმა ტრაგედიამ (1989 წლის 9 აპრილი), ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. ხალხი იმდენად აღგზნებული იყო ეროვნული სულისკვეთებით, სამშობლოსა და ღვთის სიყვარულით, რომ მთებს გადადგამდა მათი ძალისხმევა. ჩვენი ქვეყანა ახალ ეპოქას იწყებდა და ქართული ეკლესია მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა. ღვთის სიყვარულის ძიებაში დედაეკლესიას უამრავი ადამიანი დაუბრუნდა. სწორი გზა და თავშესაფარი სჭირდებოდა ერს, რომელიც დამოუკიდებლად სიცოცხლეს თავიდან იწყებდა. ეკლესია ახალი ამოცანის წინაშე დადგა. თავიდან ოცი, ოცდაათი კაცი შეიკრიბებოდა და დანერდა განცხადებას ამა თუ იმ კუთხეში ეკლესიის აღდგენის ან აშენების შესახებ. მერე მათმა რაოდენობამ იმატა. ამ ყველაფერს კარგად ჭვრეტდა კათალიკოს-პატრიარქი და ნელ-ნელა ყველაფერი მწყობრში ჩადგა. თავიდან სასულიერო აკადემია გახსნა და ყველაფერს მართლმადიდებლობის საფუძვლიანი ცოდნის მიღებით შეუდგა. ეკლესიებს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ უცებ სირთულეებმა იჩინა თავი, რადგან აუცილებლად უნდა უპასუხო და გაუმკლავდე ამ გამოწვევას. 1995 წელს, გაფართოებული საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელიც იღებს დადგენილებას, რომ ქვეყანაში არსებული 12 ეპარქია, 25-მდე უნდა გაიზარდოს. მოგვიანებით კი მათი რიცხვი 50-მდე აღწევს. მალევე გამორჩეულ იქნენ მღვდელმთავრებიც – 1996 წლის 10 ნოემბერს, კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მღვდელმთავრად, ეპისკოპოსი ანტონ ბულუხია იქნა დადგინებული. ამ დროისათვის ორ რაიონში – ვანსა და ბაღდათში, მხოლოდ სამი მოქმედი ტაძარი იყო და ოთხი მოძღვარი მოღვაწეობდა. კავშირი სასულიერო და საერო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მთლიანად იყო განწყვეტილი... „ჩვენ შეჩერებული კავშირიდან არ გაგვიგრძელება – ჯერ ორმოდან დავიწყეთ სიბრტყეზე ამოსვლა. ამ სიბრტყეზე არც აშენებული დაგვხვედრია რაიმე. თუკი მათემატიკურ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ჩვენ მინუსიდან დავიწყეთ – ნულიდან არ დავიწყეთ“ – აღნიშნავს ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი და იქვე განმარტავს, რომ ეპარქია პირველი რიგის ამოცანად მეტი სასულიერო პირის აღზრდასა და ტაძრების მშენებლობას ისახავდა მიზნად. ამიტომ პირადი მაგალითის დიდი ძალა იყო საჭირო. „იმედით, სიყვარულით, რწმენით და მითუმეტეს, თუკი ნამდვილად ემსახურები შენს საქმეს, თუკი კარგად იცი რას აკეთებ და გვერდით უდგახარ ეპარქიას, გიყვარს შენი საქმე, უფალი ყოველთვის გეხმარება და ყოველთვის გამოაჩენს იმ ადამიანებს, რომლებშიც ფარული სიყვარულია უფლისა და ისინი გვერდით გიდგებიან ყოველ საქმეში. ჩვენ მათ ვიხსენიებთ, როგორც ეპარქიის აღმშენებლობაში თანამონაწილეებს. სწორედ ასეთი ადამიანების თანადგომით მდიდრდება ეკლესიის სულიერი ცხოვრება“ – მეუფე ანტონი.

ცნობისათვის, 2004 წელს, მეუფე ანტონის კურთხევითა და ლეჟავების ოჯახის ძალისხმევით, სოფელ მთისძირში, ახალი ტაძრის კომპლექსი იგება, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსის, წმ. გაბრიელ ქიქოძის სახელზე იქნა ნაკურთხი. წმინდა გაბრიელი, მე-19 საუკუნის გამორჩეული ადამიანი და სასულიერო მოღვაწე იყო. მან თავისი თავდადებული შრომით, მტკიცე რწმენითა და დაუღალავი ლოცვით, შეძლო იმერეთში მიძინებული სარწმუნოების გამოღვიძება. აღნიშნული კომპლექსური ტაძრის ინფრასტრუქტურაში ორიგინალური სანათლავი შედის, რომელიც წარმტაცია „ჩანჩქერით“ ამახსოვრებს თავს აქ მოსულთ. ამდენი წლის განმავლობაში ჩანჩქერის წმინდა წყლით უამრავი ადამიანი გაქრისტიანდა და მათი სახელები სიმბოლოურად

სანათლავის კედლებზეა აღბეჭდილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ეზოში მდებარე კელი-აში, თავის ხუთშვილიან (სალომე, ევსტათი, ამბროსი, იოსები და ივდითი) ოჯახთან ერთად ცხოვრობს ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მამა აბო ასათიანი. მოძღვრის მეუღლე (ფოფო-დია) კი ტაძრის მედავითნეა. ანალოგიურად ტაძრის გალავანს შიგნით აქვს ბინა დადებული აგრეთვე, ისრითის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარს დეკანოზ მამა პანტელეიმონ მარგველაშვილს. ტრადიცია მოძღვართა ტაძრის ახლოს ცხოვრებისა, როგორც მეუფე ანტონი ბრძანებს, ულამაზესი ტრადიციაა, რადგან თვით მეუფე სასულიერო ცხოვრების დასაწყისში, ტაძრის სიახლოვეს ცხოვრობდა, სადაც იმთავითვე გრძნობდა უდიდეს განსხვავებას ამ ორ საცხოვრისს შორის.

ვანის მუნიციპალიტეტში სულ 41 სოფელია და 21 ადმინისტრაციული ერთეული – 1 ქალაქი და 20 თემი. ამ დროისათვის როგორც ჩვენთან, ვანის მუნიციპალიტეტის სივრცეში რესტავრაცია ჩაუტარდა და აიგო 30-ზე მეტი ტაძარი, სადაც ღვთისმსახურება აღევლინება, მოძღვარნი, მედავითნენი და მგალობელნი მსახურობენ. თითქმის არ დარჩა არცერთი სოფელი, სადაც წირვა არ აღევლინება. ქალაქში მოეწყო რეზიდენცია, რომელიც ადმინისტრაციული ცენტრის გარდა, კულტურულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს ითავსებს. მთავარ მოედნებზე ათეისტური სიმბოლიკა, საკათედრო ტაძარმა შეცვალა. მათი მშენებლობის პერიოდს კი ბევრი რამ დაემთხვა – საერთო გაჭირვება, გამოსვლები, გადატრიალებები, ამბოხებები, თაობების შეცვლა და ამ ყველაფრის ფონზე ძალიან გაძნელებული იყო ყოფა. აქედან გამომდინარე ვანში 2000 წელს დაიწყო და 10 წელიწადი გრძელდებოდა ტაძრის მშენებლობა. „ღმერთმა მოიხსენიოს სასუფეველსა თვისსა კარგი ვანელი ალექო გეფერიძე, რომლის ძალისხმევითა და თანადგომით აშენდა ვანის საკათედრო ტაძრის 60%“ – იხსენებს მეუფე. როგორც საკათედრო ტაძრის მთავარხუცესმა მამა კახაბერმა(დვალისვილი) გვითხრა „არც მრევლი იყო შინაგანად მზად ამხელა ტაძრის აშენებისთვის და ფაქტიურად სახელმწიფოც არ იყო ჩამოყალიბებული. ყველაფერი თავის თავზე მეუფემ აიღო-შეკრიბა და გააერთიანა მრევლი, ხმა მიანვდინა უცხოეთში მცხოვრებთ იმის თაობაზე, რომ ვანში აუცილებლად უნდა აშენებულიყო საკათედრო ტაძარი. აქ ასევე დღემდე ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, სადაც ჩართულნი არიან როგორც ახალგაზრდები, ასევე ასაკოვანნიც“.

ვანის საკათედრო, სალომინაო, უხუთი, რომანეთი, ზედა გორა, გორა, ზეინდარი, საპრასია, ძულუხი, ფერეთა, ბზვანი, ინაშაური, ამაღლება, დიხაშხო, ისრითი, სალხინო, სულორი, გადიდი, ზენობანი, ვაშლარა, გაენათი, ქედი, მუქედი, კუშუბოური, ტობანიერი, შუამთა, ყუმური, პანტელე-სოული, ჭყვიში, მთისძირი – ეს ვანის მუნიციპალიტეტის ის თემ-სოფლებია, სადაც აშენდა, აღდგა ან დასასრულს უახლოვდება ტაძართა მშენებლობანი

დადგა ნანატრი დღე. 2010 წლის ვანის საკათედრო ტაძრის საზეიმო გახსნის საღმრთო ლიტურდია, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა. საყოველთაო დღესასწაულს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მღვდელმთავრებიც ესწრებოდნენ. ქადაგებისას პატრიარქმა ბრძანა: „ვანისა და ბაღდათის ეპარქია იყო სრულიად უმოქმედო, სადაც თითქოს არ იყო არავინ, ვინც სახარებას იქადაგებდა. მე მინდა აღვნიშნო დამსახურება მეუფე ანტონისა, დამსახურება სამღვდელოებისა, ერის ადამიანებისა. არაფრისგან აღდგა შესანიშნავი ეპარქია. ჩვენ ვითვალისწინებთ მის დიდ საქმეს, დამსახურებას და დღეს იგი აყვანილია მიტროპოლიტის ხარისხში“. ამ ღვანლის დაფასებამ, კიდევ უფრო მეტი ძალა და მოტივაცია შესძინა ეპარქიის სულიერ ცხოვრებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლომის წილი ტაძართა მშენებლობაში, სწორედ რომ საერო ადამიანებს აქვთ შეტანილი. ეს ეხება როგორც მეცენატებსა და ბიზნესმენებს, ასევე ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ როგორც ფიზიკურად, ასევე სხვადასხვა შემოწირულობათა გაღებით იმისათვის, რომ მშენებლობები დროულად დაწყებულიყო და დასრულებულიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 90-იანი წლები რთული პერიოდი იყო საქართველოში. მეუფე ანტონს ეპარქიის შექმნისთანავე ჰქონდა ფიქრი სასულიერო სასწავლებლის-გიმნაზიის დაარსებისა. უკვე აუცილებლობას წარმოადგენდა შექმნილიყო ისეთი სასწავლებელი,

რომელშიც თაობები გაიზრდებოდა და ქრისტიანული მრწამსით ჩამოყალიბდებოდა. თავიდან არავითარი ფინანსური რესურსი არ არსებობდა, არც შენობა იყო და არც არანაირი პირობები. ყოველივე ჰქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადადებულიყო. მალე, რაიონის მაშინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით, ეპარქიას გადაეცა ვანის მოსწავლე-ახლგაზრდობის სახლის არაჩვეულებრივი(არქიტექტურული და ყველა თვალსაზრისით) შენობა, სადაც სანყის ეტაპზე ნირვა-ლოცვა აღევლინებოდა, საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის გადაცემულ იქნა რაიონის ცენტრში არსებული მყარად ნაგები შენობა, რომელზედაც დაშენდა ერთი სართული და გუმბათი, რისი შედეგიც ჩვენს თვალწინაა – დღევანდელ ჯვრის მოედანზე, ასევე ეპარქიას გადაეცა ქალაქის ცენტრში განლაგებული გამონთავისუფლებული საბავშვო ბაღის ორსართულიანი კაპიტალური შენობა მართლმადიდებლური გიმნაზიისთვის და ა.შ. 2010 წელს კი ერთობლივი ძალისხმევითა და თანადგომით მეუფე ანტონმა სასწავლებელი დაარსა. „უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლურმა გიმნაზიამ უკვე თავისი სიტყვა თქვა თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში. 2010 წელს I-IV კლასით და 54 მოსწავლით დავიწყეთ ფუნქციონირება. ამ მცირე ხანში ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა ჩვენმა სასწავლებელმა, უკვე 200-მდე მოსწავლით ვაგრძელებთ მუშაობას. ჩვენი გიმნაზია გამორჩეულია სხვა სასწავლებლებიდან არა მარტო სწავლების სტილით, სისტემით, წესრიგით, მოთხოვნით, არამედ იმ წარმატებებით, რომელიც ჩვენი გიმნაზიის მოსწავლეებს აქვთ, რომელზეც მეტყველებს უამრავი სიგელები და თასები. ჩვენი მიზანია სასწავლებელი ჩაერთოს არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივ სამოსწავლეო ოლიმპიადებში, არამედ მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გაცვლით ღონისძიებებშიც, იქნება ეს აშშ, გერმანია, საფრანგეთი თუ სხვა“ – ამბობს ილია სულაქველიძე, გიმნაზიის რექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. მათი სამსახური უდიდეს შრომას მოითხოვს. უდიდესს, რადგან ყველაფერი არაფრიდან დაიწყო, უფლის შენევნით წარმატებები გრძელდება, ხოლო სწავლის დონის უფრო და უფრო ამაღლება და დისციპლინის სტაბილურობა, ღირსეულადაა შენარჩუნებული. „მე არ ვაკნინებ ვინმეს, მაგრამ ჩვენთან მომსვლელი ნებისმიერი ასაკის ადამიანი ამჩნევს იმ სხვაობას, რომელიც ახასიათებს გიმნაზიის მოსწავლის ჩაცმულობას, ასევე განსაკუთრებულია მათი ქცევა და უნარჩვევები. ეს ყველაფერი ერთობლიობაში ჩვენ გვახარებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოვიხიბლეთ და გასაკეთებელი გაკეთებულია. არა, კიდევ ძალიან ბევრია სამშრომი და ამაზე ყოველდღიურად გვინევს ზრუნვა“ – ეს სიტყვები დეკანოზ მამა პეტრე გიორგაძეს, გიმნაზიის პრორექტორს ეკუთვნის.

ანალიზის გაკეთება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ახალი იდეების გამოხატვა, უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. მათ რეალიზებას დრო და ყველანაირი თანადგომა სჭირდება. მთავარ და არამთავარ საკითხთა გაცხრილვის შემდეგ უკვე რწმუნდები, რომ სასულიერო სასწავლებელთა არსებობა არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში აუცილებელია. ამ აზრს ამყარებს მეუფე ანტონის სიტყვები: „როდესაც ნერგს დარგავ და მისი ყლორტი ახალი და ნორჩი არის, მას სჭირდება ხე-ჭიგო, რომელზეც ეს ახალნერგი უნდა მიამაგრო, რომ ქარისაგან არ წაიქცეს. მაგრამ როდესაც გაიზრდება, უკვე აღარ სჭირდება. რა თქმა უნდა თავის ფუნქციას საერო სასწავლებლებიც ასრულებენ, მაგრამ იქ ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ცოდნის მიცემაზე“. აქედან ცხადია, რომ ის, რაც დავიწყებული იყო, ანუ ცოდნა და სარწმუნოება ერთად, ეს შერწყმა დაიწყო აქ, რადგან რწმენა ცოდნის გარეშე ფანატიზმამდე მიდის, ხოლო ცოდნა რწმენის გარეშე, ამპარტავნებამდე. „გონების თვალთა როცა გადავხედავთ – რა იყო, როგორ იყო, რა საკითხები იდგა ჩვენს წინაშე, მე ვფიქრობ, რომ ეს ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. დანარჩენი აღმზრდელობითი ეტაპია. **მიზანი, რომელიც მე დასაწყისში – 20 წლის წინ დავისახე, შესრულდა – ტაძრების ქვაში მშენებლობის ეტაპი დასრულდა, ახლა სულიერი ტაძრების შენების ყამია**“ – მეუფე ანტონი. ყველაფერი კი, სიკეთით სავსე ადამიანების გვერდით დგომით კეთდება. მათ გარეშე ვერავითარი იდეა ვერ იხილავდა მზის სინათლეს, ვერ შეისხამდა ფრთებს და ვერ მოგვევლინებოდა უამრავ ტაძრად, ეკლესია - მონასტრად. ისინი საგვარეულო, საშვილთაშვილო დალოცვას იღებენ, მადლს იხვეჭენ, რამეთუ

იცინან, რომ „ტაძარსა შინა გროშების დაყრით, ზოდებს მიიღებენ“ მადლად და მშვიდობად. აი, ისინიც, ეპარქიის ნაყოფისშემომწირველნი და კეთილისმყოფელნი წმიდათა ტაძართა: გეფერ-იძეები, ქაშაკაშვილები, ლეჟავეები, წაქაძეები, თათვიძეები, კაშიები, იაშვილები, კახიანები, ტყეშელაშვილები, გენაძეები, ლაბაძეები, კბილაშვილები, გველესიანები, ადეიშვილები, ბალდავაძეები, როზვაძეები, ლომინაძეები, ბაქრაძეები, ერისთავები, კახიძეები, ყიფიანები და ა.შ.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ ეპარქიის გვერდით დგომა და დახმარების განევა, დაარსების დღიდან, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს. 2011 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ვანი-ბალდათის ეპარქიის ვანის ოლქის მხარდასაჭერად ვანის რაიონის ბიუჯეტიდან გადაირიცხა 695 000 ლარი.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ვანის მუნიციპალიტეტში მშენებარე და მოქმედ ტაძართა ნუსხას და იქ მოღვაწე მოძღვართა ვინაობას. ასევე, ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებს რაიონში არსებულ ზოგიერთი ტაძრის შესახებ, მოკლე ინფორმაციული შენიშვნის სახით:

1. ვანის წმ. ნინოსა და მშობელთა მისთა ზაბულონისა და სოსანას სახელობის საკათედრო ტაძარი. წინამძღვარი მიტროპოლიტი ანტონი, წინამძღვრის ნაცვალნი დეკანოზი კახაბერ დვალიშვილი. მღვდელმსახურნი – დეკანოზი პეტრე გიორგაძე და მღვდელი ესაია ბუბუტიშვილი
2. შუამთის თემის, ქედის წმ. გიორგის ეკლესია – დეკანოზი ზაქარია დვალიშვილი
3. ამაღლების მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია და წმ. დავით და კონსტანტინეს სახ.ეკლესია – დეკანოზი ზურაბ ბიბიჩაძე
4. ტობანიერის სულთმოფენობის და მიქელეფონის სამების ეკლესია – დეკანოზი ანდრია პაიკიძე
5. ისრითის წმ. გიორგის ეკლესია – დეკანოზი პანტელეიმონ მარგველაშვილი
6. ზეინდრის წმ. ნიკოლოზის ეკლესია – დეკანოზი გიორგი ჯანელიძე და მღვდელი გერონტი ჯანელიძე
7. საპრასიის ღვთისმშობლის მიძინების და რომანეთის წმ. გიორგის ეკლესიები – დეკანოზი ლუკა ჭულუხაძე
8. ბზვანის წმ. გიორგის და წმ. სვიმეონ მიმრქმელის ეკლესიები – დეკანოზი ნიკოლოზ კაცაძე
9. შუამთის ნათლისღების ეკლესია – დეკანოზი კონსტანტინე გაბუნია
10. მთისძირის წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ეკლესია – დეკანოზი აბო ასათიანი
11. ყუმურის წმ. გიორგის ეკლესია – დეკანოზი მირიან ჭეჟია
12. მუქედის მთავარანგელოზთა ეკლესია – დეკანოზი ალექსი როზვაძე
13. ზედა გორას მაცხოვრის შობის ეკლესია – დეკანოზი არსენ ხუბუკელაშვილი
14. დიხაშხოს წმ. პეტრე და პავლეს სახ. ეკლესია – დეკანოზი დანიელ პაიკიძე
15. სალხინოს წმ. თამარ მეფის ეკლესია – დეკანოზი ალექსანდრე კიკვაძე
16. ძულუხის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის ეკლესია – დეკანოზი კირიონ ხურციძე
17. ქვედა გორას წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელი სტეფანე მალაქელიძე
18. უხუთის წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელი ზინობი ჯანელიძე
19. სულორის ხარების და წმ. გიორგის ეკლესიები – მღვდელი დამიანე ხელაძე
20. ჭყვიშის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ეკლესია მღვდელი – მაქსიმე გურიელიძე
21. ზედა ვანის მთავარანგელოზთა ეკლესია – მღვდელი ლავროსი მამარდაშვილი
22. სალომინაოს ღვთისმშობლის შობის და ფერეთის წმ. გიორგის ეკლესიები – მღვდელი პავლე გოგსაძე
23. ზენობის წმ. ნიკოლოზის ეკლესია – მღვდელი მათე ფუტყარაძე
24. ინაშაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესია – მღვდელი დეკანოზი ზურაბ ბიბიჩაძე
25. წმ. ნინოს ეკლესია – გიმნაზია – მშენებარე
26. გადიდის ღვთისმშობლის ეკლესია – წმ.გრიგოლ ხანძთელის მამათა მონასტერი – ორივე მშენებარე

27. პანტელესოული – წმ. ანტონი დიდის ეკლესია – მშენებარე
28. გაენათის წმ. მეფე სოლომონის ეკლესია – მშენებარე
29. ვანის სამღვდელმთავრო რეზიდენციაში მდებარე ყოველთა ქართველთა წმინდანთა სახ. ეკლესია – ნირვა აღესრულება სამღვდელოების მიერ მორიგეობით
30. ვაშლარას ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესია, მენელსაცხებლე დედათა სახელობის ეკლესია – ნირვა აღესრულება ეპარქიის სამღვდელოების მიერ მორიგეობით.
31. ბაგინეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია – მშენებარე

გადიდი

სოფელში მრავლად არის ძველი ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები, აქ მნიშვნელოვანია გადიდის წმინდა გიორგის სახელობის ქვის ეკლესია, რომელიც ბაზილიკური ტიპისაა და XII საუკუნეში არის აგებული. ასეთივე იყო ონჯოხეთშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ ეკლესია ხის ნაგებობა იყო. დღესდღეობით გადიდში მცირედი ნაეკლესიარი ლოდებია შემორჩენილი, ეს ეკლესია დაფიქსირებული აქვთ ვახუშტი ბატონიშვილსა და გიულდენშტედტსაც.

როგორც ვიცით, ვანის თითოეულ სოფელს ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნის თავისებური ინტერპრეტაცია ახასიათებს, ამ მხრივ არც გადიდია გამონაკლისი. რათქმაუნდა ყველა დღესასწაული აღინიშნება ტრადიციულად, მაგრამ არსებობს ისეთებიც, რომლებსაც, სოფელი განსაკუთრებულად აღნიშნავს: კერძოდ, კიკუტაძეების გვარი 6 მაისს წმინდა გიორგის დღესასწაულს აღნიშნავს, როგორც გვარის მფარველი ანგელოზის დღეს. ამისათვის აქვთ ცალკე ჭური, რომელსაც სანირავს ეძახიან, ყოველ შემოდგომაზე ივსება აღნიშნული ჭური იზაბელას სუფთა წვენით და გიორგობის დღეს ხდიან, იღებენ ღვინოს, შემდეგ ოჯახის უფროსი სამჯერ ატრიალებს ხონჩას, რომელზეც აწყვია შემწვარი გოჭი, სამი ხაჭაპური, სამი მოხარშული კვერცხი და აუცილებლად ანთია სამი სანთელი, თან ჩუმად წარმოთქვამს ლოცვას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. შემდეგ ქვევრს ირგვლივ შეკრებილი კიკუტაძეები სვამს სამ სადღეგრძელოს: 1. წმინდა გიორგის სადიდებელს. 2. უფლისა და ქრისტეანობის სადიდებელს. 3. გვარისა და ყველა ქართველის დღეგრძელობის სადღეგრძელოს. ამის შემდეგ ბრუნდებიან ძირითად ოჯახში და იწყება ტრადიციული ქართული სუფრა, სადაც ნებისმიერი გვარის ადამიანს დაუპატიჟებლად შეუძლია მისვლა. ამჟამად გადიდში მიმდინარეობს ღვთისმშობლის ეკლესიისა და წმ. გრიგოლ ხანძთელის მონასტრის მშენებლობა.

ამაღლება

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და ქვეყნის დემოკრატიულ სანყისებზე გადასვლამ ხელ-ფეხი გაუხსნა სარწმუნოების განვითარებასა და თავისუფალ აღმსარებლობას. მრავალ რწმენდაკარგულს რწმენა დაუბრუნდა და ეკლესიებს მიაშურეს. მასიურად დაიწყო ერთ დროს დანგრეულ-გაპარტახებული ეკლესიებისა და სამლოცველოების აღდგენა-მშენებლობა. სოფელ ამაღლებაში კულტურის ძეგლად ითვლება „მაცხოვრის ამაღლების ეკლესია“. იგი მდინარე კვინისწყალის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. წარმოადგენს სამაფსიდიან ნაგებობას, რომელსაც თავდაპირველად გუმბათოვანი გადახურვა ჰქონდა. ტაძრის ტერიტორია, მე-18 საუკუნიდან რაჭიდან ჩაოსახლებული ერისთავების საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. იგი სავარაუდოდ V-VIII საუკუნეებშია აგებული. ნგრევის შემდეგ პირველად XI საუკუნეში აღადგინეს ოთხკუთხედი ფორმის აგურით. ომებისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად ეკლესია ისევ დანგრეულა და მე-17 საუკუნეში კვლავ აღუდგენიათ ადგილზე წარმოებული აგურით. ეკლესიის მეორედ აღდგენას შოშიტა ერისთავის სახელს მიაწერენ. ერისთავები, ლორთქიფანიძეები, ჩიჯავაძეები, მინდელეები ყოფილან ის ადამიანები, რომლებიც უძღვებოდნენ საეკლესიო საქმიანობას. ტაძრის აღმოსავლეთის მხარეს შენარჩუნებული იყო საკურთხეველი ორი ოთახით და თალით, ხოლო გუმბათი, ჩრდილოეთ კედელთან ერთად მაშინ ჩამოიქცა, როდესაც ბოროტმა სულეებმა თუნუქის სახურავი გადახადეს. სამხრეთით მიშენებული პატარა მოცულობის ეკლესია უვნე-

ბელი გადარჩა ბეტონის ქერის გამო. მთავარი ეკლესიის კედლის სისქე 1 მეტრი და 30 სანტიმეტრია, სადაც დატანიებული აქვს გვირაბები, რომელიც მიწის ქვეშ გადიოდა და ბერების კელიასთან აკავშირებდა ტაძარს. ბოლო აღდგენაზე ზრუნვა XX საუკუნეში დაიწყო და დიდი დაბრკოლებების მიუხედავად ეკლესიამ დღევანდელი სახე მიიღო. პერანგის ქვებად გამოყენებულია აგური, ხოლო ძირითადად აგებულია ადგილობრივი ჯიშის ფილა ქვებით. ეკლესიას აქვს სამი კარი(სამივე დაზიანებული იყო), ექვსი სარკმელი და ამჟამად უგუმბათოა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ ფუნქციონირებდა სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ გიმნაზია და ბოლოს კი სკოლა. ცნობილ მოგზაურს, გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს ასე აქვს მოხსენიებული ძეგლი: „მოერთვის რიონს სამხრეთიდან ამაღლების ხევი, გამოსდის ფერსათს, მასზედ არის მონასტერი ამაღლების, დიდ გუმბათიანი არს შუენიერს ადგილს“ – აქ ბერთა სადგომის არსებობას, ნანგრევებიც ადასტურებს. 1937 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე კი „ამაღლების საყდარი“ აღნიშნული.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, დაახლოებით 1967-1968 წლებში, ბოროტმა ადამიანებმა ტაძარს თუნუქის სახურავი გადახადეს.

ქრისტიანული დღესასწაულებიდან ამაღლებაში განსაკუთრებით ქრისტეს ამაღლებას ზეიმობდნენ. საბჭოური მმართველობის წლებში, ანტირელიგიური პროპაგანდის მსხვერპლი მრავალი საეკლესიო დღესასწაული გახდა, გამონაკლისი არც ეს დღე ყოფილა. 1990-იანი წლებიდან კვლავ აღდგა აღნიშნული დღესასწაული, რომელსაც ერთგვარ ელფერს ისიც მატებს, რომ დღესასწაულიც, ეკლესიაც და სოფელიც ამაღლების სახელს ატარებენ. მესამედ აღდგენილი და რესტავრირებული ქრისტეს ამაღლების ეკლესია ეკურთხა 2001 წლის 3 ივნისს წმინდა სამების დღესასწაულზე, რომელშიც თავისი დიდი წვლილი შეიტანა, ამერიკულმა ორგანიზაციამ ტომ გერჰარტის წარმომადგენლობით საქართველოში, რაც მათი მხრიდან იმ დროს, უდაოდ ღირსეული ნაბიჯი იყო. ამჟამად ეკლესია მოქმედა და წირვა-ლოცვას აღავლენს **დეკანოზი მამა ზურაბ ბიბიჩაძე**.

ინაშაური

სოფელ ინაშაურში „ღვთისმშობლის შობის“ ერთნავიანი ეკლესია, ისტორიისა და კულტურის ძეგლად ითვლება. იგი ადრე წმ. გიორგის სახელს ატარებდა და ჩხოზაძეებისა და კანკაძეების უბანში, საკმაოდ შემალლებულ ადგილზე დგას. ეკლესია XIX საუკუნეს მიეკუთვნება. კერძოდ, აგებულია 1860-70 წლებში ადგილობრივი ჯიშის ქვებით. შენარჩუნებული აქვს პერანგის ქვებიც და გადახურულია კრამიტით. აქვს ორი კარი და ექვსი სარკმელი. 1937-38 წლებში დანგრეული ეკლესიის ქვებით პურის საცხობიც ააგეს, სოფლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა საკუთარი სახლის ასაშენებლადაც გამოიყენა და ბოლოს, რაც გადარჩა, კოლმეურნეობის საწყობადაც იქნა გამოყენებული. ისტორიული ცნობებიდან ვგებულობთ იმასაც რომ ამ სოფელშივე არსებულა ინაშაურის წმინდა სიმონ ღმრთისმამრქმელის ეკლესია. აშენებისა და დანგრევის წლები არ არის ცნობილი. მხოლოდ ის ვიცით, რომ ტაძარში 1816 წლიდან 1829 წლამდე წირვა-ლოცვას აღავლენდა მღვდელი გერასიმე მინდელი. მსგავსად ამაღლების ეკლესიისა აღადგინეს და განაახლეს ინაშაურის „ღვთისმშობლის შობის“ ეკლესია, ხოლო იმავე ინაშაურში ხარაბაძეებისა და სინაურიძეების სასაფლაოს ტერიტორიაზე 2013 წელს დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდა კიდევ ერთი ეკლესიის მშენებლობა, რისი ხარჯებიც მთლიანად სოფლის მოსახლეობამ გაიღო.

ინაშაურში ადრე „ღვთისმშობლობას“ აღნიშნავდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი მარიამობის დღესასწაულმა ჩაანაცვლა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ დღეს (28 აგვისტო) დიდი ხალხმრავლობაა ხოლმე ქოკიანის აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ამჟამად ამ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლენს მღვდელი **დეკანოზი მამა ზურაბ ბიბიჩაძე**.

ზედა ვანი

სოფლის სიძველეებიდან აღსანიშნავია: 1. XII-XIII საუკუნის ზედა ვანის მთავარანგელოზის ეკლესია; 2. XIX საუკუნის ზედა ვანის ეკლესიასთან მდებარე სამრეკლო; 3. „ნაციხვარი“ – მთავარანგელოზის ეკლესიიდან ორ კილომეტრში; 4. „კელენჯვარი“ – ნაეკლესიარი. მას სოს-

ელიების ეკლესიასაც უწოდებენ. მთავარანგელოზის ეკლესია უგუმბათოა. იგი აგებულია კირქვით. ადრე ორივე მხრიდან მოპირკეთებული ყოფილა ადგილობრივი ლამაზად გათლილი ფილა ქვებით. ამჟამად ტაძრის სახურავი და სამხრეთ კედელი დანგრეულია, დანარჩენი კედლები დაბზარულია. ჩრდილოეთ კედელზე გადარჩენილია თალის ორი ქუსლი, რომელსაც ეყრდნობოდა სახურავი, კედლებზე შიგნიდან დაშვებულია ორსაფეხურიანი სვეტები. ჩრდილოეთით ორი სარკმელი აქვს, დასავლეთით ერთი. თავის დროზე ეკლესია მოხატული ყოფილა ფრესკებით, რომელთა ფრაგმენტები აქა-იქაა შემორჩენილი. ეკლესიას ჰქონდა სამი კარი – ორი – ჩრდილოეთით, ერთი – დასავლეთით. სამხრეთის კედელი მოშლილია და არ ჩანს. თუმცა ე. თაყაიშვილი წერს, რომ ეკლესიას წინათ სამხრეთის მხარეზე ეკვდერი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მოუშლიათ და კარი ამოუშენებიათ. ეკლესიას ჩრდილოეთით ჰქონია მინაშენი, რომელიც ახლა დანგრეულია. დასავლეთიდან მიშენებული ჰქონდა აგრეთვე კარიბჭე, რომლის ჩრდილოეთით კედელი დანგრევას გადაურჩა. უფლის წყალობით, 2016 წლის აღდგომის შემდეგ ტაძარი რესტავრირებულია, აღდგენილია და წირვა-ლოცვა აღევლინება. ამავ ეკლესიიდან 20 მ-ის დაცილებით არის სამრეკლო, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში, ის წარმოადგენს სამსართულიან, ხუთნახნაგოვან ნაგებობას, რომელსაც აქვს გუმბათი. საინტერესოა ერთი ისტორიული ცნობაც-შუა ფეოდალურ ხანაში ვანის მთავარანგელოზის ეკლესიას კედელში ჩატანებული ჰქონდა მარმარილოს ქანდაკება, რომლის XII საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია „ერისთავთ ერისთავი ზვიადი“. საფიქრებელია, რომ ის იმ ქვაბულიძეთა გვარის წარმომადგენელია, რომელიც მთლიანად იმდროინდელ ვანის ტერიტორიალურ სივრცესა და მათ შორის ყუმურის ხეობასაც განაგებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ზედა ვანის ტაძრის აღდგენაზე პირველად ზრუნვა დაიწყო საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოებამ, რომლის ერთ განყოფილებასაც აქაური მკვიდრი, აკადემიკოსი ანზორ შარაშენიძე ხელმძღვანელობდა. ამჟამად ზედა ვანის მთავარანგელოზთა ეკლესია მოქმედია და იქ წირვა-ლოცვას აღავლენს **მღვდელი მამა ლავროსი მამარდაშვილი**.

დიხაშხო

სოფელ დიხაშხოს ტერიტორიაზე მდებარეობს „წმ. სამების სახელობის ტაძარი“. ისტორიული ძეგლი სოფლის ცენტრიდან დაშორებულია სამი კმ-ით. ეკლესია ერთნავიანი, ბაზილიკური ტიპისაა. აშენებულია ფლეთილი ქვითა და კირქვის დულაბით. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი. მოპირკეთებულია ადგილობრივი ჯიშის ქვიშა-ქვის წყობით, რომელიც ამოყვანილია კირის დულაბით. ეკლესიის მშენებლობა დათარიღებულია XVI-XVII საუკუნეებით. ზომა შეადგენს 3X5 მ-ს. მოხუცების გადმოცემით ეკლესია ადრე მოხატული ყოფილა ფრესკებით. ამჟამად ფრესკის კვალი არ შეინიშნება. შენობის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყოველ კედელს აქვს ზემო ნაწილში ჩაშენებული თითო სარკმელი.

ეგზარხოსობის დროს 1819-1917 წლებში სოფელ დიხაშხოში მოქმედებდა ორი ტაძარი:

1. დიხაშხოს წმინდა სამების – 1870 წლიდან – ნაგები ქვით
2. ისრითის წმინდა გიორგის – 1894 წლიდან – ნაგები ქვით.

წმინდა სამების ეკლესია დროთა დინებას ემსხვერპლა. დღესდღეობით აქ ორი მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარია. სოფელ ისრითში და სოფელ დიხაშხოში. მოქმედებაშია ახალაგებული დედათა მონასტერიც. ამჟამად დიხაშხოში მოქმედებს წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია და წირვა-ლოცვას აღავლენს **დეკანოზი მამა დანიელ პაიკიძე**.

ლაბაჯაურის წმინდა გიორგი

სოფელ ისრითში მდინარე სულორის მარცხენა ნაპირზე დგას უძველესი ეკლესიის ერთნავიანი შენობა, რომელსაც მოსახლეობა „ლაბაჯაურის წმინდა გიორგის“ ეძახის. იგი გამოიკვლია და საფუძვლიანად შეისწავლა არქეოლოგმა, პროფესორმა გურამ ყიფიანმა. ცნობისათვის, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრ კრებულ „მატიანეს“ ერთერთმა დამფუძნებელმა და სარედაქციო კოეგის წევრმა. ძეგლი დღემდე ნაკლებადაა

ცნობილი. იგი ვანის რაიონში მდებარეობს, სულორის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირას, პატარა კლდოვან შემალღებზე. მდინარე ჰყოფს ეკლესიას ლაბაჯაურისაგან — სოფ. ისრითის წყლის პირას დასახლებული უბნისაგან. რაიონულ ცენტრს სოფელი 6 კმ-თაა დაშორებული. არავითარი ცნობა ძეგლის შესახებ წერილობით წყაროებში არ გვხვდება. მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა იგი XX საუკუნის დასაწყისში. მოგვიანებით ძეგლი ინახულა ნინო ხომტარიამ. მას შემდეგ ძეგლმა არსებითი ცვლილებები განიცადა. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ლაბაჯაურის წმინდა გიორგის“ უწოდებს. ძეგლს არავითარი წარწერა არ აქვს. ნაგებობის გეგმა, რომელიც სწორკუთხედს წარმოადგენს მასში ჩანერილი ნახევარწრიული აფსიდით, საკმარისი არაა თარიღის დასადგენად, მხოლოდ დეკორის საშუალებითაა შესაძლებელი მეტნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ეკლესიის აგების დრო. ე. თაყაიშვილი ძეგლს, მისი მორთულობის კაბენისა და გუდარეხის მონასტრების ჩუქურთმებთან შედარების შედეგად ზოგადად XII-XIII სს. ათარიღებს. არის ვარაუდები აგრეთვე იმის შესახებ, რომ ძეგლის აგების დრო შეიძლება ზოგადად XIV ს. დასასრულითა და XV ს. დასაწყისით შემოისაზღვროს.

ბზვანი

ზედა ბზვანში დგას ფეოდალური ხანის ორი ციხესიმაგრე და XIX საუკუნის ეკლესია. სოფელში ფუნქციონირებს წმინდა გიორგის და „სიმონწმინდის“ სახელობის ეკლესიებიც. წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია. პირველი მღვდელი იყო გიორგი ტყეშელაშვილი, დიაკვანი კირილე ტყეშელაშვილი, მღვდელი ქრისტეფორე ნაცვლიშვილი და სხვები. ტაძარი რეაბილიტირებულია 1852 წელს და დღესაც ფუნქციონირებს. სავარაუდოა, რომ სოფელ ბზვანის ეკლესია აგებული იქნა მე-15-16 საუკუნეში არსებული ეკლესიის ნაფუძვარზე. ეკლესია უგუმბათოა და იგი აგებულია ადგილობრივი ჯიშის ქვებით, ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი კარი – ერთი ჩრდილოეთით, მეორე დასავლეთით. აქვს ხუთი სარკმელი და კედლებიც მყარ მდგომარეობაშია. დასავლეთის მხარეს კარებზე შენარჩუნებულია ჯვრის გამოსახულება. ვის მიერ არის აგებული, ამაზე ცნობა არ მოიპოვება. ამავე ტერიტორიაზე ნაპოვნია აგრეთვე გამოქვაბული, რომელსაც „ბერის საყდარი“ ეწოდება. ამჟამად აქ, ორივე ტაძარში, წირვა-ლოცვას აღავლენს **დეკანოზი მამა ნიკოლოზ კაცაძე**.

შუამთა

სოფელ შუამთაში ფუნქციონირებს ორი მართლმადიდებლური ტაძარი – ქედის „წმ. გიორგის“ და „ნათლისღების“ სახელობის ტაძრები. ქედის „წმ. გიორგი“ აგებულია 1615 წელს. იგი ერთ-ერთი უძველესი ტაძარია იმერეთში შემორჩენილ XVII საუკუნის ძეგლთაგან (წინამძღვარი დეკანოზი მამა ზაქარია (დვალიშვილი)). მეორე, შუამთის „ნათლისღების“ ტაძარი 1999 წლიდან არის მოქმედი. სოფლის უხუცესის, მიხეილ ბაღდავაძის გადმოცემით სოფელ შუამთის საეკლესიო პირები იყვნენ: იუსტინე მამფორია (ბლალოჩინი), ამბერკი მამფორია – მღვდელ იუსტინეს ძმა, რომელიც 1937 წელს გაუკულაკებიათ. რაც შეეხება დღესასწაულებს, სოფელი შუამთელობას აღნიშნავს 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე. აგრეთვე აღინიშნება წმ. გიორგის ხსენების დღეც, სოფელში არსებული მისივე სახელობის ტაძრის გამო. გარდა ამისა, შუამთაში თითქმის ყველა საერო თუ რელიგიური დღესასწაული აღინიშნება. ხოლო რაც შეეხება შუამთელობას, ეს ტრადიცია აქ 2009 წლიდან – ნათლისღების ტაძრის კურთხევის დღიდან დაარსდა. ტაძრის მოძღვარია, **დეკანოზი მამა კონსტანტინე გაბუნია**. ორივე ტაძარში დღესდღეობით წირვა-ლოცვა აღევლინება.

საპრასია

მეფის თვითმპყრობელობის დროს სოფელში იყო ორი სამრევლო სკოლა, სადაც მსურველები იხდიდნენ სწავლის ქირას და ისე სწავლობდნენ წერა-კითხვას, რომელსაც სასულიერო პირები ასწავლიდნენ. ამჟამად აქ მოქმედი ტაძარი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, სადაც წირვა-ლოცვას აღავლენს **დეკანოზი მამა პეტრე ჭულუხაძე**.

ტობანიერი

სოფელ ტობანიერში არის ეკლესია „სამება“, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში. აგებულია ადგილობრივი ჯიშის ქვებით. ეკლესიას წინა ფასადი შენარჩუნებული აქვს, დაზიანებული აქვს კედელი აღმოსავლეთ მხრიდან, აქვს ორი კარი, ოთხი სარკმელი, შიგნიდან მოხატულობა არ შეინიშნება. ეკლესიის კარების თავზე შეინიშნება ჯვრის გამოსახულება. ძველი ტობანიერის მრევლს ემსახურებოდა მიქელეფონის სამების, კუშუბოურისა და ტობანიერის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიები. 2013 წლის 23 ივნისს, თითქმის საუკუნის შემდეგ, სოფელ ტობანიერში კვლავ აღდგა ღვთისმსახურება. ამჟამად მოქმედია სულთმოფენობის სახელობის ტაძარი და სამების ეკლესია – მიქელეფონში. ორივეში წირვა-ლოცვას ალავლენს **დეკანოზი მამა ანდრია პაიკიძე**.

ზედა გორა

ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფელ ზედა გორას ერთ-ერთ ლამაზ უბანში. ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად უძველესი სასაფლაოა. ადგილი შემალღებულია, ორი მხრიდან ხეებითაა შემოსაზღვრული, რომლებსაც მცირე ლეღები წარმოქმნიან. ეკლესია სტრატეგიულ ადგილზეა, მისი ეზოდან ხელისგულივით მოსჩანს კოლხეთის დაბლობი. დასავლეთის მხარეს, მის პირდაპირ – სოფელ გორას „წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესიაა, ხოლო აღმოსავლეთით გარკვევით იკვეთება სოფელ ფერეთას ჯიხეთის ეკლესია.

ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. თავის დროზე ეკლესია მოხატულიც იყო, ამას ის მოხუცები ადასტურებენ, რომელთაც ახსოვთ შემორჩენილი ფრესკების ნაშთები და რომელთაც სამწუხაროდ ჩვენამდე აღარ მოუღწევიათ.

ვარაუდობენ, რომ ეს ეკლესია მე-16, საუკუნისაა. მე-20 საუკუნის დასაწყისის ცნობილ მოვლენებს არც ამ ეკლესიისთვის ჩაუვლია უკვალოდ. ეკლესიის კედლები ჩამოიშალა, სახურავის ძირითადი ნაწილი დარბაზის შიდა სივრცეში ჩამოინგრა და ნაგვის გროვად დადგა, განადგურდა კარები, სარკმელები. გაქრა და სრულად დაზიანდა კედლების მოხატულობა, ამის შემდეგ ცხადია აღარც წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა.

ეკლესია ასეთ სავალალო მდგომარეობაში დიდხანს რჩებოდა, ვიდრე არ მოხდა მისი აღდგენა-რესტავრაცია. კეთილისმყოფელი ადამიანის ფინანსური და მორალური მხარდაჭერით სოფლის მცხოვრებლებმა ეკლესიის ირგვლივ მოფანტული კვადრები თავიანთ ადგილზე დააბრუნეს, კედლები ამოიყვანეს, მოიხატა სატრაპეზო, გაკეთდა ნაბლის კარები, სარკმელები და შეიძლება ითქვას მას თავდაპირველი სახე დაუბრუნეს. ტაძარმა ახალი სიცოცხლე შეიძინა და 2000 წელს ილია II-ის ლოცვა კურთხევით მეორედ გაიხსნა.

პირველი მღვდელი რომელიც ღვთისმსახურებას შეუდგა იყო **მამა ზურაბი (ბიბიჩაძე)**, ამჟამად კი, ეკლესიის მრევლს მეშვიდე წელია **დეკანოზი მამა არსენი ხუბუკელაშვილი** ემსახურება. ამ პერიოდში აშენდა სამრეკლო, გაკეთდა ეკლესიამდე მისასვლელი გზა, განახლდა საეკლესიო მსახურებისთვის განკუთვნილი ინვენტარი, ავეჯი, ეკლესიის მიმდებარედ აშენდა სამღვდლო სახლიც.

უხუთი

სოფელში ღვთისმსახურებას ეწეოდა წმინდა გიორგის ეკლესია – ნაძვებსა და კობელაურზე და წმინდა კვირიკეს – იმერუხუთში, რომლებსაც უძღვებოდნენ: საბა თვარაძე, იოვანე თვარაძე, სპირიდონ ჩაჩუა, ეგნატე და იასონ გაბუნები. ეკლესიებში სრულდებოდა წირვა-ლოცვა, ბავშვთა მონათვლა, ჯვრისწერა და სხვა სასულიერო რიტუალები. აღიარებული იყო და ხალხი ზეიმობდა დღესასწაულებს: აღდგომა, გიორგობა, კვირიკობა, ელიაობა, მთავარანგელოზობა და სხვა. ამჟამად აღდგენილია და ფუნქციონირებს წმ. გიორგის ეკლესია, სადაც საღმრთო ლიტურგიას ალავლენს **მღვდელი მამა ზინობი ჯანელიძე**.

ყუმური

სოფ. ყუმურის ერთერთ უბანში, ე.წ. საყდრის გორის თავზე დგას წმინდა გიორგის ქვის ეკლესია, სადაც წმინდა გიორგის მთავარ დღესასწაულზე, რომელიც ყოველი წლის 6 მაისს იმართებოდა, მთელი სოფელი იყრიდა თავს. ის დარბაზული ტიპის ნაგებობაა და მოპირკეთებული იყო თლილი ქვით, მოგვიანებით შეუღესიათ კიდეც. სავარაუდოდ მისი აგების თარიღი, განვითარებულ ფეოდალურ ხანას ეკუთვნის. ამჟამად ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ის დაუნგრევიათ სოფელში მცხოვრებ ათეისტებს.

გარდა ამისა, ყუმურის თემის კიდეც ორ უბანში ვერხვანსა და დუცხუნში ორი ხის ეკლესია იყო აგებული, შესაბამისად, 1810 და 1817 წლებში. ამჟამად ისინი დანგრეულია. ერთ-ერთი მათგანი, დუცხუნის ეკლესიაც ათეისტებმა დაანგრიეს და ყუმურის ცენტრში კლუბად გადააკეთეს. ეს ფაქტი ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია. სოფელში დღემდე შემორჩენილი „ღვთისმშობლობის“ დღესასწაულის აღნიშვნა. (აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ტრადიციული დღესასწაული ასევე სოფელ მუქედშიც იხეიმება, რომელსაც „დადექობა“ ეწოდება და ინდიქტიონთან-საეკლესიო ახალ წელთანაა დაკავშირებული). ამჟამად სოფელ ყუმურში მოქმედია წმ. გიორგის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვას ალავლენს **დეკანოზი მამა მირიან ქეჟია**.

ზეინდარი

ზეპირი გადმოცემიდან თემში ამჟამად არსებული ყველაზე ძველი ნაგებობაა სოფ. ზედა გორას საზღვართან არსებული მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომელიც უნდა იყოს არა ზედა გორას, არამედ შუაგორას. ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის აშენების პერიოდი, ზეინდრის თემში მე-17, მე-18 საუკუნეში მოსახლეობის დასახლებას ემთხვევა. მის ისტორიას განმარტავს ცნობილი სასულიერო პირი, დიდად განათლებული და ქველმოქმედი პიროვნება გრიგოლ ნადირაძე. მისი ზეპირი გადმოცემა გვაუწყებს, რომ მე-17 საუკუნის ბოლოს ეკლესია სწორედ სოფ. შუაგორას მოსახლეობის ძალისხმევით აშენებულა, მშენებლები ქუთაისიდან მიუწვევიათ. კედლები ნატეხი ქვის ქანებითაა აშენებული, სახურავი კონუსური ჰქონია, შიდა 2 მთლიანი სვეტი კერცხეთის გორიდანაა ჩამოტანილი 1954 წელს. გურამ ლილუაშვილისა და რიონის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის, შოთა ბაღდავაძის ძალისხმევით ეკლესია ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის მიერ აღსადგენ ძეგლთა სიაში შეიტანეს. ქველმოქმედებითა და შემწეობით 1995 წლიდან ეკლესია მოქმედი გახდა და რამდენიმე წლით მღვდელმსახურებას ალავლენდა ადგილობრივი **დეკანოზი მამა ზურაბი (ზურაბ ბიბიჩაძე)**.

ზეინდრის თემში გასაბჭოებამდე სკოლა არ ყოფილა. თემის ბავშვებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გასული საუკუნის დასაწყისიდან წერა-კითხვას, საკუთარ ოჯახში, სასულიერო პირი, მღვდელი, გრიგოლ ნადირაძე ასწავლიდა. გადმოცემიდან ვიცით, რომ მან ქუთაისიდან 1924 წლის 19 იანვარს – ნათლისღებას, ეპისკოპოსი ჩამოიყვანა და მდ. ფერეთა აკურთხებინა. მან თავი ძლივს დააღწია მაშინდელი რეჟიმის დევნას, გვარი კი სანადირაძედ გადაიკეთა, ბათუმში უცხოვრია და 80 წლის ასაკში გარდაცვლილა. მისი საეკლესიო მსახურება მისივე შერჩეულ მღვდელს – არსენ ჩაჩუას (სოფ. გორადან) გაუგრძელებია. ამჟამად სოფელში მოქმედია წმ. ნიკოლოზის ტაძარი, სადაც წირვა-ლოცვას ალავლენენ **დეკანოზი მამა გიორგი ჯანელიძე** და **მღვდელი მამა გერონტი ჯანელიძე**.

ქვედა გორა

სოფელ ქვედა გორას ცენტრში აგებულია XIX საუკუნის ისტორიისა და კულტურის ძეგლი წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც „სამგელიას წმინდა გიორგის“ ეკლესიად მოიხსენიებენ. მოხუცების გადმოცემით, ამ ადგილზე ადრე მგლები იყრიდნენ თავს და ამიტომ უწოდეს ამ ადგილს „სამგელია“. ეკლესია გუმბათიანია. აშენებულია ადგილობრივი ჯიშის

ქვებით და ფასადზე პერანგის ქვები შენარჩუნებული აქვს. ტაძარში შიგნიდან დაშვებულია ორსაფეხურიანი სვეტები და სხვა ძეგლებთან შედარებით უფრო საღად გამოიყურება. შენარჩუნებული აქვს კარები და სარკმელები. დაზიანებული ჰქონდა სახურავი, რომელიც შეკეთდა. ამჟამად ეკლესია დაცულია. ამჟამად ტაძარი აღდგენილია და წირვა-ლოცვას ალაგლენს მღვდელი სტეფანე მალაკელიძე.

ძულუხი

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლიდან) კონკრეტულად, 1880-იანი წლებიდან, საიმპერატორო გადაწყვეტილებათა საფუძველზე თემსაზოგადოებები და პირველ რიგში ეკლესიაც დაავალდებულეს, რომ მოქმედი ეკლესიის (ეკლესიების) ბაზაზე ჩამოეყალიბებინათ 1-2 კლასიანი სამრევლო სკოლები სასულიერო პირების წინამძღოლობით. მთავარი მოთხოვნა – ელემენტარული განათლების მიღება, წერა-კითხვის შესწავლა. აქედან განათლებისადმი დამოკიდებულება რამდენადმე იცვლება და სოფელშიც ჩანს, რომ ფუნქციონირებას შეუდგა სამრევლო სკოლა, რომლის ბაზასაც წარმოადგენდა სოფლად არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც 1852 წელს აუგიათ (ხის შენობა) და საფუძვლიანად შეუკეთებიათ 1888 წელს. ამ პერიოდამდე სოფელ ძულუხში არ ფიქსირდება არცერთი სახის სასწავლებელი და იგივე სამრევლო სასწავლებელი მოცემული ფორმით დარჩა 1920-იან წლების საწყისამდე, ვიდრე მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა. შესაძლებელია ისიც, რომ აქ ეკლესია უფრო ადრეულ პერიოდშიც ფუნქციონირებდა, რადგანაც ამ სოფელში არსებობს მელოურის ციხე, რომელსაც სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა და იგი აგებული უნდა იყოს ქვაბულიძეთა ბატონობის პერიოდში, ან უფრო ადრეც. ამჟამად სოფელში მოქმედია წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვას ალაგლენს დეკანოზი მამა კირიონ ხურციძე.

„ეპარქიის 23 წლის თავზე, ვანი-ბაღდათის ეპარქიის სულიერი ცხოვრება გრძელდება. ჯერ კიდევ ყველაფერი წინა გვაქვს და ასეც უნდა იყოს. ქრისტიანის მოვალეობაა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იზრუნოს მის სულზე, ღვთისა და ერთმანეთის სიყვარულზე. ღმერთმა დაგლოცოთ და ერთობით გაგაძლიეროთ“ – მეუფე ანტონი.

	გრანტები											4.8	
	სხვა ხარჯები									5.9	10.3	3.9	8.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა		8.0						337.3	271.0		85.9	10.6
	ვალდებულებების კლება										17.7	0.8	
08 03	რელიგია	0.0	25.0	15.0	30.0	130.0	150.0	70.0	40.0	40.0	50.0	50.0	50.0
	ხარჯები	0.0	25.0	15.0	30.0	130.0	150.0	70.0	40.0	40.0	50.0	50.0	50.0
	სუმსიდიები		25.0	15.0	30.0	130.0	150.0	70.0	40.0	40.0	50.0	50.0	50.0
09 00	განათლება	195.5	486.0	534.9	433.4	403.2	428.7	536.1	785.7	1,075.7	1,313.3	1,788.4	1,241.8
	ხარჯები	194.4	256.0	534.9	433.4	403.2	428.7	536.1	668.0	785.0	815.1	888.1	1,108.2
	შრომის ანაზღაურება	7.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	7.0	0.0	242.9	16.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.0	0.0
	სუმსიდიები	179.8	256.0	292.0	416.7	403.2	428.7	536.1	668.9	785.0	814.9	888.1	1,108.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	230.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	117.7	290.7	498.2	900.3	133.6
09 01	ზოგადი განათლება	1.1	486.0	242.9	16.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	256.0	242.9	16.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება			242.9	16.7								
	სუმსიდიები		256.0										
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	230.0										
09 02	სკოლამდელი განათლება	194.4	0.0	292.0	416.7	403.2	428.7	536.1	785.7	1,075.7	1,313.3	1,788.4	1,241.8
	ხარჯები	194.4	0.0	292.0	416.7	403.2	428.7	536.1	668.0	785.0	815.1	888.1	1,108.2
	შრომის ანაზღაურება	7.6											
	საქონელი და მომსახურება	7.0									0.2		
	სუმსიდიები	179.8		292.0	416.7	403.2	428.7	536.1	668.9	785.0	814.9	888.1	1,108.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა								117.7	290.7	498.2	900.3	133.6
10 00	სოციალური დაცვა	99.7	123.5	115.7	74.3	154.4	327.6	283.0	260.8	517.0	694.8	698.5	805.1
	ხარჯები	99.7	123.5	115.7	74.3	154.4	327.6	283.0	260.8	517.0	694.8	698.5	805.1
	საქონელი და მომსახურება									0.7			0.5
	სუმსიდიები											0.8	1.5
	სოციალური უზრუნველყოფა	99.7	123.5	115.7	74.3	154.4	327.6	283.0	260.8	481.3	676.3	600.0	589.9
	სხვა ხარჯები									35.0	18.5	97.7	213.2

ნანა ლილუაშვილი – ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი

ვანის ტურიზმის ცენტრის მიზანი – არსებული და ცნობილი ტურისტული ლოკაციების მუდმივი განახლება და ახალი მიმზიდველი ლოკაციების აღმოჩენა

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“ აგერ უკვე ერთ წელზე მეტია რაც ფუნქციონირებს და პირველ რიგში მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რა სამუშაო გასწია ცენტრმა ამ მოკლე პერიოდში რაიონში ტურიზმის განვითარებისთვის.

უპირველეს ყოვლისა ჩამოყალიბდა გუნდი, რომლის ფორმირებაც ბოლომდე ჯერ კიდევ არ დასრულებულა, პირველ რიგში განისაზღვრა მუშაობის სტრატეგია. დამუშავდა მასალა ანოტაციებისთვის, მოეწყო როგორც მანამდე ყველასთვის ცნობილი, ასევე აქამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ტურისტული ლოკაციების ფოტოსესია, შეიქმნა ტურისტული რუკები, მთელი ეს მასალა ითარგმანა ორ ენაზე ინგლისურად და რუსულად და 2018 წელს გამოიცა ორი სახის სარეკლამო ტურისტული ბროშურა. წელს დაემატა კიდევ ერთი სახეობა; ერთი ტურისტებს აძლევს ინფორმაციას ვანში არსებული მუზეუმების შესახებ. მეორე, ვანის ბალნეო/სპელეო და სამთო ექსტრემალური ტურიზმის შესახებ და მესამე, ვანის აგრო და გასტრონომიული ტურიზმის თაობაზე, რომელშიც შედის ინფორმაცია ვანში არსებული საოჯახო სასტუმროების შესახებ. სამივე სახეობის ბროშურა დასურათებულია სათანადო პროფესიული ფოტოებით, ასევე თითოეულ მათგანზე დატანილია ვანის ტურისტული რუკა, რაც ტურისტებს უადვილებს სასურველი ლოკაციების პოვნას.

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ მიერ შეიქმნა საკუთარი სოციალური გვერდები Facebook & Instagram, სახელწოდებით: „ვანის ტურიზმის ცენტრი Tourism center of Vani“, რომელსაც ამ ეტაპისთვის უკვე ყავს რამდენიმე ათასი გამომწერი და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, გვერდი მუდმივად განახლებადია და უწყვეტად აწვდის ინფორმაციას ყველა დაინტერესებულ პირს სამ ენაზე (ქართულად, ინგლისურად და რუსულად) ვანში ტურიზმის მიმართულებით არსებული სიახლეების, აქტივობების და შედეგების შესახებ. ცენტრი თავის მხრივ თანამშრომლობს ყველა წამყვან ინტერნეტ საიტთან (გამოცემებთან), რომლებიც შექმნილია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის და უმეტესწილად გათვლილია უცხოელ ტურისტებში უწყვეტი ინფორმაციის მიწოდებისთვის, თუმცა ამავდროულად ძალიან უწყობს ხელს ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარებასაც და ყველა რეგიონში ტურისტულ სამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობას. დიდი სტიმულია თითოეული ამ სფეროში დასაქმებულისთვის უკვე არსებული და ცნობილი ტურისტული ლოკაციების მუდმივი განახლებისთვის და ახალი ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების აღმოჩენისთვის და ა. შ. მსგავსი თანამშრომლობა არის უნიკალური საშუალება უწყვეტად ახალი ინფორმაციის მიღება – გაზიარებისთვის..

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“ აქტიურადაა ჩართული როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყნის შიგნით გამართულ ყველა სახალხო ღონისძიებასა თუ ფესტივალში, რაც ხელს უწყობს რაიონის ცნობადობის ამაღლებას; ასევე, წელს მონაწილეობა მივიღეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში (ისრაელი, ყაზახეთი), რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის და თითოეული რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების ცნობადობის გაზრდისთვის მთელს მსოფლიოში. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება იგეგმება 2020 წელსაც.

ჩვენ უკვე ვუმასპინძლეთ რამდენიმე უცხოურ ინფო-ტურს: ბალტიისპირელ, ევროპელ (ესპანეთი, ჰოლანდია) და უკრაინელ ტურ-ოპერატორებს, რომლებიც საკმაოდ დადებით რეკომენდაციებს გვინვენ თავიანთ ქვეყნებში, ხოლო შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის წელს ვუმასპინძლეთ ბათუმელ ნამყვან ტურ-ოპერატორთა ჯგუფს და ქალბატონ ესმა კუნჭულიას პროექტით „ეს მაგარია“, სოფელ ფერეთაში გასართობ ცენტრ „ფერეთაში“, რომელსაც ორგანიზება გაუწია ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ (DMO)“, მსგავსი ღონისძიებები მოეწყო იმერეთის სხვა რეგიონებშიც და წლის ბოლომდე ისევე იგეგმება, რაც გვეხმარება წარმოვაჩინოთ რაიონის აგრო და გასტრონომიული შესაძლებლობები, ხელი შევუწყოთ ფერმერების, მენარმეების, ოჯახური ჰოსტელებისა და კვების ობიექტების მფლობელებს პოპულარიზაციაში და საქმიანობის შემდგომ განვითარებაში.

წელს იმერეთის რეგიონში ოფიციალურად შემოვიდა, ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO)“, რომლის წევრი იმერეთის 12 რეგიონია. ცენტრი შეიქმნა მსოფლიო ბანკის პატრონაჟით და უცხოელ ექსპერტთა ჯგუფი მზადაა იმერეთის გუბერნიასთან, მუნიციპალიტეტების მერებთან და ტურისტულ სამსახურებთან ერთად დეტალურად შეისწავლონ იმერეთის თერთმეტივე რეგიონის ტურისტული შესაძლებლობები, რეკომენდაცია გაგვინიონ პრიორიტეტების გამოვლენაში, ასევე შეიქმნას ერთიანი ბაზა, სადაც სრულად და ერთიან სისტემაში წარმოჩინდება იმერეთის ყველა რაიონის ტურისტებისთვის მიმზიდველი და მოთხოვნადი ტურისტული პროდუქტები, რაც დაგვეხმარება საერთაშორისო დონეზე უფრო დიდი მასშტაბით როგორც ცნობადობის ამაღლებაში, ასევე მეტი ტურისტის და ინვესტორების მოზიდვაში და ა.შ. ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“ ვანის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად აქტიურად იქნება ჩართული მთელ სამუშაო პროცესში.

წელს, უდიდესი ყურადღების ცენტრში მოექცა სოფელ „დიხაშხოს გოგირდის გეიზერი“, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ვიზუალით და სამკურნალო გამაჯანსაღებელი თვისებებით. ის ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ ველურ ბუნებაშია სოფელ დიხაშხოს ქალა-მიდამოებში და შედგება რამდენიმე თვითნაბადი ბუნებრივი აუზისგან რაც ვულკანური ქანების ფორმირების შედეგად წარმოიქმნა და აგრძელებს განვითარებას. როგორც ამბობენ აგერ უკვე 100 წელზე მეტია. ტურისტები მას ხშირად ადარებენ „თურქეთის პამუკალეს“. დიხაშხოს გოგირდის გეიზერის სამკურნალო თერმული (თბილი) წყალი ზამთარ-ზაფხულ 38 გრადუსს აღწევს. გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის და გინეკოლოგიური პრობლემების დაავადებების სამკურნალოდ. სწორედ ამ თვისებების გამო ეს ლოკაცია ყველაზე პოპულარული ადგილია ვანში და ვიზიტორების რაოდენობით ლიდერ პოზიციებს ინარჩუნებს. სწორედ ამ მიზეზით წელს ვანი მოექცა ნამყვანი გამოცემების, ტელევიზიების, ფოტოგრაფებისა და ბლოგერების ყურადღების ცენტრში. ვანის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ სარეკლამო სიუჟეტები მოამზადეს ტელევიზიებმა: იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის ტელევიზია, Post TV, რუსთავი2 და წლის ბოლომდე დაგეგმილია რამდენიმე სიუჟეტი ამჯერად ნაკლებად ცნობილი ტურისტული ლოკაციიდან აღმოჩენის და პოპულარიზაციის მიზნით და გასტრონომიული ტურიზმის მიმართულებით. ბლოგერები და ფოტოგრაფები, რომლებმაც უკვე გაუზიარეს მათ ათასობით გამომწერებს თავიანთი დადებითი შთაბეჭდილებები, ვანის უნიკალური შესაძლებლობებით მოხიბლულები მზად არიან შემდგომი თანამშრომლობისთვის, რადგან აქ ჩამოსულები რწმუნდებიან რომ ერთ ტურში შეუძლებელია მოიარო და მოინახულო ვანი.

გაგრძელდება თუ არა მომავალში ეს ინტერესი და რას შევთავაზებთ ტურისტებს? უპირველეს ყოვლისა დიდი იმედის მომცემია ვანის არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის ძალისხმევით და რეაბილიტაცია უკვე დასკვნით ფაზაშია, რაც იქნება ყველაზე მასშტაბური და გარ-

დამტეხი მოვლენა არა მარტო ვანის, არამედ მთელი რეგიონის ტურიზმის განვითარებისთვის. ასევე დიდი იმედი გვაქვს, მუზეუმის მშენებლობის კვალდაკვალ დასრულება ოთხვარსკვლავიანი სასტუმროსი, გამაჯანსაღებელი ცენტრის და ღვინის მარანის მშენებლობა, რაც აუცილებელია დიდი ტურისტული ჯგუფების მიღებისა და მომსახურებისთვის, რისი საშუალებაც ამ ეტაპისთვის არ გვაქვს.

ვანს აქვს უდიდესი პოტენციალი ბალნეო/სპელეო ტურიზმის განვითარებისთვის. ამ მიმართულებით იმედის მომცემია ინვესტორის შემოსვლა „დიხაშხოს გოგირდის გეიზერზე“, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად კეთილმოაწყობს გეიზერსა და მის მიმდებარე ექვს ჰექტარ ტერიტორიას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი ტურისტის შემოდინებას რაიონში.

ვანში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ბალნეოლოგიური კურორტი „სულორი“, რომელიც დღემდე იღებს პაციენტებსა და ვიზიტორებს. თუმცა ვიზიტორების ეს რაოდენობა ძალიან ცოტაა კურორტის შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს სრულიად უნიკალური კურორტი, ასევე სრულიად უნიკალური თერმული წყლით, რომელიც ასამდე დაავადებას კურნავს, ულამაზესი ლანშაფტითა და სუფთა ჰაერით თავიდან ბოლომდე რეაბილიტაციას საჭიროებს. კურორტ სულორს აქვს პოტენციალი გახდეს ლიდერი ბალნეოლოგიური კურორტი მთელს რეგიონში.

ვანში დიდი პოტენციალია სამთო/ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვისაც. მოლაშქრე ტურისტები (ჰაიკერები) ძალიან კარგად იცნობენ ვანის ალპურ მთას და ჯაჯის ტბას, რომელიც მდებარეობს ვანისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე ზღვის დონიდან 2851 მ. და რომლის მიმართ ინტერესიც ყოველწლიურად იზრდება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ალპურ ზონაში მომავალი წლიდან იგეგმება გზის სრული რეაბილიტაცია, რაც ძალიან შეუწყობს ხელს ამ მიმართულებით ტურიზმის განვითარებას. ალპური მთა საინტერესოა არა მარტო მისი უნიკალური გორაკ-ბორცვიანი ლანდშაფტით, ალპური და სუბალპური ზონებით, ულამაზესი თამარის წყაროთი და ჯაჯის ტბით. ასევე მოლაშქრეებს და ყველა ვიზიტორს შეუძლია დააგემოვნონ და შეიძინონ ადგილობრივი მწყემსების მიერ დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური იმერული ყველი და სულგუნი, ბოსტნეული და ა.შ. ასევე ჯირითობის მოყვარულთათვის ალპური ზონა ნამდვილი შესაძლებლობაა.

ვანი უკვე პირველ ნაბიჯებს დგამს აგრო და გასტრონომიული ტურიზმის განვითარებისთვის, საბედნიეროდ უკვე გვყავს რამდენიმე ფერმერი, რომლებიც გადიან სათანადო გადამზადებას და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ყველა სტანდარტის დაცვით, აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქციას, რომლებიც პოპულარობით და დიდი მოთხოვნით სარგებლობენ როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უკვე გააქვთ საზღვარგარეთ.

რა თქმა უნდა ვანში ტურიზმის განვითარებისთვის ჯერ ძალიან ბევრია გასაკეთებელი, თუმცა ამ ეტაპზე ძირითად ინფორმაციას დავამატებთ იმას, რომ ნელს ვანში შემოსული ტურისტების მზარდმა რაოდენობამ კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში საინფორმაციო ცენტრის გახსნის საკითხი, სადაც ყველა ტურისტს მიეწოდება პირველადი მომსახურება და სათანადო ინფორმაცია. აუცილებელია ცენტრი დაკომპლექტდეს უცხო ენის მცოდნე გადამზადებული კადრებით, ამ ეტაპზე რაიონში მსგავსი კადრების დიდი დეფიციტია და ტურისტებს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში არსებული ოფისიდან ვემსახურებით. წლის ბოლომდე ვგეგმავთ მისამართის მანიშნებელი ფირნიშის დაყენებას, რათა ტურისტს გაუადვილდეს ოფისის პოვნა. ნელს დაგეგმილი გვაქვს ამ ეტაპისთვის ყველაზე მოთხოვნად ტურისტულ ლოკაციებთან საინფორმაციო დაფების დამონტაჟება. მომავალი წლისთვის კი იგეგმება ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულად მოწყობა, რაც მიზნად ისახავს ტურისტისთვის მიმზიდველ და კომფორტულ გარემოს შექმნას.

მთავარ კითხვაზე, თუ რატომ უნდა ჩამოვიდეს ტურისტი ვანში, შეგვიძლია თამამად ვუპა-

სუხოთ: იმიტომ, რომ სწორედ ვანშია უნიკალური მუზეუმები – ვანის ანტიკური ნაქალაქარი და არქეოლოგიური მუზეუმი უნიკალური ექსპონატებით, რომელიც მთელ მსოფლიოში „ოქრო-მავალი კოლხეთის“ სახელითა ცნობილი. სწორედ იმიტომ, რომ ვანში ჭყვიშა და ტობანიერში 10 კმ. რადიუსში, დაიბადა რამდენიმე გენია, რომლებმაც შეცვალეს სამყარო: გალაკტიონი, ტიცციანი, უნმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე და დიდი ენათმეცნიერი კორნელი კეკელიძე, ქართული ქირურგიის მეტრი აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი. სანამ ცოცხალი ხარ შენ აუცილებლად უნდა ნახო მათი სახლ-მუზეუმები. იმიტომ, რომ ვანშია გასაოცარი თერმული აბანო „დიხაშხოს გოგირდის გეიზერი“ და უნიკალური ბალნეოლოგიური კურორტი სულორი. მთა და ექსტრემალური ტურიზმი გიზიდავთ? ენვით ვანის ალპურ მთას ზღვის დონიდან 2851 მეტრზე, მოინახულე გადიდის მთა, მამათა მონასტერი, მთისძირი, ყუმური, ზაფხულში გაგრილდი და წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღივსე სოფელ უხუთში ჩანჩქერზე – „შაშხები“ და სოფელ ძულუხში ჩანჩქერზე „ღურღუშა“, რელიგიური ტურიზმის მიმდევართათვის ვანი ნამდვილი სამოთხეა მისი უნიკალური და უძველესი ტაძრებით; გურმანი ხართ? სწორედ ვანში უნდა დააგემოვნოთ იმერული მასპინძლობის და იმერული ნატურალური ღვინის გემო... ასე, რომ ჩვენი კარები მუდამ ღიაა ადგილობრივი თუ უცხოეთიდან მობრძანებულ სტუმართათვის. მობრძანდით, თქვენ ბევრი საინტერესო აღმოჩენა გელით...

რედაქციისაგან:

ეს სფერო ვანისათვის უცხო არაა და მისი აღმოცენებაც და თავის დროზე მაღლა ასვლაც განაპირობა იმ დიდმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა (სხვა დამატებით პირობებთან ერთად), რომელიც, ჯერ კიდევ, XX საუკუნის დასაწყისიდან ხორციელდება, ხოლო შემდეგში XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან უწყვეტად გრძელდება. ამან განაპირობა ვანში 1985 წელს არქეოლოგიური მუზეუმის გახსნაც, რომელიც მსოფლიოში მეორეა (ესპანეთის შემდეგ), რომლის ექსპოზიცია მხოლოდ ერთი რაიონის ტერიტორიაზე, მოცემულ შემთხვევაში, ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ექსპონატებით სრულყოფილადაა დაკომპლექტებული და დიდი სამეცნიერო ფორუმების კერადაცაა აღიარებული, რადგანაც აქ გამართულ მსოფლიო არქეოლოგთა სიმპოზიუმებში, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ყოველთვის ღებულობდნენ მონაწილეობას მსოფლიოს 15-დან 28 ქვეყნის ცნობილი მეცნიერ-არქეოლოგები, მასალები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ენაზე.

ასეთმა დიდმა დიაპაზონმა განაპირობა მეცნიერთა, ტურისტთა დიდი ინტერესებიც და აქედან ისიც, რომ 1985 წელს აქ გაიხსნა მუზეუმიც და ტურისტებისათვის სასტუმრო „არგოც“, რომელიც სრულიად იქნა რეკონსტრირებული 1990 წელს ოთხ ვარსკვლავიანი 104 ნომრიანი სასტუმროს დონეზე, კინო-სალექციო დარბაზებით, კვების ბლოკითა და ეზო-გარემოთი და ა.შ. დაჯდა იგი მილიონ ორასიათასი მანეთი და ემსახურებოდა საქართველოში ჩამოსულ ტურისტულ ჯგუფებს, არქეოლოგიით დაინტერესებულ პირებსა და მეცნიერებსაც, თუმცა დროთა ცვლის შედეგად ეს სფერო, მისი განვითარება რაიონში ჩავარდა.

მისასაღმებელია დღევანდელ ეტაპზე ქვეყანაში ტურიზმისადმი ახალი დამოკიდებულება, როგორც დარგის რეაბილიტაციაზე ზრუნვა და არამარტო დაინტერესება, არამედ მძლავრი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

ბრიგოლ ტაქსელაშვილი – ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილე

**სოფელ ბზვანის დემოგრაფიული, გენეალოგიური და
ონომასტიკური მიმოხილვა
(1934–2006 წლების საკომლო ნიგნების მიხედვით)**

სოფელი ბზვანი მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში ვანიდან 9 კმ-ის დაშორებით. ბზვანი ისტორიული სოფელია, სადაც დადასტურებულია ადამიანთა ცხოვრების უწყვეტი კვალი ბრინჯაოს ხანიდან დღემდე. სოფელი როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ასევე ტერიტორიით საქართველოს დიდ სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში, რომელიც დაახლოებით 25 კვ. კმ-ზეა გაშენებული, 1461 სული ცხოვრობდა. უფრო ადრე 2002 წელს კი – 2273. კიდევ უფრო ადრე, 1963 წელს – 3478, რაც სოფლის არსებობის პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

ჩვენი მიზანია წინამდებარე სტატიით წარმოვადგინოთ ბზვანის დემოგრაფიული, გენეალოგიური და ონომასტიკური მიმოხილვა 1934–2006 წლების საკომლო ნიგნების მიხედვით, რომლებიც თითქმის სრულყოფილადაა დაცული ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში.

საკომლო ნიგნი, რომელიც ყოველწლიურად იწარმოებოდა, შეიცავს ინფორმაციას სოფელში არსებული ყველა კომლის (ოჯახის) შესახებ. მითითებულია ოჯახის სრული შემადგენლობა: პიროვნების სახელი, გვარი და მამის სახელი, დაბადების, ზოგ შემთხვევაში – გარდაცვალების თარიღი, სოფლიდან წასვლის (ამონერის) შემთხვევაში წასვლის წელი. მითითებულია სკოლაში სწავლის, სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდები, მონაცემები პიროვნების შვილობა-გაშვილების და სულით ავადმყოფობის შესახებ, საჯარო ინფორმაციები კომლის კუთვნილი ქონების (მიწის ნაკვეთების, სახლების, შინაური პირუტყვის) შესახებ. თავდაპირველად ნიგნები იწარმოებოდა ყოველ წელს, შემდეგ სამწლიანი პერიოდით (ერთ ნიგნად) და ბოლოს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ასევე ერთ ნიგნად.

ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია ბზვანის შემდეგი საკომლო ნიგნები:

1934–1939 წლების მხოლოდ ზედა ბზვანის (ამ დროს სოფელი ორად იყო გაყოფილი – ზედა და ქვედა ბზვანად) საკომლო ნიგნები.

1940 – 1947 წლებში დაცულია როგორც ზედა, ასევე ქვედა ბზვანის საკომლო ნიგნები.

1948 – 1959 წლების საკომლო ნიგნები განადგურებულია (დაინვა სასოფლო საბჭოში).

1960 – 2006 წლებში არის სოფელ ბზვანის (ასე იწოდება) საკომლო ნიგნები.

სულ დაცულია 161 საკომლო ნიგნი.

აღნიშნული ნიგნების ანალიზით დასტურდება, რომ სოფელში მოსახლეობის მაქსიმუმი ფიქსირდება 1961–1963 წლებში – 3478 სული, მოსახლეობის მინიმუმი ფიქსირდება 2001–2006 წლებში – 2273 სული, მოსახლეობის საშუალო რაოდენობა არის 2850 სული. შედარებისათვის – 1886 წლის კამერალური აღწერით სოფელ ბზვანში ცხოვრობდა 1847 სული (286 კომლი) – 964 მამაკაცი და 883 ქალი.


წელი	მცხოვრებთა რაოდენობა
1934	1044
1935	1106
1936	389
1937	634
1938	1619
1939	1619
1940	3420
1941	3420
1942	3420
1943	3278
1944	3278
1945	3272
1946	3272
1947	3272
1958	3348
1959	3348

წელი	მცხოვრებთა რაოდენობა
1960	3348
1961	3478
1962	3478
1963	3478
1964	3417
1965	3417
1966	3417
1967	3358
1968	3358
1969	3358
1970	3358
1971	3194
1972	3194
1973	3216
1974	3238
1975	3238

წელი	მცხოვრებთა რაოდენობა
1976	2967
1977	2967
1978	2967
1979	2967
1980	2689
1981	2689
1982	2689
1983	2489
1984	2489
1985	2489
1986	2739
1987	2739
1988	2739
1989	2739
1990	2739
1991	2739

წელი	მცხოვრებთა რაოდენობა
1992	2739
1993	2739
1994	2739
1995	2739
1996	2606
1997	2473
1998	2473
1999	2473
2000	2473
2001	2273
2002	2273
2003	2273
2004	2273
2005	2273
2006	2273

აქ შევნიშნავთ, რომ 1934–1939 წლებში ქვედა ბზვანის წიგნების არ არსებობის გამო მოცემულია მხოლოდ ზედა ბზვანის მონაცემები.



სულ სოფელში გვხვდება 304 განსხვავებული გვარი (იხ. №2 და №3 ცხრილები). დასაწყისისათვის არის 94 განსხვავებული გვარი (იხ. ცხრილი №4), ბოლოში არის 212 განსხვავებული გვარი (იხ. ცხრილი №5). თავდაპირველად არსებული 94 გვარიდან სოფელში ცხოვრებას ბოლომდე აგრძელებს მხოლოდ 63 გვარი (იხ. ცხრილი №6), დანარჩენი 31 გვარი გაქრა სოფლიდან (იხ. ცხრილი №7).

გვხვდება 1336 განსხვავებული სახელი (იხ. №8 და №9 ცხრილები).

სულ არის 11000 განსხვავებული სახელის, მამის სახელის და გვარის მქონე პიროვნება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნის 40-იან წლებში ბზვანში სულ ფიქსირდებოდა 25 გვარი (იხ. ცხრილი № 1), რომლებიც სოციალურად შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ცხრილი № 1.

გიორგამე	საბატონო გლეხი	ნეფარიძე	სათავადო აზნაური
გოგორიშვილი	სათავადო აზნაური	საკანდელიძე	სათავადო აზნაური
ერისთავი	სათავადო აზნაური, საბატონო გლეხი	სურგულაძე	საბატონო გლეხი
თუთაშვილი	საბატონო გლეხი	ტყეშელაშვილი	სასულიერო საბატონო გლეხი
კანდელაკი	სათავადო აზნაური	ფირანაშვილი	საბატონო გლეხი
კაპატაძე	საბატონო გლეხი	ჩხაიძე	საბატონო გლეხი
კაჭკაჭიშვილი	სათავადო აზნაური	ჩხეიძე	სასულიერო სათავადო აზნაური
კორმაძე	საბატონო გლეხი	ცაგარეიშვილი	საბატონო გლეხი
ლომიძე	სათავადო აზნაური	ხანთაძე	საბატონო გლეხი
ლორთქიფანიძე	სათავადო აზნაური	ხარაბაძე	საბატონო გლეხი
მესხი	საბატონო გლეხი	ხელაძე	საბატონო გლეხი
მესხიშვილი	საბატონო გლეხი	ხონელიძე	საბატონო გლეხი
მყავანაძე	საბატონო გლეხი		

სოფელში არსებული გვარები ალფავიტის მიხედვით

#	გვარი
1	აბესაძე
2	აბრამალაძე
3	აბრამიძე
4	აბუთიძე
5	აბულაძე
6	ადეიშვილი
7	ამაღლობელი
8	არჯევანიძე
9	ასათიანი
10	ასანიძე
11	აფხაიძე
12	აფხაძე
13	აშვეთია
14	აშვეტია
15	ახალაია
16	ახალაძე
17	ახობაძე
18	ბალიაშვილი
19	ბარანიკოვი
20	ბარაქაძე
21	ბარბაქაძე
22	ბარნოვი

#	გვარი
23	ბაქრაძე
24	ბაღდავაძე
25	ბებურიშვილი
26	ბელთაძე
27	ბერიძე
28	ბიბილეიშვილი
29	ბიბიჩაძე
30	ბიჭაშვილი
31	ბოლქვაძე
32	ბრეგვაძე
33	ბუბაშვილი
34	ბუბუტიშვილი
35	ბურკაძე
36	ბურჯანაძე
37	ბუქური
38	ბუჩუაძე
39	ბუხაიძე
40	გაბელაია
41	გაბრიჭიძე
42	გაბუნია
43	გამრეკლიძე
44	გაფრინდაშვილი

#	გვარი
45	გაჩეჩილაძე
46	გეგეჭკორი
47	გიორგაძე
48	გოგელაძე
49	გოგელია
50	გოგბერიძე
51	გოგოლაძე
52	გოგორიშვილი
53	გოგოძე
54	გოგრიჭიანი
55	გომელაძე
56	გოქაძე
57	გუბაშვილი
58	გუბელაძე
59	დადუნაშვილი
60	დათიაშვილი
61	დალაქიშვილი
62	დაშნიანი
63	დევიძე
64	დეკანოია
65	დვალაშვილი
66	დიაკონიძე

#	გვარი
67	დიხამიძე
68	დოლიძე
69	ერამეიშვილი
70	ერემეიშვილი
71	ერისთავი
72	ვაშაღმაძე
73	ვაშაყმაძე
74	ვაზახიძე
75	ვარანდია
76	თავართქილაძე
77	თავაძე
78	თათეიშვილი
79	თევზაძე
80	თვარაძე
81	თუთაშვილი
82	იზორია
83	ინჩენსკი
84	იობიძე
85	კაიკაციშვილი
86	კანდელაკი
87	კანკაძე
88	კაპანაძე
89	კაპატაძე

#	გვარი
112	ლაშხი
113	ლიპარტელიანი
114	ლობჯანიძე
115	ლომიძე
116	ლორთქიფანიძე
117	მაისურაძე
118	მამაგეიშვილი
119	მამასახლისი
120	მამფორია
121	მანთიძე
122	მარგველაშვილი
123	მალაქელიძე
124	მაჩალაძე
125	მახარეიშვილი
126	მებურიშვილი
127	მეგრელი
128	მემარნიშვილი
129	მესხაძე
130	მესხი
131	მესხიშვილი
132	მეფარიშვილი
133	მინდელი
134	მიქაბერიძე

#	გვარი
157	ნიჟარაძე
158	ნიქაბაძე
159	ნოსელიძე
160	ნუცუბიძე
161	ომანაძე
162	ორმოცაძე
163	ოქროპილაშვილი
164	პაიკიძე
165	პაიჭაძე
166	პაპიძე
167	პეტროსოვი
168	პირანაშვილი
169	პირველაშვილი
170	ჟორჟოლიანი
171	რამიშვილი
172	რევიშვილი
173	რიჭამაძე
174	რობაქიძე
175	როყვა
176	როყუა
177	როხვაძე
178	საკანდელიძე
179	სანიკიანი

90	კაშია
91	კაშმაძე
92	კაცაძე
93	კაჭკაჭაშვილი
94	კაჭკაჭიშვილი
95	კახაძე
96	კეკელიძე
97	კერელიძე
98	კერძევაძე
99	კვერნაძე
100	კვირიკაძე
101	კიკვაძე
102	კიკნაველიძე
103	კიკნაძე
104	კომახიძე
105	კორძაძე
106	კოტრიკაძე
107	კოჩევი
108	კუკულავა
109	კუპრაშვილი
110	კუხალაშვილი
111	კუხიანიძე

135	მიქაძე
136	მიქელაძე
137	მიქელთაძე
138	მომფორია
139	მჟავანაძე
140	მსხილაძე
141	მუმლაძე
142	მუშკუდიანი
143	მხეიძე
144	მხეცაძე
145	ნადირაძე
146	ნამიჭიშვილი
147	ნარსია
148	ნატრიაშვილი
149	ნაფეტვარიძე
150	ნაცვალაძე
151	ნაცვლიშვილი
152	ნაცლიშვილი
153	ნაცრიშვილი
154	ნეზირიძე
155	ნემსაძე
156	ნიკოლეიშვილი

180	სანიკიძე
181	საღრიშვილი
182	სვანაძე
183	სილაგაძე
184	სიმონია
185	სირაძე
186	სკრეპნიჩუკი
187	სოფრომაძე
188	სტურუა
189	სულაბერიძე
190	სუპატაშვილი
191	სურგულაძე
192	სხვედიანი
193	სხირელი
194	ტარიელაძე
195	ტოგონიძე
196	ტოფაძე
197	ტრაპაიძე
198	ტყაბლაძე
199	ტყემელაშვილი
200	უგრეხელიძე
201	ფაიქიძე

#	გვარი
202	ფახურიძე
203	ფერაძე
204	ფირანაშვილი
205	ფირანიშვილი
206	ფოფხაძე
207	ქავთარაძე
208	ქავთარია
209	ქანდავიძე
210	ქარდავა
211	ქართველიშვილი
212	ქარჩხაძე
213	ქარციძე
214	ქიმუნძაძე
215	ქიმუცაძე
216	ქორიძე
217	ქოჩიაშვილი
218	ქუთათელაძე
219	ქურდიანი
220	ქურციკიძე
221	ღავთაძე
222	ღაღანიძე
223	ღვინიანიძე
224	ღლონტი
225	ყაველაშვილი
226	ყურუა
227	შავაძე
228	შათირიშვილი
229	შალამბერიძე

#	გვარი
237	შველიძე
238	შუბლაძე
239	ჩაკვეტაძე
240	ჩანჩიბაია
241	ჩაჩანიძე
242	ჩაჩიბაია
243	ჩაჩუა
244	ჩახუნაშვილი
245	ჩიტინი
246	ჩიქვილაძე
247	ჩიქოვანი
248	ჩიჩუა
249	ჩიხლაძე
250	ჩოჩია
251	ჩუბინიძე
252	ჩხაიძე
253	ჩხარტიშვილი
254	ჩხეიძე
255	ჩხიტუნძე
256	ცაგარეიშვილი
257	ცერცვაძე
258	ცინცაძე
259	ძაბახიძე
260	ძაგნიძე
261	ძიგრაშვილი
262	ძოდუაშვილი
263	ჭანტურიძე
264	ჭაფოძე

#	გვარი
272	ხანთაძე
273	ხარაბაძე
274	ხარშილაძე
275	ხარძეიშვილი
276	ხაჭიპერაძე
277	ხელაძე
278	ხეცურია
279	ხეცურიანი
280	ხვადაგანი
281	ხიდაშელი
282	ხიზანიშვილი
283	ხინჩაგაშვილი
284	ხონელიძე
285	ხურცია
286	ხურცილავა
287	ხურციძე
288	ხუციშვილი
289	ხუჭუა
290	ხუჯაძე
291	ჯავახია
292	ჯაკობია
293	ჯანაშია
294	ჯანელიძე
295	ჯინჭარაძე
296	ჯინჭველაშვილი
297	ჯინჯიხაძე
298	ჯიქიძე
299	ჯიხაძე

230	შალიკიანი
231	შალიტაური
232	შამანაძე
233	შანიძე
234	შარაფიძე
235	შარაშენიძე
236	შენგელია

265	ჭელიძე
266	ჭინჭველაშვილი
267	ჭოლაძე
268	ჭუმბაძე
269	ჭუმბურიძე
270	ხავთასი
271	ხაზარბეგიშვილი

300	ჯიხვაშვილი
301	ჯმუხაძე
302	ჯოყილაძე
303	ჯოჯუა
304	ჯულაყიძე

სოფელში არსებული გვარების რაოდენობრივი განაწილება
(კონკრეტული გვარის პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში)

#	გვარი	%
1	ტყეშელაშვილი	28,685
4	ხანთაძე	3,784
5	ხელაძე	3,655
6	დვალისხვილი	3,619
7	ხურციძე	3,151
8	თუთაშვილი	3,147
9	მესხი	3,080
10	საკანდელიძე	2,620
11	ძიგრაშვილი	2,497
12	ხარაბაძე	2,487
13	კაკატაძე	2,255
14	სურგულაძე	2,118
15	ფირანაშვილი	1,535
16	გაბუნია	1,527
17	ბელთაძე	1,388
18	ცაგარეიშვილი	1,208
19	კანდელაკი	1,196
20	ჩხაიძე	1,130
21	მარგველაშვილი	1,109
22	მესხიშვილი	1,063
23	გოგორიშვილი	0,992
24	ჩხეიძე	0,960
25	კორძაძე	0,871
26	გოგოლაძე	0,825
27	გიორგაძე	0,797
28	რიყამაძე	0,726
29	პაიკიძე	0,490
30	ბუხაიძე	0,486
31	პირველაშვილი	0,472
32	ლორთქიფანიძე	0,440
33	ჩაჩუა	0,409
34	ნაცვლიშვილი	0,405
35	გოგოძე	0,351
36	დიხამიძე	0,341
37	ერისთავი	0,337
38	ლომიძე	0,331
39	ჩახუნაშვილი	0,331
40	ნაცრიშვილი	0,297

#	გვარი	%
2	ხონელიძე	5,513
49	ერემიშვილი	0,220
50	ძაგნიძე	0,212
51	როხვაძე	0,206
52	აბრამალაძე	0,204
53	ქორიძე	0,204
54	ადეიშვილი	0,198
55	ნიკოლეიშვილი	0,177
56	კაჭკაჭიშვილი	0,173
57	აბრამიძე	0,149
58	მამფორია	0,149
59	დეკანოია	0,137
60	კიკნაველიძე	0,129
61	პაიჭაძე	0,127
62	ხავთასი	0,117
63	ბუჩუაძე	0,111
64	აშვეტია	0,099
65	კახაძე	0,097
66	ოქროპილაშვილი	0,097
67	ერამეიშვილი	0,091
68	კაცაძე	0,091
69	კაპანაძე	0,085
70	ნოსელიძე	0,085
71	დადუნაშვილი	0,083
72	ნამიჭიშვილი	0,083
73	ქურდიანი	0,077
74	თავართქილაძე	0,073
75	კოტრიკაძე	0,071
76	შალიკიანი	0,071
77	ზარაქაძე	0,067
78	პირანაშვილი	0,065
79	ჭინჭველაშვილი	0,063
80	ბაღდავაძე	0,059
81	მალლაკელიძე	0,061
82	უგრეხელიძე	0,056
83	შამანაძე	0,056
84	მაბახიძე	0,056
85	ნადირაძე	0,052

#	გვარი	%
3	მჟავანაძე	5,325
94	ჯოყილაძე	0,034
95	ნაცვალაძე	0,032
96	რამიშვილი	0,032
97	როყვა	0,032
98	ჯიხვაშვილი	0,032
99	კეკელიძე	0,030
100	ჩოჩია	0,030
101	ბიბიჩაძე	0,024
102	როყუა	0,024
103	ფახურიძე	0,024
104	შალაშვილი	0,024
105	სვანაძე	0,020
106	ფოფხაძე	0,020
107	ქართველიშვილი	0,020
108	დათიაშვილი	0,018
109	მომფორია	0,018
110	ფირანიშვილი	0,018
111	დოლიძე	0,016
112	ვამაღმაძე	0,016
113	ზაბახიძე	0,016
114	სანიკიძე	0,016
115	ქავთარაძე	0,016
116	ჭელიძე	0,016
117	ჭუმბაძე	0,016
118	ბუბუტეიშვილი	0,014
119	კიკნაძე	0,014
120	მამასახლისი	0,014
121	მინდელი	0,014
122	ქიმუცაძე	0,014
123	ქუთათელაძე	0,014
124	ახალაია	0,012
125	გომელაძე	0,012
126	დაშნიანი	0,012
127	ლაშხი	0,012
128	მხეცაძე	0,012
129	ნაცლიშვილი	0,012
130	საღრიშვილი	0,012

41	გოგიბერიძე	0,272
42	ახობაძე	0,266
43	კვირიკაძე	0,262
44	ჯინჭველაშვილი	0,258
45	გაფრინდაშვილი	0,248
46	ვაშაყმაძე	0,248
47	მუმლაძე	0,242
48	მეფარიშვილი	0,236

86	აბესაძე	0,048
87	გოგელაძე	0,046
88	კაჭკაჭაშვილი	0,046
89	შავაძე	0,046
90	გოგრიჭიანი	0,038
91	ჯავახია	0,038
92	ბუბაშვილი	0,036
93	ნემსაძე	0,036

131	სუპატაშვილი	0,012
132	სხვედიანი	0,012
133	ქანდავიძე	0,012
134	შარაშენიძე	0,012
135	ხეცურია	0,012
136	აბულაძე	0,010
137	აშვეთია	0,010
138	ბუქური	0,010

#	გვარი	%
139	მსხილაძე	0,010
140	ნარსია	0,010
141	პაპიძე	0,010
142	ჩხარტიშვილი	0,010
143	ბურჯანაძე	0,008
144	გუბაშვილი	0,008
145	დიაკონიძე	0,008
146	ლობჯანიძე	0,008
147	მახარეიშვილი	0,008
148	ნიქაბაძე	0,008
149	რობაქიძე	0,008
150	სანიკიანი	0,008
151	სირაძე	0,008
152	სხირელი	0,008
153	ქავთარია	0,008
154	ქიმუნაძე	0,008
155	ქურციკიძე	0,008
156	შუბლაძე	0,008
157	ჯანელიძე	0,008
158	ჯოჯუა	0,008
159	პეტროსოვი	0,006
160	ამაღლობელი	0,006
161	აფხაძე	0,006
162	ახალაძე	0,006
163	ბალიაშვილი	0,006
164	ბარანიკოვი	0,006
165	ბარბაქაძე	0,006
166	ბრეგვაძე	0,006
167	გაბელაია	0,006
168	გოგელია	0,006
169	თავაძე	0,006
170	თათეიშვილი	0,006
171	თვარაძე	0,006
172	იობიძე	0,006
173	კერელიშვილი	0,006
174	კვერნაძე	0,006
175	კიკვაძე	0,006
176	კომახიძე	0,006
177	კუპრაშვილი	0,006
178	ლიპარტელიანი	0,006
179	მაისურაძე	0,006
180	მიქაძე	0,006
181	ნაფეტვარიძე	0,006
182	ნებიერიძე	0,006
183	ნუცუბიძე	0,006

#	გვარი	%
184	ჟორჟოლიანი	0,006
185	სიმონია	0,006
186	სულაბერიძე	0,006
187	ტარიელაძე	0,006
188	ტრაპაძე	0,006
189	ფაიქიძე	0,006
190	ფერაძე	0,006
191	ქარდავა	0,006
192	ღვინიანიძე	0,006
193	ღლონტი	0,006
194	შათირიშვილი	0,006
195	შველიძე	0,006
196	ჩაჩიბაია	0,006
197	ჩუბინიძე	0,006
198	ცერცვაძე	0,006
199	ცინცაძე	0,006
200	ხაზარბეგიშვილი	0,006
201	ხუჭუა	0,006
202	ჯანაშია	0,006
203	ჯიხაძე	0,006
204	ჯულაყიძე	0,006
205	აფხაძე	0,004
206	ბაქრაძე	0,004
207	ბერიძე	0,004
208	ბიჭაშვილი	0,004
209	ბოლქვაძე	0,004
210	ბურკაძე	0,004
211	გამრეკლიძე	0,004
212	გეგეჭკორი	0,004
213	გოქაძე	0,004
214	გუბელაძე	0,004
215	დალაქიშვილი	0,004
216	ზარანდია	0,004
217	ინჩენსკი	0,004
218	კაიკაციშვილი	0,004
219	კანკაძე	0,004
220	კაშია	0,004
221	კაშმაძე	0,004
222	კერძევაძე	0,004
223	კუხიანიძე	0,004
224	მამაგეიშვილი	0,004
225	მანთიძე	0,004
226	მაჩალაძე	0,004
227	მეგრელი	0,004
228	მიქაბერიძე	0,004


#	გვარი	%
229	მუშკუდიანი	0,004
230	ნატრიაშვილი	0,004
231	ნიჟარაძე	0,004
232	ომანაძე	0,004
233	სოფრომაძე	0,004
234	სტურუა	0,004
235	ტოგონიძე	0,004
236	ტოფაძე	0,004
237	ქარჩხაძე	0,004
238	ღაღანიძე	0,004
239	ყაველაშვილი	0,004
240	შენგელია	0,004
241	ჩანჩიბაია	0,004
242	ჩაჩანიძე	0,004
243	ჩიქვილაძე	0,004
244	ჩიხლაძე	0,004
245	ჩხიტუნძე	0,004
246	ძომუაშვილი	0,004
247	ჭუმბურიძე	0,004
248	ხარბეიშვილი	0,004
249	ხიდაშელი	0,004
250	ხუჯაძე	0,004
251	ჯინჭარაძე	0,004
252	ჯიქიძე	0,004
253	ჯმუხაძე	0,004
254	აბუთიძე	0,002
255	არჯევანიძე	0,002
256	ასათიანი	0,002
257	ასანიძე	0,002
258	ბარნოვი	0,002
259	ბებურიშვილი	0,002
260	ბიბილეიშვილი	0,002
261	გაბრიჭიძე	0,002
262	გაჩეჩილაძე	0,002
263	ღევიძე	0,002
264	თევზაძე	0,002
265	იზორია	0,002
266	კოჩევი	0,002
267	კუკულავა	0,002
268	კუხალაშვილი	0,002
269	მებურიშვილი	0,002
270	მემარნიშვილი	0,002
271	მესხაძე	0,002
272	მიქელაძე	0,002
273	მიქელთაძე	0,002

#	გვარი	%
274	მხეიძე	0,002
275	ორმოცაძე	0,002
276	რევიშვილი	0,002
277	სილაგაძე	0,002
278	სკრეპნიჩუკი	0,002
279	ტყაბლაძე	0,002
280	ქარციძე	0,002
281	ქოჩიაშვილი	0,002
282	ღავთაძე	0,002
283	ყურუა	0,002
284	შალიტაური	0,002

#	გვარი	%
285	შანიძე	0,002
286	შარაფიძე	0,002
287	ჩაკვეტაძე	0,002
288	ჩიტანი	0,002
289	ჩიქოვანი	0,002
290	ჩიჩუა	0,002
291	ჭანტურიძე	0,002
292	ჭაფოძე	0,002
293	ჭოლაძე	0,002
294	ხარშილაძე	0,002
295	ხაჭიპერაძე	0,002

#	გვარი	%
296	ხეცურიანი	0,002
297	ხვადაგიანი	0,002
298	ხიზანიშვილი	0,002
299	ხინჩაგაშვილი	0,002
300	ხურცია	0,002
301	ხურცილავა	0,002
302	ხუციშვილი	0,002
303	ჯაკობია	0,002
304	ჯინჯიხაძე	0,002

გრაფიკული განაწილება იმ 22 გვარისა, რომელთა რაოდენობა მოსახლეობის 1 %-ს აჭარბებს



ცხრილი # 4.

გვარები რომლების ცხოვრობდნენ საკვლევი პერიოდის დასაწყისიდან

#	გვარი
1	ახესაძე
2	აბრამლაძე
3	აბრამიძე
4	ადეიშვილი
5	ასათიანი
6	ამვეტია
7	ახობაძე
8	ბალიაშვილი
9	ბაღდავაძე
10	ბელთაძე
11	ბურკაძე
12	ბურჭუაძე
13	ბუხაიძე

#	გვარი
14	გაბუნია
15	გიორგაძე
16	გოგელაძე
17	გოგიბერიძე
18	გოგოლაძე
19	გოგორიშვილი
20	გოგოძე
21	გომელაძე
22	გოქაძე
23	დვალაშვილი
24	დიხამიძე
25	ერამეიშვილი
26	ერემეიშვილი

#	გვარი
27	ერისთავი
28	ვაშაყმაძე
29	ვახახიძე
30	ვარანდია
31	თუთაშვილი
32	ინჩენსკი
33	კანდელაკი
34	კაპატაძე
35	კაჭკაჭაშვილი
36	კეკელიძე
37	კვირიკაძე
38	კიკნაველიძე
39	კორძაძე

#	გვარი
40	კოჭევი
41	ლომიძე
42	ლორთქიფანიძე
43	მამფორია
44	მარგველაშვილი
45	მესხი
46	მესხიშვილი
47	მომფორია
48	მუხვანაძე
49	მუმლაძე
50	ნადირაძე
51	ნაცვლიშვილი
52	ნაცლიშვილი

#	გვარი
53	ნაცრიშვილი
54	ნემსაძე
55	ნიკოლეიშვილი
56	ნუცუბიძე
57	პაიკიძე
58	პაიჭაძე
59	პირანაშვილი

#	გვარი
64	როყვა
65	როხვაძე
66	საკანდელიძე
67	სუპატაშვილი
68	სურგულაძე
69	ტყემელაშვილი
70	უგრეხელიძე

#	გვარი
75	შალიკიანი
76	ჩანჩიბაია
77	ჩაჩიბაია
78	ჩაჩუა
79	ჩახუნაშვილი
80	ჩოჩია
81	ჩხაიძე

#	გვარი
86	ჭელიძე
87	ჭოლაძე
88	ხანთაძე
89	ხარაბაძე
90	ხელაძე
91	ხონელიძე
92	ხურციძე

60	პირველშვილი
61	რამიშვილი
62	რიყამაძე
63	რობაქიძე

71	ფირანაშვილი
72	ფოფხაძე
73	ქორიძე
74	ქუთათელაძე

82	ჩხეიძე
83	ცაგარეიშვილი
84	ძაგნიძე
85	ძიგრაშვილი

93	ჯანელიძე
94	ჯინჭველაშვილი

ცხრილი # 5.

გვარები რომლებსაც ცხოვრობდნენ საკვლევი პერიოდის ბოლოს

#	გვარი
1	ტყემელაშვილი
2	ხონელიძე
3	მჭავანაძე
4	ხელაძე
5	ხარაბაძე
6	დვალაშვილი
7	ძიგრაშვილი
8	ხურციძე
9	თუთაშვილი
10	მესხი
11	ხანთაძე
12	საკანდელიძე
13	სურგულაძე
14	კაპატაძე
15	ცაგარეიშვილი
16	ბელთაძე
17	გაბუნია
18	ფირანაშვილი
19	მარგველაშვილი
20	ჩხაიძე
21	გოგოლაძე
22	ჩახუნაშვილი
23	პაიკიძე
24	ნაცვლიშვილი
25	კორძაძე
26	გიორგაძე

#	გვარი
27	კანდელაკი
28	მესხიშვილი
29	კვირიკაძე
30	გოგორიშვილი
31	ჩაჩუა
32	თავართქილაძე
33	კახაძე
34	გოგიბერიძე
35	მეფარიშვილი
36	რიყამაძე
37	დიხამიძე
38	მუმლაძე
39	ლორთქიფანიძე
40	ვაშაყმაძე
41	ჩხეიძე
42	პირველშვილი
43	გაფრინდაშვილი
44	შამანაძე
45	ბუხაიძე
46	ქორიძე
47	აბრამიძე
48	შავაძე
49	ერისთავი
50	როხვაძე
51	ლომიძე
52	ერემეიშვილი

#	გვარი
53	კაჭკაჭიშვილი
54	ნამიჭეიშვილი
55	ნაცვალაძე
56	მამფორია
57	გოგოძე
58	აბრამალაძე
59	პაიჭაძე
60	ოქროპილაშვილი
61	ჯოყილაძე
62	ბაღდავაძე
63	დათიაშვილი
64	ჯავახია
65	შალიკიანი
66	ადეიშვილი
67	კაპანაძე
68	ახალაია
69	დეკანოია
70	ქურდიანი
71	კიკნაძე
72	ხავთასი
73	ნიკოლეიშვილი
74	უგრეხელიძე
75	ბარაქაძე
76	დამნიანი
77	კაცაძე
78	მამასახლისი

#	გვარი
79	მალაქელიძე
80	მსხილაძე
81	სვანაძე
82	ქავთარაძე
83	ქანდავიძე
84	ქიმუცაძე
85	ქურციკიძე
86	ახობაძე
87	ძაგნიძე
88	ჯინჭველაშვილი
89	ბუჭუაძე
90	აბულაძე
91	ამალობელი
92	ბურჯანაძე
93	გოგრიჭიანი
94	დიაკონიძე
95	მახარეიშვილი
96	ნოსელიძე
97	პაპიძე
98	პეტროსოვი
99	ქართველიშვილი
100	ძაბახიძე
101	ჭინჭველაშვილი
102	ჯოჯუა
103	კიკნაველიძე
104	რამიშვილი

#	გვარი
105	ქუთათელაძე
106	აფხაიძე
107	აფხაძე
108	ბარანიკოვი
109	ბარბაქაძე
110	ბოლქვაძე
111	ბრეგვაძე
112	ბუბაშვილი
113	ბუბუტიშვილი
114	ბუქური
115	გაბელაია
116	გოგელია
117	დადუნაშვილი
118	დალაქიშვილი
119	თვარაძე
120	კანკაძე

#	გვარი
132	მამაგეიშვილი
133	მანთიძე
134	მიქაძე
135	მუშკუდიანი
136	ნარსია
137	ნატრიაშვილი
138	ნაფეტვარიძე
139	ნუბიერიძე
140	ნიქაბაძე
141	ომანაძე
142	ჟორჟოლიანი
143	სიმონია
144	სირაძე
145	სულაბერიძე
146	ტოგონიძე
147	ტოფაძე

#	გვარი
159	ჩაჩანიძე
160	ჩიხლაძე
161	ჩუბინიძე
162	ჩხარტიშვილი
163	ცერცვაძე
164	ცინცაძე
165	ჭუმბაძე
166	ხაზარბეგიშვილი
167	ხარბეიშვილი
168	ხიდაშელი
169	ხუჭუა
170	ხუჯაძე
171	ჯანაშია
172	ჯინჭარაძე
173	ჯიქიძე
174	ჯიხაძე

#	გვარი
186	იზორია
187	კერძევაძე
188	მიქელაძე
189	მიქელთაძე
190	მხეიძე
191	ორმოცაძე
192	სილაგაძე
193	სხვედიანი
194	ტყაბლაძე
195	ქარციძე
196	ღავთაძე
197	ყურუა
198	შალიტაური
199	ჩაკვეტაძე
200	ჩიტიანი
201	ჩიქვილაძე

121	კაშია
122	კაშმაძე
123	კერელიძევილი
124	კვერნაძე
125	კიკვაძე
126	კომახიძე
127	კოტრიკაძე
128	კუპრაშვილი
129	კუხიანიძე
130	ლიპარტელიანი
131	მაისურაძე

148	ტრაპაიძე
149	ფაიქიძე
150	ფერაძე
151	ქარდავა
152	ქარჩხაძე
153	ღაღანიძე
154	ღვინიანიძე
155	შარაშენიძე
156	შენგელია
157	შველიძე
158	შუბლაძე

175	ჯულაყიძე
176	გოგელაძე
177	აბუთიძე
178	არჯევანიძე
179	ახალაძე
180	ზარნოვი
181	ზიბილეიშვილი
182	ზიჭაშვილი
183	გეგეჭკორი
184	დევიძე
185	დოლიძე

202	ჩიქოვანი
203	ჭანტურიძე
204	ჭუმბურიძე
205	ხეცურია
206	ხვადაგანი
207	ხიზანიშვილი
208	ხურცია
209	ხურცილავა
210	ხუციშვილი
211	ჯაკობია
212	ჯინჯიხაძე

ცხრილი # 6.

გვარები რომლების ცხოვრობდნენ მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში

#	გვარი
1	აბრამალაძე
2	აბრამიძე
3	ადეიშვილი
4	ახობაძე
5	ბაღდავაძე
6	ბელთაძე
7	ბუჭუაძე
8	ბუხაიძე
9	გაბუნია
10	გიორგაძე
11	გოგელაძე

#	გვარი
12	გოგიბერიძე
13	გოგოლაძე
14	გოგორიშვილი
15	გოგოძე
16	დვალიშვილი
17	დიხამიძე
18	ერემეიშვილი
19	ერისთავი
20	ვაშაყმაძე
21	თუთაშვილი
22	კანდელაკი

#	გვარი
23	კაპატაძე
24	კვირიკაძე
25	კიკნაველიძე
26	კორძაძე
27	ლომიძე
28	ლორთქიფანიძე
29	მამფორია
30	მარგველაშვილი
31	მესხი
32	მესხიშვილი
33	მყავანაძე

#	გვარი
34	მუმლაძე
35	ნაცელიშვილი
36	ნიკოლეიშვილი
37	პაიკიძე
38	პაიჭაძე
39	პირველაშვილი
40	რამიშვილი
41	რიჭამაძე
42	როხვაძე
43	საკანდელიძე
44	სურგულაძე

#	გვარი
45	ტყემელაშვილი
46	უგრეხელიძე
47	ფირანაშვილი
48	ქორიძე
49	ქუთათელაძე

#	გვარი
50	შალიკიანი
51	ჩაჩუა
52	ჩახუნაშვილი
53	ჩხაიძე
54	ჩხეიძე

#	გვარი
55	ცაგარეიშვილი
56	მაგნიძე
57	დიგრაშვილი
58	ხანთაძე
59	ხარაბაძე

#	გვარი
60	ხელაძე
61	ხონელიძე
62	ხურციძე
63	ჯინჭველაშვილი

ცხრილი # 7.

გვარები რომლების ცხოვრობდნენ საკვლევი პერიოდის დასაწყისში, მაგრამ გაქრნენ პერიოდის დასასრულისათვის

#	გვარი
1	აბესაძე
2	ასათიანი
3	აშვეტია
4	ბალიაშვილი
5	ბურკაძე
6	გომელაძე
7	გოქაძე
8	ერამეიშვილი

#	გვარი
9	ზაზახიძე
10	ზარანდია
11	ინჩენსკი
12	კაჭკაჭაშვილი
13	კეკელიძე
14	კოჩევი
15	მომფორია
16	ნადირაძე

#	გვარი
17	ნაცელიშვილი
18	ნაცრიშვილი
19	ნემსაძე
20	ნუცუბიძე
21	პირანაშვილი
22	რობაქიძე
23	როყვა
24	სუპატაშვილი

#	გვარი
25	ფოფხაძე
26	ჩანჩიბაია
27	ჩაჩიბაია
28	ჩოჩია
29	ჭელიძე
30	ჭოლაძე
31	ჯანელიძე

(გაგრძელება იქნება)

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი, ქუთაისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის
 დეპარტამენტის ხელმძღვანელი

არტურ ზუტენერის „აჭარლები“ – რომანი ოსმალეთის დროინდელ აჭარაზე

ცნობილი ავსტრიელი მწერლის არტურ გუნდაკარ ფონ ზუტენერის მხატვრული შემოქმედე-
 ბიდან ქართულ ენაზე დღესდღეობით მხოლოდ ერთადერთი რომანი – „აჭარლები“ და ორი
 მოთხრობა – „საბრალო ვარდი“ და „მარგალიტა“ თარგმნილი („აჭარლები“ ქართულ ენაზე
 თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ, დასახელებული მოთხრობები კი თამაზ გვენეტაძემ).

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არტურ ზუტენერის „აჭარლები“ პირველი მხატვრული ტე-
 ქსტია, რომელშიც ყოველი მომცველი მასშტაბურობითა და ისტორიული სიმართლით არის
 ასახული ოსმალეთის დროინდელ აჭარაში არსებული რეალობა. კერძოდ, ავსტრიელი მწერალი
 ფართო სპექტრით წარმოაჩენს იმ რთულ ვითარებას, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი
 და სოციალური კუთხით არსებობდა ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში რუსეთ-თურქეთს შორის
 1877-1878 წლებში გამართული ომის წინარე ხანაში.

რუსუდან ღვინეფაძის ინფორმაციით, არტურ ზუტენერის ხსენებული რომანის ქართულ
 ენაზე გადმოთარგმნა მისთვის შეუთავაზებია ენციკლოპედია „აჭარის“ მთავარ სამეცნიერო
 რედაქციას, რომლის წიგნთსაცავში დაცული ყოფილა 1888 წელს გერმანიის ქალაქ შტუტ-
 გარტში გოთური შრიფტით გამოცემული ამ რომანის ეგზემპლარი (ღვინეფაძე, 2008: 23).

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტენერის ბიოგრაფიიდან დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვ-
 დომი მასალებიდან ცნობილი არაა, მწერალი ხსენებულ რეგიონში პირადად იმყოფებოდა თუ
 არა, რომანის მთარგმნელის – რ. ღვინეფაძის მართებული ხაზგასმით, იგი „საფუძვლიანად
 იცნობს აჭარის ისტორიას, აჭარელთა ტრადიციებს; საოცარი ხატოვანებით აღწერს მათ ჩაც-
 მულობას, ფოლკლორს, ლამაზ და ზოგჯერ მკაცრ ბუნებას“ (ღვინეფაძე, 2008: 23). აქვე უნდა
 აღინიშნოს ისიც, რომ რომანის სამოქმედო სივრცე მხოლოდ აჭარით არ შემოიფარგლება და
 მასში ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ ისეთი რეგიონების ყოფაცაა მეტ-ნაკლები მასშტა-
 ბებით ასახული, როგორებიცაა: მურღული, ართვინი და ახალციხე.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის პერიოდში ა. ზუტ-
 ნერი სამხედრო კორესპონდენტის მოვალეობას ასრულებდა და ამ ომთან დაკავშირებით ავს-
 ტრიულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, გამორიცხული არ არის, რომ მას
 პირადადაც ჰქონდეს მონახულებული ხსენებული ადგილები.

როგორც ითქვა, „აჭარლებისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ
 ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის ოსმალეთისდროინდელ ყოფაზე, გარდა ა. ზუტენერის რომანისა,
 არათუ უცხოურ ლიტერატურაში არ შექმნილა სხვა ნაწარმოები, არამედ ეს თემა თვით ქარ-
 თულ მწერლობასაც კი დარჩა ყურადღების მიღმა.

განსხვავებით მისი მეუღლის – ბერტა ზუტენერისაგან, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-
 თურქეთის ომის ამსახველ თავის მოგონებებში ამ ომთან სისხლხორცეულად დაკავშირებული
 ქართული პრობლემის შესახებ ერთი სიტყვითაც კი არ ამბობს რაიმეს, არტურ ზუტენერის
 რომანში ჩვენი აჭარელი მოძმეების თავგანწირული ბრძოლა ოსმალთა ბატონობისაგან მათი
 მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შესაერთებლად აშკარად
 გამოხატული პროქართული სულისკვეთებითაა ასახული.

რომანში დასაწყისიდანვე ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ აჭარა და მისი უმთავრესი

ქალაქი ბათუმი ოდითგანვე ქართულ რეგიონს წარმოადგენდა და „წმინდა ქართული ანუ ქართველური ტომისა იყო.“ ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ისლამი ხუთი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ ყოველ ღონეს ხმარობდა, ძალით გაენადგურებინა ეს ძველი ეროვნული მეხსიერება, დღესაც მინის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი აქ ქართველთა მკვიდრობაზე მოწმობს. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, დიდი ხნით ადრე, მთავარი მდინარის ჭოროხის ვიწრობები, მისი შენაკადები და მთელი არემარეები იმ სახელებით იყო ცნობილი, რომლებიც მათ დღემდე მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით შემორჩენიან და თითქმის უკლებლივ ქართული წარმოშობისაა“ (ზუტენერი, 2007: 7).

არტურ ზუტენერის ხაზგასმით, სწორედ, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ „ჭოროხის აუზში ყოველ ნაბიჯზე შეხვედბოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხე-სიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული; ქართველთა ძლევათაგან მიფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე ეკერა პირზე, როგორც მთებს გადაღმა, თბილისში, სადაც ამ კავკასიელი სემირამიდას რეზიდენცია იყო“ (ზუტენერი, 2007: 7). რომანის პერსონაჟთა მტკიცებით, „თამარი იყო უდიდესი დედოფალი, რომელიც კი ოდესმე ყოფილა და მისი მეფობის ხანაში მთელ ქვეყანაში მხოლოდ სიკეთე სუფევდა“ (ზუტენერი, 2007: 29).

დამონშებულ ფრაგმენტებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რაშიც დღევანდელი ჩვენი მკითხველისათვის ახალი არაფერია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორი უმთავრესი ფაქტორი სძენდა: პირველი ის, რომ თამარ მეფესთან დაკავშირებულ ამ მოსაზრებებს თავის პერსონაჟებს უცხოელი ავტორი გამოათქმევინებდა ესოდენი ხაზგასმით და, მეორე, იგი ამას იმ დროს აკეთებდა, როცა საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი და უცხო ქვეყნის დაქვემდებარებაში მცხოვრები ჩვენი მოძმეების არცთუ მცირე ნაწილი ეროვნული გაუცხოების გზას ადგა.

კერძოდ, ამის თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მუსლიმანური ფანატიზმის ტყვეობაში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიური ფუძიდან იყრებოდა და საცხოვრებლად ოსმალეთს აფარებდა თავს.

ა. ზუტენერის რომანი საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ მწერალი რელიგიურად გაუცხოებულ ამ ადამიანთა ფრაგმენტულ სახეებსაც წარმოსახავს. მაგალითად, ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – თამარის შორეული ნათესავი რუსუდანი, რომელიც მასთან ახლო პიროვნული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული, მწერლის ხაზგასმით, მუსულმანურ ფანატიზმს იმდენად ჰყავდა შეპყრობილი, რომ „ყოველივე ახალსა და არათურქულს ზიზღითა და სიძულვილით ეკიდებოდა და ღვთის გმობად მიაჩნდა, თუ ქალს სახე ჩადრით არ ჰქონდა შებურული. იგი გაუთავებლად ტუქსავდა ახალგაზრდა ქალიშვილებს იმის გამო, რომ ისინი ევროპულ სამოსში გამოეწყვნენ“ (ზუტენერი, 2007: 12).

ა. ზუტენერის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა არც თუ მცირე ნაწილი, რომლებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, მუსლიმანური რელიგიით სავალდებულო წესების დაცვას მხოლოდ გარეგნულად და მოჩვენებითად ცდილობდა. მაგალითად: „მანდილოსნებსა და გოგონებს თავზე ჩადრები ებურათ, რომელთა ბოლოები სახეს უფარავდნენ, მაგრამ დროდადრო, ცეცხლოვან ცეკვაში, საბურავი გადაიწეოდა და იქიდან ხან ნითელი ღანვი, ხან ბრიალა შავი თვალები, ხან კი ალუბლისფერი ბაგეები გაიფლავდნენ ხოლმე. თუმცა ჩადრებს დიდად არ დაგიდევდნენ, მით უმეტეს, რომ შერიფ-ფაშას სტუმარი ქალები სრული თავისუფლების მაგალითს იძლეოდნენ“ (ზუტენერი, 2007: 33).

ა. ზუტენერის ხაზგასმით, აჭარის მკვიდრ ქართველთა გარკვეული ნაწილის მიერ მუსლიმანური რელიგიით სავალდებულო ნორმათა ამგვარ დარღვევათა გამო ამ რეგიონის გუბერნატორს – შერიფ-ფაშას სტამბოლიდან საყვედურიც კი მიუღია და იგი მკაცრად გაუფრთხილებიათ იმისათვის, „სათანადო სიმკაცრეს რომ არ იჩენდა მაჰმადიანური წესების დასაცავად“ (ზუტენერი, 2007: 66).

როგორც ა. ზუტენერის რომანიდან თვალნათლივ ჩანს, ქართული სახელმწიფოებრივი სივრცისა და წინაპართა რელიგიური რწმენისაგან მრავალსაუკუნოვანი მონყვეტის მიუხედავად, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა უდიდესი ნაწილი ეროვნულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ისინი თავიანთი ცნობიერებით კვლავაც რჩებოდნენ ქართული ეთნოსის სისხლხორცეულ ნაწილად. სწორედ, მათი ამგვარი ეროვნული თვითშეგნების თვალნათლივ გამოხატულებას წარმოადგენდა მათ მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდილი ისტორიული წარსულის წარმომჩენი ის ეპიზოდები, რის სიმბოლოდაც ავსტრიელ მწერალს, პირველ ყოვლისა, თამარ მეფე და ამ რეგიონში მრავლად არსებული ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ნაშთები მიაჩნდა.

ავსტრიელი მწერალი ღრმად და საუძვლიანად არის გარკვეული ისტორიულ მოვლენათა არსში და მის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ცხოვრებას იმ მოვლენათა კონტექსტში წარმოაჩენს, რითაც ოსმალობისდროინდელ აჭარაში განვითარდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინარე ხანაში.

ამ მოვლენათა კულმინაციად იმ სახალხო აჯანყებას წარმოსახავს, რომლითაც ადგილობრივმა მოსახლეობამ არა მარტო ოსმალური ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკის შედეგად აღზევებულ უსამართლობათა წინააღმდეგ გაილაშქრა მასობრივად, არამედ იმხანად რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში შემავალ საქართველოსთან საუკუნეთა განმავლობაში განყვეტილი ერთობის აღსადგენადაც.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ზუტენერის რომანში ხსენებული სახალხო აჯანყების მოხდენის ზუსტი თარიღი დასახელებული არ არის, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებული ომის წინარე ხანაში აჭარის რეგიონში განვითარებულ მოვლენათა საფუძველზე მაინც შეიძლება იმის დაბეჯითებით თქმა, „აჭარლების“ უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად ქცეული სახალხო აჯანყება რეალურად მომხდარ მოვლენას რომ წარმოადგენს და არა ავტორის ფანტაზიით წარმოსახულ ამბავს.

კერძოდ, როგორც ოსმალეთის შემადგენლობაში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მასობრივად სახალხო აჯანყებებმა მოიცვა. მათგან განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა 1862, 1873 და 1875-1876 წლებში მომხდარმა ანტისახელისუფლებო გამოსვლებმა. მართალია, ხელისუფლებასთან შეიარაღებულ დაპირისპირებაებში გადაზრდილ ამ მასობრივ სახალხო გამოსვლებს თავდაპირველად სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები ედო საფუძველად, მაგრამ შემდგომში ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრეს მოთხოვნებს ეროვნული პრობლემაც დაემატა და ხალხი უკვე საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან შეერთების მოთხოვნითაც გამოდიოდა აქტიურად.

ამ გარემოებას აქ ასე ხაზგასმით იმიტომაც აღვნიშნავ, რომ ავსტრიელი მწერალი თავისი რომანის უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად აჭარის მკვიდრთა ანტისახელისუფლებო გამოსვლის მიმდინარეობას სწორედ ამ მიმართულებით წარმოგვიდგენს. მართალია, მოსახლეობის მღელვარებასა და ანტისახელისუფლებო ამბოხებას თავიდან სოციალური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და აჯანყებულები ოსმალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ შემდგომში მათმა ამ მოძრაობამ მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნულ-ქართული ხასიათი შეიძინა და ამბოხებულები უკვე ღიად და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მოითხოვდნენ დიდ საქართველოსთან მათი მხარის შეერთებას, რადგანაც ისინიც ქართველები იყვნენ.

ა. ზუტენერის არაერთგზისი ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ხელისუფლებამ მის მიერ დაპყრობილ აჭარაში, კლარჯეთსა და სხვა ქართულ რეგიონებში მცხოვრები ქართველები ძალადობრივი გზით მონყვეტა წინაპართა სარწმუნოებას და გაამაჰმადიანა, იქაური მოსახლეობის „დიდი ნაწილი სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთგული ძველი რწმენის და წარმომავლობისა, რომლითაც მათი წინაპრები ამყობდნენ“ (ზუტენერი, 2007: 8).

ავსტრიელ მწერალს სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებად მიაჩნდა ის მოვლენა, რომ საუკუნეთა განმავლობაში უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოქცეული აჭარის მკვიდრი ქართველობა მაინც რჩებოდა „ფართო გაგებით ქართველად“ (ზუტნერი, 2007: 16).

ოსმალბისდროინდელ აჭარაში მოსახლეობის ანტისახელისუფლებო გამოსვლის უმთავრეს შედეგად არტურ ზუტნერი პირველ ყოვლისა იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ აღნიშნულმა მოვლენამ ისტორიული საქართველოს ამ მხარეში მცხოვრები ბევრი ქართველის ცნობიერებაში გააღვივა ეროვნული თვითშეგნების მინავლული გრძობა და ისინი ღრმად და დაუეჭვებლად დაარწმუნა იმაში, რომ მუსულმანური რწმენის მიღების მიუხედავად ისინი პირველ ყოვლისა მაინც ქართველები იყვნენ.

მაგალითად, აი, როგორი ფსიქოლოგიური წიაღსვლით გამოხატავს მწერალი ოსმალთა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი ერთ-ერთი მათგანის სინანულს იმის გამო, რომ თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას უკვე იმის რეალური შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ზემოთ ხსენებული პროცესის მონაწილეებს ისიც რომ შეერთებოდა და ისიც ჩამდგარიყო მათ რიგებში: „არჩილი პატიოსანი, ღირსეული კაცი გახლდათ, რომელსაც ეს სავალალო მდგომარეობა გულწრფელად აწუხებდა, მაგრამ ის მბრძანებელთა სამსახურში იყო, მათ პურს ჭამდა და თუნდაც ამ ერთადერთი მიზეზის გამო არ ჰქონდა უფლება, იმათ წინააღმდეგ გამოსულიყო. გარდა ამისა, ძველქართული სულისკვეთება კარგა ხნის მიძინებული იყო მასში და მის ასაკში ასეთი საქმეებისთვის აგზნება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ის მგლების ხროვაში მოხვდა და ამიტომ მათთან ერთად უნდა ეყმუფლა“ (ზუტნერი, 2007: 127).

ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში მცხოვრებ ქართველობასთან აჭარის მკვიდრთა ეროვნული ერთობის სიმბოლურ ხატებად აჭარელთა ცნობიერებაში, პირველ ყოვლისა, თამარ მეფის სახელი იყო დამკვიდრებული. მათ ამგვარ ეროვნულ თვალთახედვას საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების შესახებ წინაპრებისაგან მათთვის ზეპირსიტყვიერად მოთხრობილი ის რომანტიკული ამბები განსაზღვრავდა, რომელთა უმთავრეს გმირადაც სწორედ თამარი იყო მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან აჭარის განსათავისუფლებლად და დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად ბრძოლის პერსპექტივა ა. ზუტნერმა გარკვეულწილად თამარ მეფის დროინდელი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერების რომანტიკულ მოგონებებსაც დაუკავშირა. მაგალითად, საკუთარი მხარის ბედნიერი მომავლისთვის მებრძოლ პატრიოტ ძალთა ერთ-ერთი თავკაცი – ჯამბუკ თაგურიძე ერთგან ამბობს, რომ ყველა სხვა დროს „ის დრო ჯობდა, როცა დიდი დედოფლის მძლავრი ხელი იფარავდა ჩვენს საბრალო ქვეყანას“ (ზუტნერი, 2007: 105).

ა. ზუტნერის რომანის უმთავრეს ღირსებას პირველ ყოვლისა ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მწერალი ღრმად და საფუძვლიანად არის გარკვეული ამ მოვლენის არსში და ისტორიული სიმართლით წარმოსახავს აჭარის მკვიდრთა აქტიურ ბრძოლას ოსმალური კირთებისგან მათი მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად.

ავსტრიელი მწერლის აზრით, აჭარის ქართულობისა და მისი მოსახლეობის ქართველობის უტყუარად დამადასტურებელ უმთავრეს არგუმენტად თუნდაც იმის გახსენებაც იკმარებდა, „ჭოროხის აუზში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ შეხვდებოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხესიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული და დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივლა იკითხება; ქართველთა ძლევა მოსილი მეფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე აკერია პირზე, როგორც მთებს გადაღმა, თბილისში, სადაც ამ კავკასიელი სემირამიდას რეზიდენცია იყო“ (ზუტნერი, 2007: 7).

როგორც დამონმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, ა. ზუტნერი საკმაოდ ღრ-

მად და საფუძვლიანად იცნობს ე. წ. „ოსმალის საქართველოს“ ტრაგიკულ წარსულსაც და თანადროულ ყოფასაც. მწერლის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვისათვის პრინციპულად უცხოა და მიუღებელი რელიგიური აღმსარებლობებისადმი დიფერენცირებული მიდგომა და ამ თვალსაზრისით იგი მუსლიმანური სარწმუნოებისადმიც ისეთივე პატივისცემითაა განმსჭვალული, როგორც ქრისტიანობისადმი. თუმცა, ამისდა მიუხედავად, რომანში მაინც დაბეჯითებით ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ წინაპართა რელიგიისგან იძულებითი მონყვეტა და მაჰმადიანური სარწმუნოების მიღება „ოსმალის საქართველოს“ მკვიდრთა ისტორიულ ბედისწერად ქცეულ იმ ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენდა, რომელმაც მათს ეროვნულ ცნობიერებაში ბევრი რამ შეცვალა მნიშვნელოვნად და არსებითად.

მაგალითად, ავტორის თქმით, ხსენებულ რეგიონში, მოყოლებული XVII საუკუნის დასაწყისიდან, როცა „გამარჯვება დარჩა ისლამს... ყოველივეს, რასაც კი ქრისტეს სახელი ერქვა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და აყვავების დროინდელი ყველა ძეგლი ისე გაანადგურეს, რომ მათგან მხოლოდ კედლებიღა შემორჩა. მოსახლეობა თანდათან ბედს შეეგუა. მაჰმადიანმა მბრძანებლებმა ისეთი მმართველობა დაამყარეს, რომ მთელი კლარჯეთი და აჭარა რკინის კლანჭებში ჰყავდათ მოქცეული“ (ზუტნერი, 2007: 7-8).

მიუხედავად ამისა, ა. ზუტნერის მართებული აღნიშვნით, თურქთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის უღელქვემ მცხოვრები კლარჯელების, ჭოროხისპირელებისა და აჭარლების უმეტესობა „სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთგული ძეგლი რწმენის და წარმომავლობისა, რომლითაც ოდესღაც მათი წინაპრები ამაცობდნენ“ (ზუტნერი, 2007: 8). რაც შეეხებოდათ ქვეყნის მმართველობაში გარეულ პირებს, მწერლის თქმით, მათთვის „უფრო მომგებიანი საქვეყნო ინტერესებზე თვალის დახუჭვა და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა აღმოჩნდა“ და ბევრი მათგანი, განსაკუთრებით კი კაიმაზამები (თემის განმგებლები), თავიანთ თემში „თავს პატარა მეფედ გრძნობდნენ.“

ა. ზუტნერი ყოველივე ამის შესახებ არა მარტო ზოგად ინფორმაციას გვანვდის, არამედ ამ ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ცნობიერებისა და ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვალთახედვის მქონე პიროვნებათა შორის მიმდინარე გამძაფრებულ ბრძოლათა და დაპირისპირებათა შესახებაც გვიამბობს საკმაოდ დინამიურად. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლათა მთავარ წარმმართველ პირებად მწერალმა დამპყრობი ერის წარმომადგენლები კი არ აქცია, არამედ თავად ამ მხარის მკვიდრი შვილები. კერძოდ, ოსმალური კირთებისაგან საკუთარი მხარის განსათავისუფლებლად მებრძოლ ქართველებს პირველ ყოვლისა ეროვნულად გადაგვარებული მათი თანამემამულე დიდგვაროვნები და მალაჩინოსნები უპირისპირდებიან.

ა. ზუტნერი სავესებით ობიექტურად აღნიშნავს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რასაც ბათუმი ოსმალთა ბატონობის ხანაშიც ასრულებდა მთელი რეგიონის მასშტაბით. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ფაშა, რომელიც რეგიონის უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენდა, სწორედ ბათუმში იჯდა და მის დაქვემდებარებაში თერთმეტ ნაწილად ანუ კაზად დაყოფილი მთელი აჭარა და კლარჯეთი შედიოდა. ბათუმშივე ჰქონდა ბინა მეჯლისის (სახელმწიფო საბჭოს), ტრიბუნალსა და საბაჟოს; იქვე იყო განლაგებული ბატალიონის გარნიზონიც (ზუტნერი, 2007: 8).

მწერლის ხაზგასმით, რეგიონის ცენტრად ქცევამ და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ ბათუმს ოსმალთა ბატონობის პერიოდშივე შესძინა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. სახელდობრ, XIX საუკუნის 70-იან წლებში, როცა რომანში აღწერილი მოვლენები ვითარდება, ბათუმში „უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობანი იმდენად გაცხოველდა, რომ ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო იძულებული გახდა, საკონსულოები გაეხსნა და მათი წარმომადგენლები თავიანთი ოჯახის წევრებიანად სიამოვნებით იყენებდნენ შესაძლებლობას, ერთფეროვანი ცხოვრება გუბერნატორის სახლში გამართული თავყრილობებით გაეხალისებინათ“ (ზუტნერი, 2007: 14).

როგორც რომანიდან თვალნათლივ ჩანს, გარესამყაროსთან ბათუმი უმთავრესად არა მარტო ზღვით იყო დაკავშირებული, არამედ სამდინარო გზითაც. კერძოდ, ისტორიული წყაროებიდან

და მოგზაურული ლიტერატურიდან კარგად ცნობილ ფაქტს – ჭოროხისა და აჭარისწყლის ფართოდ და ინტენსიურად გამოყენებას სანაოსნოდ – ავსტრიელი მწერალიც განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს. ნაწარმოებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ როლის წარმოჩენას, რომელსაც ხსენებული მდინარეები ასრულებდნენ იმხანად როგორც ტვირთების გადატანის, ისე მგზავრთა გადაყვანის საქმეში.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რასთანაც კლდოვან მთათა კალაპოტში ჩამომჩქეფარე ამ მდინარეებში ნაოსნობა იყო დაკავშირებული (განსაკუთრებით დინების სანინაალმდეგოდ სვლის დროს), სახმელეთო გზათა მეტისმეტი სიცუდის ან საერთოდ არარსებობის გამო, ჭოროხი და აჭარისწყალი იმხანად მთავარ საკომუნიკაციო ფუნქციას მაინც ასრულებდა. ავტორის თქმით, ამ მდინარეებზე „საკმაოდ გაცხოველებული მოძრაობა იყო“ (ზუტნერი, 2007: 146).

ამგვარ მოგზაურობათა ამბები რომანში ისე შთამბეჭდავად და რეალისტურადაა მოთხრობილი, რომ ეს ყველაფერი ავტორმა, როგორც ჩანს, არა მარტო გადმოცემითა და თეორიულად იცოდა ესოდენ კარგად, არამედ ეტყობა, თავადაც იყო ამ სანაოსნო გზით ნამგზავრი.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის სამოქმედო გეოგრაფიული არეალი ძირითადად ბათუმით, სხალთით, ციხისძირითა და აჭარის სხვა ადგილებით შემოიფარგლება, მასში მოქმედება დროდადრო, სხვა დასახლებულ პუნქტებშიც ვითარდება და ავტორი იქ არსებულ მდგომარეობასაც აღწერს მეტ-ნაკლები მასშტაბებით (მაგალითად, მურღული, ართვინი, ახალციხე, ტბეთი...).

ა. ზუტნერის რომანში საკმაოდ ღრმადაა განსჯილ-გაანალიზებული ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა. ამ პრობლემისადმი ნაწარმოების მოქმედ გმირთა დამოკიდებულებაში ორი უმთავრესი თვალსაზრისი იკვეთება: პირველი (რასაც თავად ავტორიც აქტიურად ემხრობა და უჭერს მხარს), ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობთა მიერ ძალით მიტაცებული ტერიტორიების კვლავაც ქართული სახელმწიფოსთვის მიერთება; და მეორე, ამ ტერიტორიების ისევ ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა. განსხვავებით პირველი თვალსაზრისისაგან, რომლის რეალურად აღსრულებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ბრძოლას, რომანის მიხედვით, საერთო-სახალხო მასშტაბები აქვს შექმნილი, მეორე თვალსაზრისს მხარს ძირითადად დამპყრობთა სამსახურში მყოფი ჩინოსნები უჭერენ თავიანთი პიროვნული კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ა. ზუტნერის რომანის მიხედვით, XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აზვირთების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად პირველ ყოვლისა სოციალური უსამართლობა და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იქცა. მწერლის თქმით, აჭარელთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში საკუთარი ეროვნული უფლებების დასაცავად ბრძოლის ის სულისკვეთება, რისთვისაც მათი წინაპრები სიცოცხლესაც კი სწირავდნენ, იმხანად უკვე იმდენად იყო მიმცხრალ-მინავლული, რომ ბევრი მათგანი იარაღს მხოლოდ „სამკაულად ატარებდა.“ მაგრამ ხსენებულ პერიოდში აღზევებულმა სოციალურმა უსამართლობამ მოსახლეობის დიდი ნაწილი საბრძოლველად განაწყობა და ეროვნული ფესვებისკენ მიახედა. მწერლის თქმით, „თუკი აქამდე ზენოლას ემორჩილებოდნენ და კულტისა და ცხოვრების წესის საკითხებში მუსულმანურ კანონებს მისდევდნენ, ახლა ზოგიერთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ძველქართულ წარმომავლობას და ხმამაღლა აცხადებდა, წინასწარმეტყველის მიმდევრებთან არაფერი გვაქვს საერთო“ (ზუტნერი, 2007: 108). ავტორის ხაზგასმით, ხელისუფლების დევნისაგან თავის დასაღწევად ამ ადამიანთა ნაწილი წინაპართა ნაფუძარს ტოვებდა და თავს რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ისტორიულ სამშობლოს აფარებდა.

ა. ზუტნერი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოქცეულ მინა-წყალზე მცხოვრები ქართველები ეროვნულ გადაგვარებასა და სოციალურ უსამართლობას თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდნენ, თუ კვლავაც დედასამშობლოს შეუერთდებოდნენ და ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცეოდნენ. ამკარად გამოხატული თავისი პრორუსული პოზიციიდან გამომდინარე, ავსტრიელი მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული

იმაში, რომ ამის რეალურად მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის აქტიური საბრძოლო დახმარებით იყო შესაძლებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „სამუსლიმანო საქართველოს“ პრობლემის ამ გზით გადაწყვეტა, რასაც, რომანის მიხედვით, ამ რეგიონის მცხოვრებ ქართველ პატრიოტთა დიდი ნაწილი უჭერდა მხარს აქტიურად, პრინციპულად მიუღებელი იყო ეკონომიკურად დაწინაურებულ პირთათვის. მაგალითად, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის – მურზა-ხანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მოსახლეობა დასახმარებლად „მეზობელ სახელმწიფოს“ (ე. ი. რუსეთს) მიმართავდა, მაშინ იგი „მთელ თავის ქონებასა და გავლენას გამოიყენებდა იმისათვის, რომ ეს მოძრაობა ჩანასახშივე ჩაეხშო“ და „პირველივე მოლალატეს“, ვინც მას გზაზე გადაელობებოდა, საკუთარი ხელით გააგდებინებდა თავს“ (ზუტენერი, 2007: 123).

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტენერის რომანის ზემოთ ხსენებული პერსონაჟის ანტირუსული პოზიცია მისი ეროვნული თვალთახედვის შედეგს კი არ წარმოადგენდა, არამედ პიროვნულ სარგებლიანობაზე დაფუძნებული პოზიციის გამოხატულება იყო, რუსული კოლონიალიზმის მისეული შეფასებიდან მაინც აშკარად ვლინდება ამ მოვლენისადმი თავად ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს იმ შეფასებიდან, რომელსაც თავად მურზა-ხანი აძლევს რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას დაპყრობილი ქვეყნებისადმი: „რუსები! მაგას (იგულისხმება აჭარელ აჯანყებულთა თავკაცი – ა. ნ.) ჰგონია, უკეთესად ნაუვა საქმე, თუ რუსები დაეპატრონებიან ქვეყანას? შემძლია ვუამბო, როგორ დაკარგა მამაჩემმა კინაღამ მთელი თავისი ქონება, როცა მათ აფხაზეთი ჩაიგდეს ხელში და ძლივს მოასწრო ყველაფრის გადარჩენა – მამულები გაყიდა და აქ (ოსმალეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში – ა. ნ.) გადმოსახლდა. და ახლა იმ შეშლილებს უნდათ, ის გაუმაძღარი მგლები შემოგვისიონ? – არა, არასოდეს“ (ზუტენერი, 2007: 222).

მურზა-ხანისაგან განსხვავებით, დედა საქართველოსთან აჭარის შეერთებისთვის აქტიურად მებრძოლი რაზმის თავკაცი – ჯამბუკი თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანსწრაფვის არსს ერთგან ამგვარად ხსნის და განმარტავს: „ჩემი სამშობლო ის მიწა-წყალია, სადაც გავიზარდე... რა უნდა მქონდეს საერთო იმ სამარცხვინო ტირანებთან, რომლებიც მზად არიან ძარღვებიდან სისხლი გამოგვწოვონ? არაფერი; ისინი ჩვენთვის უცხონი არიან – იმ მოდგმისანი, რომელსაც ჩვენ არ ვეკუთვნით, რომელიც საუკუნეების წინ ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა სხვისი სიკეთის დასაპატრონებლად. ჩვენი მამული აქ არის, სადაც ვდგავართ; ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს და არაფერი გვაქვს საერთო გადაღმიდან მოსულ მჩაგვრელებთან. ამიტომაც უმალ მამულის მხსნელად ვიგრძნობ თავს, ვიდრე მის მოლალატედ, თუ ძველი, ნამდვილი თვისტომის მხარდამხარ ვიბრძოლებ საძულველი უღლისაგან ჩემი ქვეყნის განსათავისუფლებლად“ (ზუტენერი, 2007: 189).

რომანის მთავარმა გმირმა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დანებების წინ წარმოთქმული ამ სიტყვების სიმართლე პირველ ყოვლისა ამ ომში თავისი აქტიური მონაწილეობით დაამტკიცა. ჯამბუკი გამონაკლისი არ ყოფილა და ანალოგიურად ფიქრობდნენ მისი თანამებრძოლებიც. მათი აზრით, ოსმალთა ბატონობისაგან თავის დახსნითა და რუსეთის განმგებლობაში გადასვლით მათი „ქვეყანა (იგულისხმება აჭარა – ა. ნ.) გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა.“ ამიტომაც, შეუვალი თვითდაჯერებით ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – „თუ საქმე ისე წავა, რომ რუსეთი დააპირებს თავისი კალთის ქვეშ შეგვიფაროს, სიცოცხლეს არ დავიშურებ, რათა ამ წამოწყების განხორციელებას შევუწყო ხელი“ (ზუტენერი, 2007: 190).

ა. ზუტენერის რომანისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოსმალთა დროინდელი აჭარის მკვიდრთა და საქართველოს დანარჩენ მხარეების მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობაზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. კერძოდ, როგორც ავსტრიელი მწერლის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში ცხოვრებისა, ე. წ. ოსმალთა საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ცალკეულ წარმომადგენლებს ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებთან კავშირ-ურთიერ-

თობა მაინც არ ჰქონდათ განწყვეტილი და საკმაოდ რთული სასაზღვრო ბარიერების არსებობის მიუხედავად აქაურ მოსახლეობასთან აქტიურადაც კი იყვნენ დაკავშირებული.

სწორედ, ამ ურთიერთობის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ოსმალური ხელისუფლების დევნისაგან თავის დახსნის მიზნით აჭარელმა მეამბოხეებმა თავი ე. წ. რუსეთის საქართველოს, კერძოდ კი ახალციხეს, შეაფარეს. მწერლის ინფორმაციით, იქ „ხშირად ჩამოდოდნენ სხალთის ახლო-მახლოდან და იქაურ ამბებს ჩამოუტანდნენ.“ უსაფრთხოების მიზნით ახალციხეს თავშეფარებულ ჯამბუკს, რომელიც ხსენებული აჯანყების ერთ-ერთი თავკაცი იყო, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ თანამემამულეებთან იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რომ მათი აქტიური თანადგომითაც უწევდა ორგანიზებას ოსმალეთის ბატონობისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად დაწყებულ სახალხო ამბოხებას.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვანვდის მწერალი იმ ურთიერთობათა შესახებ, რითაც თავიანთი დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნის განხორციელებისათვის მეზობელი ჯამბუკი და მისი რაზმელები იყვნენ დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებთან: იმ შემთხვევაში, თუ ახალციხეში მყოფი ჯამბუკი სასურველ დონეზე საქმის მოგვარებას ვერ შეძლებდა, მაშინ „ერთი გამოსავალი რჩებოდა – თბილისს გაემგზავრებოდა, სადაც სიყრმის მეგობრები ეგულბოდა და დარწმუნებული იყო, გაშლილი ხელებით შეხვდებოდნენ.

დაიქირავა ცხენები და მცირე შესვენების შემდეგ რამდენიმე კაცით იმ გზას დაადგა, რომელიც ოზურგეთისა და ახალციხის გავლით უმოკლეს დროში ჩაიყვანდა ადგილზე. მეოთხე დღეს ახალციხეს მიაღწია, სადაც ერთ თბილისელ ახალგაზრდა კაცს შეხვდა, რომელთანაც ბავშვობაში მეგობრობდა“ (ზუტნერი, 2007: 187).

როგორც ითქვა, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა პატრიოტულ თვალთახედვას მტკიცედ მოტივირებულს უპირველეს ყოვლისა თავად ავტორის მიერ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე არაერთგზის გამოხატული ის თვალსაზრისი ხდის, რომლის მიხედვითაც აჭარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ღვიძლ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მოსახლეობა ისტორიულ სამშობლოში მცხოვრები მოძმეებისაგან მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ნიშნით – სარწმუნოებით განსხვავდებოდა. მაგალითად, მწერლის თქმით, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – ჯამბუკი თუმცა აჭარელი, მაგრამ „ფართო გაგებით ქართველი იყო“ (ზუტნერი, 2007: 16).

ა. ზუტნერის ხაზგასმით, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებულმა ომმა სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილ აჭარელთა ეროვნულ ცნობიერებას თითქოს საბურველი ახადა და ბევრ მათგანს „ახლად გაახსენდა, რომ აქამდე ხელისუფლების სათავეში უცხოელი დამპყრობლები იყვნენ, რომ მთებს გადაღმა თანამოძმენი ცხოვრობდნენ, რომლებიც რუსეთის ბატონობის ქვეშ გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს. ეროვნულმა საკითხმა ერთ ღამეში წამოიწია და ამით მოძრაობამ სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი შეიძინა. თუ ქუჩებში აქამდე მხოლოდ თურქული ისმოდა, ახლა ქართულმა ენამ იმძლავრა; რუსულ ფრაზებსაც გაიგონებდით – თითქოს ქალაქის მცხოვრებნი ხელის ერთი დარტყმით მთლიანად შეცვალესო“ (ზუტნერი, 2007: 218).

ა. ზუტნერის რომანში ის იმპერიული პოლიტიკაც იქცა კრიტიკული მხილების საგნად, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლება ატარებდა ხსენებული რეგიონიდან ადგილობრივი მოსახლეობის არაქართულ რეგიონებში გადასახლებლად და მათ ნაფუძარზე უცხო ეთნიკური ჯგუფების დასამკვიდრებლად. როგორც ცნობილია, ამ ტრაგიკულმა მოვლენამ რუსული მმართველობის პერიოდში გაცილებით ფართო მასშტაბები შეიძინა და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, მუჰაჯირებად გადახვენილ ქართველ მუსლიმანთა ნასახლარებზე მასობრივად დაესახლებინა რუსი ეროვნების მოქალაქენი და ამ გზით ხელოვნურად მოეხდინათ ხსენებული ადგილების რუსიფიკაცია.

ორივე იმპერიის ხელისუფალთა მიერ მიზანსწრაფულად გატარებული ამ მზაკვრული პოლიტიკის არსი ავსტრიელი მწერლის რომანში შემდეგნაირადაა გაშიფრული: „რეჯიბ-ბეგს

მიზანშეწონილად მიაჩნდა, აყრილების ადგილას ისინი ჩაესახლებინა, რომლებიც უკვე მის რჯულზე იყვნენ გადაჯიშებულნი, და ამიტომ ჩამორთმეული მამულების დიდ ნაწილს იმათთვის ინახავდა, ვინც სანაპირო ზოლიდან უნდა გადმოესახლებინა.“ ასე რომ, ხელისუფლების მესვეურები ამ გზით „ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მკვიდრი ტომი თანდათან განედევნათ საკუთარი ქვეყნიდან და თავად გაეშალათ ფრთები“ (ზუტნერი, 2007: 194).

ა. ზუტნერის რომანი შესაბამისი პერიოდის აჭარასთან კლარჯეთ-შავშეთის დამაკავშირებელი გზების შესახებაც გვანვდის საინტერესო ცნობებს. როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რელიეფის სირთულის გამო ხსენებული რეგიონების საგზაო ინფრასტრუქტურა ძალზე მოუნესრიგებელი იყო, რაც გადაადგილებისთვის საკმაოდ დიდ სირთულებს წარმოქმნიდა. ასეთ ვითარებაში ამ დანიშნულებით უმთავრეს როლს მდინარეების: ჭოროხისა და აჭარისწყლის ფართოდ გამოყენება სანაოსნოდ.

ა. ზუტნერი არა მარტო ზოგადად გვანვდის ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით, არამედ დიდი სიტყვიერი ხელოვნებითა და დეტალიზაციითაც აღწერს ნაოსნობის ამ პროცესს. კერძოდ, ხსენებულ მდინარეთა მეტად მნიშვნელოვან სანაოსნო როლს შესაბამისი პერიოდის აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში და აღნიშნული სამდინარო გზით მოგზაურობასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს მწერალი ისეთი ნიუანსობრივი დეტალიზაციითა და ღრმად შთამბეჭდავი ემოციურობით მოგვითხრობს, რომ რეალურად გვექმნება საფუძველი იმის სათქმელად, თავად ისიც რომ იქნება ამ სანაოსნო გზებით არაერთგზის ნამოგზაურები.

მაგალითად: რომანის მთავარმა პერსონაჟმა ჯამბეკმა და მისმა დამხმარებმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ერთ-ერთ სოფელში სტუმრად მიწვეული გუბერნატორისა და მისი თანმხლები პირების წასაყვანად „ყველაზე დიდი და ახალი ნავები შეარჩიეს და რაც შეიძლებოდა, მოხერხებულად მოაწყვეს. ერთში გუბერნატორი უნდა მოეთავსებინათ თავის მეგობრებთან ერთად მთელი დღით, მეორე კი ქალებისათვის ღამის გასათევად იყო განკუთვნილი, ხოლო მესამეში მხლებლები და მსახურები დაბინავდნენ“ (ზუტნერი, 2007: 21). საპატიო სტუმრების ეს ეკიპაჟი „საღამომდე ესკორტი ნავების სოლიდური რიცხვით შეივსო“ (ზუტნერი, 2007: 21).

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, აჭარისწყალზე გაცილებით მნიშვნელოვან სანაოსნო როლს ასრულებდა მდინარე ჭოროხი, რომელიც ბათუმთან შესაბამისი პერიოდის ართვინისა და ამ მდინარის ხეობაში მდებარე სხვა დასახლებული პუნქტების დასაკავშირებლად ყველაზე ხელსაყრელ საკომუნიკაციო არტერიას წარმოადგენდა. მიუხედავად სამდინარო კალაპოტის მეტისმეტი სირთულისა და მდინარის მეტად ჩქარი დინებისა, ხსენებული რეგიონების მოსახლეობა სახმელეთო გზის ფაქტობრივი არარსებობის გამო უპირველეს ყოვლისა ჭოროხს იყენებდა უმთავრეს სამიმოსვლო არტერიად.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ა. ზუტნერის ხსენებული რომანიდან: „დინება მალე ისე გაძლიერდა, რომ ნავი ნაფოტივით მიექანებოდა ფიცხ ნაკადებში... მდინარის პირა სანახები ელვისებური სისწრაფით მიჰქროდნენ მათ გვერდით.

ხეობა სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და ნაპირები, მურღულთან რომ დამრეცად ეშვებოდა მდინარისაკენ, ახლა სულ უფრო ციცაბო ხდებოდა...“

ნავი სულ უფრო სწრაფად მიინევდა წინ, ტალღები აქეთ-იქით ისროდნენ და ნიჩბებს ღრჭი-ალი გაჰქონდა, როცა მენავე მთელი ძალით დაანვებოდა ხოლმე, რომ ვერაგულად ჩამალული რიფებისათვის აველო გვერდი, ან ხის დაკორძილ ტოტს არიდებოდა, რომელიც ქვებში გაჩხერილიყო და შეიძლებოდა ნავის კედელი შეენგრია... მდინარე ზოგან ისე მკვეთრად უხვევდა, რომ თამარს სუნთქვა ეკვროდა, როცა ხედავდა, რა სისწრაფით მიექანებოდა პატარა ნავი ჩამოზვავებული ქვებისაკენ. ერთი წამიც და ნამსხვრევებად უნდა ქცეულიყო, მაგრამ უმალ მკვეთრად შემოტრიალდებოდა და ბენჯზე ასცდებოდა სახიფათო ადგილს... რაც უფრო ვიწროვდებოდა კლდეკარი, მით უფრო ბობოქრობდა, ქუხილითა და ღრიალით რბოდა და უზარმაზარ ტალღებს მოაგორებდა მდინარე...“

ცუროვა სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. რამდენჯერმე მესაჭესაც კი აღმოხდა შემოფოთების ამოძახილი“ (ზუტნერი, 2007: 165).

მდინარით დაღმა ცურვასთან შედარებით გაცილებით რთულ და წარმოუდგენლად მძიმე საქმეს წარმოადგენდა დინების საწინააღმდეგო გზით ნაოსნობა. კერძოდ, თუ ქვემოთ მომავალი ნავეები მდინარის ტალღებს მოჰყვებოდნენ ზემოთ აღწერილი ხიფათიანი გზებით, აღმა მიმავალთ უკვე მენავეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მიათრევდა თოკებით. არტურ ზუტნერის ინფორმაციით, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ნავი ართვინიდან ბათუმამდე ჩამოსვლას მხოლოდ რამდენიმე საათს ანდომებდა, მაშინ, როცა მათ გზის საპირისპიროდ გავლას უკვე ოთხ დღეზე მეტი სჭირდებოდა.

„აჭარლებისადმი“ ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოსმალთა დროინდელ აჭარელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მხარეებსაც წარმოაჩენს ეთნოგრაფიული სიმართლით. მაგალითად: „აჭარლებისა და გურულების ეროვნული სამოსი კავკასიაში ყველაზე მოხდენილია: მოკლე, მომდგარი, მკერდზე გადახსნილი ზედატანი, რომელშიც ღია ფერის მოჟილეტო-მოპერანგო ხიფათანი გამოსჩანს. შარვალი თეძობზე განიერია, ბარძაყებსა და წვივებზე კი მჭიდროდ შემოკვართული, წელზე შემოკრული კუშაკით – განიერი, ზოლიანი აბრეშუმის შარფით; ფეხზე თხელი, ჭვინტიანი ქალამნები აცვიათ, რომლებიც ხშირად რბილი ტყავის გამაშებით გრძელდება“ (ზუტნერი, 2007: 32).

ან კიდევ: „როგორც ყველა კავკასიელს, აჭარელსაც წესად აქვს იარაღის ტარება: სარტყელში გარჭობილი ხანჯალი და ხშირად ორი დამბაჩა, უხვად მოვერცხლილი, რომლებიც ჩვეულებრივ უკან, ხერხემლისკენაა განეული, მკერდის ორივე მხარეს კი ორ რიგად ჩანყობილი, ერთმანეთზე ფილიგრანული ძენკვით გადაბმული ვერცხლის ქილიშები უმშვენებენ. როგორც წესი, ტყავის თასმაზე მიმაგრებული აქვთ პატარა ჯიბე, რომელშიც მოთავსებულია ფოლადი, კვეცი და პატარა კოლოფი ქონით, ტყვიების გასაპოხად, ქამარში კი ლითონის ან ტყავის ბრტყელი მათარაა შემალული“ (ზუტნერი, 2007: 33).

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის „აჭარლების“ პრობლემატიკა მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და იგი პერსონაჟთა მრავალსახოვნებითაც და ლიტერატურული ინდივიდუალობითაც გამორჩეულ ნაწარმოებს წარმოადგენს, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მაინც იძლევა მყარ საფუძველს მასში წარმოსახული ეპოქალური სინამდვილისა და ჩვენი ქვეყნის საჭირობოტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

აჭარისა და ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ სხვა მხარეების ისტორიული და თანადროული ყოფის წარმოსახვის დროს ავსტრიელი მწერალი ყოველთვის ხაზგასმული დაბეჯითებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ეს რეგიონები ჩვენი ქვეყნის ღვიძლ ნაწილებს წარმოადგენს. ამიტომაც მათი მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტიური ბრძოლა კვლავაც ერთიან ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სივრცეში დასაბრუნებლად, რაც რომანში საკმაოდ შთამბეჭდავად და მასშტაბურადაა ასახული, მწერალს ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიაჩნია.


საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული თემატიკით დაინტერესებულ უცხოელ მწერალთა შორის არტურ ზუტნერი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამორჩეული ავტორია, რომელიც საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანადაა გარკვეული მოვლენათა არსში და ქართველი ხალხისადმი აშკარად მხარდამჭერი პოზიციებიდან წარმოაჩენს შესაბამისი პერიოდის ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზუტნერი ა. აჭარლები, რომანი, თარგმანი გერმანულიდან რუსუდან ლვინეფაძისა, თბ. 2007 წ.
2. ლვინეფაძე რ. შორეული ჩვენიანები, იხ: ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა,“ თბ. 2008 წ. №4.

ლუკა დვალისვილი – პროფესორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

საჭირო და საინტერესო წიგნი



არცთუ იშვიათად საზოგადოებას რაც ძალიან ჭირდება ხშირად საინტერესო და მიმზიდველი სულაც არ არის. განათლებისა და სიბრძნის მიღების პროცესი უმრავლეს შემთხვევაში ადამიანისგან მოითხოვს გარკვეული ძალების მობილიზებასა და დაძაბვას, რათა საბოლოო შედეგი იყოს კარგი და სასურველი. ჭეშმარიტებას ლაღადება ბრძენი გურამიშვილი: – სწავლის ძირი მწარე არისო. დიახ, არა მარტო ცოდნის მიღების დამწყებ მსურველებს, არამედ ზოგჯერ გამოცდილ, გემოვნებიან მკითხველსაც უჭირს ახლი წიგნის პირველი ფურცლებიდანვე ინტერესითა და სიამოვნებით მიჰყვეს წიგნის ავტორის რუდუნებითა და გულისხმიერებით მოწოდებულ აზრს. საჭირო, უცილობლად სასურველი ცოდნა-განათლებისა და ინფორმაციის მიწოდება მკითხველს სასიამოვნო და საინტერესო პროც-

ესად უქცეო, ამას მხოლოდ ცალკეული გამოცდილი, დახელოვებული, ცხოვრებაში ბევრის მნახველი, თავისი საქმის პროფესიონალი წიგნის ავტორები თუ ახერხებენ. ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად მკითხველის გონებისა და გულის მოსაგებად, ჩვენი აზრით, უპირობოდ საჭიროა სწორად იქნეს შერჩეული გადმოსაცემი თემის (ამბის) ცხოველმყოფელობა და მიმზიდველობა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე წიგნს და მის ავტორს უცილობლად გააჩნიათ ის ლიტერატურული სხივი და ანდამატი, რომელიც გიჩირაღდნებს, გინათებს და გიზიდავს უხილავი და უცნობი სამყაროს ლაბირინთების გამოსაკვლევ-აღსაქმელად. ჩვენი ღრმა რწმენით ფაქტია, რომ ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობაში არსებობს თემები, რომელიც ყოველ დროში, კაცობრიობის არსებობის ყველა პერიოდში, განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი ადამიანებისთვის ყოველთვის საინტერესო, მიმზიდველი და სასიამოვნოდ წასაკითხ-მოსასმენია. ჩვენი ფიქრით სწორედ ასეთი გახლავთ მოგზაურული ჟანრის თხზულებები, რომელიც უმაღლესი ინტელექტისა თუ განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფ ადამიანთა გონებასა და სმენას უპირობოდ იზიდავს, აჯადოვებს და ატყვევებს. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეებში, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ მსოფლიოს ცივილიზებული თუ ნაკლებად განვითარებული ხალხები ახალი ქვეყნების, ახალი მიწებისა და მასთან თანმდევი ეგზოტიკურ-ფანტასტიურ ამოუცნობი, ძნელად დასაჯერებელი ამბების გაგების სურვილით დაიმუხტა. კოლუმბის ეპოქიდან სათავგადასავლო, მოგზაურულ-მემარული ხასიათის თხზულებებს ისეთი ინტერესით მიეცანა მკითხველი საზოგადოება, რომ ამ მიმართულებით ევროპასა და აზიაში გარკვეული ლიტერატურული სკოლები და ტრადიციებიც კი ჩამოყალიბდა. მე-20 და 21-ე საუკუნის დასაწყისში ადამიანები უკვე მხოლოდ მოგზაურული ჟანრის წიგნების კითხვით არ კმაყოფილდებიან, არამედ მაქსიმალურად ცდილობენ, შესაძლებლობის ფარგლებში, თვითონვე უშუალოდ მოიხილონ და აღიქვან ნაოცნებარი ეგზოტიკური ქვეყნები.

წიგნის შესავალშივე ნაშრომის ავტორის მართებული მითითებით: „ევროპული ლიტერატურისგან განსხვავებით, მოგზაურული ჟანრის ისტორია ქართულ ლიტერატურაში შედარებით გვიან, მე-18 საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება და მის დამამკვიდრებლად სულხან საბა ორბელიანი არის აღიარებული.“ (გვ:3). მართლაც, აღორძინების ხანის პროზიდან აუცილებლად

უნდა გამოიყოს მოგზაურულ-მემუარული ჟანრის თხზულებები, რომელთა უმრავლესობაში ნაცვლად მშრალი კონკრეტიზაციის და გეოგრაფიული პუნქტების სამხედრო-სავაჭრო დანიშნულებით აღნუსხვისა, თავის გამორჩეულ ადგილს იჭერს მხატვრული აღწერა. ხატოვანი ენა, პოეტური აქსესუარი, უცხო სინამდვილით მიღებული ემოცია-განცდა საინტერესო ლირიკული ნაწარმოებებით სასიამოვნოდ წასაკითხს ხდის ზემო ხსენებული ძეგლების უმრავლესობას. ამ ჟანრმა განვითარების გრძელი გზა განვლო. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში, ქრისტიან მამათა მოგზაურობა წმინდა ადგილების მოსახსენებლად, ამა თუ იმ ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა აღწერა, ადგილობრივ მცხოვრებთა ეთნოლოგიის გაცნობა, ხშირი მწერლური წარმოსახვითი ფანტაზიები, მხატვრული ნაწარმოებებით საინტერესოდ აღსაქმელია.

ევროპაში მწერლობის ეს ჟანრი ადრეული პერიოდიდან გასაგები მიზეზების გამო სწრაფად განვითარდა. მონარქებს, დიდებულებს აინტერესებდათ უცნობ ქვეყანათა სიმდიდრე და მათი ხელში ჩაგდების გზები, ხალხს კი ბურუსით მოცული ქვეყნის ეგზოტიკა. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ნიგნში მართებულად მიუთითებს, რომ ზოგიერთი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი და მკვლევარი ზოგჯერ გაზვიადებულად წარმოაჩენს მოგზაურული ჟანრის ამსახველი ტექსტების არსებობას ძველ ქართულ მწერლობაში. მისი თქმით, „ლიტერატურულ ფაქტად იმ ნაწარმოების აღიარება, რომელიც რეალურად არ არსებობს, ანდა ჯერ-ჯერობით ნანახი არაა, ბუნებრივია, სათანადო საფუძველს მოკლებულ მოსაზრებად უნდა იქნეს მიჩნეული.“ (გვ: 4).

მოგზაურული ჟანრის თხზულებები ქართულ სინამდვილეში სულხან-საბადან მოყოლებული ყოველგვარი პირობითობის გარეშე ერთობ ხალხურია და „დემოკრატიული.“ მათთვის ხშირად ნიშანდობლივი სიახლე გახლავთ ადამიანის ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა. ვფიქრობ, ამის დასტურია სულხან-საბას მჭევრმეტყველური, ბრძნული და ადვილად ამოსაშიფრი ნერილობითი და ვერბალური ქვეტექსტებით მიმართვა საფრანგეთის მეფისადმი თუ იტალიის უმაღლესი სასულიერო პირებისადმი. ზემოთქმულს ბევრი ქართველი მკვლევარიც ადასტურებს.

„ჟანრობრივი ნიშნის სიმკვეთრით გამოირჩევა მე-18 მე-19 საუკუნეების სამოგზაურო თხზულებანი, რომელშიც ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის შინაგან ბუნებაზე. სუბიექტური შთაბეჭდილებების გადმოცემას კარგად უსადაგებდნენ მხატვრულ გამონაგონს და მკითხველის თვალწინ შლიდნენ უცნაურ სამყაროს,“ (ნ. სალირაშვილი, „მოგზაურობანი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.“ თბილისი, 1989 წელი, გვ: 4).

ნიგნის ავტორი საგანგებოდ მსჯელობს მოგზაურული ჟანრის განვითარებაზე ქართულ ლიტერატურაში და აკეთებს მრავალ საგულისხმო დასკვნას. „ქართულ ლიტერატურაში მე-18, მე-19 საუკუნეების მიჯნამდე მოგზაურული ჟანრის თითქმის ყველა ნაწარმოების შექმნის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ორი მოვლენა იქცა – მათი ავტორების გამგზავრება საზღვარგარეთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემათა მოგვარების მიზნით და წმინდა ადგილების მონახულება მათთვის თაყვანის საცემად.“ (გვ: 6).

უცილობო ფაქტია, რომ ქართული მოგზაურული ჟანრი განვითარების ახალ, კლასიკურ საფეხურზე აიყვანა სულხან-საბა ორბელიანმა. შეიძლება ითქვას, მან ბუნებრივად გააგრძელა დიდი შოთა რუსთაველის სამწერლო ტრადიცია, რომელიც ფაქტიურად შეწყვეტილი იყო მე-13, მე-17 საუკუნეების ქართულ მწერლობაში. კერძოდ, ამ პერიოდში ქართული სალიტერატურო ენა ან მეტისმეტად „გახალხურებულ-გაპრიმიტივებული“ იყო, ან კონსერვატიული სქოლასტიკის მარნუხ-ხუნდებში ჩასმული და დამძიმებული. სულხან-საბა ამ მხრივაც ქართული პროზის გამორჩეული რეფორმატორი და ნოვატორია.

ცნობილი ფშავური ანდაზა: – ჭირს თუ დაუნვები უფრო დაგანვებაო. ვფიქრობთ, სულხან-საბა ამ ბრძნული ხალხური ნააზრევიდან გამომდინარე, ათასი „სანუთისოფლო“ თუ საზოგადო საქმეების სიმძიმის მიუხედავად, დაუღლელად, მუხლჩაუხრელად იღწვის და იბრძვის უკუღმა დატრიალებული საქართველოს ისტორიის ბედის ბორბლის საწაღმართოდ დატრიალებისთვის. ნიგნის ავტორი ჩვეული, დარბაისლური ტონით, უპირობოდ გასაზიარებელი ლოგიკით, ნათელი აკადემიზმითა და ბევრის მნახველ-გამომცდელის თვალთა აფასებს ქართული მკითხ-

ველი საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. მის მყარ, არგუმენტირებულ მსჯელობას ამშვენებს თხრობის გარეგნული მხარეც. აქ ძველი, წინაპრებისეული პალიმსესტის მიზიდულებით მკითხველი ეცნობა უაღრესად საყურადღებო ინფორმაციის ზედა შრეს, რომლის გარკვევის შემდეგ ეგზოტიკური ქვეყნებისა თუ ხალხების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მორევი მას იზიდავს და ითრევს პალიმსესტზე არსებული ქვედა შრეების გაცნობისაკენ. მიუხედავად წიგნის მოცულობითი ფორმატისა, ავტორები და ამბები ისეა დალაგებული და ლოგიკურ-დამაჯერებელი მსჯელობით განათებული მკითხველი იოლად და სასიამოვნო განწყობით მიდის ბოლო გვერდამდე.

ყოველივე ზემოთქმული რეალური ლიტერატურული ფაქტია და ამაში გასაკვირი არაფერი არ არის, რამეთუ ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ქართულ კულტურულ საზოგადოებაში გახლავთ იშვიათი ინტელექტით, უზარმაზარი შრომისმოყვარეობითა და პოეტურ-მეცნიერულ ალლოიანობით შემკული ადამიანი. მისი სამწერლო, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ყოველივე ზემოთქმულის ჭეშმარიტი დასტურია. შეიძლება ზოგიერთმა დაეჭვებულმა მკითხველმა იკითხოს, რომ წიგნში წარმოდგენილი მასალები აქამდეც მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული ადამიანებისთვისო. ეს ნაწილობრივ სიმართლეა და რაც ნაწილობრივია, სრულყოფილი ვერ იქნება. გვირგვინდადგმული ჭეშმარიტება ნებისმიერი საქმის, საერთოდ კულტურისა და მეცნიერების დამამშვენებელია. იგი შესაძლებლობას იძლევა გახედეს ახალი წარმატებული კვლევებისა და აღმოჩენების საფუძველ-საძირკველი. სწორედ ასეთი წიგნის საშუალებითაა შესაძლებელი სწორად განისაზღვროს ქვეყნის ცხოვრების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების სამომავლო გზები და, სავარაუდო საკვლევი პრობლემების მასშტაბურობა, მიახლოებითი პარამეტრები. ფაქტია, რომ ეს წიგნი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მკითხველს გაეცნოს საქართველოს მეზობელი თუ უფრო შორს მდებარე ქვეყნების საინტერესო ისტორიის საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს. ყოველივე ეს კი საშუალებას მისცემს მას გააკეთოს საყურადღებო დასკვნები. კერძოდ, რა არის საჭირო, სასწრაფოდ და აუცილებელი გასაკეთებელი, რათა ჩვენი სამშობლო, საქართველო პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნად იქცეს.

სხვადასხვა გამოცემებში გაბნეული ქართული მოგზაურული ჟანრის ტექსტების თანმიმდევრული და თანამედროვე მეცნიერული აპარატურით ანალიზი და კომენტარები, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, აუცილებელი და საშური საქმე იყო და არის. ფაქტია რომ დრო აჩქარდა. აჩქარებულმა დრომ და ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა, არ ჩამოვრჩეთ მის მსვლელობას. რეალურია, რომ ცხოვრების აჩქარებულმა რიტმმა ბევრი რამ გადააფასა. სამომავლო, კეთილი მიზნების მიღწევის გზაზე საჭიროა ზოგიერთი თითქოსდა ეჭვმიუტანელი პერსპექტიული გეგმა დახარვეზდეს. ამაში თავმისაცემი და ტრაგიკული არაფერია. ცხოვრების რიტმი და სიცოცხლის სიხალისე ახალი პრობლემებისა და გამოწვევების დროულად აღქმასა და გადაწყვეტაში მდგომარეობს. ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და მსგავსი მეცნიერების წიგნები და გამოკვლევები დელიკატური მინიშნებაა იმისა, რომ ახლებურად გავიაზროთ, გავანალიზოთ და დაიტუმოს ქვეყნის ცხოვრების, მეცნიერებისა და კულტურული განვითარების გზების კონტურები.

როგორც მოგახსენეთ, წიგნის ავტორს, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მასშტაბური სამუშაოები უნარმოებია და ახლებური რაკურსითაა წარმოდგენილი ქართული კულტურისა და მწერლობის გამოჩენილ მუშაკთა მოგზაურული ჟანრის ლიტერატურული თხზულებები. ყოველივე ეს აუცილებლად საჭირო და საინტერესოა, თუმცა ქართული კულტურის ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივრის გულგასახარად უნდა ითქვას, რომ ვფიქრობთ ქართულ პუბლიცისტიკაში საკმაოდ დაიძებნება აღნიშნული ჟანრის საინტერესო ტექსტები. ასევე სარწმუნოა, რომ მსოფლიოს მუზეუმებში, არქივებსა და წიგნსაცავებში აუცილებლად აღმოჩნდება მსგავსი ხასიათის ტექსტები, რომლებიც ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენებს გაამდიდრებს და შეცვლის კიდეც.

წიგნის დასაწყისში მოცემული არც თუ მცირე მოცულობის თავი – მოგზაურული ჟანრი ქართულ ლიტერატურაში - არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სერიოზული გამოკვლევაა მსგავსი ხასიათის ტექსტების დალაგება, კომენტირება და გამონვლითი შესწავლის გზაზე. ნაშ-

რომის მომდევნო ქვეთავში წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის, იონა გედევანიშვილის, რაფიელ დანიბეგაშვილის, გიორგი ავალიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ივანე კერესელიძის, გიორგი ერისთავის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გიორგი ყაზბეგის, დიმიტრი ბაქრაძის, ლადო აღნიაშვილის, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე კონჭოშვილის, თედო სახოკიას მოგზაურული ჟანრის თხზულებების ანალიზი და კომენტარები.

მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებებს გამორჩეული ფასეულობა გააჩნია. ასეთი ტიპის ტექსტები უმრავლეს შემთხვევაში კეთილსინდისიერი და განათლებული ავტორის ხელში გახლავთ დოკუმენტური პროზის იშვიათი ნიმუშები. წინა საუკუნეებში, როცა საკომუნიკაციო საშუალებები ნაკლებად იყო განვითარებული, უფრო დაბეჯითებით თუ ვიტყვით, ხშირ შემთხვევაში არც არსებობდნენ ისინი, ასეთი ჟანრის ნაწარმოებები ქვეყნის, მისი ცალკეული მხარეების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ უნიკალურ ინფორმაციას გვანვდიან. არც თუ შორეული ფაქტია, რომ არა მარტო საქართველოსთან მოშორებით მყოფი ქვეყნები, არამედ უგზობის გამო საქართველოს ცენტრალური რეგიონებიც (საუბარი არ არის საქართველოს მთიან მხარეებზე, ლ.დ.). მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთთან. შეიძლება ითქვას, რომ პირველად მხოლოდ 1872 წლიდან, ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის შემდეგ გახდა შესაძლებელი რეგულარული კომუნიკაცია დამყარებულიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. ამდენად, ყოველი მოგზაურული ჟანრის თხზულება, რომელიც ხშირ შემთხვევაში განათლებული და კეთილსინდისიერი პიროვნების პირადი დღიურებია, შეიცავს იშვიათ, სანდო, დოკუმენტურ ინფორმაციას, რომელიც ცოდნა საჭიროა და ამავდროულად სასიამოვნო წასაკითხია. თავის დროზეც და დღესაც მსგავსი ტექსტები დიდი მნიშვნელობისა და საზოგადოების დაუცხრომელი ინტერესის საგანი გახლდათ ყველა დროში. უგზობის გამო საქართველოს მოსაზღვრე რეგიონის მცხოვრებლებსაც კი ერთმანეთის შესახებ ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ. წიგნის ავტორის მართებული მითითებით: „ხსენებული ჟანრის ნაწარმოებები, ამ თვალსაზრისით მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მათი საუკეთესო ნიმუშების ჟანრობრივ სპეციფიკას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავტორისეული მონათხრობი, თუმცა დოკუმენტური სიზუსტით, მაგრამ მხატვრული დეტალების მიზანმიმართულად გამოყენების გზითაა გადმოცემული. ასე, რომ, მათი საუკეთესო ნიმუშები დოკუმენტური და მხატვრული ელემენტის ერთმანეთთან სინთეზირების ფორმით შექმნილ ბელეტრისტულ ქმნილებებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.“ (გვ:6).

ავთანდილ ნიკოლეიშვილის წინამდებარე წიგნი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყოველ ქართველს თავისი ქვეყნის მდიდარი ისტორიის, კულტურის, საამაყო ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ღირსეული წინაპრების, ათასწლეულის სიღრმიდან მომდინარე ეროვნული ფესვების შესახებ. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ წიგნში თავმოყრილი და გაანალიზებული ინფორმაცია ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ყოველმა ქართველმა უნდა შეიმეცნოსა და გაითავისოს. ქართველ მოგზაურთა ევროპასა და აზიაში ნანახი, ჩვენი ქვეყნის ბედუკულმართობით, როგორც ერთი შუა საუკუნეების ქართველი ავტორი შენიშნავს საქართველოს „ბედმლაშეობის“ გამო გადახვენილი თუ გატაცებული ქართველების უსასო, უმწარესი სვე. როგორც ჩანს დრო და ეპოქა მხოლოდ ფორმას იცვლის, ხოლო ძირითადი შინაარსი – ვერაგულ-მუხანათური იგივე რჩება. განა ჭკუის სასწავლებელი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ, თუ შუა საუკუნეებში უცხო ქვეყნებში გატაცებისა და სხვა იძულების გზების გამო ხვდებოდნენ ჩვენი თანამემამულეები, დღეს კი მოუწყობელი ცხოვრების პირობები აიძულებს ათასობით ჩვენს მოქალაქეს, ფაქტიური მიუსაფრობის უმძიმეს პირობებში, უფლებრივ-მდგომარეობა შეზღუდული, ემიგრაციაში წავიდეს. წიგნი ცხოვრების ავ-კარგის მეტ-ნაკლებად მცოდნე მკითხველს ადვილად დაარწმუნოს იმაში, რომ თუ ქართველები ერთმანეთსა და სამშობლოს არ მივხედავთ, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ადრე თუ გვიან გაჭირვების აქლემი ყოველი ქართველის კარზე უკითხავად დაიჩოქებს. ეს რომ არ მოხდეს, დროა განგაშის დედო ზარი შემოვკრათ. ვფიქრობ, გადაჭარბებული ინტერპრეტაცია არ იქნება, რომ ამ წიგნის ერთი მთავარი ღირსება ესეც არის.

ნიგნში განსაკუთრებით საინტერესოა ის ეპიზოდები, როცა ავტორი ქართული ეკლესიის, ქართველი სასულიერო პირების, წმინდა მამების როლსა და დამსახურებაზე მსჯელობს. უდიდესი სიამაყის გრძნობით აღივსება ნებისმიერი ქართველი, როცა დოკუმენტურ ინფორმაციას გაეცნობა, თუ რაოდენ მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, გამორჩეული კულტურის კერები გააჩნიათ ჩვენ წინაპრებს საზღვარგარეთ. და რაოდენ უსასოო იქნება ყოველი ჭეშმარიტი მკითხველისა და მამულიშვილის ყოფა-განწყობა, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული წმინდა მინებსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მდებარე ქართული კულტურის სავანეები, ჩვენი სახელმწიფოებრივი მოუწყობლობისა თუ ეროვნული შემართების შესუსტების გამო უცხო ტომელთა საკუთრებაში გადასულა და შებლაღულა. რამდენი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, სიგელ-გუჯარი, უცილობლად იქნება დაცული მიტაცებული ქართული კულტურის კერების წიგნსაცავებში, რომელთა სამზეოზე გამოტანა ისედაც მდიდარ ქართულ კულტურას კიდევ უფრო გააბრწყინებს. და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღესაც ჩვენ თანამემამულეებს ხშირად მამა-პაპის აგებულ ტაძრებში სალოცავადაც არ უშვებენ. უსაზღვროდ მრავლისმთქმელია წიგნის ავტორის დარბაისლურ-დიპლომატიური ნიაღვრეები და კომენტარები, როცა იგი „სამუსლიმანო საქართველოსა“ და სომეხ-ბერძენთა მიერ მიტაცებულ „რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარის“ შესახებ საუბრობს. მართლაც მუდმივი პატივგება ეკუთვნით იმ სულიერ მამებს, რომლებიც სამშობლოში ტოვებდნენ ყოველგვარ სიკეთეს და ფაქტიურად მსხვერპლად ეწირებოდნენ ქართული სამეცნიერო, კულტურული თუ პოლიტიკური აღორძინებისა და წინსვლის საქმეს.

ეს მრავალმხრივ საგულისხმო წიგნი მკითხველს ბევრ საქვეყნო და საზოგადო პრობლემის ისტორიულ ფესვებსაც გააცნობს. შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის შემდეგ, დასკვნის გამოტანა არ უნდა გაუჭირდეს ქვეყნის წარსული ისტორიისა და მომავლის ბედით დაინტერესებულ ადამიანს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის მოგზაურული ჟანრის თხზულება – „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის.“ ამ შესანიშნავი ტექსტისა და წიგნის ავტორის მახვილგონივრული კომენტარებით დღევანდელი მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ სხვის კარზე გადიდკაცებულ ადამიანს მართლაც ჯობს თავისუფლების ძებნაში მკვდარი.

რამდენი სიტბო, მამულიშვილური აღმაფრენა ჩაღვრილა კავკასიის ქედის გავლით რუსეთში მიმავალ ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანის პირად, მაგრამ მერმისში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე დღიურებში. როგორი სტრატეგი, პოლიტიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, კაცთმოყვარე პიროვნება გვესაუბრება ახალგაზრდა პოეტის სახით. ვფიქრობთ ყველა დროის მკითხველისთვის, საგულისხმო და გასათვალისწინებელი იქნება, რომ დამპყრობელმა შეიძლება დროებით დიდი პატივიც მიაგოს მის სამსახურში შესულ ვოლონტიერს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, როცა იგი მასში გამოწურავს ყველა ფიზიკურ და გონებრივ რესურსს, საბოლოოდ შეცდომილი გრიგოლ ორბელიანივით ამოიკვნესებს: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარო.“ ასევე, წიგნში ძალიან საყურადღებოა ცნობილი ენათმეცნიერისა და პიროვნების – ნიკო მარის ღვანლისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შეფასება. ფაქტია, რომ ნიკო მარმა დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის კვლევის საქმეს, მაგრამ არც თუ იშვიათად თავისი, სავარაუდოდ კოსმოპოლიტური მრწამსისა თუ დამპყრობლის ინტერესების სასარგებლოდ და საამებლად, ზოგჯერ ფრიად ანტიქართული მოსაზრებებსაც უჭერდა მხარს. ნიკო მარის ყოველივე ზემოთქმული ქმედება და საქმიანობა აზიანებდა და ასუსტებდა ქართული კულტურის კვლევისა და განვითარების საქმეს. განსაკუთრებით ეს გამოიხატა, როდესაც მან ქართველი მამულიშვილების თავგაცობით დაწყებულ საქმეს, თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნის იდეას დაუპირისპირა ინტერნაციონალური უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნა და სხვ. ნიკო მარს ამ „ინიციატივისთვის“ თავის დროზე გვარიანად შემოსწყრა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები და ალბათ ამის გამოც იყო ნიკო მარი შეწუხებული, როცა თავის მეგობარს, ცნობილ მწერალსა და მოღვაწეს ილია ჭყონიას საფოსტო ბარათის ბოლოს გაბუტული ბავშვივით მიუწერა: „ქართველების შარლატანა მარრი.“

ავთანდილ ნიკოლეიშვილი წიგნში საგანგებოდ მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში მოღვაწე ცნობილი ქართველი მწერლებისა და პუბლიცისტების: გიორგი ნერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის ღვანლისა და დამსახურების სესახებ და აფიქსირებს, რომ მათი ნაწერების შესაბამისად დაფასებისა და წარმოჩენის საქმეში ვალში არიან ქართველი მკვლევრები. ამაგდარი მამულიშვილების ნაწერები ხშირად „ლიტერატურათმცოდნეთა შეფასების მიღმაა დარჩენილი.“ ბევრი მათი თხზულება სათანადოდ უნდა დაფასდეს.

წიგნის ავტორი მისთვის ჩვეული დელიკატურობით, საგულისხმო მითითებებითა და მინიმუმებით თავისებურად ტაქტიანად აანალიზებს საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის მეზობლად მცხოვრები ხალხების: ლაზების, აფხაზების, ოსების, სომხებისა თუ სხვა ერების წარმომადგენელთა ურთიერთმიმართების ფაქტებს შუა საუკუნეებისა და მომდევნო პერიოდის ქართულ ეთნოსთან და კულტურასთან. შესაბამისადაა შეფასებული დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ღვანლი. წიგნის ავტორის თქმით „ექვთიმე თაყაიშვილმა ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოში“ მის მიერ განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე კიდევ უფრო მეტად გააფართოვა ჩვენი ცოდნა აღნიშნული მიმართულებით.“

ავთანდილ ნიკოლეიშვილს თავის წიგნში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ზოგიერთი ისეთი ტერმინი და მცნება, რომელსაც ჩვენი ღრმა რწმენით სიამოვნებით მიიღებს ლიტერატურული საზოგადოება, რამეთუ ისინი უზუსტესად გამოხატავენ რეალური კულტურული ფაქტის შინაარსს და უპირობოდ ადგილს დაიმკვიდრებენ იმ მეცნიერთა და მკვლევართა შრომებში, რომლებიც მოგზაურული ჟანრის ტექსტებზე იმუშავებენ. ამ მხრივ საინტერესოა წიგნის ცალკეული მახვილგონივრული და მიგნებული დასათაურება: მაგ. მოგზაურული ჟანრის ტექსტი, როგორც ისტორიული დოკუმენტი და მეცნიერული ნაშრომი, როგორც მოგზაურული შთაბეჭდილებათა ამსახველი ტექსტი.

ასევე დაბეჯითებით უნდა ითქვას რომ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნში თავმოყრილი მოგზაურული ჟანრის ტექსტები ავტორს იშვიათი მეცნიერული გემოვნებითა და რუდენებით, დახვეწილი, ფაქიზი, მაგრამ სანდო კრიტიკულ ლიტერატურული თვალთ შეურჩევია, „განუჩხრეკია,“ მრავალგზის აუნონ-დაუნონია და ისე გამოუტანია ლიტერატურისა და ქართული კულტურის სამზეოზე. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ნიჭი, განათლება და დიდი სამეცნიერო-ლიტერატურული გამოცდილება თავისებურ საგულისხმო დაღს დაასვამს ნებისმიერ საქმეს.

თავის დროზე დიდი ილია გულმტკივნეულად შენიშნავდა, რომ ხშირ შემთხვევაში მისი თანამედროვე ქართველთა ერთი მომეტებული ნაწილი, უცხოეთში ნამყოფი ნებისმიერი კაცის ნათქვამსა და ნაწერს, ყოველგვარი რევიზირების გარეშე, ისე იღებდნენ, როგორც უზენაეს იდეალსა და უპირობო სიბრძნესო. ...„რაკი კაცი უცხო ქვეყნიდან ჩამოვიდოდა ჩვენში, სწავლული თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, ამას აღარ დაგიდევდათ და პირღია შევეყრებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო... საკმაო იყო კაცს ეთქვა საზღვარგარეთ ეს ასე არისო, ჩვენც მიგველო განუსჯელად, აუნონად, დაუფიქრებლად.“ უცილობელი სიბრძნე ბრძანა თავის დროზე მართლაც ილიამ. სამწუხაროდ დღესაც გვჭირს ქართველებს იგივე სენი. როცა რამდენიმე თვით უცხოეთში ნამყოფი ჩვენი თანამემამულე „ყოველივეს მნახველი და ყველაფრის მცოდნეა.“ პირობითად ამ თავკერძობას „მოზდოკის“ სენიც შეიძლება დავათქვათ, (მოზდოკამდე მისული კომედია „გაყრას“ გმირი, ანდუყაფარ დიდებულიძე, გაკვირვებულია – რა ცვლით ამ ხალხს უცხოეთში!? მოზდოკამდე მეც მივედი მაგრამ არ შევცლირვარო. ლ. დ.)

ფაქტია, რომ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნში საანალიზოდ წარმოდგენილი თხზულებების გარდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ არსებობს მოგზაურული ჟანრის ტექსტები, მაგრამ ასევე ფაქტია რომ ავტორმა შეარჩია გამორჩეულთა შორის საუკეთესოები. ამიტომაც განსაკუთრებით ფასეულია წიგნის ავტორისა და მისი მსგავს მეცნიერთა შრომები, რამეთუ მათში უდიდესი შრომისმოყვარეობით, ღრმა აკადემიზმით, ქვეყნის სიყვარულითა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით ბრუნდსა და მართალს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

ომარ კაპანაძე – კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, ვანის მუნიციპალიტეტის
საპატიო მოქალაქე

1917 წლის თებერვლის რევოლუცია და საქართველოში განვითარებული მოვლენიდან გამომდინარე ვანის თემ-საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

საკითხი, რომელიც განხილვაში შემომავს, თავისი არსით, მიმართულებებით, თანმდევი მოვლენებითა და შედეგებით ეპოქალური მოვლენაა, პროცესს ერთი საუკუნე გვაშორებს, მაგრამ აქტუალობას არ ჰკარგავს.

ისტორიის სვლამ 1917-1920 წლების საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისაგან გამოცალკავების და დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი პრაქტიკულად ლანგარზე შემოდებული მიაჩნდა.

საქართველოში, რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მსგავსი პროცესი არ განხორციელებულა. აქ მოქმედი პოლიტპარტიებისა და ელიტისათვის მომხდარი ფაქტი საცნაური გახდა დეპეშით – „მთავრობაძე გარდაიცვალა“. ამიტომაც სიტუაციათა გამოყენება და პროცესთა მართვა დამოკიდებული იყო აქ მოქმედ პარტიათა შეთანხმებულობასა და პოლიტიკური გონების გამჭრიახობაზე.

უაღრესად მწირეა მასალები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეხვდა „ვანის“ საზოგადოება 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, რომელიც შემდეგში განმაპირობებელი ფაქტორი შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისაც, სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის ცვლისაც და მმართველობაში ახალი ხელისუფლების მოსვლისაც.

„ვანს“ ამ დროისათვის ადგილობრივი ინტელიგენცია, მრავალრიცხოვანი და გამართული სასწავლო-კულტურული დაწესებულებანი ძირითადად არ გააჩნია (ან გააჩნია მხოლოდ მიზერული ფორმით), რომელთაც შესაძლებლობა ექნებოდათ ამ ფაქტისათვის, სისტემათა ცვლისათვის თეორიულ-პროპაგანდისტული ელფერი მიეცათ. ამის გამოც მასებში, „ვანის“ მცხოვრებთა მასიურ ფენებში, გლახობაში, როგორ ჰპოვა ყოველივე ამან ასახვა, რაიმეგვარი წერილობითი წყაროები შემონახული არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოხმაურება იყო ალბათ ისეთივე, როგორიც საქართველოს პერიფერიულ დასახლებულ ადგილებში, სადაც, ჯერ კიდევ, არ არსებობდა გამართული საინფორმაციო-კომუნიკაციური საშუალებანი.

ის, რომ „მეფე გადაადგეს“ როგორც ამ გამოთქმას ხანდაზმულთაგან მოისმენდით, ცხადია, საყოველთაოდ გახდებოდა ცნობილი, უპირატესად სოფლად მოქმედი ადმინისტრაციის მოხელეთაგან, სასულიერო პირებისაგან, სამრევლო სკოლის პედაგოგთაგან, რომელთაც აუცილებლად გახდიდნენ ინფორმირებულს მოვლენათა შესახებ.

სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თვალსაზრისით პროცესში ცვლილება მომენტალურად თვალშისაცემი ვერ იქნებოდა და იგი ასეთად დარჩა თითქმის მენშევიკების მმართველობის მთელს ეტაპზე. ყოველ შემთხვევაში „ვანთან“ დამოკიდებულებაში ეს ასე გამოიყურება. თუმცა, საქართველოში მიმდინარე გართულებული მოვლენები, რომ შესამჩნევ გავლენას მოახდენდა „ვანის“ მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზეც უდავოა.

გავლენას მოახდენდა ისიც, რომ ამ ხელისუფლების არსებობის პერიოდში უაღრესად დაეცა საქართველოს აგრარული და ისედაც მცირე სამრეწველო პოტენციალი. ეს საყოვეთაოდაა ცნობილი და ეკონომიკის დონეზე აშკარად მიუთითებს მაშინდელი ფულად-საკრედიტო და სავაჭრო ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხები. სახეზეა ფულის კურსის კატასტროფული ვარდნა, რომელიც ისედაც სუსტი წარმოებრივი პროცესების საფუძვლიან მოშლაზეც მიუთითებს.

„1919 წელს ბონების რაოდენობა ავიდა სამ მილიარდ მანეთამდე, 1920 წელს 12 მილიარდ

მანეთამდე, 1921 წლის თებერვლამდე საქართველოში გამოიცა 17 მილიარდზე მეტი ბონი¹.

„1918 წლის 26 მაისისათვის ერთი მანეთი ღირდა 10 შაური ოქროთი, წლის დასასრულს 5 შაური, 1919 წლის დასასრულს 1,5 კაპიკი, 1920 წელს მისი ღირებულება 1/20 კაპიკამდე დავიდა. ამავე დროისათვის საქარველოში ინგლისური გირვანქა სტერლინგი ღირდა: 1913 წელს 10 მანეთი, 1918 წლის დეკემბერში 40 მანეთი, 1919 წლის ივნისში 300 მანეთი, 1919 წლის დეკემბერში 662 მანეთი, 1920 წლის აპრილში 1042 მანეთი, 1920 წლის ივნისში 1524 მანეთი, 1920 წლის ივლისში 1934 მანეთი, 1920 წლის აგვისტოში 5000 მანეთი².

მოყვანილი მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობა მოქცეულია სტაგნაციის ქვეშ. სახელმწიფო ბიუჯეტი მაქსიმალურად დეფიციტურია, რაც იძულებულს ხდის ხელისუფლებას გადავიდეს ბონების ბეჭდვაზე, გაზრდილია ინფლაცია. „ხშირი იყო ყალბი ფულის ბეჭდვაც“. ფულს პრაქტიკულად დაკარგული აქვს ყველა ნიშანი. „ქართული ფულის ნიშნების საფუძველი არ იყო არც ოქრო და არც საქონელი, იგი რეალურად არ იყო არაფრით უზრუნველყოფილი“. ასეთ სიტუაციაში გასაგები ხდება თუ რა დონეზე დადგებოდა სახალხო მეურნეობის მართვა და აქედან აგრარული სამეურნეო საქმიანობა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე არ მივიჩნევ გადაჭარბებულ რამდენიმე წინადადებით ითქვას მაშინდელ ზოგიერთ პოლიტიკურ სიტუაციასა და მოვლენათა შესახებ, რომელიც 1917 წლის თებერვლის რევოლუციას მოჰყვა და კარდინალური გავლენა იქონია, ჩვენი ქვეყნის, მისი პერიფერიების შემდეგდროინდელ განვითარებაზე.

სამწუხაროდ, ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენათა წარმოჩენა-შეფასებას ცალკეულ სუბიექტთა მიერ და მედია საშუალებების მომეტებულ ნაწილში დროისათვის ხარკის გადამხდელთაგან დადგმული შოუს სახე აქვს მიცემული. მოქმედებაშია სიცრუის ტირაჟირება.

ცხადია, ესეც პროპაგანდის ერთი ფორმაა, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ მათში ჭარბადაა რეალურ ფაქტთა დამახინჯებანი.

რადგანაც „ვანი“ ვერ განიხილება განყენებულად და როგორც ერთი სეგმენტი ჩართული იყო ქვეყანაში განვითარებულ პროცესთა დინებაში, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ მცირეოდენი გადახვევა გავაკეთო და საკუთარი მოსაზრება გამოვხატო იმ დროისათვის ქვეყანაში განვითარებულ ზოგიერთ მოვლენათა და ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც საკითხთა ირგვლივ საჭირო მასალათა შესწავლის შედეგად ჩამომიყალიბდა.

საქმე იმაშია, რომ 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველთათვის მარადიული ოცნება, უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტით კი გამოცხადდა, მაგრამ ჩემი აზრით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მისი პრაქტიკული შენარჩუნება, პროცესთა დინების რეალურ ასპექტში მოქცევა, დროისა და განვითარებულ მოვლენათა მიერ შეთავაზებული გამოცდის გაძლება.

ისტორიული მესხიერება აჩვენებს: ნებისმიერი ქვეყნის დამოუკიდებლობის, ამ უაღრესად პატრიოტული აქტის დეკლარირებას შეუქცევადი მნიშვნელობა აქვს და წარმატებულია, თუ მომავალ მოქმედებათა ფონზე ყველა სირთულის გათვალისწინებით, ურყევი თანამიმდევრობით შესაძლებელია გაცხადებული პრინციპებისა და მიმართულების შესაბამისად სახელმწიფოებრივი საყრდენების გამაგრება. თუ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც საქმის გაძლოლას კისრულობენ აქვთ დამუშავებული, რეალობასთან დაახლოებული, პროგნოზირებული სამოქმედო პროგრამები და მნიშვნელოვანი სტრატეგიულ-ტაქტიკური შეცდომების დაშვების გარეშე შეუძლიათ მათი განხორციელება. თუ მათ მასების უმრავლესობაც გაჰყვებათ გარანტირებული იქნება სამოქმედო ერთიანობა. თუ მოქმედებათა ერთობლიობის ფონზე ცხოვრებისეულად შესამჩნევი გახდება ცვლილებათა დადებითი შედეგები, რომელიც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იგრძნოს. **ნებისმიერი, არცერთი ეკონომიკურად დაქვეითებული და მოშლილი ქვეყანა ძნელად წარმოსადგენია იყოს დამოუკიდებელი, ესაა ნომინალ-**

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. რობერტ კოჭლამაზაშვილი – „საქართველოს სოფელში სასაქონლო ურთიერთობის ისტორიიდან“.

2. გაზეთი „ერობა“ 1920 წლის ოქტომბერი.

ური, მხოლოდ ქალაქზე დაფიქსირებული დამოუკიდებლობა, ამას აჩვენებს პრაქტიკა.

ჩემი აზრით და სავალალოდ, ამ ბოლო ხანებში შეფასებებში დამკვიდრებადი მიკერძოებითი ტენდენციების მიუხედავად, მენშევიკურმა, იგივე მარქსისტური მიმართულების ხელისუფლებამ, ამის გაკეთება ვერ შეძლო.

პერმანენტულ საუბარს მარტო იმაზე, რომ აქ ცალმხრივად, მხოლოდ რუსეთის ფაქტორი, მისი აგრესიული განწყობა ზემოქმედებდა, ყური შეეჩვია და მტკიცებულებებიც შედარებით ნაკლებ დამაჯერებელ ხასიათს იძენს. რეალობაში ეს შეიძლება რამდენადმე ასე იყო, მაგრამ პროცესი უფრო დაფიქრებულ განსჯას ითხოვს და ეს უნდა მოხდეს არა იმისდამიხედვით თუ რომელ ქვეყანასთან, დღევანდელ ეტაპზე უფრო დალაგებული სიტუაცია ან უფრო კეთილგანწყობითი ურთიერთობა გვაქვს, არამედ იმ დროისათვის არსებული ქვეყნის შიგა და გარე რეალობების შეჯერებით, თავისი მიზეზშედეგობრივი კავშირებით. ამ პროცესებიდან რატომღაც ბევრი რამ ჩრდილშია მოქცეული, დაწყებული ქართული მენშევიკური ხელისუფლების მიერ, მართვაში დაშვებული საკმაოდ საფუძვლიანი შეცდომებიდან, ქართული სახელმწიფოს მისამართით „ჩვენი ძმების“ სომხების მიერ განხორციელებული საომარი მოქმედებითა და მაშინდელი (და ადრინდელისაც) თურქეთის პროგრესულად წარმოჩინების მცდელობით. რომ მას მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობანი გააჩნდა, რომ გერმანია-ინგლისის ზრახვებიც 1918-1920 წლებში საქართველოსთან დამოკიდებულებაში იყო მხოლოდ საქართველოსათვის კეთილის ქმნა, თანაც უანგაროდ, რომ მათში სათავისოდ განზრახვის ნიშანწყალიც არ არსებობდა და ა. შ. საკმაოდ მომაბეზრებელი ხდება რეალურ მოვლენათა არ დანახვა. გამუდმებულად მტრის ხატის ძებნა და დაშვებულ შეცდომათა შეუფასებლობა. რასაც თან სდევს ასევე გამუდმებული მტკიცებულებები იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის უშეცდომონი, მედგარნი და ბრძენნი ვართ. ამის გამოც ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად იშვერენ ხელს, რომ თუ რაიმე ცუდი და შეუსაბამო ხდება ქართულ სივრცეში, ეს აუცილებლად ხდება ქვეყნის გარეშე ძალების, მესამე ძალისა და ა. შ. მეშვეობით. სამწუხაროდ, გვიჭირს დაშვებულ შეცდომათა გაცნობიერება და მისი აღიარება. ეს პროცესი ლამის ქრონიკულ დაავადებამდე მიდის. ცხადია, გარეხელშემშლელი ფაქტორებიც ჭარბად არსებობენ, მაგრამ „ქვეყნის მმართველი ელიტის, პოლიტიკოსისა და პოლიტიკოსთა სიბრძნეც იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ პროცესი განსჭვრიტო და არეგულირო. თორემ მიუხედავად ცივილიზირებულობისა, მსოფლიო დომინანტი ქვეყნები ისე არ გაკეთილშობილებულან, რომ ხელსაყრელი მომენტები თავიანთ სასარგებლოდ არ გამოიყენონ. მითუმეტეს ისეთები, რომლებიც გეოპოლიტიკურ პრეტენზიებს აცხადებენ. ეს ასე იყო ადრეც, ასეა დღესაც და მისი შეცვლის პერსპექტივა ჯერჯერობით ჰორიზონტზეც არ ჩანს.“¹ ამიტომაც, ამ ფოკუსში უცვლელად გამოიყურება არისტოტელეს შეგონება: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“.

ჩემი აზრით, მენშევიკურ ხელისუფლებასაც, იმ გართულებულ სიტუაციებში, საფუძვლიანად ევალებოდა მოვლენათა წინჭვრეტაც და სხვათა მოიმედების პოზიციების დაგინყებაც. უდავოა, საუკუნის გადასახედიდან ასეთი შეფასება შეიძლება ცოტა მსუბუქად გამოიყურებოდეს, მაგრამ რეალობათა იგნორირება მიმართა გაუმართლებლად. რადგან წარსულს ვერ შეცვლი, ხალხმა უნდა იცოდეს რეალობა, რომ სიფხიზლე და წინგაჭვრეტილობა არ დაკარგოს. სხვათაშორის, ზემოთ ნათქვამი აერთიანებს ფაქტორთა ისეთ ნყებას რომელმაც კონკრეტულად მოახდინა ზეგავლენა ჩვენს სამშობლოზე, მთლიანად, ცხადია მის პერიფერიებზეც.

აქედან გამომდინარე საინტერესოდ ჩანს კითხვათა ნყებაც:

... საერთოდ და სოციალ-დემოკრატიული (ამ შემთხვევაში მენშევიკური) იდეოლოგიიდან გამომდინარე, რომლის ღრმა დამცველებიც მენშევიკები იყვნენ, მოიაზრებდნენ თუ არა ისინი საქართველოს რუსეთთან და განიხილავდნენ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობას გარკვეულ ეტაპამდე რუსეთისაგან დისტანცირებულად.

– სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიიდან გამომდინარე, რომლის არც თუ ურიგო თეო-

1. ო. კაპანაძე – „ვანი-ქრონიკები რაიონის ცხოვრებიდან“ გვ.199

რეტიკოს-ლიდერები გააჩნდა მენშევიკურ ხელისუფლებას, რომელ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ წყობას აღიარებდნენ ისინი დომინანტად ქართული სახელმწიფოსათვის.

– რა ამბიციები იჯდა თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებში და აცნობიერებდა თუ არა ხელისუფლება როდესაც თურქეთი თავგამოდებით მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას და პარალელურად, დაუფარავად ანხორციელებდა მენშევიკურ ხელისუფლებაზე ზენოლასაც და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებასაც.

თურქეთის მოკავშირე გერმანია, საქართველოსთან დამოკიდებულებაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად ათამაშებდა თუ არა თურქულ კოზირს.

– ვაღიარებთ თუ არა, რომ თურქეთი ინტერესი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით განპირობებული იყო იმ ჩანაფიქრებით, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ კეთილი ნების გამოვლინებად ვერ შეფასდება. აქედან:

ა – იჯდა თუ არა თურქეთის ინტერესებში რუსეთის იმპერიასთან კავკასიისათვის გამუდმებული ომების შედეგად დანგრეული სტატუსკოს აღდგენა, რომელსაც მოჰყვა თურქეთი მიერ საქართველოსაგან მიტაცებული მიწების, იმპერიის ფარგლებში, მაგრამ საქართველოსათვის დაბრუნება, რაც წარმოადგენდა შემაშფოთებელ დარტყმას თურქეთისათვის, რომლის გამოც მან პოზიციები კავკასიაში და არა მარტო კავკასიაში დაკარგა.

ბ – რომ, თავის დროზე საომარი მოქმედებებიდან დამდგარ შედეგებზე გაფორმებული ხელშეკრულებები, საქართველოსთან მიმართებაში ბლოკავდა თურქულ სარეგანმო განწყობილებას, რადგანაც ასეთი ქმედება აუცილებლად გამოიწვევდა თურქეთს საომარ შეჯახებას რუსეთის იმპერიასთან.

გ – რომ, დიდი დაკვირვების გარეშეც ცხადია, დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველო ავტომატურად ტოვებდა მითითებულ ხელშეკრულებათა შედეგად ჩამოყალიბებულ ფაქტიურ და იურიდიულ ჩარჩოებს, რადგან ყველა ხელშეკრულება გაფორმებული იყო რუსეთის იმპერიასთან და მითითებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე თურქეთი ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ ამ უკანასკნელთან.

დ – რომ, ამის შემდეგ რუსეთსაც ავტომატურად ეხსნებოდა მითითებულ ხელშეკრულებათა დაცვაზე პასუხისმგებლობა, რომელიც მიუხედავად იმისა, ფაქტორთა გამო დასუსტებული ქვეყანა იყო, კვლავ რჩებოდა ანგარიშგასანევ ძალად.

არ უნდა იყოს ძნელი გასაგები, რომ ამდგვარი სცენარით თურქეთს აშკარად ეხსნებოდა გზა რევანშისა და საქართველოს მიმართ ახალი აგრესიის განხორციელებისათვის. იმ ტერიტორიალური სივრცის დასაბრუნებლად, რომელიც მან თავის დროზე ქართულ სახელმწიფოს წაგლიჯა და თავისადაც მიაჩნდა.

ამიტომაც, ჩათვალეს რა ეს გზა გახსნილად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, თითქმის ერთი კვირის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორია 10000 კვადრატული კილომეტრითა და 350000 მცხოვრებით კვლავ თურქეთს ანექსიის ქვეშ მოექცა.¹ საქართველოს ხელისუფლება იძულებული შეიქმნა დათანხმებოდა თურქეთს მიერ დამატებით წამოყენებულ სხვა პრეტენზიებსაც.

ჩემი აზრით, ობიექტურობა ითხოვს ითქვას: განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე აქცენტების გადატანა მხოლოდ ბრესტის 1918 წლის მარტის ხელშეკრულებაზე, რომელსაც საქართველოსათვისაც მოჰყვა არასასურველი შედეგები, ობიექტურად საჭიროებს დანახვას.

მისასალმებელია, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ქართულ-თურქულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა შედარებითი გაკეთილშობილება, რადგან – „ისტორიაში არ არსებობენ არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მოყვრები.“² მაგრამ ფაქტი წარსულის ისტორიას თავისი რეალობებით ვერ ცვლის.

რაც შეეხება, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს და მისი მოქმედების განზომილებებს,

1. მონაცემები აღებულია – „საქართველოს ისტორიიდან“ – ავტორთა კოლექტივი ი. კაჭარავას რედაქციით.

2. ეს ფორმულირება ეკუთვნის ბისმარკს.

სწორედ, ამ პროცესებთან დამოკიდებულებებსა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან გადადგმული ნაბიჯები აჩენს არაერთ კითხვის ნიშანს. ქართული ე. წ. სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური ხელისუფლების მისამართით, როგორც ქვეყნის მმართველსა და პატრონზე, რომელზედაც ისტორიით ჩამოყალიბებული პასუხები მათზე მთლად დადებით განწყობებს ვერ ქმნის.

1 – ქართულ დელეგაციას, როგორც რუსეთის ფედერაციისაგან დისტანცირებულ, თითქმის სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლობას, მიუხედავად მიწვევისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია, სადაც მას საშუალება გაუჩნდებოდა ქართულ ინტერესთა დაცვისათვის და იქვე მსოფლიოს წინაშე დაეფიქსირებინა ზავის პირობების მიუღებლობა. ამას ექნებოდა უაღრესად საფუძვლიანი მნიშვნელობა, მათ შორის საქართველოს იმ ტერიტორიებზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებაც, რომლითაც თურქული მხარე ამზადებდა წინაპირობას ამ მიწების თურქეთის ტერიტორიულ სივრცეში მოქცევისათვის.

„1918 წლის გაზაფხულზე გერმანელების მიერ რუსი ბოლშევიკებისათვის თავსმოხვეული ბრესტ ლიტოვსკის ზავის დადებისას ჩვენი ხელისუფალნიც მიიწვიეს ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ მათ გამგზავრებაზე უარი განაცხადეს იმ საბაბით ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. არადა, სწორედ, ამ საბაბით უნდა მიეღოთ მიწვევა თუ საქართველოს ინტერესებზე საუბარი სურდათ“ – ეს ციტატა, რომელიც მე აქ მოვიყვანე, ჩემი აზრის განსამტკიცებლად არ ეკუთვნის რომელიმე საბჭოთა დროინდელ ისტორიკოსს, ეს შეფასება ეკუთვნის გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომელიც რუსეთის XI არმიისა და სხვა ძალთა წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანიას დროინდელ შეიარაღებულ ძალებს და წარმოადგენდა ქართული შეიარაღებული ძალებისა და ფრონტის სარდალს.

2 – ზავის პირობები იყო მძიმე, მაგრამ გამომდინარეობდა არსებული სიტუაციიდან, რადგანაც, ჯერჯერობით გამარჯვებული მხარეები: გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთისა და თურქეთის სამხედრო ბლოკის წარმომადგენლობა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე კარნახობდა პრიორიტეტებს.

3 – ზავის პირობები იყო მძიმე რუსეთისთვისაც, როგორც მხარისათვის, რომელიც სიტუაციათა გამო საომარი მოქმედებებიდან ნაადრევად გაეთიშა თავის მოკავშირეებს. ასეთი ქვეყნები უდიდეს შემთხვევებში განიხილებიან, როგორც დამარცხებულნი და უწევთ გამარჯვებული მხარის ინტერესთა აღსრულება. რუსეთმა ამ ზავის პირობებით წააგო დიპლომატიურადაც, პოლიტიკურადაც, დაეკისრა სოლიდური კონტრიბუციის გადახდაც, ამასთან ერთად, კონკრეტულ შემთხვევაში თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი ნახევარმილიონიანი საჯარისო კონტინგენტის დისლოკაციის ადგილებიდან გაყვანაც (ეს საჯარისო ნაწილები განლაგებულნი იყვნენ საქართველოს სამხრეთის საზღვრებზე) და როგორც რუსეთის იმპერიის მემკვიდრეს, სხვადასხვა ფორმით მოუწია მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე ტერიტორიის დათმობაც, მასზე გავლენის დაკარგავც.

– მოლაპარაკებას ჰქონდა კონკრეტული მიზანიც რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური შეხედულებიდან გამომდინარე. ამ მხრივ მან შეძლო პოზიციების შენარჩუნება.

4 – როგორც ითქვა კავკასიასთან და აქედან საქართველოსთან მიმართებაში ხსენებული სამხედრო ბლოკის ორ მძლავრ ქვეყანას გერმანია-თურქეთს გააჩნდათ მუდმივი და კონკრეტული ინტერესები. თურქეთს-სათავისო, ქართულ-სომხურ სახელმწიფოებთან, მისი ინტერესები სწვდებოდა ჩრდილო კავკასიასაც. გერმანიას, ასევე შედარებით გლობალურ ინტერესთა ხედვები, როგორც ქართულ, ასევე მთლიანად ამიერკავკასიის ქვეყნების მისამართით და იგი ამ სფეროში, იმ დროს გაბედულად იყენებდა და ათამაშებდა თავისი სატელიტის-თურქულ კოზირს. თუ ამ პროცესს შედარებით ღრმად შევხედავთ, გერმანია იმ სიტუაციებში და იმ დროს არასდროს არ ყოფილა გულწრფელი მოკავშირე ქართული ქვეყნისა, როგორც ამის დახატვას ვცდილობთ. რაც კეთდებოდა, კეთდებოდა უპირველესად გერმანული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესებისათვის, რომელიც მარტო კავკასიით არ შემოიფარგლებოდა, მიზანი წვდებოდა შუააზიის სახელმწიფოებსა და მიემართებოდა ინდოეთისაკენ.

5 – 1917 წლის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიის დაშლიდან და საომარი მოქმედებებისაგან რუსეთის გათიშვიდან გამომდინარე, თურქეთი დარწმუნდა, რომ საქართველოსთან მიმართებაში მისი მიზნების აღსრულება შეიძლებოდა, მისთვის საამისო დრო დადგა.

6 – ამიერკავკასიის კომისარიატში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკაში (შექმნა 1918 წლის 27 აპრილს) შემავალ ქვეყნებს, კონკრეტულად საქართველოსა და სომხეთს, თავდაცვისა და თურქეთისათვის წინააღმდეგობის განევის საშუალებანი და უნარი რეალურად არ გააჩნდათ. პროცესებს დაემთხვა ამიერკავკასიის სეიმში შემავალ მხარეთა შორის (საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი) ინტერესთა კონფლიქტის გაჩენაც, სეპარატიზაციის ნიშნებიც.

ცხადია, აქ საუბრის თემა არაა – ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის ხელშეკრულების დეტალიზება,¹ რომლის ძალითაც განხორციელებული „მსხვერპლთშენირვისა“ და სხვა ქვეყნებით მანიპულირების ხარჯზე რამდენადმე შესაძლებელი გახდა რუსეთის რევოლუციური მონაპოვრის გადარჩენა, მაგრამ პოლიტიკური დიპლომატიისათვის უცხო არ არის ანალოგიური თამაშების განხორციელება. თუმცა ამან გავლენა მოახდინა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და ამაში თავისი წილი უნდა დაედოს საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებასაც.

ამიტომაც საუბრები იმაზე, რომ ბრესტის მოლაპარაკებების შედეგად (რუსებმა) თითქოს თურქეთს აჩუქეს სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიები, რეალობაში მთლად ასე არ ჩანს. ამიტომაც, ჩემი აზრით, ალბათ ითხოვს უფრო დაკვირვებულ ნაკითხვას ხსენებული ხელშეკრულების მეოთხე პუნქტი – „არტაანის, ყარსისა და ბათომის ოლქები დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდნენ რუსის ჯარისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების საერთაშორისო პოლიტიკური დამოუკიდებლობის საქმეში, მაგრამ მ ი ა ნ დ ო ბ ს ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ პოლიტიკური წყობილების დამყარებას მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ ოსმალეთთან შეთანხმებით.“

ვფიქრობთ, ფორმულირება „კერძოდ ოსმალეთთან შეთანხმებით“ მთლიანობაში არ ნიშნავს მხოლოდ ოსმალეთთან. წინადადებაში კარგად იკითხება სიტყვები „მეზობელ სახელმწიფოებთან“, რაც, მხოლოდ ან მარტო ოსმალეთს არ უნდა ნიშნავდეს. ამ მუხლის მესამე აბზაცი უფრო დაკონკრეტებული და ხაზგასმულია. – „არტაანის, ყარსისა და ბათომის ოლქები დაუყოვნებლივ დაცლილი იქნება რუსის ჯარისაგან. რუსეთი ამ ოლქების სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ახალ უფლებრივ განსაზღვრაში კი არ ჩაერევა, არამედ თ ვ ი თ ამ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა ქ მ ე დ ხ დ ი ს ე ს ა ხ ა ლ ი ს ტ ა ტ უ ს ი მ ე ზ ო ბ ე ლ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ თ ა ნ შე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ გ ა ა ტ ა რ ო ნ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი .“² მოყვანილი ფორმულირებებიდან გამომდინარე არაერთ მტკივნეულ კითხვაზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, მაგრამ, რადგან საკითხის დეტალიზება ჩვენი საუბრის თემას არ წარმოადგენს, მხოლოდ დამატებით რამდენიმე მომენტზე შევჩერდეთ და შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენს განსახილველ თემატიკას.

1 – ფორმულირებებით არ ფიქსირდება, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ თურქეთთან შეთანხმებით ან თურქეთის კარნახით. პირიქით, „თვით მოსახლეობის საქმედ ხდის ეს ახალი სტატუსი მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით გაატარონ ცხოვრებაში.“ როგორც აღინიშნა მეზობელ სახელმწიფოებს არ წარმოადგენდა მხოლოდ თურქეთი, თორემ ჩაინერებოდა მეზობელ სახელმწიფოსთან – თურქეთთან.

2 – მეზობელ სახელმწიფოებში რუსეთი დროთა ინტერვალში ცხადია შეფარულად მაინც, მოიაზრებდა საკუთარ თავსაც, რადგანც იგი ტერიტორიულად ვერ გადაადგილდებოდა და კვლავ რჩებოდა საქართველოს, მისი მთლიანი ტერიტორიული სივრცის მეზობლად. ამდენად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მისი ამბიციების გაცხადებაც თუ შესაფერისი მომენტი

1. შეგიძლიათ იხილოთ Брестский Мир-1928 წლის გამოცემა

2. ციტირება გამოყენებულია მიხეილ რეხვიაშვილისა და ნუგზარ რეხვიაშვილის წიგნიდან „საქართველოს ისტორია“ გვ.956-957

დადგებოდა. ამაზე ობივატელს შეეძლო არ ეფიქრა. ამიტომაც ტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ფორმულირება „მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით.“ პლუს, „თვით ამ მოსახლეობის საქმედ ხდის“ ე. ი. თუ როგორ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ წყობას დაუჭირონ მხარი.

რუსეთისათვის საზავო მოლაპარაკებათა პროცესში დათმობაზე წასვლა იყო იძულებითიც. ამდენად ხსენებული ფორმულირებაც ბევრის მიმანიშნებელია და ჰგავს კავკასიისათვის ბრძოლების სანყის ეტაპზე რუსეთ-თურქეთის ერთ-ერთი ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომლითაც საკითხი ეხებოდა თურქთა მიერ საქართველოსაგან მიტაცებულ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ნაწილს.

მაშინაც ამ ხელშეკრულებაში ჩაიწერა დიპლომატიისათვის ცნობილი ორმაგი ფორმულირება: რომ ტერიტორიის საკითხი მომავალში უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ ვისაც ის „ძველთაგანვე მიეკუთვნებოდა.“

თურქებმა ჩათვალეს, რომ ეს ტერიტორიები ძველთაგანვე იყო მათი კუთვნილება, ხოლო, როდესაც რუსეთმა XIX საუკუნის მთელს პერიმეტრზე მაქსიმალურად შეარყია თურქეთის იმპერიის ძლიერება, დადგა ზემოთ ხსენებული ტერიტორიების საქართველოსათვის (რა თქმა უნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) დაბრუნების საკითხი. ისტორიული დოკუმენტების ანალიზით აღმოჩნდა, რომ ტერიტორიები ძველთაგანვე განეკუთვნებოდა ერთიან საქართველოს და რუსეთმა ასევე მყარად შესძლო დაფიქსირებული ორმაგი ფორმულირების გამოყენება, ამოქმედებაც და როგორც პროფესორი იასე ცინცაძე დაასკვნის – თურქეთი რუსეთის დიპლომატიასთან ჭიდილში კიდევ ერთხელ სამარცხვინოდ წაიქცა მოლაპარაკების მაგიდასთან.

ასე, რომ სხვა საკითხია ბრესტის ზავის მითითებული პუნქტების გამოყენება, როგორ შესძლეს თურქებმა და სათავისოდ ეს გააკეთეს ყველა ხერხის გამოყენებით, მაგრამ ასევე სხვა საკითხია, რამდენად აქტიურად იბრძოლა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დაეცვა ამ ოლქების მცხოვრებთა ინტერესები და ტერიტორიებიც ერთიანი საქართველოს ფარგლებში, რომელზედაც იგი მოვალე იყო.

და კიდევ ერთი ციტირება ისევ გენერალ გიორგი კვინიტაძისგან „საერთოდ ჩვენი მთავრობა ძალიან თავჯარიანად ექცეოდა ძველ ქართულ მიწას. ზაქათალა აზერბაიჯანს გადასცეს. არდაგანი – ძველი ქართული მიწა, რომელიც 1919 წელს, ახალციხე ახალქალაქის აჯანყების შემდეგ დავუბრუნეთ საქართველოს სომხებს, არდაგანი გახლდათ მაჰმადიანი ქართველებითა და რუსებით დასახლებული ოლქი და სომხებს არავითარი უფლება არ გააჩნდათ ამ მიწაზე... იქ სულ რამდენიმე სომხური ფარდული იდგა.

რაკილა სომხეთი ყალიბდებოდა (ე.ი. როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო – რედ.) შეიძლება მათთვის შეგვეთავაზებინა, რომ სომხები ამ ოლქიდან საკუთარ ქვეყანაში გადაესახლებინათ. ქართველთა კუთვნილი მიწა არ უნდა გადაგვეცა და სადავო არ უნდა გაგვეხადა.

...ჩვენი მთავრობა სახელმწიფო ინტერესებს არად დაგიდევდათ და ისე არიგებდა ჩვენს ოლქებს, როგორც არიგებს თავის ქონებას კაცი, რომელმაც მოულოდნელად უზარმაზარი მემკვიდრეობა მიიღო და ყველას უწილადებს ვინც მარჯვედ სთხოვს საჩუქარს“.¹

ყოველ შემთხვევაში საკითხზე ზრუნვა მენშევიკური ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ვალდებულებების, ღირსების საკითხი იყო და სიტუაციას დიდად არ ცვლის, რომ ბრესტის საზავო მოლაპარაკებისას და შემდგომ მოვლენათა განვითარების პროცესში, საქართველო ამიერკავკასიის კომისარიატის, შემდეგ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული გაერთიანების შემადგენელ ქვეყანას წარმოადგენდა. თუმცა ქართველთა და მისი მმართველი პარტიის, ელიტის, ლიდერობა აღიარებული იყო ამ ფარგლებშიც. აქ საუბარია მარტივ ლოგიკაზე – ევალება თუ არა ნებისმიერ ხელისუფლებას თავისი ქვეყნის ტერიტორიალური ხელშეუალობის დაცვა და რას აკეთებს ამისათვის.

რამდენადაც ვიცით საქართველოს ხელისუფლებამ ბრესტის საზავო პირობები არ სცნო.

¹ გენერალი გიორგი კვინიტაძე – მოგონებები, გვ.10-11.

თუმცა ეს თეორიული საკითხია. პრაქტიკამ აჩვენა სხვა რამ და მხოლოდ რამდენიმე მომენტი ამ პოზიციიდან. 1918 წლის მაისში ბათუმის საზავო კონფერენციაზე, უკვე, შთამბეჭდავად, შეცვლილ ვითარებაში ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელშიდაც საქართველოს დელეგაციაც შედიოდა, საერთო ხელმძღვანელიც მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი ჩხენკელი იყო. აღიარეს, რომ ბრეს-ლიტოვსკის საზავო პირობებს იზიარებს და დააყენა საკითხი ზავის პირობებიდან გამომდინარე მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ. პრაქტიკულად ასეთი ქმედება დიდად არ განსხვავდება ბრესტის საზავო პირობების ცნობა-აღიარებისაგან. **ცოტა უფრო ადრე 1918 წლის 23 მარტს (ბრესტის ზავიდან 20 დღის შემდეგ) ტრაპზონის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, მენშევიკ ლიდერთა უფლებამოსილებით ჩხენკელი აკეთებს განცხადებას, რომ ამიერკავკასიის მთავრობა თანახმაა თურქეთს დაუთმოს: ოლთისის ოლქი მთლიანად, არდაგანის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.** ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა ვისი ტერიტორიალური საკუთრება იყო ჩამოთვლილი ოლქები. არც ისაა რთულად მისახვედრი ასეთი ქმედება დიდად განსხვავდება თუ არა კაპიტულაციისაგან, მაგრამ მასთან ძალიან ახლოსაც, რომ დგას დავას არ უნდა იწვევდეს.

პოლიტიკისათვის ბევრს არ ნიშნავს ეს აღიარება იძულებითი იყო თუ არა. ან იმის გავლენა იყო თუ არა, რომ ამიერკავკასიის კონფედერაციის სამივე ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ურთიერთობებში ინტერესთა მიმართებაშიც ჩანდა სეპარატიზაციის ნიშნები. აქ მთავარია, რომ საქართველოსთან დამოკიდებულებაში, ფაქტი ბრესტის საზავო პირობების გაზიარების (რაც დიდად არ განსხვავდება ცნობისაგან) შესახებ, ამიერკავკასიის წარმომადგენელთა, მათ შორის ქართული დელეგაციის მიერ დაფიქსირდა. ამ დათმობამ წარმოშვა კიდევ ახალი პრეტენზიები. საქართველოს ხელისუფლებასა და თურქეთს შორის 1918 წლის 4 ივნისის მოლაპარაკებით (აქ საუბარია უკვე დამოუკიდებლად აღიარებულ საქართველოზე), რომლის დროსაც გაფორმდა თურქეთ-საქართველო, სომხეთის ხელშეკრულება „მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ“ (ზემოდაც აღინიშნა) საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების თანხმობით „ოსმალეთს გადაეცა გარდა ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოლქებისა-ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც, აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით. გარდა ამისა, ოსმალეთს უფლება მიეცა საქართველოს რკინიგზით სარგებლობისა სამხედრო საჭიროებისათვის“¹. ამასთან: „მენშევიკურმა ხელისუფლებამ ივალდებულა მოეხდინა ქართული არმიის დემობილიზაცია, განეიარაღებინა სამხედრო გემები, გერმანიისა და თურქეთის სარდლობისათვის გადაეცა საქართველოს მთელი ტრანსპორტი, ნედლეულის ბაზები“²

მანამდე, 28 მაისს (ე. ი. 4 ივნისამდე) გერმანიამ სცნო 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლება და ფოთში გაფორმებული 6 ხელშეკრულებით სათავისოდ განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკური რესურსების ექსპლოატაციის მონოპოლიური საფუძვლებიც. ფოთის პორტი და რკინიგზა გადავიდა გერმანიის ჯარების სარდლობის განკარგულებაში. 10 ივნისს გერმანიის საჯარისო დანაყოფები – 5000 კაცი – შედის თბილისში. „ხოლო გერმანელთა გარნიზონები განლაგდნენ: ქუთაისში, გორში, სიღნაღში, სამტრედიიაში, ახალსენაკში, ოჩამჩირესა და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ფოთში განლაგებული ჯარების რიცხვმა მიაღწია 10000 კაცს. მთლიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩაყენებული იქნა სხვადასხვა საჯარისო სახეობათა შემადგენლობის 30000 მდე გერმანელი ჯარისკაცი... გერმანიის სამხედრო კონტროლს დაექვემდებარა საქართველოს ფოსტა, ტელეგრაფი, ბანკი და სამხედრო ფინანსური უწყებანი... 12 ივლისის ხელშეკრულებით გერმანიამ მიიღო ჭიათურის მარგანეცის ექსპლოატაციის უფლება 30 წლით, ფოთის პორტისა 60 წლით, შორაპან-ჭიათურა-საჩხერის რკინიგზისა 40 წლით“³.

1. „მიხეილ რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი – საქართველოს ისტორია“ გვ.968
 2. „საქართველოს ისტორია“ –ავტორთა კოლექტივი – ი. კაჭარავას რედაქციით გვ. 171
 3. Гажданская война и военная интервенция в ссср _ энциклопедия გვ.73-146

დაახლოებით ასეთი იყო თურქეთის მოკავშირე გერმანიის „უანგარო მეგობრული“ დახმარება საქართველოსადმი, რომელიც ძალიან ჰგავს ქვეყნის ოკუპაციას. როდესაც 1918 წლის ნოემბერში რუსეთის ფედერაციამ მოახდინა ბრესტის საზავო პირობათა დენონსაცია და იურდიულ და პრაქტიკულ ასპექტში გაჩნდა ახალი გარემოება საქართველოსთან მიმართებაშიც, განსაკუთრებულად იმ ტერიტორიებთან, რომლებიც დღეს თურქეთის გავლენის ქვეშაა, მდგომარეობა დარჩა უცვლელად. რაც ჩემი აზრით, ასევე იმ დროინდელი საქართველოს ხელისუფლების რეაგირების საგანი უნდა გამხდარიყო.

ის, რომ ჩამოთვლილ ტერიტორიათა ნაწილი შემდგომში განვითარებულ მოვლენათა შედეგად კვლავ მოექცა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ, დიდებული რამაა, მაგრამ ეს მოხდა არა უშუალოდ მენშევიკური ხელისუფლების ძალისხმევით.

თუ ვიმსჯელებთ პრაქტიკულ ასპექტში, ზემოთ მითითებული ტერიტორიები ხსენებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, საქართველოს მამინდელმა ხელისუფლებამ დათმო, თუ შევარბილებთ და არ ვიხმართ სიტყვა დაკარგვას, რითაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფუძველი გვარიანად შეერყა.

1918 წელს პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად გერმანიამ დასტოვა საქართველო და საქართველოს მთავრობის მოწვევით იგი შეცვალა ინგლისმა. როგორადაც არ უნდა შევალამაზოთ გამოთქმა, საქართველო, რომ გამარჯვებული ინგლისის საჯარისო ნაწილების განლაგების ზონად იქცა და მასზე ინგლისის მანდატი გავრცელდა, ეს ცხადია ისე, როგორც საქართველო და ამიერკავკასია რეალურად იჯდა ინგლისელთა პოლიტიკური ინტერესების სფეროში. არაა საჭირო საუბრის გაგრძელება ამის შემდგომ პროცესებსა და მოქმედებებზე. ამიტომ, ეს პროცესები არც ისე მარტივი სატრიალებელია, როგორადაც მას დღევანდლობაში აყდერებენ. საჭიროებს შესწავლილის გამომზეურებას, ხოლო არშესწავლილის შესწავლას და იქნება უაღრესად კარგი თუ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს ობიექტურობის დაცვით მიეცემათ ამის საშუალება და სალაპარაკოს მთლიანად არ გადაულოცავენ მედიასაშუალებებს და მათ უკან მდგომ ანგაჟირებულ ნაწილს. როგორც რიგითი მოქალაქე, დარწმუნებული ვარ, ასევე ობიექტურობის ატმოსფეროში, მათ ამის გაკეთება ხელენიფებათ. თუმცა, დღეისათვისაც ამ კუთხით ბევრი რამაა გაკეთებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელთაც მსჯელობისას, სამწუხაროდ ნაკლებად აქცევენ ყურადღებას.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება გაკეთდეს მარტივი დასკვნა: საკუთარ თავზე დაყრდნობა, საკუთარი ფესვების გამაგრება, სხვათა მოიმედების განდევნა არის ძირითადი ფაქტორი თვითმყოფადობისა. ხომ ცხადია, რომ რუსული მე-11 არმიის მოსალოდნელი შემოტევისას ინგლისელებმა ფორსირებულად მიატოვეს საქართველო და იგი მარტო შერჩა პირისპირ ამ საფრთხესაც და თურქეთიდან კვლავ მოსალოდნელი აგრესიის განახლებასაც.

ჩემი აზრით, მამინდელ ქართველ პოლიტიკოსთაგან ნაკლებად იქნა აწონილ-გათვალისწინებული, რომ ევროპული ქვეყნები საერთაშორისო სცენაზე თამაშობენ თავიანთი თამაშის წესებით. მოსალოდნელ მოვლენათა მიმართ არც თუ იშვიათად იჩენდნენ პოლიტიკურ სიყრუეს და უფრო ხშირად პატარა ქვეყნებისა და ერების მისამართით. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება და საქართველოსთან მიმართებაშიც ეს არაერთხელ დადასტურებულა დაწყებული სულხან-საბას ე.წ. დიპლომატიური მისიიდანაც, XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით და ა.შ. ამასვე მკაფიოდ ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან „საზღვარგარეთ, ემიგრაციაში მიმავალ საქართველოს პირველ ხელმძღვანელს ნოე ჟორდანიას, რომელსაც თავშესაფარს აძლევდა საფრანგეთის ხელისუფლება და საფრანგეთში ჩავიდა ფრანგი ელჩის შევალის თანხლებით, მიუხედავად ამისა ... – „სადგურზე მას ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრია. ეს უკვე ნიშნავდა, რომ საფრანგეთის მთავრობა ნოე ჟორდანიას იღებდა არა როგორც საქართველოს პრეზიდენტს, არამედ, როგორც კერძო პირს. ...ასეთივე გულგრილობა გამოხატეს ბელგიამ და ინგლისმაც, რომელთაც ცოტა ხნის შემდეგ მიმართა ნოე ჟორდანიამ ბრიუსელსა და ლონდონში ჩასვლისას... დამოუკიდებელი საქართველო უკვე

ალარც მათ აინტერესებდათ¹. ზემოთ ნათქვამიდან ევროპულ სახელმწიფოთა დამახასიათებელი ქცევის შესახებ არ შეიძლება არ სცოდნოდა ბატონ ნოე ჟორდანიას, ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ ანატომიაში ასე ღრმად ჩახედულ კაცს და თუ გნებავთ თავისი დროისა და მიმართულების არც თუ ცუდ თეორეტიკოსს. შემდგომი მოქმედებები უჩვენებს იმასაც, რომ, როგორც სჩანს, არც ერთი დონის ხელმძღვანელობას, მითუმეტეს ქვეყნის ხელისუფლებას, არა აქვს უფლება იფიქროს პოსტფაქტუმ. ფიქრი და განსჯა საჭიროა აქამდე. რბილად რომ ვთქვათ, 1917-1920 წლების საქართველოს ხელისუფლების რამდენადმე დაუდევრობას უნდა განეკუთვნოს საქართველოს ძირძველი ტერიტორიის საინგილოს გადასვლაც აზერბაიჯანელთა ხელში. სამწუხაროდ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლებაც აღიარებდა და ცნობდა ტერიტორიული მონყობის მოსახლეობის უმრავლესობის პრინციპით გადაწყვეტას, რომელიც განხორციელდა მაშინდელ საინგილოსთან დაკავშირებით. ტერიტორიული მონყობის ასეთნაირი გადაწყვეტა არ ჩანს უცხო ხილად იმ დროის ქართველ პარტიულ-პოლიტიკური ლიდერებისა და მოაზროვნეებისთვისაც. რადგანაც ამ პროცესამდე არც ისე დიდი ხნის წინ 1912 წელს, კიევის საიმპერიო საკრებულოზე, რომელსაც უნდა დაედგინა რუსეთის კოლონიურ ერთა მომავალი სავარაუდებელი საზღვრები, საქართველოდან მიწვეულმა დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ ორი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკები), ორი სოციალ ფედერალისტი, ხელი მოაწერა დადგენილებას „რომლის ძალითაც საინგილო მიაკუთვნეს სათათრეთს (ე. ი. აზერბაიჯანს), აფხაზეთი – რუსეთს, ახალიციხე – ახალქალაქი, თბილისს ნავთლულამდის – სომხეთს. ამ გაჩუქებული მიწების რუკა იქვე შეადგინეს და ეს რუკა თბილისში ჩამოიტანეს. აქაც მიწების დადგენის პრინციპები რეალური მოსახლეობის რეალობას ემყარებოდა და არა ისტორიულ სინამდვილეს². ცხადია, მომავალშიც გარდა საინგილოსთან შეხებისა, ეს ასე არ განხორციელდებულა, მაგრამ, როგორც ირკვევა ამდაგვარი, თითქმის პრაქტიკად ქცეული შეხედულებებიც ფეხმოკიდებული ჩანს მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებში და ასეთი შეხედულებისაგან არც მენშევიკთა ლიდერი ბატონი ნოე ჟორდანია ყოფილა დაზღვეული, რომ ამჯერად არ გავიხსენოთ მისი მოსაზრებანი ანალოგიურ პროცესებთან დაკავშირებით.³

ზემოთ მოყვანილ ფაქტთა შედარებითი ანალიზი და მსჯელობის ასეთი ფორმა არცერთი წუთით არ ნიშნავს და მიზნად არ ისახავს იმის თქმას, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება არ უნდა მომხდარიყო, პირიქით, ეს იყო განუზომელი სიდიდის პოლიტიკური აქტი, გადაჯაჭვული ერის მარადიულ ოცნებასთან და არც არავის აქვს უფლება დააკნინოს მისი მნიშვნელობა. საუბარი მიდის მაშინდელი მმართველი გუნდის, პოლიტიკური ელიტის მიერ სამოღვაწეო პოლიტიკურ ასპარეზსა და მართვაში დაშვებულ უზუსტობებზე, ან შეცდომებზე, რომელიც გარეშე ფაქტორების ზემოქმედებასთან ერთად იქცა ბარიერად ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, და პროექტი ჩავარდა. „გუნდმა“ საერთო სახელმწიფოებრივი განზომილების მიხედვით ვერ მოახერხა საბოლოო და საფუძვლიანი შედეგების დადება, მათ შორის ვერც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. არამგონია ამ შეფასებაში გადაჭარბება იყოს.

...ერთი მართალია – აღნიშნავს უფრო მოგვიანებით მენშევიკური ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი, გრიგოლ ლორთქიფანიძე (ვანელი კაცი სოფელ დიხაშხოდან) – საქართველო იძულებული შეიქმნა იმ წამში და იმ ფორმით გამოეცხადებინა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა... თუმცა, დრო და ფორმა არ ცვლის თვით მოვლენის არსებობას. მაგრამ იმის გამო, რომ ეს იყო იძულება, სპონტანური და ა. შ. და ა. შ. საქართველოს სოციალ-დემოკრატია არ აღმოჩნდა მზად დამოუკიდებლობათა პროცესში სიტუაციათა მართვისა. ფიქრობდა ერთს, განახორციელა მეორე – სხვა ფორმით და მიმართულებით“⁴

საგულისხმო, მრავლის მთქმელი და მრავლის მომცველი აღიარებაა, თვითკრიტიკულიც,

1. ნ. ჟორდანია „რჩეული წაწერები“. აკადემიკოს გურამ შარაძის წინასიტყვაობა გვ. XXVI

2. მიხეილ რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი – „საქართველოს ისტორია“ გვ. 943

3. იხილეთ აკადემიკოს ლევან სანიკიძის 309 „ქართული სირცხვილი“

4. გრიგოლ ლორთქიფანიძე — ფიქრები საქართველოზე. გვ. 139

რომლის მსგავსსაც ზოგიერთი სხვა ლიდერის შეხედულებათა გაცნობისას თითქმის ვერ შეხვდებით, მაგრამ ფართოდ იხილავთ მომხდარ ფაქტთა გამართლების ასევე ევროპული მოიმედობის პრინციპებზე დაფუძნებულ მოსაზრებებს, რომელიც საერთოდ არაპრაქტიკული ელფერის მატარებელია.

აღბათ იმის გამოც, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია არ აღმოჩნდა მზად დამოუკიდებლობის პროცესში სიტუაციითა მართვისა, 1924 წლის აჯანყების მზადების მომენტში, როდესაც საკითხი იხილებოდა გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების, ფორმირების შესახებ, საქართველოს ეროვნულ დემოკრატთა წარმომადგენლებმა სასტიკი წინააღმდეგობა გამოხატეს ხელისუფლებაში კვლავ მენშევიკთა მობრუნების თაობაზე და მათ ბრალად დასდეს ხელისუფლებაში ყოფნისას დაშვებული შეცდომებიც და მართვის უსუსურობაც.

და კიდევ ერთი რამ – ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ვერც იმ დროს და ვერც მაშინ, როდესაც 1924 წლის აჯანყებას გეგმავდა, ვერ გამოვიდა ევროქვეყნებისაგან გარდაუვალი დახმარების მოიმედობის ქრონიკული დაავადებისაგან. ეს იდეა დიდებული რამაა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში დაპირებები და რეალობანი მკაცრად დისტანცირებულნი აღმოჩნდნენ.

თუ არ მოვახდენთ ფაქტების ჰიპერბოლიზებას, არც პირველ მსოფლიო ომში მონაწილე და შემდგომში დამარცხებული გერმანიისა და გამარჯვებული ინგლისის საჯარისო ნაწილები-სათვის საქართველოს ტერიტორიის ბაზებად ქცევას ჩვენი ქვეყნისათვის დიდი შეღავათები არ მოჰყოლია. პირიქით, ამ მოქმედებამ დააჩქარა კიდევაც რუსეთისაგან კონტრმოქმედებაც და როდესაც საამისო დრო დადგა, მანაც არ დააყოვნა საქართველოს (მთლიანად კავკასიის) მისამართით აგრესიის განხორციელება.

ამდენად, ცალ-ცალკე და საერთოდ გერმანია-ინგლისის დეკლარირებული პოზიციები საქართველოს ხელშეუხებლობის მყარ გარანტიად ვერ იქცნენ და ეს დრომ ძალიან სწრაფად დაადასტურა. დრომ დაადასტურა ისიც, რომ ამ ქვეყნებს, როგორც მოკავშირეებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ საქართველოში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური ნგრევითი პროცესების შესაკავებლად. ამაზევე ამახვილებდა ყურადღებს გაზეთი „საქართველო“ 1919 წლის 28 მაისს როდესაც მიუთითებდა:

„ეკონომიკის, უფულობის, ვაჭრობა-მრეწველობის დაცემას ხელი შეუწყო მოკავშირეთა (ე. ი. გერმანია-ინგლისის) ჩუმი პოლიტიკის წარმოებამ, რამაც გამოიწვია საქართველოს ფაქტიური ოკუპაცია. შეიძლება საქართველოს ოკუპაციას მოკავშირეთათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის კი პირდაპირ გამანადგურებელი და დამღუპველი.“

არის სხვა ანალოგიური და მტიკინეული საკითხები, რომელთა შემოტანა და განხილვა ამ თხრობის მიზანს არ წარმოადგენს. მაგრამ დაუფარავად უნდა ითქვას ერთი რამ – მენშევიკური ხელისუფლების მოქმედებას დადებით ქულებს ვერ მატებს 1921 წლის მოვლენებიც, რომლის მოსალოდნელობაც ღია და დაუფარავ სიბრტყეზე იყო. წინ იყო აზერბაიჯან-სომხეთის მაგალითი და ამ მაგალითის შუქზე ნათლად ჩანდა, რომ საქართველოს საკითხი რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში უკვე დასმულიც და მოქმედების საბაბიც მონახული იყო. შეიძლება ეს იყო აღმატებული ძალა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებაც არ წარმოადგენდა მთლად არაქათგამოცლილ სუბიექტს. სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს ხელთ არსებული რესურსების, რეზერვებისა და შეიარაღების გამოყენება და თუ ჩავთვლით იმასაც, რომ გააჩნდათ იმ დროის სტრატეგიულ-ტაქტიკურ საომარ მოქმედებათა მცოდნე სამეთაურო კადრები, შეიძლებოდა მეტი სიმტკიცის გამოჩენაც.

ჩვენ კრებულ „მატიანეს“ ამავე ნომერში მკითხველისათვის ვაქვეყნებთ მენშევიკების ხელისუფლების ცნობილი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის მოგონებების გარკვეულ ნაწილს, ამ შემთხვევაში ვისარგებლებთ მხოლოდ მცირე ამონარიდით (ხოლო გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებების წინასიტყვაობა მკითხველს უკვე გავაცანით, „მატიანე“ №15).

„... შემდეგში, სავსებით დავრწმუნდი, მოგვითხრობს გენერალი მაზნიაშვილი, რომ, როგორც მომარაგების მინისტრმა ვრადიმ, ისე მთავარ საინტენდანტოს უფროსმა კ. გოგუამ არ იცოდნენ

რა ქონება ჰქონდათ, სად ჰქონდათ და მთავრობას და არმიის შტაბს ტყუილ ცნობებს აწვდიდნენ.¹

უკვე 1921 წლის მაისში საწყობებში დარჩენილი ტანსაცმლით – მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 000 კაცისგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა, ეს არ კმარა: საქართველოს საბჭოთა მთავრობა დღიდან ტფილისში შემოსვლისა ორი კვირის განმავლობაში ჰკვებავდა უფასოდ მთელი ქლავის მაცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან მაშინ, როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციის სახით ჰკრებდა დანჯღრეულ უნაგირებს ქუთაისში და სამტრედიაში, ნავთლულის საწყობებში იყო თურმე რამდენიმე ათასი საკავალერიო მრავალი მონყობილობა² (გიორგი მაზნიაშვილი – მოგონებები, გვე.170).

ერი ამყოფს თბილისის მისადგომებთან ჯერ კიდევ ბრძოლაში გამოუცდელი ჭაბუკი იუნკრების მამაცობით, რომლებიც სიცოცხლის ფასად ქვეყნის ღირსებასა და ხელშეუვალობას იცავდნენ, მაგრამ ვერავითარ საამაყო სურათს ვერ ჰქმნის ის, რომ ამ დროს ქვეყნის პირველ პირს, თავის თანაგუნდელებთან ერთად უკვე გეზი ალებული ჰქონდათ დასავლეთის ქვეყნებისათვის თავშესაფარებლად და თან მიჰქონდათ ქართველთა ეროვნული, ფასდაუდებელი განძი და არამარტო ხელოვნების შედეგების სახით... (საკმაო, გარკვეული რაოდენობის ოქროს მარაგიც). შეიძლება ვცდები შეფასებაში მაგრამ, ნებისმიერ სხვა მონესრიგებულ ქვეყანასა და სიტუაციაში ასეთ ურთულეს პირობებში ხელისუფლების ქვეყნიდან გასვლასა და თანაც ეროვნული საგანძურის გაყოლიებას, თუ რადიკალური ეპითეგით შეფასებას არ მისცემდნენ, შეუსაბამო მოქმედებად მაინც მიიჩნევდნენ, ხოლო ჩვენთან ამას კეთილი ნების აღსრულება და ერისათვის თავდადება ჰქვია, რომლის შედეგადაც ამ განძის ბედი არაერთხელ გახდა ბენჯზე გამოკიდებული.

ფასდაუდებელია ის, რომ დიდი მეცნიერი და ასევე უდიდესი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი იქცა ამ ღირსშესანიშნაობთა გადარჩენის უდიდეს პიროვნულ ფაქტორად. მითუმეტეს იმ დროს, როდესაც ემიგრაციაში მყოფ ქართველთა შორისაც თავი იჩინა ინტერესთა შეუთავსებლობამ და ტრადიციულმა შულღმაც, რომ არაფერი ვთქვათ გერმანულ საფრთხეზე.

რბილად რომ ვთქვათ, ვერ უშველიდა ამ განძის სამშობლოში დაბრუნებას დიდი პატრიოტის ექვთიმე თაყაიშვილის და ვერც ქართველ ემიგრანტთა „სახელმწიფოებრივ-საერთაშორისო ავტორიტეტი“, რომ საკითხის მოგვარების ინიციატივა საკუთარ თავზე არ აელო იმ პიროვნებას, რომლის რეჟიმის შიშითაც, როგორც დღეს, ობივაცელთათვის ვცდილობთ დახატვას, თითქოს ეს განძი ემიგრაციაში წამსვლელებმა „გაიყოლიეს“. თუმცა, იმ დროს სტალინური რეჟიმი ნამდვილად არ არსებობდა და ვერც იარსებებდა. ობიექტურობა ითხოვს ითქვას – ი. სტალინი იყო ის პიროვნება, რომლის საერთაშორისო ავტორიტეტმა და წონამ მითითებული, ეროვნული საუნჯე და სიმდიდრე დაუბრუნა საქართველოს. ამაზე არაერთი ოფიციალური დოკუმენტი არსებობს, ერთ-ერთი მათგანი და თითქმის პირველად სპეციალური რუბრიკით „დოკუმენტი ი მატერიალი“ 1966 წელს გამოაქვეყნა „სამხედრო ისტორიულმა ჟურნალმა“. იმ დროს, როდესაც სტალინის პიროვნების კულტზე საუბარი ჯერ კიდევ ზენიტში იყო. ეს იყო მოსკოვში სტალინისა და დე გოლის ერთ-ერთი შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერის სახით, რომელზედაც სტალინმა პირველად წამოსწია და ბოლომდეც მიიყვანა ამ განძის სამშობლოში დაბრუნების საკითხიც.

ცხადია, ამ სტრიქონების ავტორი არც ბრალმდებელია და ჭკუის დამრიგებლის ფუნქციიდანაც შორს დგას, მაგრამ, სამწუხაროდ, სიტუაციები და ვითარებანი აჩენენ ეჭვებს. ხოლო ეჭვებს ხშირად ბადებს არამყარი სიმართლე, ან ნახევრად სიმართლე, რომელსაც, ალბათ, ობიექტურობიდან განდეგილობა ჰქვია. მითუმეტეს, პერიოდს, რომელსაც ჩვენ შევხებით ან კიდევ შევხებით გარდასულია. ამიტომაც, თაობებს მართებთ საკითხთა პრაგმატული გაცნობიერება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ დღეს მსოფლიოში მოვლენები ასე სწრაფად იცვლებიან, გამორიცხული არაფერია. საკუთარი შეცდომების გაცნობიერება სერიოზულობის ერთ-ერთი ნიშანია, ასეთ შემ-

1. საუბარია იმ პროცესზე, როდესაც ბათუმის დაკავება განიზრახეს თურქებმა და მათი წარმომადგენელი ქიზიმ ბეი განუწყვეტელი ტყუილებით კვებავდა მენშევიკურ ხელისუფლებას.

2. აქ უკვე საუბარია 1921 წლის მაისზე, როდესაც ნოე ჟორდანიას ხელისუფლების ყოფილ მოქმედ გენერალთა და ბათუმის რევკომის თხოვნით გ. მაზნიაშვილი სათავეში ჩაუდგა ქართულ ჯარს თურქეთის შეიარაღებული ნაწილების წინააღმდეგ ბათუმისა და აჭარის თურქთაგან გასათავისუფლებლად.

თხვევაში ნაკლებად დაგვრჩება დრო საკუთარ გადაცდომათა სხვებზე გადაბრალებისათვის. თეზა „შეიცან თავი შენი“ – მუდმივ მოქმედია. არც ისეთი შთაბეჭდილება მინდა წარმოიქმნას, რომ მსჯელობის ფონზე გარე ძალების გამართლებას ვცდილობდე. ღმერთმა დამიფაროს. მათ თავი-ანთი ცოდვებიც ეყოფათ. მაგრამ, რა ბედნიერება იქნება მსოფლიოსა და კაცობრიობისათვის, რომ იმპერიები არ არსებობდნენ, ან მათი ქმედება პრაქტიკული კეთილშობილებით იყოს შემოსილი.

ასე, რომ კითხვები არის. მეც, როგორც ქართველი, ამ კითხვებს ვსვამ და თუ მას პასუხები სწორად და არა ცალმხრივად გაცემა მაშინ 1917-1920 წლების საქართველოს ხელისუფლების ჰიპერბოლიზების მცდელობას, რომელსაც დღეს აქვს ადგილი, ხიბლი რამდენადმე გაუფერ-მკრთალდება.

ამდენად: 1917-1920 წლები, ყველა განზომილების მიხედვით არის ურთულესი პერიოდი ჩვენი ქვეყნისათვის – შიგა და საგარეო ურთიერთობათა რყევებით, მართვაში დაშვებული შეცდომებით, მოვლენათა ელვისებური განვითარებით, აქედან გამომდინარე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შედეგად დამდგარი რეალობებით, მძაფრი ეკონომიკურ-სოციალური ნიუანსებით და იმითაც, რომ პროცესები ერთმანეთს გადაეჯაჭვა და განვითარდა უაღრესად ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, რაც იძულებულს ხდის ხელისუფლებას მთელს გლობალურ ფრონტზე, იმოქმედოს სპონტანურად, დაუშვას შეცდომებიც. მითუმეტეს მენშევიკური ხელისუფლებისა და მის თანამგრძობთა მსოფლმხედველობანი, როგორც ითქვა, გეზს იღებდნენ სულ სხვა მიმართულებით და განვითარდა სულ სხვა მხრივ. გადანყოფა ამ მომენტებში რთულია, მაგრამ ხელისუფლებაც იმიტომაც ხელისუფლება, ხალხისა და ქვეყნის წინამძღოლი, რომ ეს ბარიერები დაძლიოს, თანაც იმნაირად, რომ ქვეყანა განსაცდელის წინაშე არ დააყენოს. მაგრამ თუ წინმსწრებად შევხედავთ ამ ხელისუფლების ოთხწლიანი მმართველობის შედეგებს დავინახავთ ცენტრსა და პერიფერიებში მდგომარეობის არსებულ-თან შედარებით გაუარესებას, რის გამოც მოსალოდნელ პროცესთა დინება პროგრესირების თვალსაზრისით გარდა ზოგიერთ სფეროსა, უცვლელი დარჩა. მოვლენათა ტრიალში უშეცდომო ხელისუფალნი, ალბათ ბუნებაში, იშვიათად არსებობენ. სასურველი კი არის, ეს ასე არ იყოს, მაგრამ ასე მოკლე პერიოდში ამდენნაირი რყევებით განპირობებული არამყარი შედეგები გასაკვირი არ უნდა იყოს. გავიმეორებ: ხელისუფალთა შეცდომა ერს ძალიან ძვირად უჯდება, ზოგჯერ კატასტროფამდეც კი.

დავუბრუნდეთ ვანს.

საინტერესოა საკითხი თუ, როგორ და რა ძალებს ეყრდნობოდა „ვანში“ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება.

1. მეფის ხელისუფლების დამხობა გახდა განმაპირობებელი ფაქტორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ცვლისა და ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალების შემოსვლისა. აქედან, შესაბამისი ცვლილებებისაც ბაზისშიც და ზედნაშენურ სფეროშიც.

ადგილებზე ძალაუფლება გადავიდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ასე იყო საქართველოშიც, სადაც საბჭოებშიც ერთდროულად გაერთიანებულნი იყვნენ მენშევიკთა, ბოლშევიკთა, ჯარისკაცთა წარმომადგენლები.

1917 წლის 9 მარტს დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა „ოზაკომი“ (ოსობი ზაკავკაზსკიი კომიტეტი), რომელმაც შექმნა აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. საგუბერნიო და სამაზრო მმართველობებმა განიცადეს შესაბამისი ტრანსფორმაცია.

უფრო მოგვიანებით 1918 წლის 2 აგვისტოდან უქმდება ქუთაისის სამაზრო მმართველობა იმ სახითა და ფორმით, როგორსაც ის იქამდე წარმოადგენდა.

კონკრეტულ მოკლე პერიოდში უფლებები დაათმობინეს მუშათა და გლეხთა საბჭოებსაც, მათი საქმიანობა დაყვანილი იქნა ფიქციამდე. დაუტოვეს მხოლოდ ფორმალური კონტროლისა და პროპაგანდის წარმოების უფლება, რომელიც ასევე თანამიმდევრულად გადავიდა საერო თვითმმართველობების ხელში.

ვერც „ოზაკომმა“ და ამიერკავკასიის კოალიციურმა ხელისუფლებამ (ამიერკავკასიის კომისარიატი) ადმინისტრაციული მმართველობის სრული ცვლილება ვერ განახორციელა. „საქართველოში

მენშევიკურმა ხელისუფლებამ შემოიღო ორსაფეხურიანი ერობა სარაიონო და სამაზრო ერობები, საერობო თვითმმართველობებშიც მენშევიკები გაბატონდნენ... საქალაქო და საერობო თვითმმართველობები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საქმეებს. მათ ეკუთვნოდათ, როგორც განმკარგულებელი ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. თვითმმართველობის გამგეობის თავმჯდომარე ამავე დროს პოლიციის კომისარიც იყო და ამ ძალის შემწეობით მოჰყავდა სისრულეში ყოველგვარი დადგენილება¹. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ განხორციელებული აგრარული რეფორმის შემდეგ მიწა და მეურნეობა შეინარჩუნა კულაკობამ „სოფლის ბურჟუაზია კმაყოფილი იყო გატარებული რეფორმებით და მთავრობის პოლიტიკას იწონებდა“.

ზედმეტი მტკიცებულების გარეშეც მისახვედრია, ძირითადად და საერთოდ ვინ იქნებოდა „ვანის“ სოფლებში მენშევიკური ხელისუფლების საყრდენები. ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველობა პლუს წვრილი ბურჟუაზია. „რომ „ვანში“ ფონს ჰქმნიდა რაიონის მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, იგი წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის თავისებურ აკუმულატორს წარმოადგენდა, ამას ხელს უწყობდა ჩარჩ-ვაჭრები, მენშევიკების ტრადიციული გავლენა, მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა და გავლენიანი სასულიერო წოდება.“

2. დადგენილია „ვანის“ სოფლებსა და თვით სოფელ „ვანშიც“ („დღეს ქალაქი ვანი“) მენშევიკური ხელისუფლების მხარდამჭერი საზოგადოებების არსებობა. ბევრ მათგანში – „ვანში“, უხუთში, შუამთაში, მის ზოგიერთ აქტიურ წევრთა სახელითა და გვარებითაც კი. მათი აქტიურობა განსაკუთრებულად გამოკვეთილად უნდა მივიჩნიოთ 1918 წლის 19 ნოემბერს გამართული საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა (მენშევიკების) პარტიის ყრილობის შემდეგ. როგორც სჩანს ამ პერიოდიდან ეს საზოგადოებები აქტიურად შლიან საქმიანობას დასახლებული უბნების მიხედვით და ზოგიერთი სკოლის უფროს კლასელებშიც. ალბათ, ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ აქ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ (მენშევიკთა) რაიკომის ჩამოყალიბებაც და საკმაოდ მძლავრი ტობანიერის საზოგადოების შექმნაც. ყველა ამ ორგანიზაციამ და პირმა, მართალია არა მასიური სახით, მაგრამ გარკვეული როლი შეასრულა შემდეგში „ვანში“ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომენტში².

3. საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციისა და მისი თანმხლები პროცესების გავლენით „ვანის“ სოფლებში გამოიკვეთა მასების შესაბამისი აქტიურობა. თუმცა, რევოლუციის დამარცხების შემდეგ აქ ნაკლებად დასტურდება გურიის, ქუთაისის, იმერეთის, უძლიერესი რევკომების ინტენსიური ზემოქმედება. ამას თავისი მიზეზები გააჩნია და ამავე მიზეზებით მთლიანად საქართველოსა და მის პერიფერიებშიც და „ვანშიც“ მოქმედება დაღმავალი ხაზით წარიმართა. ამიტომაც 1912 წლამდე რევოლუციური მოძრაობის კვლავ გააქტიურებამდე და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე პროცესები შედარებით მშვიდ ფორმას ინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ, რაიმეგვარი ხელმოსაჭიდი მასალები ჯერ-ჯერობით მიკვლეული ვერ იქნა. ამის გამო აქ არ სჩანს სოციალ-დემოკრატიის არც ერთი ფრთის – მენშევიკების, ბოლშევიკების, ასევე ფედერალისტების, არც ეროვნულ-დემოკრატიების გაშლილი საქმიანობა. მაშინ როცა ჩამოთვლილ ყველა პარტიათა აქტიურობა „ვანში“ შესამჩნევი ხდება XX საუკუნის 20-იანი წლების მიჯნაზე. უნდა ითქვას, რომ მათ ამ დრომდე მოსახლეობაში მყარი საყრდენებიც არ ქონიათ.

როგორც დგინდება 20-იანი წლების მიჯნასთან, ქართული პოლიტპარტიების გააქტიურებიდან მათი საქმიანობა „ვანშიც“ გამოკვეთილად შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებულად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან და ხელისუფლებაში მენშევიკური პარტიის მადომინირებელი პოზიციის დაკავებიდან. აი, ამ დროიდან აქცენტები გადატანილია მოსახლეობის ნაწილზეც და „ვანის“ არამრავალრიცხოვან, მაგრამ უფროსი ასაკის მოსწავლეებზეც. განსაკუთრებულად ეს ხდება სოფელ „ვანის“ სკოლაში, „რომლის ზედა საფეხური საერო იყო,

1. ალ. ბენდიანიშვილი — რევოლუციის ნანამძღვრები საქართველოში გვ.197

2 ამ საკითხზე მასალები შეგიძლიათ იხილოთ კრებულ „მატიანეს“ №6.

3. ალ. მაღლაკელიძე - მოგონებები „კვალდაკვალ“

სადაც რელიგიური გავლენა ნაკლები იყო³. ამ სიტყვების ავტორი შემთხვევით არ აკეთებს ხაზგასმას რელიგიურ გავლენაზე. რადგან „ვანის“ ტეიტორიაზე მოქმედი სამრევლო სკოლები, სადაც პედაგოგთა ძირითად მასას ან ხელმძღვანელობას სასულიერო წოდებათა წარმომადგენლები შეადგენდნენ, შედარებით მოქცეულნი იყვნენ სწავლების სპეციფიურ ჩარჩოებში. მათი მოსწავლეთა ასაკიც არ იყო მომწიფებული იმისათვის კარგად გაეცნობიერებინათ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური ვითარებანი და დაბალი ფენების სოციალურ-ეკონომიკური უკიდურესობის გამომწვევი მიზეზები, ხოლო ზედა საფეხურების მოსწავლეებთან შედგენა იძლეოდა მათი ცნობიერების ფენომენის შედარებით იოლად დამუშავების საშუალებას და ის პოლიტიკური პარტიები, მათი წევრები, რომლებიც „ვანში“ აღნიშნული საქმით იყვნენ დაკავებულნი, ცდილობდნენ მათგან, ამ გზით მათი მშობლებიდანაც, მხარდაჭერის გარანტირებას. უპირატესად რა თქმა უნდა მენშევიკური პარტია, როგორც ფაქტიურად ქვეყნის ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობისას რიგ სხვა მასალებთან ერთად ვეყრდნობი და მხედველობაში ვიღებთ ალ. მაღლაკელიძის მოგონებებს „კვალდაკვალ“¹. ამ ადამიანს განვლილი აქვს გზა სწორედ „ვანში“, იგი წარმოადგენს XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისა და შემდგომში აქ განვითარებული მოვლენების აქტიურ მონაწილეს. გარკვეულ პერიოდში ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, ჩემი აზრით, აქვს მოვლენათა განვითარების მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნის და შეფასების უნარი და მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრება წარიმართა ისეთნაირად, „ვანში“ 1920 წლამდე განვითარებული მოვლენებისა და შემდეგ 1924 წლის აჯანყების აღწერასა და შეფასებაში შეეძლო შეეტანა ტენდენციური გადახრები, იგი დარჩა ობიექტურობის მხარეზე. ამაზე დასტურს იძლევა მისი მონათხრობის ფაქტებთან შეჯერებაც.

„1920 წლისათვის, აღნიშნავს იგი, „ვანის“ სკოლასთან არსებობდა ახალგაზრდული ორგანიზაციები. ყველაზე ძლიერი „ახალგაზრდა მაქსისტთა“ (ახალგაზრდა მენშევიკთა) ორგანიზაცია იყო. გარდა ამისა ძლიერნი იყვნენ „ახალგაზრდა ფედერალისტთა და ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციები“ ...დამახასიათებელია, რომ ყველა ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო პრივილეგიებული წრეების, თავადაზნაურთა, ვაჭრების, სასულიერო წოდების და ბოზოლა გლეხების შვილები. საშუალო და ღარიბი გლეხების შვილები აქ იშვიათად იყო და საერთოდ თვით სკოლაშიც ისინი ცოტანი იყვნენ².

...ჩვენამდე (ე. ი. მოსწავლე საშუალო და ღარიბ გლეხთა ბავშვებამდე) მოაღწია საშა წულუკიძის დევიზმა „იდეა გაიმარჯვებს“ ...ჩვენც მას დაფაზე ვწერდით, რითაც დანარჩენ ორგანიზაციათა რისხვას ვიმსახურებდით, რადგან იგი ბოლშევიკ წულუკიძის ლოზუნგი იყო. რაც ნიშნავდა, რომ ბოლშევიკური იდეა გაიმარჯვებს ...მიუხედავად ამისა საქრთველოს გასაბჭოებამდე ჩამოყალიბებული ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაცია „ვანში“ არ გვექონია“, რომ ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკის“ სახელწოდებით „ვანში“ შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველი დღეებიდანვე.

პირველი კომკავშირული უჯრედები, რომლებიც ქვედა „ვანსა“ და დიხაშხოში დაფუძნდა წარმოადგენდნენ ნამდვილ მებრძოლ ორგანიზაციებს და ამის ბაზაზე შეიქმნა „ვანის“ ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციაო – აღნიშნავს ალ. მაღლაკელიძე. იმავე მოსაზრებებს იზიარებდნენ პოლკოვნიკები ანანია ნიკოლეიშვილი და ლადო დვალიც. დადასტურებულია, რომ „ვანში“ ამ ორგანიზაციას ჰყავდა აქტიურად გამოკვეთილი ახალგაზრდა ლიდერებიც. აქ საუბარია მხოლოდ ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური ფრთა „ვანში“ ამ დროისათვის, როგორც სჩანს, წარმოადგენდა აქტიურად მოქმედ ჯგუფს და მათივე გავლენით ორგანიზაციის შევსებისა და გაძლიერების მიზნით „ვანის“ სკოლის ზედა საფეხურის მოსწავლეთა შორისაც და დასახლებულ ადგილებშიც მიმდინარეობდა მუშაობა.

1. ეს ნაბეჭდი, დაახლოებით 400 გვერდიანი მოგონება დაცული იყო ავტორის ალ. მაღლაკელიძის ძმისშვილთან ფერდინანდ მაღლაკელიძესთან სოფელ დიხაშხოზე და მინდა მაღლობით მოვიხსენიო ოჯახი, რომ მომცა საშუალება შემესწავლა მითითებული ნაშრომი.

2. მითითებული მოგონებები

ამის გამოცდილებაც ამ ორგანიზაციას ნამდვილად ჰქონდა. თუმცა ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ აქ მასებსა და ახალგაზრდობაშიც საქმიანობას არ შლიდა სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთა და მისი გააქტიურებაც რამდენადმე ნიშანდობლივი ჩანს პირველი მსოფლიო ომიდან ჯარისკაცთა დემობილიზაციის შემდეგ. ცნობილია ისიც, რომ საჯარისო შენაერთები რეალობაში განიცდიდნენ ბოლშევიკთა გავლენას და დემობილიზაციის შემდეგაც არაერთ მათგანს მიმართულება არ შეუცვლია. ცნობილია „ამ რანგის“ ყოფილ ჯარისკაცთა სახელებიც და გვარებიც. შ. გიორგაძე თავის წიგნში „ვანი და ვანელები“ აკონკრეტებს კიდევაც ზოგიერთ მათგანს და მიუთითებს ასეთები იყვნენო – კონსტანტინე გამყრელიძე, იოსებ ვაშაყმაძე, ერმილე ძაგნიძე, კოლუაშვილი, ილია ეფრემიძე და ზოგიერთი სხვა და ამათგან არაერთს 1921 წლის თებერვლის შემდეგ ხელმძღვანელი პოსტებიც ეჭირათ.

ზემოთ მოყვანილი ციტირებანი შეიცავს მინიშნებებს რიგ საკითხთა მიმართულებით და არც კომენტარებს საჭიროებს. მაგრამ საუბარი იმაზე, რომ ამ პოლიტიკურ პარტიათა „ვანის“ ორგანიზაციებში (მენშევიკების, ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატებში) გაერთიანებულნი იყვნენ თითქმის პრივილეგირებული წრეების, თავადაზნაურთა, სასულიერო წოდებათა, ვაჭრების და ბობოლა გლეხების შვილები და თანაც ეს „დამახასიათებელი მოვლენა“ მიუთითებს ხსენებულ პარტიათა მსოფლმხედველობაზეც და მოქმედების პრაქტიკულ მიმართულებებზეც. „სირთულეს ქმნიდა – აზუსტებს ალ. მალაკელიძე – რაიონის მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება... იგი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის თავისებურ აკუმულატორს წარმოადგენდა, ამას ხელს უწყობდა მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა, გავლენიანი სასულიერო წოდება, ჩარჩ-ვაჭრები და მენშევიკების ტრადიციული გავლენა, რომელიც წვრილი ბურჟუაზიის ყველა ფენის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო“. ეს შეფასება ძირითადად, წვრილი ბურჟუაზიის ყველა ფენის ინტერესთა გამოხატვა, შეესაბამება ნოე ჟორდანიას ორგანიზაციის იდეოლოგიურ მიმდინარეობას, ხოლო მენშევიკების გავლენა „ვანში“, რომ მნიშვნელოვანი იყო ან იქნებოდა ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი შესაძლებელია ყოფილიყო და ალბათ იყო ის, რომ მაშინდელი მენშევიკური ხელისუფლების რამდენიმე დიდი ლიდერი გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა მალაკელიძე, (შემდეგში გერმანიის ვერმახტის გენერალი), გენადი ბელთაძე (ჟორდანიას მდივანი) „ვანელები“ არიან. სოციალ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილიც ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელიც, „ვანელია“.

პიროვნული ფაქტორი, საერთოდ ქართველობაში, ამ პიროვნებათა საახლობლო წრე ყოველთვის თამაშობს გარკვეულ როლს და აქედან „ვანელებშიც“ ეს ბუნებრივი მოვლენაა. გავლენის გაზრდას ხელს შეუწყობდა მენშევიკური პარტიის მხარდამჭერი „ვანის“ საზოგადოების არსებობაც, რომელიც ორგანიზაციული საქმიანობის ფორმით ოცამდე წევრსა და წევრობის ექვს კანდიდატს (მათ შორის ორი ქალია) აერთიანებდა. თუმცა, როგორც ციტირებიდან სჩანს და ფაქტებიც ადასტურებს, ეს ორგანიზაცია უფრო მეტ გავლენას განიცდიდა „მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობის, გავლენიანი სასულიერო წოდებისა და ჩარჩ-ვაჭრებისაგან“ ნათქვამიდან შეიძლება გაკეთდეს ასეთი დასკვნა: აქ, „ვანში“ პრივილეგირებულობა და ხელშეუხებლობა დაცულია და პრივილეგირებულობას ჰქმნის ქონებრივი დონე. რამდენადმე წოდებრიობაც, რაც რეალობაში რიგ მიმართულებათა მიხედვით შენარჩუნებული იქნა მენშევიკური მიმართველობის მანძილზე. ამდენად სტატუსკვო ამ მხრივ დაცული იყო, რასაც არ შეეძლო გარკვეული ანტაგონისტური გავლენა არ მოეხდინა იმ ადამიანების ცნობიერებაზე, რომლებიც საშუალო და ღარიბ გლეხებში მოიაზრებიან და „მრავალრიცხოვან მასასაც წარმოადგენდნენ“. ხოლო მითითება, რომ ასეთ ადამიანთა შვილები სკოლაში ცოტანი იყვნენ, ამ უკიდურესობის საფუძველია მაქსიმალური ხელვინრობა და მითითებული კატეგორიის ადამიანთა თითქმის იმავე პირობებში ჩატოვება, რომელშიდაც 1917 წლის რევოლუციამდეც იმყოფებოდნენ. ახალი ხელისუფლების ვალი ეზრუნათ მათზე და შესაბამისად გაეუმჯობესებინათ მათი საარსებო სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურულ-საგანმანათლებლო პირობები მიზეზთა გამო ვერ ხორციელდებოდა. როგორც დასტურდება მენშევიკური მიმართველობის

მთელს პერიმეტრზე „ვანშიც“ საერთო ცხოვრების დონის რაიმეგვარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ესაა რეალობა! დავაზუსტოთ: მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა პრაქტიკულ მოქმედებათა ასპექტში, შედეგებში. ე. ი. ცხოვრების ყოველდღიურობაში. თორემ თეორიული შეხედულებანი, ცხადია არსებობდა. მაგრამ ასეთი რამ პრაქტიკულ შედეგიანობას ჩამოშორებული, ცალსახად, შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა და არც არის.

მენშევიკური ხელისუფლების პერიოდი საერთოდ და „ვანშიც“ სამწუხაროდ არ ხასიათდება მასების ყოფითი და სოციალური პირობების მნიშვნელოვანი დაწესრიგებით. პირიქით, ეკონომიკური რყევები და კრიზისები დამახასიათებელი მოვლენა გახდა. ამაზე მითითება გავაკეთეთ ზემოთაც, როდესაც ფულად საკრედიტო სიტუაციებს შევეხეთ და მოვლენა საერთო იყო სრულად საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში. დამახასიათებელ მოვლენად იქცა ეკონომიკური კრიზისებისათვის თანმდევი უწესრიგობანიც და ეს გასაკვირი არც ჩვენთვისაა, რადგანაც XXI საუკუნის მიჯნაზე ქართველმა საზოგადოებამ ეს პროცესი გვარიანად იწვინა საკუთარ თავზე. როგორც შედეგი, ქვეყნის ფანტაზიებს აყოლილი მართვისა და აქედან დამეზობული ღრმა შეცდომებისა, რომელმაც მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი განუკითხავ ნგრევამდე მიიყვანა. განსხვავებით ამისაგან, მენშევიკურ ხელისუფლებას მემკვიდრეობით მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი არ მიუღია, მაგრამ არსებობის პერიოდში არც შედეგების მომტანი მნიშვნელოვანი ძვრები განუხორციელებია. რომელსაც ეკონომიკის თანამიმდევრული ზრდა მოჰყვებოდა და სამუშაო დონეზე სოციალურ საკითხთა გარდაქმნას მაინც გამოიწვევდა. ყოველ შემთხვევაში პერიფერიებთან მიმართებაში მათ შორის „ვანისთვისაც“ ეს საკითხი ასე გამოიყურება.

უდავოა, ყოფით საკითხებზე რამდენიმე მომენტი ახდენდა გავლენას: 1 – საომარი მდგომარეობის გავლენა, რომელიც გრძელდებოდა 1914-1917 წლებში, ომიდან რუსეთის გათიშვამდე. 2 – მომხდარი რევოლუციის გავლენა, რომელიც პირველ წლებსა და ხანებში აუცილებლად წარმოადგენდა განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა ერთობლიობის ნაზავს. 3. მენშევიკების ხელისუფლების პერიოდშიც, ჯერ კიდევ ჩარჩენილი ფეოდალური ეკონომიკის ურთიერთობათა ფორმები, პლუს ახლადწარმოშვებული კლასების ინტერესთა შეჯახებები. 4. საგარეო ფაქტორებით გამოწვეული რყევები. 5. აგრარული სფეროსა და მისი ტექნიკური პოტენციალის ჯერ კიდევ არსებული – არქაული დონე. 6. მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემის დროის მოთხოვნებთან ჯერ კიდევ არსებული შეუსაბამობა და ა. შ. და ა.შ. ამ პროცესთა ზეწოლისა და გავლენის ქვეშ მოქცეული იყო მთელი ქართული სივრცე და ცხადია მით უფრო მძაფრად პერიფერიული დასახლებანი, ისეთი, როგორიც იყო „ვანი“ თავისი სოფლებით. მით უმეტეს ყოფით, საყოფაცხოვრებო-საკომუნიკაციო პირობების დაწესრიგებას 1880-იანი წლებიდანაც კი საყოველთაო გარდამტეხი ცვლილებანი არ განუცდია.

„1900-ოციანი წლების დასაწყისში, 1913 წელთან შედარებით, მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში აგრარულ სფეროში ნათესი ფართობები შემცირდა 710-ათასი დესეტინიდან 479-ათას დესეტინამდე. სამრეწველო პროდუქციის წარმოება დაეცა ომამდელი დონის 13 %-მდე. ასეთივე იყო მდგომარეობა წამყვან ეკონომიკურ სფეროებში, რკინიგზის გამტარუნარიანობა შემცირდა თითქმის სამჯერ.“ ყოველივე ეს, ზეგავლენას ახდენდა საერთო ცხოვრებაზე. „სოფლის მეურნეობის დაცემის, მრეწველობის სრული გაჩანაგების, სატრანსპორტო სისტემის მოშლის გამო ქვეყანა დადგა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე.“

საგულისხმოა აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დასკვნა: „ვაჭრობის და მრეწველობის ცენტრები დაზიანებულია, ამან განაპირობა საწარმოო პროცესების შეფერხება, საწარმოო პროდუქციის რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა და სულს ლაფავს, მისმა არაჯანსაღმა ნაწილმა ხელი მიჰყო სპეკულაციას. რომლითაც ახლა დაავადებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგი“.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა „ვანში“: – XX საუკუნის 20-იან წლებამდე ...„ვანის“ თემ-საზოგადოებებში არავითარი საწარმო ობიექტები არ არსებობდა. მოსახლეობის აბსოლუტური

უმრავლესობა ინდივიდუალურ გლახურ მეურნეობაში იყო ჩართული. გარდა ამისა აგერ-ეგერ შეხვედბოდით ბობოლა გლახებს, რომლებიც თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ მოჯამაგირეთა შრომას და თვით „ვანში“ მრავალრიცხოვან შინამრენველებს. ეკონომიკა იმ დონეზე იყო დაცემული (მხედველობაშია 1920 წლების მიჯნა) რომ არ ვიცი თუ ვინ ცხოვრობდა მაშინ ადამიანურ პირობებში. შიმშილი, სიშიშველე და სიდუხჭირე საყოველთაო მოვლენა იყო. მოსახლეობა დაუბრუნდა მეურნეობის ძველ ნატურალურ ფორმებს. ადამიანი თვით ქსოვდა, თვით კერავდა, თვით აკეთებდა ფეხსაცმელს, თვით აკეთებდა საპონს და ა. შ. ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმს, განსაკუთრებით სოფლად, ვერსად ვერ შეხვედბოდით, მოუსავლიანი წლები ერთმანეთს ცვლიდნენ და სხვა დანარჩენ უბედურებასთან ერთად სამაძღროდ სიმინდის მჭადიც კი იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა. პურზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.¹ რომ ეს შეფასება გაზვიადებულად არ იქნეს აღქმული საერთო მდგომარეობის ირგვლივ მოვიხმობ ციტატას ბატონ ნოე ჟორდანისაგან: – „ქვეყანაში დიდი ეროვნული გაჭირვება სუფევდა. განსაკუთრებით კვების საქმე იყო ცუდად, მაგრამ ამ გაჭირვებას ერთნაირად იზიარებდა პრეზიდენტიც და მუშაც... მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან (ე. ი. ლანჩხუთიდან) ვიღებდი ხშირად. ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხრეს შენ მინისტრი ხარ,² რავა დავიჯერო ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონიაო... ერთი სიტყვით ყველა გაჭირვებული ვიყავით.“³

ამ თხრობაში კარგი ის არის, რომ, როგორც ჩანს, მაშინდელი მინისტრები მომხვეჭელობისა და სიხარბის ხარისხით აშკარად ჩამორჩებიან XX საუკუნის 90-იანი და XX საუკუნის საწყისი წლების მინისტრებისა და სახელმწიფო მოხელეთა დიდი ნაწილისაგან. რადგანაც, როდესაც საქართველოში მძაფრი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, ეს ადამიანები მილიონერები ხდებოდნენ და ოჯახებსაც განცხრომითაც აცხოვრებდნენ.

აგრარული, სოფლის მეურნეობის რაიონებისათვის, მათ შორის „ვანისათვისაც“, რომლის მოსახლეობის თითქმის ასპროცენტთან შემადგენლობას ასევე სოფლის მაცხოვრებლები შეადგენდნენ და ძირითად სანარმოო და საარსებო საშუალებას მინა წარმოადგენდა, პრობლემები მიწასთან დაკავშირებით მთლიანობაში მოხსნილი ჯერ კიდევ არა ჩანს. იგი პარალელურად მიჰყვება ქართული სოფლის ცხოვრების დონესა და რიტმს. იმის გამო, რომ მენშევიკური პარტიისა და სახელისუფლო პროგრამაც, რომლის ცხოვრებაში გატარების შანსი მათ 1918 წლის 26 მაისიდან, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებიდან მიეცათ, ძირითადად იმის გამო, რომ იხრებოდნენ მიწის მუნიციპალიზაციის განხორციელებისაკენ შეყოვნდა, რამაც დაბადა მოსალოდნელი წინააღმდეგობა ხელისუფლებასა და გლახობას შორის.

1917 წლის 16 დეკემბერს, ამიერკავკასიის კომისარიატის ეგიდით გამოიცა დეკრეტი მიწის შესახებ. როგორც სჩანს ეს იყო მიწის რეფორმის წამოწყების მცდელობა, მაგრამ დამოკიდებულებათა კიდევ უფრო გამძაფრების შედეგად „ამიერკავკასიის სეიმი“ 1918 წლის 7 მარტს იღებს კანონს აგრარული რეფორმის პროექტის დამტკიცების შესახებ, რომელმაც განსაზღვრა მიწის მფლობელობის უმაღლესი ნორმა, 7-15-40 დესეტინის ფარგლებში, რომლის ზევიტაც მიწა უნდა ჩამორთმეოდა ყველას. თუმცა იმავე კანონს არ დაუმტკიცებია გლახობისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების მოცულობითი ოდენობა. უფრო მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული მენშევიკური რესპუბლიკის მთავრობამ სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. „800-ათასი დესეტინა სახაზინო ტყეები (ამაში შედის „ვანის“ ტყიანი მასივიც, რადგანაც იგი თავის დროზე „დასპორა ხაზინამ“ – რადგანაც ჩადებული იყო გირაოში და გამოსხნა ვერ მოახერხეს, ამასთან ეს ტყის მასივი ზოგიერთ სხვა ნაკვეთებთან ერთად წარმოადგენდა ბარის ერისთავთა საკუთრებას) 50000 დესეტინა საუფლისწულო მიწები. გარდა ამისა, მოახდინა ერთი მილიონი დესეტინა კერძო ტყეებისა და 500-ათასი დესეტინა კერძო საძოვრების კონ-

1. ალ. მალაკელიძე – „კვალდაკვალ“
 2. ნოე ჟორდანია ამ დროს იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე
 3. ნოე ჟორდანია – რჩეული ნაწერები – აკად. გურამ შარაძის წინასიტყვაობა. გვ.26

ფისკაცია. 1918 წლის ბოლომდე, სახელმწიფო მიწის ფონდში გადავიდა კერძო მფლობელთა (თავადაზნაურობა და ბურჟუაზია) 500-ათასი დესეტინა სახნავ-სათესი და საბალახე მიწა. 1920 წლის იანვრისათვის ჩამორთმეული კულტურული მიწების ფართობმა 621697 დესეტინა შეადგინა¹. ჩამორთმეული მიწები გამოცხადდა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდად, რომლიდანაც მიწის გაცემა გლეხობაზე ხდებოდა შედარებით შეღავათიან პირობებში.

ამით, პრაქტიკულად ამავე ეტაპზე, განხორციელდა მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია. კანონმა ხელუხლებელი დატოვა მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა ნაწილი და ძირითადად სოფლის კულაკური ფენა, რომლთაც მენშევიკური ხელისუფლება ახალი სახელმწიფო წყობის, სოციალიზმის მშენებლობის პირობებში ძირითად საყრდენებად მოიაზრებდა.

„1919 წლის 23 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კიდევ ახალი კანონი, რომლის ძალითაც სრულიად საქართველოს მასშტაბით გლეხთა კერძო საკუთრებად გამოცხადდა „სანადელო მიწებიც“, რომელთაც გლეხები შესაბამისი კანონით ფლობდნენ დროებით საკუთრებაში... გათვალისწინებული იქნა მცირემიწიანი გლეხებისათვის სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მიწების მიყიდვის შესაძლებლობაც.

პრაქტიკულ ასპექტში გატარებული ასეთი ღონისძიება წარმოადგენს მიწის ნაციონალიზაციის კლასიკურ სახეს. პროცესი განახორციელეს თვითონვე მენშევიკებმა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელით და ამით მნიშვნელოვანი და დიდებული საქმეც გააკეთეს, მაგრამ, აქედან გამომდინარე, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ზოგიერთ თანამედროვეთა აკვიატებები, რომ მიწების ჩამორთმევა განახორციელეს მხოლოდ ბოლშევიკებმა საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

ამდენად, აგრარულ სფეროში გატარებული ეს რეფორმა იყო მოვლენათა და საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობათა ლოგიკური შედეგი. გამწვავებულმა მდგომარეობამ და გაჭირვებაზე წარმოქმნილმა ახალი აგრარული რევოლუციის საფრთხემ ხელისუფლება მიიყვანა იმ დონეზე, რომ უარი ათქმევინა პროგრამის ნაწილზე, რომელიც მიწის მუნიციპალიზაციას ითვალისწინებდა. თუმცა მან არამთლიანად, მაგრამ სამართლიანობა რამდენადმე აღადგინა, „ჩვენ სასურველად მიგვაჩნია მიწის მუნიციპალიზაცია, მაგრამ ცხოვრების კანონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი განზრახვები“ – აღიარეს შემდეგ მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებმა. რაც კარგად აჩვენებს, რომ მიწასთან მათი პროგრამული დამოკიდებულება, მუნიციპალიზაციის შესახებ, მოვლენათა განვითარების შედეგად გვერდავლილი იქნა. მდგომარეობა შეეხო „ვანს“. მის სოფლებს. ბანკის მიწებს, მიწის მფლობელთა თავადაზნაურთა ადგილმამულებს, სახაზინო მიწებსა და გირაოში ბანკის სარგებლობაში ჩადებულ არსებულ სავარგულებსაც. ასე, რომ „ვანის“ ტერიტორიაზე ნაციონალიზებული იქნა სავარგული მიწების, საძოვრებისა და ტყეების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც დაწესებული ღონის ზემოთ გააჩნდათ მის მფლობელებს და რომლებიც ამ პერიოდამდე კერძო პირებზე (ძირითადად გლეხებზე ან ე. წ. კულაკურ ფენებზე, არ ან ვერ იქნა გაყიდული.) „მენშევიკებმა მეორე წელს ჩამოგვართვეს, როგორც მთები აგრეთვე სოფლად და დაგვიტოვეს ნორმით 18-18 ქცევა, თვითოეულ ოჯახს“ – წერს თავადი ნესტორ ერისთავი თავის მოგონებებში, თუმცა ეს იმ ოჯახებს (ძირითადად თავადაზნაურებს ან სხვა პირებს), რომლებიც მიწის ფონდის დიდ მარაგს ფლობდნენ. ასევე, მენშევიკებს მისთვის გაუნადგურებიათ კონტრაქტის საფუძველზე მთის ტყიან მასივში თავმოყრილი ნახევარფაბრიკატების სახით სარეალიზაციოდ დამზადებული სამშენებლო და ღვინის კასრებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა მაღალი ჯიშის ხის მასალა. „მენშევიკები შეცვივდნენ ტყეში, გაგვინადგურეს და დაგვიწვეს გამზადებული ეს მასალა“ – დასძენს იგივე თავადი.

ჩანს გატარებულმა ღონისძიებამ პრობლემა მთლიანობაში ვერ მოხსნა. „1920 წლის დასასრულისათვის, როცა აგრარული რეფორმის გატარება თითქმის დამთავრებული იყო საქართ-

1. ციფრობრივი მონაცემები მოგვყავს პროფ. ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომიდან. „სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში“ გვ.215

6. მატიანე

ველოს სოფლის 30000 მცხოვრებს ოჯახზე ჰქონდათ 0,5 დესეტიანა მიწა; 101 ათასს 0,5-2 დესეტიანა; 100 ათას მცხოვრებს 2-4 დესეტიანა; 92 ათასს 4-10 დესეტიანა; 3 ათასს 10-15 დესეტიანა.“¹

მცირემიწიან გლეხს, თუ ამის ფინანსური საშუალება ექნებოდათ, შეეძლოთ შეეძინათ სახელმწიფო ფონდში მოქცეული მიწები. ეს საშუალება კი იმ ურთულეს საერთო კრიზისის ფონზე გამოირიცხული იყო და მსგავსი მაგალითი არც ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით დასტურდება. უამრავ მასალათა შორის, რომელიც მიწის ყიდვა-გაყიდვას ეხება და დაცული იყო ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვერ დაფიქსირდა. საქართველოს მაშინდელი მინათმოქმედების მინისტრი ხომერიკი, ამ პროცესს ასეთნაირად ამართლებს: „გლეხობასაც არ სწამს უფასო შენაძენი... მას საკუთრად მიაჩნია ის რაშიც ფული ან შრომა გაუღია“ კომენტარს არ საჭიროებს ის, თუ რამდენად გულწრფელი და რეალურია ასეთი შეფასება.

ვერ ვიტყვი, რომ აგრარულ რეფორმას გაჰყვა შრომის ტექნიკურ საშუალებათა რამდენადმე გაუმჯობესება, აქედან შრომის ორგანიზაციის მონესრიგება და შრომის ნაყოფიერების გაზრდაც. ის, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების მიჯნაზე „ვანში“ – „სამაძღროდ სიმინდის მჭადიც კი იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა, პურზე კი ლაპარაკი ზედმეტი იყო“ თავისთავად მიუთითებს აგრარული სფეროს ჩავარდნაზე, თუ არ ვიხმართ სიტყვა კოლაფსს და ეს პროცესი არც ხანმოკლე აღმოჩნდა. საერთოდ ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყანას არც საიმისო საშუალებანი გააჩნდა, რომ მაქსიმალურად მოეხდინა პროდუქციის იმპორტირება და შეშველებოდა ხალხს. ამ პროცესთა გამო, ცხადია, იგი ვერ გადადგამდა ნაბიჯებს გლეხობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის აგრარული კრედიტის გამოყოფასა და ტექნიკური პროგრესის თანამიმდევრული სრულყოფისათვის. სამრეწველო პოტენციალიც ომამდელი დონის 13% გაუთანაბრდაო და ასეთ ჩავარდნებს ვერ მალავენ სახელმწიფო მოხელეებიც კი. ამიტომაც იოლი წარმოსადგენია ქვეყნის პერიფერიულ ნაწილებში შექმნილი ვითარება თანაც თუ ამას მოჰყვება მოუსავლიანი წლებიც.

პროცესთა ერთობლიობის გამო ამ პერიოდის მანძილზე ასევე უძვრელად დარჩა საგანმანათლებლო კულტურულ-სამედიცინო პრობლემებიც. რაიმეგვარი განსაკუთრებული სიახლენი საგანმანათლებლო სისტემაში „ვანის“ მასშტაბით მენშევიკთა მმართველობის დროსაც გამოკვეთილი არაა. უნდა ითქვას იმაზეც, რომ მენშევიკური ხელისუფლება შეეცადა უფასო განათლების შემოღებას, მაგრამ ქვეყანაში შექმნილ სირთულეთა გამო პროცესი ვერ განხორციელდა. აქ, ბარიერი გახდა ბაზები, კადრები და კადრების დაფინანსება და საერთოდ, მაშინდელი საფინანსო-საბიუჯეტო დონიდან წარმოუდგენელიც კია უფასო სწავლების განხორციელება. ამიტომაც ეს სფერო კვლავინდებურად დარჩა მშობელთა ინდივიდუალური გადასახადების შემყურე.

შრომის პირობების გაუმჯობესება არ შეინიშნება „ვანის“ ტერიტორიაზე განლაგებულ კერძო, მცირეკომპლექტიან საწარმოებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ დეკრეტით დააწესა 8 საათიანი სამუშაო დრო, რადგანაც სუსტად ან ვერ ხდებოდა მისი გაკონტროლება, ეს რეგლამენტი პრაქტიკულად ყოველდღიურად ირღვეოდა „ვანელ“ წვრილ მენარმეთა სასარგებლოდ. „მოზარდ ახალგაზრდებს 16 წლამდე (როგორც სჩანს შეგირდებს) ამუშავებდნენ ადრე დილიდან დაბინდებამდე და არა საათობრივი განაკვეთის მიხედვით“ ამაზე საუბრობს „ვანში“ მიკვლეული მასალებიც. შენარჩუნებულია და თითქმის 20-იანი წლების შუა ხანებამდე გაჰყვა სამოჯამაგირეო (ყველაზე დისკრიმინაციული და დამამცირებელი) შრომა და იმ დროისთვისაც კი „რთული იყო მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვა რადგანაც ისინი გაფანტულად საქმიანობდნენ რაიონის მთელს ტერიტორიაზე.“ – ეს ციტირებაც ნათქვამია კონკრეტულად „ვანში“ არსებულ მდგომარეობაზე.

სამწუხაროდ, 1910-იანი წლებიდან დაწყებული, რეფორმათა ახალი ტალღის განხორ-

ციელების, 1917 წლიდან არსებული სისტემისა და ხელისუფლებათა რადიკალური ცვლის, აქედან სრულიად ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების პირობებშიც კი, ბატონი თითქმის კვლავ ბატონობს, სოციალურ-ეკონომიკური გარემო ძირითადად უცვლელია, მოჯამაგირე კვლავ მოჯამაგირეობს, საგანმანათლებლო-სამედიცინო სისტემა ჯერ-ჯერობით უცვლელია და ა. შ. და თუკი ფიქსირდება სოციალურ-ეკონომიკური ძალმომრეობა, ჩემი აზრით აქ დისკრიმინაციული ფუნდამენტიც ჯერ კიდევ მთლიანობაში შერყეული არაა.

ადამიანთა საერთო ცხოვრების დონის გაუმჯობესება და მისი განმაპირობებელი ფაქტორების დანესრიგება დამოკიდებულია ქვეყნის შემოსავლებზე. – საბიუჯეტო მონყობაზე. ვნახოთ როგორ გამოიყურება ეს სფერო.

სახელმწიფო ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 1918-1919 წლებში აღწევდა 174250 – მანეთს; გასავალი 663507 – მანეთს; დეფიციტი 489257 – მანეთი. 1920 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტი 76 %-ია¹, დარღვეულია სავაჭრო სალდოც. იმპორტირება 66 %, ექსპორტირება 34 % და იმპორტირებული საქონლის დიდი ნაწილი მოდის სურსათზე.

ჯერ ერთი, „ასეთი მოკრძალებული“ ბიუჯეტი მიუთითებს ქვეყნის საწარმოო ძალების არამარტო მაქსიმალურ მოუნესრიგებლობაზე, არამედ იმაზეც რომ ნებისმიერ სფეროში მნიშვნელოვან ძვრებსა და გარდაქმნებზე საუბარი გამორიცხებულია. აქედან გასაკვირი არაა პერიფერიული ზონების, რაიონების, როგორსაც „ვანი“ წარმოადგენდა ჩარჩენა ჯერ კიდევ არსებულ სიტუაციებსა და გარემოში და არასახარბიელო პოზიციების უცვლელად შერნარჩუნება. **ამიტომაც ბატონი ნოე ჟორდანიას თავის დროზე აცხადებდა: – „დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ ხაზინა ცარიელი იყო... მართალია შემოსავლის წყარო ფინანსური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვქონდა“.**

ზემოთ მითითებული ციფრობრივი მონაცემებიდან და ბატონ ნოე ჟორდანიას შეფასებიდან ზედმეტია საუბარი ადგილობრივ მმართველობათა, რაიონულ-საეროზო როგორც ადმინისტრაციულ ორგანოთა ბიუჯეტზე. მათ ქმედუნარიანობაზე, რომელთაც ხელი უნდა შეეწყოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს მონესრიგებისათვის. კიდევ უფრო შეუსაბამოა საუბარი მაზრის ერთეულებში შემავალ თემთა და სოფელთა (ისეთს როგორსაც „ვანის“ სოფლები წარმოადგენდა) საბიუჯეტო შემოსავლებსა და საბიუჯეტო მონყობაზე.

ჩემი თაობის ადამიანებისათვის ეს პროცესი, იგივე ან მეტნაკლები ფორმით ცნობილია XX საუკუნე 90-იანი წლებიდან, თუმცა მაშინდელი საქართველო სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ცვლის შედეგად ახალმა ხელისუფლებამ ჩაიბარა, როგორც მალაქმილწევადი აგარარული ინდუსტრიული ქვეყანა. (რესპუბლიკა) სოლიდური ბიუჯეტით და ცხოვრების ასევე სოლიდური პირობებით. შედეგი კი სულ მალე მივიღეთ ისეთივე, როგორზედაც მაშინდელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას საუბრობს ამდროიდან 70 წლის წინანდელ პერიოდზე. ნებისმიერმა სალად მოაზროვნე ადამიანმა იცის რატომ ხდება ეს ასე.

და კიდევ ერთი ციტატა: – **„ჩვენ ვამბობდით – განმარტავს ბატონი ნოე ჟორდანიას, – რომ ეკონომიკური მხრივ კატასტროფისაკენ მოვისწრაფვოდით. ბევრს არ სჯეროდა ამ აღიარების... დღეს ეს სიტყვა უკვე გამართლებულია. დღეს თვითუფლები ჩვენგანი გრძნობს, რომ ჩვენ არათუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით აქამდე“.** საკმაოდ გულახდილი აღიარებაა, მაგრამ საქმეს ეს ველარ შევლის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას – ბატონმა ნოე ჟორდანიამ ბრწყინვალედ იცოდა, რომ ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა ქვეყანა ასეთი კატასტროფის წინაშე არ დააყენოს, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაზე მოქმედებენ საშინაო-საგარეო ფაქტორები, რომ არაფერი ვთქვათ ამის თანმდევ მოვლენებზე.

როდესაც ქვეყანაში ირყევა სოციალურ-ეკონომიკური ფონი, პარალელურად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგიც, ამ პროცესებს როგორც ჩანს „ვანიც“ ვერ გადაურჩა. ცხადია,

1. მონაცემები აღებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომიდან. გვ.597-598

ჩვენ არაგვაქვს დეტალური სტატისტიკური მონაცემები „ვანში“ იმ დროისათვის გავრცელებულ დანაშაულობათა და დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ და ამის გამო იმაზე მსჯელობაც რთულია, რომელი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები განირჩეოდნენ „ამ საქმეში“ აქტიურობით, მაგარამ დაცულია ზოგიერთი მასალა, რომელიც საერთო წარმოდგენას იძლევა პროცესთა დინებაზე.

– „ვანში ყოველ პარასკეობით იმართებოდა ბაზრობა. ყველა სოფლიდან, მათ შორის ყველაზე შორეული მთიანი სოფლიდანაც კი მოდიოდნენ სოფლელები. მოჰქონდათ გასაყიდი საქონელი; გოჭები, ხილი, თუთუნი, ფრინველი და ა. შ. ...მაშინ ხშირი იყო შემთხვევა დღისით, მზისით, მძარცველები თავს დასხმოდნენ ბაზარს. როგორც წესი, ეს ხდებოდა ბაზრობის ბოლოს. ართმევდნენ ნავაჭრ ფულს. უპირატესად ვაჭარ ებრაელებს და მიიმალებოდნენ“. თუ დღისით, მზისით ასეთი რამ „როგორც წესი ხდებოდა“ ადვილი წარმოსადგენია რა დონეზე იდგა ხელმძღვანელი ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა. საუცხოო არაფერია, მინიშნება ამკარად საუბრობს ცხოვრების ყოველმხრივ გართულებულ პროცესებზე და იმაზეც, რომ რიგ, მაგარამ განსხვავებულ შემთხვევებში ამ ძარცვის ინიციატორებად დასახელებულნი არიან მენშევიკების გვარდიელებიც. რაც ჯარში საერთო დისციპლინის მორყევაზეც მიუთითებს. „მენშევიკების გვარდიელები დანავარდობდნენ ბაზარში და ყველას ვისაც ეცვა წითელი ფერის „ბუშლატი“¹ ძალით აძრობდნენ და ართმევდნენ. თურმე იგი ითვლებოდა „კაზიონ“ ტანსაცმლად. გლეხები კი მას იძენდნენ თვით ჯარისკაცებისაგან. მენშევიკები ნაცვლად იმისა, რომ აღეკვეთად ასეთის გაყიდვა, გლეხებს ართმევდნენ მას იმის შემდეგ რა, რომ ისინი ამ სამოსს შეიძენდნენ მამასისხლად“.² და ა. შ. და ა. შ.

ჩანს, რომ ქვეყანაც და პერიფერიებიც განვითარებათა არაორდინალურობის გამო ჩიხშია შესული. ჩიხიდან გამოსავალი კვლავ უცხოეთზე ფიქრი და მათი ფინანსური დახმარების მიღებაა. შესაბამისად ხელისუფლება დგამს ამ მიმართულებით ნაბიჯებს. გარესამყაროდან მოიმედებობის პრინციპი, რომელიც სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მომეტებული პერიოდების თანდაყოლილი სასჯელია, კვლავ ამოქმედდა. მაგრამ უბედურება ისაა, ყოველი ასეთი დახმარება არასდროს არაა უანგარო და უპირატესად ითვალისწინებს დამხმარე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესთა გატარებას. მათი პრიორიტეტის წარმოჩენას, განხორციელებას. ამ ასპექტთა ერთობლიობას, დაუნესრიგებელ პროცესებს, მიჰყავს ქვეყანა შიგა წინააღმდეგობათა გამძაფრებისაკენ, საგარეო პოზიციის გართულებისაკენ და უარეს შემთხვევაში დამოუკიდებლობის დეფაქტო დაკარგვამდე მაინც. დაუფარავად უნდა ითქვას, რთულია ამ დროს არამარტო ხალხის მდგომარეობა, არამედ რთულია ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაც და „მძიმეა მონომახის ქუდიც“.

როგორც სჩანს ღმერთი ამ სიმძიმეთა ზიდვის უნარით ყველას არ აჯილდოვებს, იგი განსაკუთრებულ ერთეულთა სიბრძნით, ნიჭიერებით, სიმტკიცით, პოლიტიკური მოქნილობის უნარის მქონეთა და ღვთის მიერ ხელდასმულთა ხვედრია. აქ გულსატკენია ის, რომ უმაღლეს იერარქთა მიერ მართვაში დაშვებული გადაცდომები, როგორც ითქვა დამანგრეველად მოქმედებენ არამარტო მართვის რგოლებზე, არამედ უპირველესად საზოგადოებაზე, მის ნორმალურ განვითარებაზე.

მოვლენათა არასასურველი განვითარებისა და რთულად გადაჯაჭვული პროცესების შედეგად მენშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში დაკარგა ძალაუფლება. საქართველოს მთელს სივრცეზე შეიცვალა საზოგადოებრივი წყობა და სისტემა.

1. თბილისი საზამთრო ზედა ქუროთუკი, სამხედრო ნაწილების ჩაცმულობის ერთ-ერთი ფორმა.

2. ალ. მაღლაკელიძე — მოგონებები „კვალდაკვალ“

გენერალ გიორგი მაზნიაშვილი „მოგონებები“¹

1920 წლის დასაწყისში დაინყო ომი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებზე, რომელიც დამთავრდა ფოილოს ზავით, ამ ომში მინვეული არ ვიყავი უბრალო ჯარისკაცის თანამდებობაზეც კი, თუმცა გამოვცხადდი შტაბში და ვითხოვე გამოვეყენებინეთ რამეში.

1920 წლის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმები, რომ ომი ბოლშევიკებთან აუცილებელიაო.

უკვე ენკენისთვეში სამხედრო მინისტრის კანცელარიამ შეადგინა ვრცელი მოხსენება, რომელიც წარედგინა მთავრობის თავმჯდომარეს. ეს მოხსენება ამბობდა, რომ ბაქოში დგება ცალკე მე-11 არმია, რომელსაც სათავეში უდგას გეკერი², და ამ არმიის მიზანი და დანიშნულება არის საქართველოსკენ წამოსვლა.

მე-11 არმია რომ დგებოდა ბაქოში, ამას აცნობებდა აზერბაიჯანის მთავრობასთან დანიშნული ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებისა და ბაქოში ჩვენი წარმომადგენლის განცხადების შემდეგ მთავრობას უნდა მიეღო საჭირო ზომები თავდასაცავად და უნდა ებრძანებინა სათანადო ორგანოებისათვის, მზად ყოფილიყვნენ ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მთავრობამ არ მიიღო არავითარი ზომები, არ მოამზადა ხალხი მოსალოდნელი შემთხვევებისათვის. ერთი სიტყვით, სამხედრო სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა არ მიიღეს არავითარი ზომები ჩვენი საზღვრების დასაცავად.

ხარჯთაღრიცხვით ამ საქმისთვის საჭირო იყო 300 ათასი ოქროს მანეთი, ეს გეგმა ხარჯთაღრიცხვით და ჩემი განმარტებით მოხსენებით წარუდგინე სამხედრო მინისტრს, მთავარსარდლის – გენერალ ოდიშელიძის ხელით, და ვთხოვე საჩქაროდ მიეცათ საჭირო თანხა საინჟინრო უწყებისათვის, მაგრამ მთავრობამ ფულის გაღებაზე უარი განაცხადა.

ხიფათი კი თანდათან აშკარავდებოდა.

ავიაციის საქმეც მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. მთავრობამ, მართალია, შეიძინა იტალიაში რამდენიმე აეროპლანი, მაგრამ ავიაციის უფროსის მოხსენებიდან ჩანს, რომ მას არ ჰქონდა ამ აეროპლანებისათვის საკმარის ბენზინი და შიშობდა, რომ თუ ხიფათი თავს დაგვატყდებოდა, მას **არ ეყოფოდა ბენზინი და ზეთი**. ავიაციის უფროსმა რამდენჯერმე მიმართა თითქმის ყველას, ვინც კი მთავრობაში იყო და დაჟინებით მიუთითებდა ბენზინისა და ზეთის მარაგის საჭიროებაზე, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ამგვარად, არც ავიაცია იყო მზად სამხედრო მოქმედებისათვის.

დამფუძნებელ კრებასთან არსებობდა სამხედრო კომისია, რომლის ფუნქციებში შედიოდა სამხედრო სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტების გადასინჯვა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას უნდა დაემტკიცებინა.

დეკემბერში, თუ იანვრის დასაწყისში, კარგად არ მახსოვს, ამ კომისიამ მოიწვია სხდომა. სხდომა გახსნა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ³, რომელიც სამხედრო კომისიის თავმჯდომარეც იყო, მან წარუდგინა კრებას სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნილება, რათა **დათხოვნილ იყოს უვადო შვებულებაში ყველა ჯარისკაცი, რომელმაც იმსახურა ჯარში ორი წელიწადი და მეტი**. გვარდია თავის მოთხოვნილებას

1. როგორც ითქვა, ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ქართველი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის მოგონებებიდან მესხეთე თავის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს და აქვე აღვნიშნავთ, რომ გენერალი მაზნიაშვილი მიეკუთვნება ქართველ გენერალთა იმ პლეადას, რომელიც სახელოვნად ხელმძღვანელობდა პირველი მსოფლიო ომის გარკვეულ პერიოდში რუსეთის იმპერიის მსხვილ სამხედრო შენაერთს, ხოლო შემდეგში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაშინდელ ქართველ ხელისუფალთა მიერ მიტოვებულ და ოსმალთა ჯარებისაგან დაკავებულ ბათუმის განთავისუფლების საქმეში.

2. ჰეკერი – თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული პიროვნება, რომელიც სარდლობდა საგანგებოდ ბაქოში შეკრებილ მე-11 არმიას.

3. გრიგოლ ლორთქიფანიძე – ვანელი კაცი, სოფელ დიხაშხოდან (რედ).

ასაბუთებდა მით, რომ ადგილებიდან ე. ი. რაიონებიდან შემოდის დაჟინებითი თხოვნები – დათხოვნილ იყვნენ ყველანი, ვინც კი ზემოაღნიშნული ვადა შეასრულაო.

გენერალმა ოდიშელიძემ და მის შემდეგ გენერალმა გედევანიშვილმა მოახსენეს კრებას, რომ თუ ზემოაღნიშნულ ვადების ჯარისკაცნი დათხოვნილ იქნებიან, ჯარი დარჩება უუნტერ-უოფიცროდ, რაც ძალიან დასწევს ჯარის ბრძოლის უნარს და რადგანაც ომი მოსალოდნელი იყო, ამიტომ სამხედრო მინისტრის ორივე ამხანაგმა უარყვეს გვარდიის წინადადება.

გვარდიის წარმომადგენელნი თავის აზრს მტკიცედ ადგნენ და ერთმა მათგანმა ისიც კი განაცხადა, რომ ამგვარ დემობილიზაციას თვითონაც მოახდენდნენ გვარდიაში, ისე რომ **კომისიას არც კი შეეკითხებოდნენ, მაგრამ ეშინიათ, რომ ამან არ გამოიწვიოს უკმაყოფილება ჯარების ნაწილებში** და ამიტომ მოითხოვენ ეს კანონი გატარებულ იქნას ერთად, გვარდიაშიც და ჯარშიც.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ნ. რამიშვილმა და როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ორი წლის ნამსახური ჯარისკაცნი **თუ დაუყოვნებლივ არ იქნენ გაშვებულნი უვადო შვებულებაში, როგორც გვარდიაში ისე ჯარში, მას აქვს ცნობები, რომ ჯარებში გაჩნდება მღელვარება და მაშინ ის შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისმგებლობას აღარ კისრულობს.**

ამ განცხადების შემდეგ ოდიშელიძემ და გედევანიშვილმა ერთხელ კიდევ სცადეს საქმის გამობრუნება, მათ განაცხადეს, რომ პირველს როგორც მთავარსარდალს და მეორეს, როგორც დაზვერვის უფროსს, არა აქვთ არავითარი ცნობები, **ჯარებში რაიმე უკმაყოფილება სუფევდეს, მაგრამ ნ. რამიშვილის რიხიანმა განცხადებამ სასწორი თავისკენ გადახარა და ამგვარად გამოცხადდა ცნობილი ბრძანება ძველი, გამოცდილი, მცოდნე ჯარისკაცთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.**

მაგრამ არც ეს აკმარა. 1921 წლის იანვრის დასაწყისში ბაქოდან ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი გაბო ხუნდაძე, რომელმაც მთავრობას მოხსენება წარუდგინა და დაადასტურა, რომ **ბაქოში დამთავრდა მე-11 არმიის შედგენა, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ ოპერაციების დაწყება,** მაგრამ არც ამ განცხადებამ იქონია გავლენა მთავრობაზე.

როდესაც დამფუძნებელ კრებაში ირჩეოდა საკითხი სამხედრო საჭიროებისათვის დამატებითი კრედიტების შესახებ, კრების რამდენიმე წევრი შეეკითხა მთავრობას, რამდენი ჯარის გამოყვანა შეგვიძლია, თუ ვინიცოცხა ომი მოგვიხდაო?

ამ შეკითხვაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა კრებას რიხით უპასუხა: **რა მომენტშიც კი მოითხოვს საჭიროება, მე მზადა მყავს 60 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარიო.**

თუმცა, ამ დროს სამხედრო მინისტრად ირიცხებოდა ჭიჭინაძე, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ფაქტიურად ნ. რამიშვილი იყო.

დამფუძნებელი კრების წევრებმა, ცენტრმა და მემარჯვენეებმა მიიღეს რა მინისტრისაგან ასეთი **დამამშვიდებელი** ცნობები, დაამტკიცეს სამხედრო კრედიტები.

ამავე ხანას ეკუთვნის კომისიის გაგზავნა საზღვარგარეთ სამხედრო იარაღის შესაძენად.

არ ვიცი, იყიდა ეს იარაღი თუ რომელიმე სახელმწიფომ აჩუქა იგი. ვიცი მხოლოდ, რომ, როდესაც ეს იარაღი გადმოტვირთეს ბათუმში, მიმღებ კომისიამ შეადგინა ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ საზღვარგარეთიდან მოსული 9 ათასი თოფიდან, სახმარად გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ 183 თოფი.

აი, ზოგიერთი ცნობა, რომელიც წინ მიუძღოდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების შეტაკებას 1921 წლის 12 თებერვალს.

12 თებერვალს, ღამის 1 საათზე დამიბარეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში, იმ დროს იქ იყვნენ მთავარი შტაბის ყველა წევრი, ვინც კი ფრონტზე არ იყო, და სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები.

იქ დამსწრეთაგან გავიგე, რომ იმ ღამეს სადახლოს რაიონში დაბანაკებულ ჩვენ ჯარებს თავს დაესხა მტერი. ეს ცნობა მიეღოთ წითელ ხიდთან დაბანაკებულ სახალხო გვარდიის ჯარების საველე შტაბიდან.

რამდენიმე წუთი არ გასულა, რომ მოვიდა დეპუტა მე-3 დივიზიის უფროსისაგან, გენერალ გედევანიშვილისგან, დაახლოებით შემდეგი შინაარსის: „სომხების ურდოები ღამით დაეცნენ მე-5 და მე-7 ლეგიონს. ჯარისკაცთა ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ნაწილი დახოცეს და დანარჩენები გამოიქცნენ“. ეს იყო პირველი დეპუტა, რომელიც გვაცნობდა სომხების მიერ სამხედრო მოქმედების დაწყებას.

დაზვერვის საქმე ჩვენში იმდენად ცუდად იყო დაყენებული, რომ მთავარსარდალმა გულწრფელად დაიჯერა, რომ მართლა მხოლოდ სომხების ურდოები დაგვესხა თავს.

ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მტრის თავდასხმას შედეგად ის მოჰყვა, რომ სადახლოს რაიონი მტრის ხელში გადავიდა და ტფილისისაკენ გზა გაეხსნა, ხოლო ჩვენს ჯარს დააკლდა ორი ლეგიონი, რომელთა ნარჩენებმა თავი მოიყარეს ტფილისში რამდენიმე დღის შემდეგ.

13 თებერვალს მტრის მოძრაობა დაიწყო ჩვენს შუაგულ ადგილშიც – წითელ ხიდთან.

რა საკითხები წყდებოდა მთავრობის საგანგებო სხდომაზე არ ვიცი, მაგრამ მთავარსარდალი უკან შტაბში რომ დაბრუნდა, გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

ეს მობილიზაცია, რასაკვირველია, ვერ განხორციელდა, რადგან ბოლშევიკებმა ისარგებლეს მდგომარეობით და იერიში მიიტანეს მთელ ფრონტზე.

კახეთის რუქას თუ გადავხედავთ სამხედრო საქმის ყოვლად უცოდინარი ადამიანისათვისაც კი ცხადი იქნება, რომ საქართველოს არმიის უფროსმა მხედრებმა ამ ფრონტს არ მიაქციეს ყურადღება და ამით მტერს მიეცა საშუალება გაენადგურებინა იქ დაბანაკებული ჩვენი ჯარის პატარა მზვერავი რაზმები, შემდეგ ჩაეგო ხელში მთელი კახეთი და უვნებლად მოეღწია ტფილისის მიდამოებამდე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან.

ყველა ეს მოხდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მე-6 ქვეითი ლეგიონი იძულებული გახდა დაეხია თიანეთისაკენ და შემდეგში მტერს ტყვედ ჩაუვარდა ხელში.

14 თებერვალს მთავრობის დადგენილებით, რომელიც გამოწვეული იყო დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ერთი ჯგუფის ზეგავლენით, მთავარსარდალი ოდიშელიძე თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა, მის ადგილას დაინიშნა გენერალი კვინიტაძე. ეს იყო დიდი გამოუსწორებელი შეცდომა მთავრობის.

ქართველ ყველა გენერლებში ოდიშელიძე თვალსაჩინოდ ირჩეოდა უმაღლეს სარდლობაში, მას ჰქონდა დიდი მხედრული და ადმინისტრაციული სტაჟი.

ევროპის უდიდესი ომის¹ დროს გენერალმა ოდიშელიძემ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ჯარების მთავარი შტაბისა.

ომის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ მას პირველი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ომის მეორე პერიოდში ოდიშელიძე ინიშნება მე-15 კორპუსის უფროსად და შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში კავკასიის არმიის უფროსად. აი, ასეთ კაცს მთავრობა ცვლის გაჩაღებული ომის დროს და ნიშნავს ისეთ პირს, რომელიც სამხედრო სტაჟით მეტად ჩამორჩება ოდიშელიძეს.

უახლოესი ამბების განვითარებამ დაუმტკიცა მთავრობას მისი შეცდომა.

ახალი მთავარსარდლის დანიშვნის მეორე დღესვე გამოცხადდა საერთო მობილიზაცია მთელს საქართველოში და რადგანაც გამოირკვა, რომ ჩვენი გვარდიის ნაწილები წითელ ხიდთან მტერს ვერ გაუძლებდნენ, ახალმა მთავარსარდალმა გადაწყვიტა მოეხსნა წითელი ხიდიდან და უკან დაენია ყველა სამხედრო ნაწილები და შედგომოდა ტფილისის დაცვას.

თუმცა, 1920 წლის 6 ოქტომბრიდან არსებობდა ტფილისის გამაგრებული რაიონის უფროსის თანამდებობა, რომელ თანამდებობას მთავრობის განკარგულებით მე ვასრულებდი და თანახმად ჯარების მმართველობის დებულებისა ქალაქის დაცვა მე უნდა დამკისრებოდა, მთა-

1. იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი 1914-1918 წლები (რედ).

ვარსარდალმა უკუ აგდო ეს კანონი და 15 თებერვალს დამნიშნა მებრძოლ რაიონის უფროსად ორხევის სადგურიდან ტაბახმელამდე.

15 თებერვალს მე დავბანაკდი სოღანლულთან სადარაჯო ლეგიონის ორი ასეულით, რომელთაც ტყვიის მფრქვეველი არ ჰქონდათ.

მთავარსარდალმა გამგზავნა ტფილისის მიდამოების დასაცავად, ტაბახმელა-ორხევის ხაზზე და დამპირდა, რომ გამოგზავნიდა ჩემს განკარგულებაში პირველ რიგში ყველა იმ ნაწილებს, რომლებიც იმ დღეებში უნდა მოსულიყვნენ ტფილისში დასავლეთიდან.

მართლაც, იმავე დღეს საღამოზე გორიდან და ხაშურიდან ჩამოვიდა ტფილისში გვარდიის ორი ათასეული, რომლებიც გამოიგზავნა ჩემს განკარგულებაში.

16 თებერვალს დილაზე ჩემს განკარგულებაში იყო უკვე მე-9 ქვეითი ლეგიონი, სადარაჯო ლეგიონი, სახალხო გვარდიის 2 ათასეული და 5 ბატარეა, ჯავშნიანი საავტომობილო გუნდით და ჯავშნიანი მატარებელი.

არმიის შტაბი ტფილისში იმყოფებოდა. მისი მოქმედებებიდან უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: ომის დაწყების პირველი დღეებიდან ტფილისის დაცვამდე, მებრძოლ რაიონებს მონინაალმდეგის შესახებ შტაბი არავითარ ცნობებს არ აწვდიდა.

ვგონებ, რომ არმიის შტაბს, რომელსაც უნდა ჰქონდეს დამზვერავი აპარატი¹, უნდა ჰქონდეს ცნობები მონინაალმდეგის ძალებისა, მათი მოძრაობის შესახებ და სხვა, ამ ცნობებს უნდა აწვდიდეს მებრძოლი რაიონების უფროსებს. ეს ასე ხდება ჩვეულებრივ, მაგრამ არმიის შტაბს ან არ ჰქონდა ყველა ეს ცნობები, ან თავს არ იტკივებდა გადაეცა ისინი პოზიციებზე.

18 თებერვალს კი, საღამოს 10 საათზე მტრის საკმაოდ დიდმა კოლონამ შემოუარა იალლუჯის მაღლობებს მტკვრის მარჯვენა ნაპირით და წამოვიდა ჩვენკენ იერიშით.

მტრის ჯარების უფროსებს, ცხადია, მიზნად ჰქონდათ დასახული ღამით დასცემოდნენ ჩემს პოზიციებს, ჩაეგდოთ ხელში სოღანლულის ხიდი, სადგური და გზატკეცილი, რომელიც მიდის ტფილისისაკენ და ამ გზით შეჭრილიყვნენ ტფილისში.

ტფილისში იმ ღამეს შეუნყვეტელი პანიკა იყო. არავინ იცოდა რა ხდებოდა ფრონტზე. ტელეფონების ყველა მავთული დაწყვეტილი იყო და ხელთ არავინა მყავდა, რომ იგი აღმედგინა.

არმიის შტაბს კი სიცოცხლის ნიშნები არ ეტყობოდა. მთელი ღამის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ პოზიციებზე გააფთრებული ბრძოლა იყო, მიუხედავად ზარბაზნების, ტყვიის მფრქვევლებისა და თოფების საშინელი სროლისა, რაც კარგად ისმოდა ტფილისში, **არმიის შტაბიდან ერთი კაციც არ მოვიდა და არ იკითხა, რა ხდებოდა პოზიციებზე.**

ჩვენი მხრიდან კავშირის გაბმა შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენსა და ხაშურის გვარდიის შუა მტერი იდგა, მთელი ღამე დავდიოდი და ვფიქრობდი, რას ნიშნავს ეს? დავიჯერო თოფ გაუსროლად მტერს ტყვედ ჩაუვარდნენ?

მხოლოდ მეორე დღეს გამოირკვა, რომ ხაშურელებმა, როგორც კი გაიგონეს თოფის ხმა გორის გვარდიის ლიუნეტთან, რომელიც მათ მარცხნივ იყო, **მიანებეს თავი მშვენივრად მონყოზილსა და სრულიად ახალს ლიუნეტს და სამარცხვინოდ გაიქცნენ ტფილისისაკენ.**

მარცხენა ფრთიდან მატყობინებდნენ, რომ მათ მხარეზე მტერი არ მოჩანს. იერიშით წამოსული კოლონები მტრის ჯარის უფროსებს, როგორც ეტყობა, სრულიად დაავინყდათ. მათი რეზერვები არსად ჩანდა, არტილერია დახმარებას სრულიად არ უწევდა და იერიშით მოსულმა ჯარებმა მოაღწიეს ძალიან ახლო ჩვენს სიმაგრეებთან და განვინენ სრულიად გაშლილ ადგილზე. რადგან იერიშები მოგერიებულნი იქნა, გათენებისას სადარაჯო ლეგიონი თავის მხრივ გადავიდა იერიშზე, გორის გვარდიელებმა დაინახეს რა ლეგიონის იერიშზე გადასვლა, მიბაძეს მის მაგალითს, ამოცვივდნენ თხრილებიდან და ეძგერნენ მტერს. მტერმა ბრძოლა არ მიიღო და ნაწილი ტყვედ ჩაგვივარდა, ხოლო მომეტებულმა ნაწილმა დაიხია იალლუჯის სიმაღლისაკენ.

1. ამ შემთხვევაში საუბარია მონინაალმდეგის, მათი ძალების სრულყოფილ დაზვერვა-შესწავლაზე ე. ი. სამხედრო სადაზვერვო სამსახურზე (რედ.).

ტყვეები, რიცხვით 1 600 კაცი, გავგზავნე არმიის შტაბში. მონინალმდეგის ჯარებს თოფის ტყვია ველარ სწვდებოდა და ვისროდით მხოლოდ ზარბაზნებს. **რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დადევნებოდა.**

19 თებერვალს გაიხსნა ახალი მეზრძოლი რაიონი ტაბახმელიდან დანყებული კიკეთამდე. მეზრძოლ რაზმს შეადგენდნენ სამხედრო სკოლის იუნკერები, უნტერ-ოფიცრების სასწავლო ათასეული, მე-12 ქვეითი ლეგიონი და სამხედრო გვარდიის რამდენიმე ათასეული.

ჩვენი გამარჯვების შემდეგ მტერმა მიანება თავი ამ მეზრძოლ რაიონს და აღარ შეეუწუხებოვართ, სანამ ჩვენ ასე სამარცხვინოდ არ მივატოვებთ ტფილისი.

21 თებერვლიდან მტერი მთელი თავისი ძალებით ეძგერა გენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილის რაიონს, რომელმაც არათუ მოიგერია მტრის რამდენჯერმე განმეორებული იერიშები, იუნკრებისა და უნტერ-ოფიცრების საშუალებით, არამედ თვითონაც გადავიდა იერიშზე და გადარეკა მტერი დაბლობებში.

ჯარების მობილიზაცია გვიანდებოდა, რადგან მისი გატარება სიძნელით წარმოებდა: ამის მიზეზი ალბათ ბევრი რამ იყო. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მდგომარეობდა იმაში, რომ მობილიზაციით მოკრებილი ჯარისკაცნი ადგილობრივ მაზრებში ვერ იღებდნენ ტანსაცმელს, იარაღს და მოკაზმულობას.

მაღე გამოირკვა, რომ **საინტენდანტო საწყობებშიც არ იყო საკმარისი ტანსაცმელი და მოკაზმულობა, რაც უმთავრესია, თოფებიც.**

ცხენოსანი ჯარის ახალი ნაწილების შედგენა მოიფიქრეს მხოლოდ 25 თებერვალს. კავალერიის უფროსად დანიშნული პოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე იძულებული იყო ოფიცრებით წასულიყო დასავლეთ საქართველოში ცხენოსანი ლაშქრის შესადგენად, 25 თებერვალს დილის 5 საათზე.

ეს, სწორედ, იმ დროს იყო, როდესაც ჩვენი ჯარი ტფილისიდან მცხეთაში იხევდა. ქუთაისში და შემდეგ სამტრედიისში გამოცხადდა უნაგირების რეკვიზიცია კავალერიისთვის.

არ შეიძლება, რასაკვირველია, მთელი ბრალი დავდოთ არმიის შტაბს, რადგან მომარაგების სამინისტრომ და მთავარმა საინტენდანტომ, რომელიც ამ სამინისტროს ემორჩილებოდა, ვერ მოიფიქრეს სამი წლის განმავლობაში სისწორით ეანგარიშათ და გამოერკვიათ რა დარჩა კიდევ ყოფილი კავკასიის არმიის უზარმაზარ საწყობებში.

თუმცა, მთავარ საინტენდანტოში იყვნენ ძველი, გამოცდილი ოფიცრები და მოხელენი, რომლებიც ოდესღაც მშვენივრად უვლიდნენ ამაზე უფრო დიდ ქონებას და კარგად იცოდნენ, სად რა იყო, მაგრამ იმ დროს სპეცებს¹ უნდობლად უყურებდა მთავრობა, ყველა ისინი გადააქციეს უბრალო გადამწერლებლად და საპასუხისმგებლო ადგილებზე ნიშნავდნენ გამოუცდელ, უფიც, საეჭვო ზნეობის პირებს, რომელთაც პარტიული ბილეთის მეტი ბევრი არაფერი გააჩნდათ.

შემდეგში, როცა მე სათავეში ჩავუდექი ქართულ წითელ ჯარს, სავსებით დავრწმუნდი, რომ, როგორც მომარაგების მინისტრმა ერადემ, ისე მთავარ საინტენდანტოს უფროსმა კალისტრატე გოგუამ, **არ იცოდნენ რა ქონება ჰქონდათ, სად ჰქონდათ, და მთავრობას და არმიის შტაბს ტყუილ ცნობებს აწვდიდნენ.**

უკვე 1921 წლის მაისში ჩვენს საწყობებში დარჩენილი ტანსაცმელით მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა.

ეს არ კმარა: საქართველოს საბჭოთა მთავრობა, დღიდან ტფილისში შემოსვლისა, ორი კვირის განმავლობაში კვებავდა უფასოდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან, მაშინ, როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციის სახით კრებდა დანჯღრეულ უნაგირებს ქუთაისში და სამტრედიისში, ნავთლულის საწყობებში იყო თურმე რამდენიმე ათასი კავალერიის ახალი უნაგირი და ცხენების სხვა მრავალი მონყობილობა.

1. სპეციალისტებს, გამოცდილ მცოდნე კადრებს (რედ.).

როდესაც გამოიკვავა, რომ მონინაალმდეგემ თავისი მარჯვენა ფრთით მთელი კახეთი ხელში ჩაიგდო, და ამით შექმნა საფრთხე ტფილისისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, მთავარსარდლის განკარგულებით შედგა 21 თებერვალს მესამე მებრძოლი რაიონი – სადგურ ორხევიდან დაწყებული სადგურ ვაზიანამდე.

ეს რაიონი დაიკავა სახალხო გვარდიის ათასეულმა გენერალ ჯიჯიხიას უფროსობით, ხოლო 24 თებერვალს მთავარსარდალი იძულებული გახდა შეედგინა კიდევ მეოთხე მებრძოლი რაიონი პოლკოვნიკ გედევანიშვილის უფროსობით, რომელსაც უნდა დაეცვა ტფილისის შესავალი გზები სოფელ ლილოდან დაწყებული კუს ტბამდე.

გენერალ ჯიჯიხიას რაიონში მონინაალმდეგე ამოძრავდა შუადღის 3 საათზე, ხოლო ვაზიანთან, სადგურიდან კარგად მოშორებულ მანძილზე გამოჩნდა რამდენიმე „ტანკი“.

გვარდიელების ზოგიერთმა ათასეულმა „ტანკები“ რომ დაინახეს შეშინდნენ, მიანებეს თავი თხრილებს და გამოიქცნენ, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მებრძოლი რაიონი კვლავ იქნა აღდგენილი.

რა ხდებოდა ამ დროს ტფილისში და განსაკუთრებით, მთავარ შტაბში, სრულიად არა ვიცოდით რა, და როგორც შემდეგში მითხრეს, ანდრონიკაშვილმა და ჯიჯიხიამ არც იმათ იცოდნენ არაფერი.

ფრონტის მდგომარეობა კი 14 თებერვალს ასეთი იყო: მონინაალმდეგის იერიშები ყველა რაიონში მოგერიებულნი იქნენ და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი დღის ბრძოლით დაქანცული მონინაალმდეგე ღამის იერიშებს არ მოახდენდა, ხოლო დილით, რადგანაც მონინაალმდეგე იდგა მთის გაშლილ ფერდობზე და ხევებში ჩვენი კარგად მოწყობილი პოზიციების პირდაპირ, იძულებული გახდებოდა ან იარაღი დაეყარა, ან და თუ ვინიცოდაა უკან დაიხევდა, ან მთლად განყდებოდა, ლეგიონების უფროსებთან ტელეფონებით ლაპარაკის დროს ეს ჩემი აზრი თანდათან მტკიცდებოდა.

ღამის 11 საათსა და 23 წუთზე მოულოდნელად მიმიხმეს პირდაპირ მავთულთან და გადმომცეს მთავარსარდლის ბრძანება, ტფილისიდან მცხეთაში უკან დახვეის შესახებ.

ამ ბრძანებამ ძალიან გამაკვირვა და გამაოცა. 12 საათამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წუთი. რამდენიმე წუთის შემდეგ გუდა-ნაბადი უნდა აგვეკრა და გავექცეულიყავით ტფილისიდან.

ყველაზე მეტად მე ერთი გარემოება მაოცებდა: **ტფილისის დაცვა ისეთი დიდი საკითხია, რომ მისი გადანყვეტა ასე დაჩქარებით, ასე დაუფიქრებლად ვერაფრით ვერ ამეხსნა.**

იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადამწყვეტი დადგენილება მიიღეს – **არამც თუ არ მიგვიწვიეს ჩვენ, ფრონტის უფროსები, რომლებიც ფრონტს თვალთ დავეყურებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მონინაალმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არც კი შეგვეკითხნენ, ჩვენი აზრის მოსმენა არც კი ინებეს.**

მცხეთაში მთავარმა შტაბმა არ უჩვენა დივიზიებს ადგილები, რის გამოც ჯარის ნაწილები ისე დაბანაკდნენ ვინც, როგორც მოახერხა, მცხეთის სადგურსა და მონასტრის შუა.

თავდაცვის არავითარი ზომები არ იყო მიღებული. მცხეთის პოზიციებზე დარჩენა შეუძლებელი იყო არმიის მცირე რიცხოვნობის გამო.

მონინაალმდეგეს რომ მეტი ენერგია და გაბედულება ჰქონოდა, 24 თებერვალს საღამოს საქართველოს მთელ არმიას ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი უმოქმედობის გამო, 16 თებერვალს ჩვენ შევძელით მცხეთის ქვაბიდან გასვლა.

მცხეთიდან გორამდე უკან დახეული ჯარები თანდათან იშლებოდა. გზადაგზა ჯარისკაცები, ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად, თავს ანებებდნენ თავის ნაწილებს და თოფებითა და ტყვიისმფრქვევლებით მიდიოდნენ თავთავიანთ სოფლებში.

ქალაქ გორთან მთავარსარდალმა გადანყვეტა შეეჩერებინა მონინაალმდეგის წინსვლა და ამისთვის გაგზავნა სოფელ ხიდისთავისაკენ მეორე დივიზია, გენერალ სუმბათაშვილის უფროსობით.

ამაზე დაიხარჯა სრულიად უმიზნოდ ორი დღე, რის განმავლობაში მონინალმდეგეს მიეცა საშუალება მოეკრიბა თავისი ძალები. მთავარსარდალი იძულებული გახდა გაეცა უკან დახევის ბრძანება სადგურ ხაშურისაკენ, რადგან ქალაქ გორის დასაცავად საჭირო იყო 10-ჯერ იმაზე მეტი ძალა, რაც მთავარსარდალს ხელთ ჰყავდა.

ჩემი პირადი შეხედულებით მთავარსარდალმა დაუშვა დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა იმით, რომ გორში გაჩერდა.

თუ საჭირო იყო ტფილისის დაცლა უბრძოლველად, რასაც მე პირადად დღესაც არ ვეთანხმები, მაშინ მთავრობას უნდა მოეხდინა სახელმწიფო დანებსეულებათა ევაკუაცია., ხოლო მთავარი ძალები უნდა გადაეყვანა რკინიგზით სურამის უღელტეხილამდე და არიერგარდული ბრძოლებით შეეჩერებინა მონინალმდეგე, რითაც შეძლებას მისცემდა ჯარებს გაემაგრებინათ უღელტეხილი და ამგვარად შესაძლებელი იქნებოდა პატარა ძალებით ერთ ადგილას გაჩერება, სანამ წამოემგვებოდა დასავლეთ საქართველოში მობილიზაციით მოკრებილი ჯარები და ის „რეალური ძალა“ საზღვარგარეთიდან, რომელსაც ნ. რამიშვილი დაჰპირდა მთავარსარდალს გორის სადგურზე.

ნ. რამიშვილი დასეირნობდა გორის სადგურის ბაქანზე და ყველას გვამშვიდებდა: გამაგრდით, რეალური დახმარება საზღვარგარეთიდან ამ დღეებში მოვა და ჩვენ გვჯეროდა მისი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი, რომელსაც ჯარისკაცები უწოდებდნენ „საქართველოს ბოროტ გენიას“ ხშირად ატყუებდა ყველას, ვისთვისაც კი სამშობლოს ღირსება ძვირფასი იყო.

მივიღე ბრძანება მთავარსარდალისა, რომელიც გადმომცა შტაბის უფროსმა, რადგანაც სახალხო გვარდიამ არ შეასრულა დაკისრებული ამოცანა¹, საერთო იერიში უქმდება და ჩემმა ჯარმა უნდა დაიხიოს სურამის უღელტეხილის პოზიციებზე.

სხვათა შორის მე ყველგან ლაპარაკი მაქვს დივიზიებზე, მაგრამ არცერთი დივიზია არ იყო სრული, მაგ. 1-ლი დივიზია შედგებოდა 1-ელი და მე-4 ლეგიონისაგან; მე-2 და მე-3 ლეგიონები დივიზიის უფროსით იყვნენ სოხუმის ფრონტზე. მე-2 დივიზია შედგებოდა მე-7 და მე-8 ლეგიონისაგან; მე-5 ლეგიონი მოისპო ჯერ კიდევ 12 თებერვალს, ხოლო მე-6 ლეგიონი მტერს ტყვედ ჩაუვარდა 25 თებერვალს, ხოლო მე-6 მდინარე არაგვის ნაპირას. მე-3 დივიზია შედგებოდა მე-9 და მე-12 ლეგიონისაგან, მე-10 და მე-11 ლეგიონები დაბრკოლდნენ ქალაქ ახალციხეში, რადგან თავის დროზე ვერ მიიღეს ტანსაცმელი და იარაღი. ამგვარად, 2 მარტს ჩემს განკარგულებაში იყო სულ 8 ქვეითი და 1 სადარაჯო ლეგიონები.

იმავე დღეს ბორჯომის ხეობიდან მოვიდა ჩემს განკარგულებაში მე-11 ქვეითი ლეგიონი, რომელსაც შეადგენდა 1 500 თოფიანი და 8 ტყვია მფრქვეველი.

თუმცა, ჩემდამი მონდობილ ჯარებს ტფილისიდან უკან დახევის დღიდან მონინალმდეგესთან შეტაკების დროს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლიათ, მაგრამ ჯარისკაცთა რიცხვი ლეგიონებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემცირდა იმიტომ, რომ ჯარისკაცები გზადაგზა გარბოდნენ თავიანთ სახლებში. ლეგიონებში ითვლებოდა თითოში 150-500 თოფიანი. ამრიგად, ჩემს ფრონტზე ითვლებოდა 2 მარტს არა უმეტეს 2 500 თოფიანი ჯარისკაცი.

ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ სურამის უღელტეხილის პოზიციებზე ჩვენ დიდხანს შეეჩერდებოდით, რომ იქ შევავსებდით ჯარებს და იქ მივიღებდით იმ „რეალურ ძალას“, რომელსაც ნ. რამიშვილი გვპირდებოდა, ჯერ კიდევ გორში. **მთელ არმიას ილაჯი გაუწყდა და აღარ სჯეროდა დახმარებისა საზღვარგარეთიდან და ამასთან სულიერად ეცემოდა.**

ჯარის ნაწილების უფროსები წამდაუნუმ მთხოვდნენ ჯარისკაცებს. მათ არ ჰყოფნიდათ ხალხი მორიგე ნაწილების შესაცვლელად. არმიის შტაბი კი სდუმდა ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, დაპირებებით გვკვებავდა.

1.საინტერესოა გვარდიაზე ქართველი გენერლისა და ნ. ჟორდანიას ხელისუფლების მთავარსარდალის გ. კვინიტაძის შეხედულება ... „გვარდიის, როგორც სამხედრო ორგანიზაციის შექმნა იყო უმთავრესი თუ არა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, ბრძოლის ველზე გვარდია ან უარს ამბობდა ომზე, ან იქაურობას ტოვებდა, მაშინაც კი, თუ ბრძოლას ვიგებდით (გვ.13).

რა ხდებოდა ამ დროს მთავარსარდლისა და მთავრობის ბანაკში ჩვენ სრულებით არ ვიცოდით. ჩემი შტაბი თავის დროზე უგზავნიდა მირიგ მოხსენებებს მთავარ შტაბს, ხოლო მთავარსარდლის შტაბმა არ ჩათვალა საჭიროდ ეცნობებინა ჩემთვის, როგორც ფრონტის უფროსისთვის, ისეთი დიდი ამბები, როგორც არის მაგალითად, ჟლობას საკავალერიო დივიზიის გოდერძის უღელტეხილით უკან მოვლა და აგრეთვე, ბათუმში და ბათუმის ოლქში ოსმალთა ჯარის შემოსვლა.

თითქოს ყველა ეს საჭირო არ იყო და არ იყვნენ ღირსნი სცოდნოდით საჯავახოს პოზიციებზე მდგომ ქართულ ჯარებს.

საქართველოს მთავრობა კი, ჯერაც ვერ გამორკვეულიყო ქიაზიმ-ბეის ტკბილი ზღაპრების ბურუსიდან. ქიაზიმ-ბეი, როგორც მოგეხსენებათ, იყო ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც არწმუნებდა ჩვენს მთავრობას, რომ ოსმალეთის ერთადერთი სურვილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და ალბათ, ამიტომ დაუთმო ოსმალეთს საქართველოს მთავრობამ ჯერ ახალციხის მაზრის ნაწილი და მთელი არდაგანისა და ართვინის ოლქები, ხოლო შემდეგ, როდესაც დაიწყო სამხედრო მოქმედება ბოლშევიკებთან, ქიაზიმ-ბეის და მის ტელეგრაფის მოხელეს მისცეს უფლება, ხელშეუშლელად მთელი დღე-ღამის განმავლობაში ესარგებლათ მთავარი შტაბის აპარატის ოთახით, ისე რომ ქიაზიმ-ბეიმ იცოდა ჩვენი მოქმედების საიდუმლოებანი გაცილებით უკეთესად, ვიდრე ჩვენ ვიცოდით.

ჩვენს მთავრობასა და მთავარსარდალს თვალები აეხილათ მხოლოდ 17 მარტს და მხოლოდ მაშინ დაინახეს ქიაზიმ-ბეის ოინები, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ახლა ყველა თავის შველაზე ფიქრობდა.

ყოველი მათგანი ცდილობდა მალე ჩაესხა გემში თავისი ოჯახი, შემდეგ შიგ თვითონაც კარგად მოწყობილიყო და უამრავი სიმდიდრით, რომელიც შეადგენდა ქართველი ხალხის კუთვნილებას, მიეშურებინა საზღვარგარეთისაკენ.

საგულისხმო ის არის, რომ მთავრობის წევრები თავისი ბატონობის ხანაში ყველა მიტინგებზე და კრებებზე, ხალხს მუდამ არწმუნებდნენ, რომ ისინი რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და ამ რევოლუციიდან გამომდინარე ლოზუნგების განსახორციელებლად მუდამ ხალხთან იქნებიან, ხალხთან ერთად დაიხოცებიან და არასდროს მათ თავს არ დაანებებენ, მაგრამ არამც თუ თავი დაანებეს თავიანთ ჯარსაც კი არ შეატყობინეს თავისი წასვლა, მაგ. ლაშქარს, რომელიც იდგა საჯავახოს პოზიციებზე და რომელიც შედგებოდა ათი ათასი მეზრძოლისაგან.

ეს ათი ათასი მეზრძოლი მენშევიკურ ხელისუფლებას ხომ ბრმად იცავდა?

ამ ათი ათას მეზრძოლს, მთავრობის წევრნი ხომ ეფიცებოდნენ ან გავიმარჯვებთ, ან თქვენთან ერთად დავიხოცებითო. და ნუ თუ არ იყვნენ ისინი ღირსნი გაეგებინებიათ მათთვის თავისი წასვლა?

რა მოხდა ბათუმში? რა შიშმა მოიცვა ისინი? მათ ხომ იმ ხანებში ჰყავდათ ისეთი ძლიერი ლაშქარი, რომელიც სამი წლის განმავლობაში არასოდეს არ ჰყოლიათ? გარდა იმ 10 000 ჯარისკაცისა, რომლებიც საჯავახოს ფრონტზე იდგა, ბათუმში კიდევ იყო 3 000 მეზრძოლი.

რატომ არ გაიგზავნა რაზმი მტრის დასახვედრად ხულოში და აჭარის წყალზე? რად შეუშინდნენ ერთ მუჭა ოსმალებს და ნება რათ მისცეს გადაელახათ ჩვენი საზღვრები?

აი კითხვები, რომელნიც თავში გვიტრიალებდა ყველას, მთავრობის გაქცევის მეორე დღეს. გული სიმწრით გვეკუმშებოდა. ვხედავდით, რომ მოტყუებულნი დავრჩით ჩვენ.

ყველაზე მეტად ერთი კითხვა გვანუხებდა: თუ მთავრობის წევრნი მართალნი იყვნენ, რატომ არ უნდა დარჩენილიყვნენ ჩვენთან და რატომ არ უნდა გაეზიარებინათ ჩვენთან ერთად დამარცხებულთა ბედი?!

მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი ტყავის გადარჩენის სურვილმა დასძლია მთავრობის წევრთა ყველა კეთილშობილი გრძნობანი.

17 მარტს, შუადღისას ქუთაისიდან მოვიდა ჩემთან პოლკოვნიკი გურგენიძე და გადმომცა ბარათი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, გრიგოლ ლორთქიფანიძისა, რომელიც დარჩა ქუთაისში ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად.

ლორთქიფანიძე მაცნობდა, რომ ჩვენს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის დაიდო დროე-ბითი ზავი და წინადადება მეძლეოდა მომეგროვებინა საჯავახოს ხიდთან ცარიელი მატარებლები საბჭოთა ჯარების ბათუმში გადასაცემად.

შემდეგში ინსტრუქციები მე უნდა მიმელო მთავარსარდლისა და მთავრობისაგან.

საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. ბოლოს ვილაცა მოვიდა და მითხრა, რომ მე მეძახიან ბათუმის სადგურთან ტელეფონით.

ვიფიქრე, ალბათ, ნავთსადგურში ყველა გზები დაჭერილია მთავრობის მატარებლებით და სადგურის უფროსს უნდა ეს გარემოება მაცნობოს მეტეჟი, ამიტომ გავეშურე ტელეფონისაკენ. შევეკითხე: ვინ მელაპარაკება? პასუხი: **თქვენ გელაპარაკებათ სადგურიდან თენგიზ ჟღენტი, ბათუმის რეკომის წევრი.**

მე საშინლად გავკვირდი. ვუპასუხე, რომ არამც თუ არ ვიცნობ იმას, ვინც მელაპარაკება, ისიც კი არ ვიცი, რა სიტყვაა რეკომი, რომ მე მსურს ველაპარაკო ჩემი მთავრობის ერთ-ერთ წევრს, ან მთავარსარდალს.

ამაზე მივიღე პასუხი: გენერალო, მე უნდა აგიხსნათ შემდეგი, რომ თქვენი მთავრობა გაიქცა ბათუმიდან გემებით, ხოლო სანამ გაიქცეოდნენ, ციხიდან გაგვათავისუფლეს ჩვენ ე. ი. ბოლშევიკები და წინადადება მოგვცეს შევადგინოთ დროებითი მთავრობა. აი, სწორედ, ამ დროებით მთავრობას ეწოდება რეკომი, ე. ი. რევოლუციური კომიტეტი.

მე კვლავ გაკვირვებული ვიდექი და ვუთხარი: მე თქვენი არ მჯერა! გთხოვთ დაუყოვნებლივ შემაერთოთ მთავარსარდალთან. მანვე მომიგო: „მთავარსარდალი გაიქცა მთავრობასთან ერთად, თუ ესეც არ გჯერათ, ჰკითხეთ თქვენს გენერლებს, რომლებიც ამ წუთში აქ, ჩემთან არიან“. მე ვუთხარი: მოიხმეთ ტელეფონთან გენერალი ვარდენ წულუკიძე, თ. ჟღენტმა მიპასუხა, რომ ტელეფონი გადასცა ვარდენ წულუკიძეს.

– ვარდენ შენა ხარ?

– მე ვარ.

– მართალია, რომ მთავრობა და მთავარსარდალი ბათუმიდან ნავიდნენ?

– მართალია.

– რა განკარგულება მოახდინეს წასვლის დროს და მთავარსარდალმა ვინ დატოვა თავის მაგივრად?

– არავითარი განკარგულება მთავრობას არ მოუხდენია და მთავარსარდალს თავის მაგივრად არავინ დაუტოვებია. ყველა ჩვენ, ვინც არ მოვისურვეთ მთავრობასთან ერთად წასვლა, აქა ვართ სადგურზე და გთხოვთ საჩქაროდ მოხვიდე.

გენერალ ვარდენ წულუკიძესთან ლაპარაკის შემდეგ კიდევ ველაპარაკე ორ-სამ გენერალს და რადგანაც ყველანი ხმაზე ვიცანი და დავრწმუნდი, რომ გულწრფელად ლაპარაკობდნენ, მივმართე ისევ თ. ჟღენტს და ვუთხარი, რომ მე გადავწყვიტე მივიდე მასთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ორთქლმავალი ნამართვეს და ამიტომ არ შემიძლია მისვლა. თ. ჟღენტმა მიპასუხა, რომ სათანადო განკარგულებას გასცემს და მთხოვა არ დავიგვიანო, რადგან ყველანი მელიან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე უკვე სადგურში ვიყავი, სადგურში შემხვდა თ. ჟღენტი და წამიყვანა ოთახში, სადაც თავმოყრილნი იყვნენ რეკომის თითქმის ყველა წევრი და ოცამდე ჩვენი გენერალი და ოფიცერი.

რეკომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე სადგურში არ იყო. რეკომის იქ დამსწრე წევრთა შორის მე გავეცანი თ. ჟღენტს, კარპე მოდებაძეს, ურუშაძეს და დადიანს.

თ. ჟღენტმა ჩემს თანამოსამსახურეთა თანდასწრებით გამიმეორა, რაც ტელეფონით მითხრა და დაუმატა, რომ გაქცეული მთავრობის ნებართვით რამდენიმე დღის წინათ ბათუმში შემოვიდნენ ოსმალების ჯარები და ქიაზიმ-ბეიმ უკვე გამოაცხადა თავისი თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და სროლა, რომელიც მოისმის ქალაქში, არის შედეგი ქართველებსა და ოსმალებს შორის მომხდარი შეტაკებისა.

რეკომს უკვე ჰქონდა ბჭობა ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ იქ დამსწრე გენ-

ერლებთან და დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის ე. ი. მეკისრა ქართული ჯარების სარდლობა. მე ვიფიქრე: ცხადი იყო ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შესძლებდა.

მე ვიცოდი, რომ ოსმალებს კავშირი ჰქონოდა რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოსა და ოსმალეთ შორის ატეხილ ომში.

ყველა ამ ფიქრებმა ელვასავით გაირბინეს თავში, მე გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დაგვედომოდა საბჭოთა ჯარების მოსვლამდე ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა.

მე მივმართე თ. ჟღენტს და ამხანაგებს მოკლე სიტყვით, სხვათა შორის ვთქვი, რომ ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში, ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლებიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უნინდელი სამსახურისათვის არ იქნება დასჯილი, მე მზადა ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგ. ამასთან გამოვთქვი იმედი, რომ ყველა იქ დამსწრე ჩემი თანამოსამსახურენი იზიარებენ ჩემს აზრს.

ყველა იქ დამსწრე ოფიცრებმა დაადასტურეს ჩემი აზრი.

თენგიზ ჟღენტმა რევეკომის სახელით მიპასუხა, რომ არც ერთი ჯარისკაცი მენშევიკებთან სამსახურისათვის არავითარ სასჯელს არ მიიღებს და რომ ამის შესახებ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გამოსცა მანიფესტი. დასასრულ მოგვმართა ყველას შემდეგი სიტყვებით: „ამხანაგებო, ჩვენ, ბოლშევიკები დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს საქართველო და მისი არმია, ვიდრე მენშევიკებს“. ამ სიტყვების შემდეგ თ. ჟღენტს ვთხოვე წერილობით აღენიშნა ჩემი დანიშვნა და ამასთან გადმოეცა ჩემს განკარგულებაში ტელეგრაფისა და ტელეფონის ყველა საშუალებანი.

ყველა ეს ამბავი დაუყოვნებლივ ვაცნობე ტელეგრაფით საჯავახოს ფრონტის შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ ძაგანიას, ვუბრძანე ლანჩხუთიდან გამოეწვია ფრონტის ხაზიდან გენერალი სუმბათაშვილი ჩემს მოადგილედ და გავეცი განკარგულება გაეგზავნათ ცარიელი მატარებელი საჯავახოს ხიდან საბჭოთა ჯარების ბათუმში წამოსაყვანად.

შემდეგ მოველაპარაკე გენერალ ვ. ნულუკიძეს და ართმელაძეს და ციხის რაიონი გავყავი ორ მებრძოლ უბნად: ნაწილი ქალაქისა, ბარცხანა და კახაბრის ფორტები დავუქვემდებარე გენერალ ნულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი, სტეფანოვკა და ანარიის ფორტები – გენერალ ართმელაძეს.

გათენებისას, 4 საათზე მე და თ. ჟღენტი წავედით ავტომობილით რევეკომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძესთან, რათა მოგვეხსენებინა ჩვენი გადაწყვეტილება და რაც შეეხება ჩვენ მიერ მიღებულ ზომებს, ვთხოვეთ მოენერა ხელი ბრძანებაზე, რომლითაც მე ვირიცხებოდი საქართველოს წითელი ჯარის სარდლად და ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად.

შემდეგ გავემგზავრე ციხის შტაბში, სადაც ხელდახელ შევადგინე რაზმის შტაბი. დილის 6 საათზე ქალაქის ყველა ქუჩაზე უკვე გაკრული იყო ბრძანება ჩემი დანიშვნის შესახებ, ქიაზიმბეის გავუგზავნე ულტიმატუმი მოთხოვნილება, ერთი საათის განმავლობაში გაეყვანა თავისი ჯარები ბათუმის ოლქიდან და დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა წინა დღით დაჭერილი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, რადიოს სადგური, ბარცხანის ფორტი და ქალაქის მილიციის შენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დავემუქრე, შევუდგებოდი სამხედრო მოქმედებას.

ამ ულტიმატუმზე ქიაზიმ-ბეიმ არავითარი პასუხი არ გამცა. ერთი საათი რომ გავიდა გავეცი ბრძანება, დაეწყოთ სამხედრო მოქმედება ბარცხანის ფორტის რაიონში და ქალაქის იმ ადგილებში, სადაც აგებულია ყაზარმები.

რევეკომის წევრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩვენსა და ოსმალებს შორის შეტაკება არ მომხდარიყო და განუწყვეტლივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქიაზიმ-ბეისთან, მაგრამ

ქიაზიმ-ბეი ერთის მხრივ არწმუნებდა დელეგატებს რომ ის მზადაა მშვიდობიანი გზით მოავაროს შექმნილი მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ ოსმალეთის ჯარების უფროსებისაგან დეპეშით მოითხოვდა მაშველ ჯარებს. იმ დეპეშებს ჩვენები იჭერდნენ და ადგენდნენ შტაბში.

18 მარტს შუადღის 4 საათამდე არ შეწყვეტილა თოფისა და ტყვიისმფრქვეველების სროლა ბარცხანასა და კახაბრის რაიონებში. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები ნავთსადგურიდან საბარგო სადგურამდე და მათი ცდა იყო აეძულებინათ ოსმალები დაეყარათ იარაღი.

ასე მიდიოდა საქმე, მაგრამ ამ დროს ჩაქვის მხრიდან გამოჩნდა ჯარისკაცთა მატარებელი. ოსმალებმა იფიქრეს, ესენი ჩვენთან საბრძოლველად გამოწვეული ქართველი ჯარები იქნებო, გამოვიდნენ ფორტიდან, გააჩერეს მატარებელი და შეუდგნენ მათ განიარაღებას, სინამდვილეში კი, ის იყო საბჭოთა ჯარების პირველი ეშელონი, რომელიც მოდიოდა საჯავახოს სადგურიდან. ამ მომენტით ისარგებლეს ჯარებმა და ფორტს მიუახლოვდნენ, სადგურის პაკვაუზის უკან იდგა ცხენოსანი რაზმი, თავზეხელაღებული მამაცი პოლკოვნიკის ფრიდონ წულუკიძის უფროსობით. წულუკიძე თავისი რაზმით გამოვიდა პაკვაუზებიდან, გარს შემოერტყა ფორტს და გაღებულ ალაცაფის კარებიდან შეიჭრა თვით ფორტში. ოსმალებმა გააღეს ალაცაფის კარები თავისი ჯარების გამოსაშვებად, რომლებიც გამოვიდნენ ჯარისკაცებით დატვირთული მატარებლის ხელში ჩასაგდებად, ხოლო დაკეტვა მისი დაავიწყდათ.

ნახევარი საათის შემდეგ ბარცხანის მთელი გარნიზონი განადგურებული იქნა, ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი, რიცხვით 218 ასკერი დაატყვევეს და ჩემ შტაბში გამოგზავნეს.

მატარებელი ბოლოს და ბოლოს განთავისუფლებული იქნა განიარაღებისაგან და ეშელონის მთელი ქონება უკან იქნა დაბრუნებული.

მოსული ეშელონის დასახვედრად წავიდა თ. ჟღენტი ჩემი შტაბის განკარგულებით იმ ადგილას, სადაც გადმოსხეს ეშელონი, გაიგზავნა ქართული სამხედრო ორკესტრი, რეგომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე მიესალმა ეშელონს და მიულოცა ბათუმში მოსვლა, რის შემდეგაც ჯარები დაბინავდნენ ქალთა გიმნაზიის შენობაში.

ბარცხანის ფორტის ალების შემდეგ ქართული ცხენოსანი ჯარის ქალაქში დატოვება აღარ შეიძლებოდა, რადგან ცხენების საკვები გამოგველია. ქალაქში კი არ მოიძებნებოდა ცხენების საკვები, ამიტომ ჩემი განკარგულებით ცხენოსანი ჯარი იმავე საღამოს ბარცხანიდან წავიდა ქობულეთში და იქ დაბანაკდა.

ლამემ მშვიდობიანად გაიარა. საღამოს 9 საათზე მე ვიყავი გენერალ ვარდენ წულუკიძის შტაბში სადგურზე, სადაც ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მოიყვანეს ერთი ცხენოსანი კაზაკი.

ჩემ შეკითხვაზე ვინ არის და საიდან მოვიდა, კაზაკმა მიპასუხა, რომ ის ეძებს ქართული ჯარების უფროსს და როდესაც გაიგო ეს უფროსი მე ვიყავი, დაუმატა, რომ ის არის გამოგზავნილი დივიზიის უფროსის, ამხანაგ ჟლობასაგან აჭარის წყალიდან ჩემთან კავშირის გასაბმელად, რადგან დივიზიის უფროსმა უკვე იცის რომ ქართველებსა და საბჭოებს შორის უკვე არის შეთანხმება.

წერილობითი საბუთები არ ჰქონდა.

ვკითხე, საიდან მოხვდნენ ისინი აჭარის წყალზე, კაზაკმა მიპასუხა, რომ ისინი მოდიან ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილით და მოვიდნენ დღეს აჭარის წყალზე.

ჩვენი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ბარცხანის ფორტთან გავიმარჯვეთ, მაინც მეტად სერიოზული იყო.

ოსმალებს მთელი დღის განმავლობაში იერიში-იერიშზე მოჰქონდათ კახაბრის ფორტზე.

კახაბრის დაჭერით ოსმალები ხდებოდნენ ბათუმის ფაქტიურ ბატონად. საჭირო იყო იმავე ღამეს გამეგზავნა კახაბერში მაშველი რაზმი. თავისუფალი ჯარის ნაწილები არ გვყავდა. მე და გენ. წულუკიძემ ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ გამოგვეყენებია ამ საქმისათვის ამხ. ჟლობას დივიზია. ჩვენი გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: ამხ. ჟლობას დივიზიას თუ დავაბინავებდით სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე თავისუფლდებოდა ამ ფორტების გარნიზონები და მე საშუალება მეძლეოდა ეს გარნიზონები გამეგზავნა დასახმარებლად კახაბრის ფორტზე. ამიტომ ჩვენ მივეცით კაზაკს მორიგე ავტომობილი, გავაყოლეთ ერთი ოფიცერი და გავგზავნე ამხ. ჟლობასთან. ოფიცერს დავავალეთ გადაეცა ამხ. ჟლობასთვის, რომ ქარ-

თული ჯარების უფროსები თხოვენ მას დაუყოვნებლივ მოვიდეს სადგურზე.

ორი საათის შემდეგ ჟღობა თავისი შტაბის უფროსით მოვიდა ჩემთან და ჩვენ ერთად წავედით რევეკომის თავმჯდომარესთან. ამხ. ჟღობამ მოახსენა ს. ქავთარაძეს, თუ როგორ შეასრულა მან დაკისრებული ამოცანა და სთხოვა საშუალება მიეცა მისთვის, გაეგზავნა დეპეშა არმიის უფროსისათვის, ხოლო მისთვის მიეცა სადგომები დივიზიის დასაბინავებლად. მოხსენება რომ გათავდა, მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასურველია ამხ. ჟღობას რაზმი ჯერჯერობით არ შემოვიყვანოთ ქალაქში და დავაბინავოთ იგი სტეფანოვკასა და ანარიის ფორტებზე და ამით მომცენ მე საშუალება გამოვიყენო ამ ფორტების გარნიზონი.

ამხ. ჟღობამ თქვა, რომ სანამ არ მიიღებს არმიის უფროსისაგან ინსტრუქციებს, ოსმალების წინააღმდეგ არაფერს არ მოიმოქმედებს, მაგრამ თანახმაა დროებით დაბინავდეს ხსენებულ ფორტებზე.

ამხ. ჟღობამ გადმომცა დეპეშა არმიის უფროსის სახელზე და მთხოვა საჩქაროდ გამეგზავნა ტფილისში, თვითონ კი თავისი შტაბის უფროსის თანხლებით წავიდა აჭარის წყალზე თავისი ცხენოსანი რაზმის ჩამოსაყვანად.

სხვათა შორის, ჟღობას დეპეშაში არმიის უფროსისადმი იყო ნათქვამი, რომ აჭარის წყლიდან დაწყებული ბათუმამდე მთელ გზაზე ერთმანეთს მისდევდნენ დაჭრილი ასკერები, რომლებიც ყველას ეუბნებოდნენ, რომ ქართველებს მოუვიდათ ფრანგებისა და ინგლისელების მაშველი ჯარები, რომ უცხოელების კრეისერები ყუმბარებს უშენენ ფორტებს და ამიტომ ოსმალები ძალიან დაზარალდნენ და სხვა.

19 მარტს დილიდანვე ოსმალებმა მოიტანეს გაძლიერებული იერიშები კახაბრის ფორტზე, მაგრამ ჩვენი არტილერია მამაცი მაიორის პ. ქარუმიძის უფროსობით ისე ბრწყინვალედ მოქმედებდა, რომ ოსმალები ვერაფერს ვერ გააწყობდნენ. სხვათა შორის, ამ არტილერიას ოსმალებთან ბრძოლაში დიდი ზარალი მოუვიდა. პ. ქარუმიძე მატყობინებდა, რომ ყველა მსროლელი და მეძინენი მოუტკლეს და დაუჭრეს, ხოლო ზარბაზნებიდან სროლა ეხლა ოფიცრებს უხდებოდა. საქმე ცუდად იყო. არტილერიის ნაწილები ქალაქში არ იყო, საჭირო იყო ზარბაზნებიდან სროლისათვის ცოტა ოდნავ მაინც მცოდნე ჯარისკაცი. ქალაქის მილიციის უფროსის დახმარებით ქალაქის მცხოვრებლებს შორის მოვაგროვე 20-მდე მოხალისე, რომლებიც ოდესღაც არტილერიაში მსახურობდნენ და გავგზავნე ქარუმიძის განკარგულებაში.

სტეფანოვკასა და ანარიის გარნიზონებს გზადაგზა მოუხდათ მრავალი დაბრკოლების გადალახვა და ოსმალებთან ხანმოკლე ბრძოლა, ბოლოს შეუერთდნენ კახაბრის ფორტის გარნიზონს. ამ დღეს ოსმალებს მოუვიდათ დიდი ზარალი, კახაბრის ახლო ღელეები სავსე იყო მოკლული ასკერების გვამებით. ქიაზიმ-ბეის მდივანი ხშირად დარბოდა რევეკომის თავმჯდომარის კანცელარიაში სხვადასხვაგვარი თხოვნებით, და ამისაგან გავიგეთ, რომ იმ დღეს ოსმალებმა დაჰკარგეს ორი თვალსაჩინო შტაბ-ოფიცერი. ბათუმის მიდამოები მტრისაგან უკვე მთლად განმენდილი იყო, ახლა საჭირო იყო მხოლოდ განიარაღება მტრის პატარა რაზმებისა, რომლებიც ჩასაფრებულნი იყვნენ ქალაქის მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში.

ეს ოპერაცია უნდა მომეხდინა 20 მარტს, მაგრამ დილის 9 საათზე ჩემთან გამოცხადდა ქიაზიმ-ბეის მდივანი და მისი სახელით გადმომცა, რომ ქიაზიმ-ბეიმ გადაწყვიტა დაცალოს ქალაქი და გადავიდეს თავის საზღვრებზე ჭოროხის იქით. ამასთან ერთად მდივანმა მთხოვა დამეთმო მათთვის ერთი დღის საგზალი პური, რადგან გარნიზონს სამი დღეა არაფერი უჭამია.

ეს ამბავი, რომ მათ საჭმელი არ ჰქონდათ, მე წინდანინვე ვიცოდი. რევეკომის თავმჯდომარესთან ერთად გადავწყვიტეთ მიგვეცა საშუალება ოსმალებისათვის დაეცალათ ქალაქი.

ქიაზიმ-ბეის თხოვნა მაშინვე დავაკმაყოფილე, გავუგზავნე საკმაო პური და ქალაქში დაბანაკებულ გარნიზონს ვუბრძანე, რომ მიეღოთ ზომები ოსმალების მიმავალ ჯარების დასაცავად, სანამ ისინი გასცდებოდნენ ფრონტის ხაზს. ამის შემდეგ გავემართე რევეკომის თავმჯდომარესთან და მოვახსენე: 20 მარტს 12 საათიდან ბათუმში და მის ოლქში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ არის.

დიხაშო-ისრიტის გვარსახელები (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

გვარსახელთა კომპლექსური, ეთნოისტორიული და ენობრივი შესწავლით ქართველთა მრავალსაუკუნოვანი კულტურული ისტორიის არაერთი საკითხი ირკვევა. ამიტომაც აქვს გვარსახელთა რეგიონების მიხედვით კვლევას უდიდესი მნიშვნელობა. დიხაშო-ისრიტის გვარსახელების შესწავლაც ჩვენ მიერ აღნიშნული კუთხით ჩატარებული მუშაობის ნაწილია.

მდინარე სულორის ნაპირზე მდებარე ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი დიხაშო ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია XVIII საუკუნეში. სოფლის სახელი მეგრული წარმომავლობით იხსნება და „კარგ მინას“ ნიშნავს. გვარსახელთა ეთნოისტორიული კვლევის დროს აღნიშნულთან ერთად მოწმდება ისიც, რომ დიხაშო და ისრიტი **ჩიჯავადის** სამფლობელო ტერიტორია ყოფილა, რაც შეეხება დიხაშო-ისრიტის მკვიდრთა მიერ დღესაც ერთ სოფლად წარმოდგენას „კოლექტივიზაციის“ დროინდელი საფუძველი აქვს: „კომუნისტების დროს დიხაშო და ისრიტი ერთ კოლმეურნეობაში იყო.“ ეთნოგრაფიული მასალის ნაწილით დასტურდება აფხაზურ-ქართული თავადური გვარის ანჩაბაძეთა (ანჩიბაია ადგილობრივი ვარიანტით) სოფელ დიხაშოს მფლობელობა.

ისრიტში ზემო იმერეთიდან, ხარაგაულიდან, „ორი საუკუნის უკან“ გადმოსახლებული ორი ძმის **კაპატაძეების** (ტაბატაძე) „ნამრავლი“ 25 კომლი მკვიდრობს: „ერთი დასახლებულია ისრიტში და მეორე ბზვანში“. ბზვანელი კაპატაძეების განაყოფები კი ამაღლებაში ცხოვრობენ.

პირსახელიდან „კაპა“ ნაწარმოები გვარის (კაპატაძე) პირვანდელი ფორმა ტაბატაძე წერეთლების ყმა-გლეხთა ნუსხაში მოიხსენიებიან (ო. სოსელია, 1981, გვ.90). ტაბატაძე იხსენიება 1736 წლის 25 აგვისტოს ლევან აბაშიძის ანუკა ბატონიშვილისადმი მიცემული ნასყიდობის წიგნის მოწმედაც (დოკუმენტები 1959, გვ.62). საერთოდ, XVI-XVII-XVIII საუკუნეების საბუთებით ტაბატაძეები დღევანდელი თერჯოლა-ხარაგაულის რაიონებში მკვიდრობდნენ (პალ, 2007, გვ. 221-222). ტაბატაძეები ცხოვრობდნენ აგრეთვე ბორჯომსა და ახალციხის რაიონებში (ი. მაისურაძე, 1990, გვ.152). XIX საუკუნის 40-იანი წლების საარქივო მასალებით კაპატაძეები ვანის სოფლებში – ბზვანსა და ისრიტში საბატონო გლეხები იყვნენ. რაც შეეხება ტაბატაძეებს, ისინი მკვიდრობენ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელი თერჯოლა-ხარაგაულის რაიონების სხვადასხვა სოფლებში: არგვეთში, ბერეთისაში (1558 წლის საბუთში მოხსენიებული ტაბატაძე მკვიდრობს სოფელ ბერეთს (პალ, 2007, გვ 221). ბოსლევში, კორბოულში საბატონო გლეხები იყვნენ ხარაგაულის რაიონის სოფელ ვანში – სასულიერო და სახელმწიფო გლეხები, ვარძიაში – საეკლესიო გლეხები, მარელისში – სახელმწიფო გლეხები, საქარაში – საბატონო გლეხები ჩხეიძისა, ფუთში – ჩხეიძის შინა მოსამსახურეები, ჩხარში კი – შოთაძის საბატონო გლეხები (მ.კეზევაძე, 2004, გვ.6,8,9,10,28,43,48).

გვარი სოფელში კომპაქტურად „**კაპატაძეების უბანში**“ ცხოვრობს. გვხვდება აგრეთვე „**კაპატაძეების ქალა**“. გვარის მისაგნებელია „**ჭაპანი**“ (გადმოცემით მშრომელი ხალხი ყოფილა). გვარში შესვლის, გვარიდან გასულობის, „გვარგატეხილობის“ შემთხვევა არ დასტურდება.

სოფელ დიხაშოს მკვიდრი ყველა მამასახლისი ერთი „ჯიმ-მოდგმის“ არიან. მათი ადრინდელი გვარი ყოფილა ინაკავაძე: „მსახურეული იყო ერთი ჩვენი წინაპარი და მისცეს მამასახლისობა. მოგვიანებით ეს სახელი გაგვარებულა.“

იმერელი ინაკავაძეების აზნაურობა საისტორიო საბუთებით XVII საუკუნიდან დასტურ-

დება. ვანში ისინი სათავადო აზნაურები იყვნენ, ტყაჩირში – აზნაურები, ქუთაისში კი სახელმწიფო აზნაურები (მ.კეზევაძე 2004, გვ.23, 26, 90). მთხრობელთა გადმოცემის საისტორიო მონაცემების დადასტურების მიუხედავად, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა მამასახლისის წინაპარი მსახურეული სახელის მატარებელი არ იყო. მამასახლისები XIX საუკუნის აღწერის მასალებით მხოლოდ საბატონო და საეკლესიო გლეხებად იხსენიებიან, დიხაშხოში საბატონო გლეხები იყვნენ, ვანში კი, საეკლესიო გლეხები.

ძიებამ დაადასტურა ორი გადმოცემა **ქავთარაძეების** გურიიდან და საჩხერის რაიონის სოფელ სავანიდან დიხაშხოში გადმოსახლების შესახებ.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ახალ ბატონთან თავშეფარებულს, ძველი პასუხს ვედარ მოგთხოვდა. დანაშაულის, მკვლელობის გამო გამოქცეულა ორი ძმა და ჩამოსულა აქ, დიხაშხოში. ორივე უცოლო ყოფილა და დასახლებულან ჩიჯავაძესთან. ამ ორი ძმის ნამრავლი ვართ დღეს სოფლის ქავთარაძეები. ჩვენი საგნებელია **„ყურთეთრები“** (აქ მოსული ორი ძმიდან ერთის ნიშანი იყო თეთრი ყური), მეორე ძმის შვილებს ჰქვია **„პატუელები“**.

სხვა გადმოცემით: „ყველა ქავთარაძეები ნათესავეები ვართ. გურიის სოფელ ასკანის ქავთარაძეები დაიხბლოვა ჩემმა ძმამ, ახლა ჩემი ორი ძმის ნაშიერი თავისი ცხრა შვილით ცხოვრობს ოზურგეთში“.

სოფელში ქავთარაძეების მრავლად და დიდი ხნის მკვიდრობის დასტურია ანთროპოლოგ-პოინები: **ქავთარაძეების უბანი, ჯვარისერის ქავთარაძეები და ისრითის ქავთარაძეები.**

ქავთარაძეების გვარის ეთნოისტორიული კვლევა გვინახავს ქართველთა საოჯახო-ნათესაური ურთიერთობების უძველეს ტრადიციებს: **„პატუელების“** ქალი გათხოვდა სოფლის ქელიძეებში, გარდაიცვალა უშვილოდ, მაგრამ, ჩვენ ვმოყვრობთ და თხოვა-გათხოვება არაა არც ახლა“.

გოგორიშვილები დიხაშხოს გარდა ცხოვრობენ სალხინოსა და ბზვანში. დიხაშხოს ყველა გოგორიშვილი მესხეთიდან გათურქებას გამოქცეული ორი ძმის – დავითისა და ართამიდის შთამომავალი არიან. ბზვანსა და სალხინოში მცხოვრები გოგორიშვილები დიხაშხოელების განაყოფებია. სოფელში ამ გვარის დაახლოებით 12-15 ოჯახი ცხოვრობს.

ყველაზე ადრინდელი ცნობა, რომლითაც დასტურდება გოგორიშვილთა წარჩინებული წოდებისათვის მიკუთვნებულობა და ის, რომ ამ გვარის თავდაპირველი საცხოვრისი სამხრეთ საქართველო იყო, დათარიღებულია 1587 წლით (რ.თოფჩიშვილი, 2011, გვ.92). მაისურაძის ცნობითაც ეპონიმიური გვარი (მომდინარეობს საკუთარი სახელიდან გოგორი) გოგორიშვილი მესხეთიდანაა, გადასახლდნენ იმერეთსა და გურიაში (ი. მაისურაძე, 1990, გვ.48). „ეგრისში“ ქართლიდან და მესხეთ-ჯავახეთიდან მიგრირებულ გვართა შორის მოიხსენიებს გოგორიშვილს ა.ფაილოძეც (ა. ფაილოძე 2005, გვ.163-165). თუმცა, ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ საქართველოს ისტორიული თემებიდან გადმოსახლება „ეგრისში ქართიზაციას“ ინვევდა. რაც შეეხება იმერეთის მკვიდრ გოგორიშვილებს ჩიჯავაძეების (ისინი ფლობდნენ დიხაშხოს ნაწილობრივ, ბზვანს ნაწილობრივ და სალხინოს) აზნაურები მართლაც იყვნენ. (ო. სოსელია, 1981, გვ.12-14). გოგორიშვილები ჩხეიძეების (ისინი ვანის ზოგიერთ სოფელს ფლობდნენ) აზნაურებიც არიან (ო.სოსელია, 1973, გვ.38). საარქივო მონაცემებით გოგორიშვილები ბზვანსა და დიხაშხოში სათავადო აზნაურები იყვნენ, ინაშაურში – სასულიერონი, ხოლო საქარაში აბაშიძის საბატონო გლეხები (მ.კეზევაძე, 2004, გვ.8-23-42-78).

ეთნოგრაფიული მასალებით „ვანში მოსულან დაახლოებით 3-4 საუკუნის წინათ. იქაც გოგორიშვილები ვყოფილვართ. მესხეთში წინაპარი თავადი ყოფილა, ვანში კი ჩიჯავაძის აზნაურები ვიყავით, სამხრეთ აღმოსავლეთიდან გადმოსულან საირმით“.

როგორც ჩანს, გოგორიშვილები ისტორიის სიღრმეში მასიურად გადმოსახლებულან დასავლეთ საქართველოში და იმერეთის თემის სხვადასხვა სოფლებში დასახლებულები სხვადასხვა სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ.

ბზვანსა და დიხაშხოში გვხვდება გოგორიშვილების გვარის სახელის მატარებელი ანთრო-

პოტოპონიშვილი: გოგორიშვილების გორი (სოფელ ბზვანში), გოგორიშვილების უბანი (სოფელ დიხაშხოში), გოგორიშვილის ნანისქვილარი (ფერმა სოფელ ბზვანში). (საქართველოს ტოპონიმი 2003, გვ.72).

ერთი წინაპრის შთამომავალია სოფელ დიხაშხოს მკვიდრი ყველა ერემეიშვილი (ერემეიშვილი სავარაუდოდ). მოსულობაზე გადმოცემა არა აქვთ.

გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **იერემია**, ბერძნულია და ნიშნავს „ღმერთი აღამაღლებს“ (ზ. ჭუმბურიძე, 1992, გვ.110). XIX საუკუნის 40-იანი წლების მასალებში მოხსენიებულია დიხაშხოს მკვიდრი საბატონო გლეხი იერემეიშვილი/ერემეიშვილი (მ.კეხევაძე, 2004, გვ.23). თუ მივიღებთ, რომ საისტორიო საბუთებში XVIIIსაუკუნის ბოლო მეოთხედში ახალქალაქში მოხსენიებული ერემასვილი/ერემეიშვილი დიხაშხოს მკვიდრი დღევანდელი ერემეიშვილის წინაპარი იყო, მაშინ მოსალოდნელია ერემეიშვილების გადმოსახლების მიზეზიც ქრისტიანობის გადარჩენის მიზნით. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გვარს საფუძვლად უდევს მთელ საქრისტიანოში გავრცელებული სახელი **იერემია**, შეიძლება ვიფიქროთ ვანის ერემეიშვილების გვარის დამოუკიდებლად წარმოშობის შესახებაც.

სოფელ დიხაშხოში **ციხისუბანს** ჩიჯავაძის მიერ გურიელიდან ნაყიდი **ჯინჭარაძის** შთამომავლების 20-მდე კომლი ცხოვრობს.

საკუთარი სახელიდან მომდინარე **ჯინჭარაძის** გვარის თავდაპირველი სამკვიდრო ნამდვილადაა გურია. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ფართოდ გავრცელებული საკუთარი სახელიდან ჯინჭარა ნაწარმოები ეს გვარიც დამოუკიდებლად შეიძლებოდა წარმოქმნილიყო საქართველოს სხვადასხვა თემში სხვადასხვა დროს. კომპაქტურად მოსახლეობენ რაჭაშიც, ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში. ცხოვრობენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბელლაგში. ცნობილია დიდაჭარის ანთროპოტოპონიმი ჯინჭარაღელე, რომელიც აღნიშნული გვარის მთიან აჭარაში მცხოვრებლობის დასტურია (ი. სიხარულიძე, 1959, გვ.116) ცხოვრობენ აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში (პ. ცხადაია, 2000, გვ. 175). XIXსაუკუნის 40-იანი წლების მონაცემებით ჯინჭარაძეები იმერეთის სოფლებში – გორისაში, დიხაშხოში, მუხაყრუასა და ოფეთში მკვიდრობდნენ და ყველგან საბატონო გლეხები იყვნენ (მ.კეხევაძე, 2004, გვ. 16,23,58,64), რაც შეეხება დიხაშხოში „ციხისუბანში“ ჯინჭარაძეთა გვარის მკვიდრობას, აქ ორი ტოპონიმი გვხვდება: **ჯინჭარაძეების სასაფლაო და ჯინჭარაძეების უბანი** (საქართველოს ტოპონიმი 2003, გვ. 402)

„ჩხარის¹ მკვიდრი **ალექსანდრე ვერულაშვილი** ჩამოესიდა დიხაშხოში ერემეიშვილზე. ალექსანდრეს ძმას ქვიოდა გიორგი. სავარაუდოდ ამ გიორგიმ ჩამოასწრო ძმას, მაგრამ „ალექსანდრეს ოთხი ბიჭის (კალისტრატე, ავაბო, მამია და გიორგი) ნაშიერი ვერულაშვილები მეტობენ სოფელში. განაყოფი, ჩვენები არიან გიორგის ჩამომავლებიც. ასე, რომ ყველა ერთი ფუძისანი ვართ. თანასოფლელები **„ვერულეს“** გვახელებენ. გვარი კომპაქტურად მკვიდრობს ცენტრში და „ჯვარისერში“, ამიტომაც არის ვერულაშვილების ორი უბანი: **„ცენტრის ვერულაშვილები“** და **„ჯვარისერის ვერულაშვილები“**.

სოფელ დიხაშხოში რაჭიდან გამოქცეული სტეფანე **ჭოხონელიძის** საფუძველდადებული ერთი „შტოს“ ხუთი კომლი მკვიდრობს. მოჯამაგირედ იყო **ანჩიბაისთან**. გამოქცეული იყო დანაშაულის გამო. ანჩიბაიამ გამოუყო ადგილი **„ბონკოს პირში“** (მდინარეა ბონკო). გვარის საგნებელია **„მუშტუკუნა“** („მგონი მუშტუკის მკეთებელი“).

რაც შეეხება რაჭველ ჭოხონელიძეებს, „აქ თავშეფარებული ხონელიძეების შთამომავალი ჭოხონელიძეები მკვიდრობენ“. მკვიდრობენ რაჭის სოფლებს ცახსა და ტბეთს.

საღრიშვილების გვარის დიხაშხოში დასახლების შესახებ გადმოცემა დიდი და ძლიერი, გამოჩინებული წინაპრის ყოლის სურვილს ჰგავს: „ვეყოფილვართ კოლონკელიძეები (საღრიშვილი). მგონი მთათუშეთიდან მოსულა ჩვენი წინაპარი. წინაპრები თავადები ყოფილან. წი-

1. ჩხარელი ვერულაშვილები აზნაურები იყვნენ (რ. თოფჩიშვილი, 2011, გვ.132)
7. მატჩანე

ნააღმდეგობა გაუწევიათ მეფისთვის. გვარი მომდინარეობს **სალარასაგან**. ამ სალარას შვილი ყოფილა თევდორე, მერე მახარე, მერე ეგნატე და დავითი. სოფელში დღეს ცხოვრობს ეგნატესა და დავითის შთამომავალი სალრიშვილების დაახლოებით 45 კომლი. როგორ მოხვდა გვარი ვანში და როდის არ ვიცით. ძირითადად დინაშოს ვაკეში ვცხოვრობთ. ადრე ვცხოვრობდით დინაშოს მთიან უბან **„ვაშლარაში“**. სალრიშვილებს აქვთ გვარის საგნებელი. „იმის გამო, რომ სხვას ვვობდით დაგვარქვეს **„ტურები“** (ვითომ ეშმაკებია არიანო).

სალრიშვილების გვარის კვლევისას დავადასტურეთ საინტერესოა გადმოცემა ქართველობაში, შვილად აყვანილსა და ამყვანს შორის დადასტურებული ნათესაობის წესის, ქორწინების აკრძალვის შესახებ. „ვასილ სალრიშვილს პირველი მსოფლიო ომის დროს მოუყვანია ვილაც ბავშვი და გაუზრდია. შემდეგ თოთხმეტი წლისას შეყვარებია სალრიშვილის გოგო. მიუხედავად იმისა, რომ ის სალრიშვილი არ იყო და მან ეს იცოდა, ჩვენი წესით სალრიშვილების ნათესავი იყო და ეს ეკრძალებოდა. ამიტომ გოგო და გაუგდიათ“.

ვანის სოფლების დინაშოსა და ისრითის მკვიდრ **სუპატაშვილებს** გადმოცემა მოსულობაზე და შესაბამისად მოსვლის დროზეც არ აქვთ. განსხვავებით მათგან ბაღდათის, სოფელ როხის მკვიდრი სუპატაშვილები ადასტურებენ, რომ თავდაპირველად მოსულან ვანში, სოფელ ისრითში XVIII საუკუნის ბოლოს ქართლიდან. სამაგიეროდ ისრითის მკვიდრი სუპატაშვილების მონათხრობი ქართლის მკვიდრებთან ურთიერთობაზე მათი ქართლში ცხოვრების შესახებ უნდა მიუთითებდეს.¹

სუპატაშვილების გვარის კვლევა საინტერესოა სოციალურ ფენებს შორის ახლო ურთიერთობების თვალსაზრისითაც: „ჩიჯავაძესთან ვიყავით. ბატონყმობის დროს, მათ გარშემო, ჩიჯავაძის გარემოში ვესახლეთ“; სოციალური ურთიერთობების გარდა ირკვევა სოფელში უკვე აღარმკვიდრი გვარების შესახებ: „ჩიჯავაძის (დღევანდელ ბუჭყულას) ბაბუას (მგონი სიმონს) ყავდა დადიანის ქალი. აქ ცხოვრობენ ამ დადიანის ნამზითვი **ჭუბაბრიები** და **ჯიჯილავები**. თუმცა ჯიჯილავები დღეს აღარ არიან. მათ ფუძეზე ცხოვრობს ნარჩემაშვილი“; ირკვევა გვართა დანიშნულების შესაძლებლობების შესახებ: „დინაშოელი სუპატაშვილები მხოლოდ დინაშოში არიან აზნაურები. ლორთქიფანიძე ყოფილა **„ვაშლარაში“**, დინაშოელ სუპატაშვილს განყობილი ცხენი მიურთმევია მისთვის და ლორთქიფანიძეს დინაშოელი სუპატაშვილებისათვის მიუცია აზნაურობა“.

სუპატაშვილების საგნებელი **„კუკუნები“** ქიზიყურად იხსნება და მძიმედ, ნელ-ნელა მომუშავეს ჰქვია. აღნიშნული შეიძლება იყოს დასტური იმისა, რომ შეიძლება ვენდოთ მთხრობელთა ვარაუდს, რომლის მიხედვითაც სუპატაშვილები: „ქართლში მოვსულები უნდა იყონ კახეთიდან“.

შალამბერიძე სოფელ დინაშოს ძირძველი და დიდი გვარია. სოფელში ცხოვრობს 30 კომლზე მეტი. ერთი გადმოცემის მიხედვით მოსული არიან იმერეთის მესხეთიდან. სხვა გადმოცემით შალამბერიძეები დინაშოში სამეგრელოდან ჩასიძებით მოსულ წინაპარს გაუმრავლებია.

სასისტორიო მონაცემები შალამბერიძეთა დასავლეთ საქართველოს მკვიდრობას ადასტურებენ. ყველაზე ადრინდელი ცნობა, რომელშიც მოხსენიებულია შალამბერიძეების გვარი არის 1733 გუჯარი გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინთის საბუთთაგან. საბუთში მოხსენიებულია მესხეთის მკვიდრი მახარობელი შალამბერიძე (ს. კაკაბაძე, ნ. I, ტფ. 1921, გვ. 141). შალამბერიძეთა დასავლეთ საქართველოს მკვიდრობას ემხრობა სამეცნიერო ლიტერატურ-

1. ხუთი ძმები ყოფილან მამაჩემის ბაბუა ზურაბი და მისი ძმები, გიგო (არსენას ლექსში რომ ნახსენებია „გიგოლაც იქ მოვიდაო“ ის გიგოა. სამიკიტნო ქონდა თბილისში. გლაზუას მიქონდა თურმე ღვინო თბილისში ძმასათან, სამიკიტნოში. არსენა დახვედრია გზაზე. არსენას უჩუქნია ოქროს ათმანეთიანი და დაუბარებია მის ძმასთან, რომ ხვალ შენ დუქანში ვქეიფობთო. მეორე დღეს გიგოს დუქნიდან მომავალი არსენასთვის გიგოს შეუხსენებია ფული არ გადაგიხდიაო. არსენას აუხსნია საქმე როგორც იყო და თან უთხოვია მისი მეგობარ გიგოსთვის სოფელში რომ ჩახვიდე ჩემ ნაცვლად ერთი სილა გაანანი შენს ძმასო, გლაზუა, ოტია და ივანე. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მჭიდრო ურთიერთობა მათი ქართლის მკვიდრობის დასტური უნდა იყოს. ოტია და ივანე როხში დასახლებულან და იქ გაუმრავლებიათ სუპატაშვილები.

აში გამოთქმული მოსაზრება გვარში, კოლხური – ბერ („ვაჟიშვილი“) დართული შალვაბერი-საგან მომდინარეობის შესახებ. გვარის ადრე სამეგრელოს თემში მკვიდრობას ადასტურებს შალამბერია. XX საუკუნის დამდეგს აბაშის ოთხი კომლი შალამბერია აზნაურები იყვნენ (პ. ცხადაია, 2000, გვ. 145). შდრ.: „სოფელ დიხაშხოში ერთ-ერთ საფლავის ქვაზე გარდაცვლი-ლის სახელთან ერთად არის დანერილი გვარი **შალამბერია**“.

შალამბერიძეთა საგნებელია „**ტურისწველიები**“ (ამ სოფლის ერთ კუთხეში, „**მერეში**“ დარ-ჩენილა ერთი ჩვენი შალამბერიძე. მოშივებია, დაუჭერია დედალი ტურა და მოუნველია).

2000 წლისთვის გვარი შალამბერიძე 149-ე ადგილზე იყო 3679 სულით. რაც შეეხება იმერეთის რეგიონს 2824 სულით მე-20 ადგილზე. აღნიშნული გვარის ხალხი მკვიდრობს სამეგრელოში. XX საუკუნის დამდეგს ნოქალაქევის ორი, თეკლათის ერთი კომლი შალამბერ-იძე და აბაშის ოთხი კომლი შალამბერია აზნაურები იყვნენ; XIX საუკუნის ორმოციანი წლების აღწერის მასალებით გელათელი, გუბელი, ცხუნკურელი, ნიფელყ და ჯიხაიშელი შალამბერ-იძეები საბატონო გლეხები იყვნენ; ზეგანში ჩხეიძის საბატონო გლეხები იყვნენ; თერჯო-ლაში წულუკიძის საბატონო გლეხები; მალლაკში, მესხეთში საეკლესიო გლეხები; მესხეთში, ცხრანყაროში და ძლოურ-დანეთში შალამბერიძის გვარი სასულიერო იყო; ქვიტირში სახელმ-ნიფო გლეხები იყვნენ; (პ. ცხადაია, 2000, გვ. 145; მ. კეზევაძე, 2004, გვ. 14; 16, 114, 119, 133, 31, 37, 54, 56, 113, 116, 97).

იმერეთის აღნიშნულ და სხვა სოფლებში შალამბერიძეების დიდი ხნიდან მკვიდრობას ადასტურებენ ანთროპოტოპონიმები: „**შალამბერიძეები**“ (უბანი სოფელ ყუმისთავში); „**შალამ-ბერიძეების გორა**“ (საკარმიდამო სოფელ ნიფაში); „**შალამბერიძეებისოული**“ (სახნავი და ტყე სოფელ დიმში); „**შალამბერიძეების უბანი**“ (სოფლები: დიხაშხო, ცხუნკური); „**შალამბერიძე-ბის ქუჩა**“ (უბანი სოფელ მალლაკში); „**შალამბერიძეების წყარო**“ (სოფლები: ნიფა და გელათი); „**შალამბერიძეების ქალა**“ (სახნავი სოფელ ყუმისთავში) (საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, 2003, გვ. 340).

დიხაშხოელი **გაბუნები** ყველა „ერთი ჯიში, ბანძის შტო ვართ“. სოფელში მოსული არიან ბატონზე განაწყენებული ძმები. დასახლებულან დიხაშხოს უბან „ციხისუბანში“. ბანძელი გაბუნები მკვიდრობენ სალხინოშიც: „ჩამოვსულვართ ინაშაურში, მერე ჩაესიდა სალხინოში“.

გვარსახელი გაბუნის ფორმით თავდაპირველად მოიხსენიება 1578 წლის საბუთში და იგი გეგუთის მკვიდრია (პალ, I, 1991, გვ. 587).

გაბუნების გვარის ისტორია საინტერესოა ფეოდალური ხანის საქართველოს ყოფისთვის დამახასიათებელი „წესრიგის“ შესწავლის თვალსაზრისით. დასავლეთ საქართველოს ბარში მთის მკვიდრ გვართა განსახლება გამოწვეული იყო მათი მსახურების ერთგული ხასიათით, რისთვისაც აღაზრდებდნენ კიდევ მათ ნაწილს აზნაურობით. დასავლეთ საქართველოს სხ-ვადასხვა თემში გაბუნების წინაპრთა დამკვიდრების მიზეზიც შესაძლოა მეფის ერთგულება გამხდარიყო.

საკუთარი სახელიდან **გაბი/გაბიუნა** მიღებული **გაბუნისა** ადრინდელი გვარი **გაბუნისანი** უნდა ყოფილიყო. XIV-XV საუკუნეების საბუთში მოხსენიებულია გაბუნისანი გობეჩვიანთა მიერ ჯაფარიძეებისთვის მიცემულ დანერილში. ამავე პერიოდის საბუთებში ვხვდებით ჩემო და გამრეკელ გაბუნისანებს. სამეგრელოს გაბუნები ფალავების აზნაურთა ნუსხაში მოიხსე-ნიებიან. ვანელი გაბუნები დამცრობილი ჩანან, ისინი ჩიჯავაძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (ო. სოსელია, სათავადოები, II, გვ. 190, 15). საისტორიო მონაცემების განსხვავებულ ცნობებს იძლევა ეთნოგრაფიული მასალები, რომელთა მიხედვითაც გაბუნები აზნაურები ყოფილან მხოლოდ დიხაშხოში.

2000 წლის მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით გაბუნების 6389 სული დასტურდება. სამე-გრელოს მონაცემები აღნიშნული პერიოდისათვის ასეთია: ბანძა – 68; გეზათი – 43; სუჯუნა – 17; ორსანტია – 12, ჩხორია – 11; ქვალონი – 9; ნაჯახაო – 8; დიდი ნეძი – 7; მარანი – 7; შამგონა – 7; თამაკონი – 6; კურზუ – 6; მენჯი – 6; ნალენჯიხა – 6. იმერეთში 2896 სუ-ლით მე-18 ადგილზე იყო. XIX საუკუნის ორმოციანი წლების აღწერი მასალებით გეგუთის

მკვიდრი გაბუნები სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. გეგუთსა და ზედა ბაში იხინი სახელმწიფო გლეხები იყვნენ დიხაშხოში, სამტრედიაში, უკანეთში, ლორეში, ჩხერში, ქალაქყესა და ქყვიში საბატონო გლეხები, საქარაში ედიბერიძის საბატონო გლეხები. მხოლოდ ინაშაურსა და შუამთაში არიან იხინი სათავადო აზნაურები (მ. კეზევაძე, 2004, გვ. 12, 31, 23, 75, 92, 105, 112, 121, 125, 79, 42, 106).

გაბუნების თითქმის მთელ სამეგრელოსა და იმერეთში განსახლების დასტურია ანთროპოტოპონიმები: „გაბუნასოული“ (ვენახი სოფელ ამაღლებაში); „გაბუნები“ (უბანი ფარცხანაყანევში); „გაბუნების გორა“ (სახნავი სოფელ ძულუხში); „გაბუნების ტყეები“ (მუხიანსა და უკანეთში); „გაბუნების უბანი“ (ამაღლებაში, ზედა ვანში, ამაღლებასა და გეგუთში); „გაბუნების წისქვილი“ (მინდორი, საძოვარი გეგუთში) „გაბუნების წყარო“ (ციხისუბანი); „ლეგაბუნე“ (ტყე-ფერდობი ოწყარის მარცხენა მხარეს (ახუთი); „საგაბუნო“ (ლექაჯაიე-დღევანდელი ონონონეს უბანი. აქ მოსახლე კინტირაიები ეკუთვნოდნენ ბანძელ აზნაურ გაბუნებს); „საგაბუნო“ (უბნები შამგონასა და ჩხორიაში) (საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, 2003, გვ. 55, პ. ცხადაია, 2000, გვ. 65).

თუთაშვილების გვარს იმერეთში მკვიდრობის დაახლოებით 200 წლის ისტორია აქვს. გვარის კვლევა საინტერესოა, როგორც ეთნოისტორიული, აგრეთვე სოციალური (როგორ ხდებოდა სხვა მეპატრონესთან მისვლა) და ქართულ ტრადიცია-ადათთა შესწავლის (როგორი იყო ხელოვნურ ნათესაობად აღქმული ურთიერთობები საქართველოში) თვალსაზრისით: „გარდაბნის, თუ მარნეულის სოფელ ჯანდარიდან გამოქცეულ წინაპარს მკაცრი ბატონი ყოლია. გამოქცეულა პეტრე თუთაშვილი 17-18 წლის ასაკში. ეს პეტრე თურმე ზაფხულობით ბატონს რომ ბუზი არ დაჯდომოდა მარაოს უქნევდა. ერთ დღეს, როცა ბატონს ჩაეძინა პეტრესაც ჩასძინებია. ამ მხეც ბატონს როცა გაუღვიძნია კედლიდან ჩამოუღია პირის საპარსი დანა და პეტრესათვის ფეხები დაუსერია, აღარ დაგეძინებო. ამის შემდეგ მოუკლავს პეტრეს ბატონი, წამოუღია მისი უამრავი იარაღი და ჩამოსულა ქუთაისში. ვილაც უცნობ მენალეს მიჰკედლებია, გაუნდვია მისთვის საიდუმლო. ამ მენალეს გაუგზავნია ვანში მის მეგობართან, ის მოგცემს მიმართულებას და დაგეხმარებო. ასეც მოხდა, დაყიდა პეტრემ წამოღებული იარაღი და ჩავიდა ვანში. გაყიდულ იარაღში აღებული ფულით პეტრესთვის უყიდნებია მიწა მენალის ახლობელს ზედა ბზვანში, ძულუხის საზღვარზე, მთის მახლობლად. როგორც ჩანს ჩიჯავაძესთან დასახლებულა. ბატონს ხომ უნდა მიეღო და გაუნდვია თავგადასავალი ჩიჯავაძისთვის. ჩიჯავაძეს გვარი არ შეუცვლია და ისევ თუთაშვილად დაუტოვებიათ. ბაბუაჩემი ლუკა ჩამოესიდა ისრითში მჭავანაძეზე და მისი ნაშიერები ვართ აქ, ისრითში. სულორელი თუთაშვილებიც ბზვანის განაყოფია. ბზვანის შტო არის ოზურგეთში, ქობულეთში, ბათუმში, სამტრედიაში“.

თუთაშვილების გვარის საგნებლება „ქიფჩიელები“ („ერთ წინაპარს ჩიჩია-ს ნაცვლად ქიფჩია უთქვამს და დაგვრქმევია ქიფჩიელები“).

თუთაშვილების გვარის კვლევისას ირკვევა ქართველთა ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების საკითხი. „სოფლის ცენტრში მცხოვრებ ანდრო ლორთქიფანიძეს თავის სურვილისამებრ, უკანონოდ აუსახლება „ჯვარისერზე“ მცხოვრები თუთაშვილი. ღმერთმა სამაგიეროდ უშვილოდ გადააგო და მის გარემოში ახლა სხვა გვარის ცხრა კომლი სახლობს.¹

თუთაშვილები საისტორიო საბუთებში არ იხსენიებიან, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ იყვნენ ბუჭუნას (თავადი ჩიჯავაძეების ბოლო ფეოდალური პერიოდის ბოლო შთამომავალი) და მისი წინაპარი ჩიჯავაძის ხელზე მოსამსახურეები.

1. სანებლიძე – მასწავლებელი იყო სოფელში და დაესახლა აქ; ბარაქაძე – დიხაშხოელია და გადმოსახლების შემდეგ დაესახლა აქ; ხურციძე – ძულუხელი იყო, ამ სოფელში მუშაობდა და დარჩა; პაიკიძე – ფერმაში მუშაობდა და აქ დასახლდა; მჭავანაძე – ამ სოფლის მკვიდრია და გამოსახლდა ვაკეში; გოგორიშვილი – ლორთქიფანიძეზე ჩაესიძებული ანტონ გოგორიშვილის ნაშიერია; მჭავანაძე – ბზვანელი იყო, აქ მუშაობდა კოლექტივში და დარჩა; სუპატაშვილი – დიხაშხოელია

რეზიუმე
დიხაშხო-ისრიტის გვარსახელები
(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ნაშრომში საისტორიო საბუთებისა და გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ არსებული გადმოცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე წარმოდგენილია ვანის სოფლების დიხაშხოსა და ისრიტის გვარსახელთა (**ჩიჯავაძე, კაპატაძეების, ტაბატაძე, ერემეიშვილები, გოგორიშვილები, მამასახლისი, ქავთარაძეები, ჯინჭარაძე, ვერულაშვილი, საღრიშვილი, სუპატაშვილი, შალამბერიძე, გაბუნია, თუთაშვილი**) კომპლექსური, ეთნოისტორიული და ენობრივი კვლევის შედეგები. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლა-შედარება ადასტურებს აღნიშნული სოფლების მკვიდრ გვართა სხვადასხვა დროს მიგრაციის მიზეზებს: ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, კლასობრივი დაპირისპირება, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო პირობები და უკეთესი ადგილებისაკენ სწრაფვა. ისე, როგორც მთელ საქართველოში, აქაც გადასახლება-გადანაცვლების ერთ-ერთი მიზეზად რელიგიური ფაქტორი სახელდება. ისტორიული მესხეთიდან ვანში გადმოსახლებოდნენ ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით. გვარსახელთა შესწავლა ნათელს ჰფენს არაერთ, ეთნოისტორიული თვალსაზრისით საინტერესო საკითხებს: ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მდგომარეობის, ისტორიულ-დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს; ირკვევა: მიგრირებული გვარების ძირსალოცავებთან ურთიერობისა და დიალექტური ფორმების მრავალფეროვნების შესახებ; დიხაშხოსა და ისრიტის ანთროპოტოპონიმები („**გოგორიშვილების გორი**“, „**გოგორიშვილების უბანი**“, „**გოგორიშვილის ნანისქვილარი**“, „**ქავთარაძეების უბანი**“, „**ჯვარისერის ქავთარაძეები**“, „**ჯინჭარაძეების სასაფლაო**“, „**ჯინჭარაძეების უბანი**“) კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმას, რომ მოსახლეობა საქართველოში გვაროვნებათა მიხედვით სახლდებოდა; ხშირია გვარის მეორე მემკვიდრეობითი, დანაყოფთა („**საგნებელი/მისაგნებელი**“) სახელების („**ჭაპანი**“, „**ყურთეთრეები**“, „**პატუელები**“, „**მუშტუკუნა**“, „**ტურები**“, „**კუკუნეები**“, „**ტურისწველიები**“, „**ქიფჩიელები**“) არსებობის შემთხვევები. იშვიათად გამოიყენება „საგნებელიც“, თუმცა იქვე გიდასტურებენ, რომ გვარის ამა, თუ იმ განაყოფისათვის რალაც ნიშნით დარქმეული სახელი დღეს უკვე „მისაგნებელია“.

კვლევის დროს მოწმდება ადამიანთა ისეთი პიროვნული სახელები და მეტსახელები, რომლების დღეს აღარ გვხვდება. მაგ: **აგაბო, მახარე, ბუჭულას, ბუჭუნა, მუშტუკუნა, ტურანველია, ქიფჩია, ართამიდი, ჩემო...**

დიხაშხო-ისრიტის გვარსახელთა კვლევა საინტერესოა იმერული დიალექტური ფორმების კვლევის თვალსაზრისით.

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არა მხოლოდ დიხაშხოსა და ისრიტის, მთლიანად ვანის გვარსახელები ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით, მათთვის დამახასიათებელი კუთხურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლების მიუხედავად საერთოქართულ კონტექსტში ჯდება.

ლიტერატურა:

1. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, 2011
2. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770წწ. წ. I)
3. მ. კეზევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში, 20004
4. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 141
5. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1990
6. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, 2007
7. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, 1993
8. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, 1959
9. ო. სოსელია, ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, 1973
10. ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) II, 1981
11. საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, ქვემო იმერეთი, ტომის რედაქტორი პ. ცხადაია, 2003
12. ა. ფაილოძე, დასავლურ-ქართული ტოპონიმია და გვარსახელები, 2005
13. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, 2000
14. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 1992

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს 128 წელი შესრულდა სწორუპოვარი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან.

უთვალსაჩინოესი მწერალი ნოდარ დუმბაძე სამართლიანად აღნიშნავს: „გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია და, რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა XX საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“.

კრებულ „მატიანეში“ პერიოდულად დაიბეჭდება სხვადასხვა პირთა მოგონებები სიცოცხლე-შივე ლეგენდადქცეულ სასიქადულო მგოსანზე, რაც ერთგვარად შეავსებს, ახალ შტრიხებს შემატებს მის განსაკუთრებულად საინტერესო ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ვანის საპატიო მოქალაქე

მოგონებები გალაკტიონზე გალაკტიონი მოქანდაკის სახელოსნოში

გალაკტიონს, როცა უნივერსიტეტის მხარეს მოუხდებოდა გამოვლა, არ შეიძლებოდა რომ როდენის ქუჩაზე არ ჩაეხვია და არ მოენახულებინა ახლო მეგობარი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

იაკობსაც ახარებდა გალაკტიონის მოსვლა და შეხვედრისთანავე ხალისიანი საუბარი გაიმართებოდა მათ შორის.

ერთხელ მოქანდაკის სახელოსნოს კარებზე ზარი დაირეკა. ამ დროს მე იქვე ვიდექი და მაშინვე გავხედე. შემოვიდა გალაკტიონი, ხელი ჩამომართვა და იაკობი იკითხა.

იაკობი ახლავე გეახლებათ ვუთხარი მე და სკამი მივუდგი. გალაკტიონმა, როგორც სხვა დროს, ახლაც თვალი გადაავლო სადგარებზე და თაროებზე შემოდგმულ ქანდაკებებს, განსაკუთრებული მზერა მიაპყრო ქანდაკება „კოცნას“. აგერ საცხოვრებელი ბინის მხრიდან იაკობიც შემოვიდა. პოეტმა და მოქანდაკემ ერთმანეთი მოიკითხეს.

იმ დროს იაკობი უნივერსიტეტის დაკვეთით ასრულებდა ახლავარდაცვლილი, დიდი მათემატიკოსის, პროფესორ ანდრია რაზმაძის სკულპტურულ პორტრეტს. იაკობი ახლოს იცნობდა ანდრიას, სახე მისი კარგად ახსოვდა და ამის გამო ფოტო-სურათებს ყოველშემთხვევისთვის თუ გადახედავდა.

ანდრიას დას გაუგია ამ დაკვეთის ამბავი და თითქმის ყოველდღე მოდიოდა იაკობთან და მუშაობის დროს კარნახობდა მოქანდაკეს: ჩემს ძმას მოკუმული ტუჩები ჰქონდა, ყბები ოთხკუთხედი, შუბლი მაღალი და გამონეული, ასეთი სურათი ხდებოდა ყოველი დღის მეორე ნახევარში. დილით იაკობი სამხატვრო აკადემიაში იყო და მხოლოდ ნასადილევს შეეძლო სახელოსნოში შემოსულუყო და თავისი შემოქმედებითი სამუშაოსათვის მოეკიდა ხელი, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, რადგან, სწორედ, იმ დროს გამოჩნდებოდა ანდრიას და და იძულებული იყო ამ უხალისო სამუშაოს შედგომოდა. იაკობს გალაკტიონის გარდა სხვა მეგობრებიც აკითხავდნენ. მახსოვს, მოქანდაკესთან ხანმოკლე საუბრისათვის შემოივლიდა პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი, მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, პოეტი ტიცციან ტაბიძე, მხატვრები – ლადო გუდიაშვილი, ევგენი ლანსერე, დავით კაკაბაძე და სხვები.

იმ ხანებში, როცა ანდრია რაზმაძის პორტრეტზე მიდიოდა მუშაობა, სახელოსნოს შენეულ ნაწილში, სადაც საწერი მაგიდა და რამდენიმე სავარძელი იდგა, დღის მეორე ნახევარში ერთი სავარძელი ანდრიას დას ეკავა. ესტუმრებოდა თუ არა ვინმე იაკობს, იაკობი გააცნობდა დამხვდურს. ქალი წამოდგებოდა, სტუმარს ხელს ჩამოართმევდა და იტყოდა: „სესტრა პროფესორა რაზმაძეო“.

მისი ასეთი საქციელი იაკობს სწყინდა და, როცა ის ქალი წავიდოდა, იტყოდა: სხვისი ავტორიტეტით სარგებლობა საზიზღრობააო.

ჰოდა, აი გალაკტიონის სტუმრობის დროს სახელოსნოში შემოვიდა იაკობი. გულითადად მიესალმა პოეტს და სთხოვა, ღრმად შემოსულიყო სახელოსნოში და სავარძელზე მიუთითა.

იმ დღეს პოეტი რუხი ფერის ლამაზ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. საყელოზე პეპელას მსგავსი ბაბთა ჰქონდა მიკრული, წვერი სუფთად გაპარსული ჰქონდა, ერთი სიტყვით, ძალზე ლამაზი შესახედი იყო. იაკობმა მიმართა ქალს: გაიცანით პოეტი გალაკტიონ ტაბიძეო.

ქალი წამოდგა ცალფეხზე, ოდნავ ჩაბუქნა (რევერანსი გააკეთა) ხელი ჩამოართვა პოეტს და თან დააყოლა „სესტრა პროფესორა რაზმაძეო“ – გალაკტიონმა ამ დროს ერთ წამში გაიფიქრა ის, რასაც იაკობი ამბობდა, სხვისი ავტორიტეტით სარგებლობა ცუდი საქმეა და ქალს ასე უპასუხა: სასუფთაო ფილიპა მახარაძეო!

ცოტა ხანში ქალი დაგვემშვიდობა და თქვა – პორტრეტის დამთავრებისას ერთხელ კიდევ შემოვივლიო.

კარგი ლექსი გამოგივიდაო, ბატონო გალაკტიონ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჰონორარი უნდა გაიყოს, პირველი პნკარი რაზმაძისაა, მეორე ტაბიძისო – თქვა იაკობმა და ორივემ ერთად გადაიხარხარა.

*ვალერიან მიზანდარი
ცნობილი ქართველი მოქანდაკე*

1924 წლის სექტემბერში ახლად დაარსებულ გაზეთ „მონაფის ხმის“ რედაქციაში თბილისის სკოლების მოსწავლე კორესპონდენტების თათბირი ტარდებოდა. თათბირს ატარებდა რადაქტორი, ცნობილი მწერალი ნინო ნაკაშიძე, ესწრებოდა პოეტი ილია სიხარულიძე. დღის წესრიგში იდგა გაზეთის გავრცელებისა და ღარიბ მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი დახმარების განხორციელების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა მარიამ ორახელაშვილი. ნინო ნაკაშიძემ წინასწარ გაგვაფრთხილა თათბირის შემდეგ დავრჩენილიყავით დამწყები მწერლები და პოეტები – გრიგოლ ჩიქოვანი, აკაკი განერელია, მიხეილ გოგიაშვილი და ამ წერილის ავტორი.

თათბირის დამთავრებისთანავე რედაქტორის სამუშაო მაგიდას შემოვუსხედით. როგორც ყოველთვის ჩვენთან იყო ილია სიხარულიძე, რადგან მას მინდობილი ჰქონდა მოსწავლეთა პოეტური მასალების განხილვა.

ის იყო, ჩემი ახლად წარდგენილი ლექსები უნდა წაკითხულიყო, როცა კარები გაიღო და ჩვენთვის ორი უცნობი კაცი თამამად შემოვიდა. ერთი ძალზე გამხდარი, მაღალი და შავგვრემანი იყო, რომელსაც თავზე გახუნებული შლიაპა ეხურა და ტუჩებს ხშირად აცმაცუნებდა. მეორეს დინჯი, დარბაისელი და სანდომიანი სახის იერი ჰქონდა.

დანახვისთანავე ნ. ნაკაშიძე წამოდგა და მომსვლელთ თავაზიანად შეეგება. ჩვენც ფეხზე ავდექით – აი, ყმანვილებო, იცნობდეთ, ჩვენთან მობრძანდნენ ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტები გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი. ჩვენ ყველანი დიდი სიყვარულით შევსცქეროდით მგოსნებს.

შეკითხვაზე თუ ვინ ვიყავით, ნინომ გალაკტიონს გააცნო ჩვენი თავი და დასძინა – ეს ორი პოეტია და ორიც პროზაიკოსიო.

გალაკტიონმა, რადგან მასთან ახლოს ვიდექი, გრძელ და ხუჭუჭა ქოჩორზე ხელი გადამისვა, ჩაიღიმლა და მითხრა: თმა და შუბლი პოეტური გაქვს, ძამიკო, თუ პოეტურ ლექსებსაც დანერ სამშობლო ამაგს არ დაგიკარგავსო...

აი, ამ დღიდან ვიცნობდი დიდ გალაკტიონს. ათეული წლების განმავლობაში ჩვენი მწერლობის ოჯახში, მწერალთა კავშირში ერთად ვიყავით, ერთ ჭირ-ვარამს ვიზიარებდით და ამ ბუმბერაზი პოეტის უკვდავი სახე მუდამ წინ მიდგას.

„მონაფის ხმა“ ახალი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის პირველი გაზეთი იყო, რომლის მხოლოდ ორი ნომერი გამოიცა. ამ გაზეთმა გზა გაგვიკაფა სამწერლო მოღვაწეობისაკენ.

პირველ ხანებში „მონაფის ხმის“ გარდა ახლად დაარსებულ ჟურნალებში: „წითელი სხივი“, „საზღვარზე“, „მიზანი“, „ლიანდაგი“, შემდეგ „პროლეტარული მწერლობა“ და სხვ. აქტიურად ვთანამშრომლობდით, მაგრამ ერთი გარკვეული გზა მაინც არ იყო მწერლობაში. იყვნენ საბჭოთა მწერლები, პროლეტარული მწერლები, ფუტურისტები, ცისფერყანწელები და სხვ.

მათ შორის იყო გაცხარებული იდეოლოგიური ბრძოლა, რომელმაც 1934 წლამდე (მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობამდე) გასტანა.

გალაკტიონი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებოდა. ის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩვენდამი, მაგრამ არ მოსწონდა ზოგიერთი ახალგაზრდა პროლეტარული პოეტის გამოხდომები პოეზიაში.

ერთხელ მწერალთა კავშირის კლუბში ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებს უთხრა: არ გაგემტყუნებთ, მღელვარე ეპოქაში ვცხოვრობთ, დრო გავა, დადინჯდებით, ცხოვრებას სხვანაირი თვალეებით შეხედავთ. წარსულს რომ გადახედავთ, გაგიკვირდებათ... მართლაც ასე მოხდა.

1926 წელს ხელოვნების სასახლეში (ასე ეწოდებოდა მაშინ მწერალთა კავშირს) მაჩაბლის ქ. №13-ში, მწერალთა ყრილობაზე დასასწრებად ადრე მივედი, მანდატი უნდა მიმეღო. სასახლის შესასვლელში ელიზბარ პოლუმორდვინოვმა (ზედგენიძე) ღია მონიტალო ვარდისფერი მანდატი გადმომცა და ვესტიბიულში შევედი, იქ, სადაც ვეფხისა და ლომის დიდი ფიტულები იდგა, გალაკტიონი და სანდრო ეული დავინახე, მოკრძალებით მივესალმე. სანდრო ეულმა დამიძახა, მივედი და მათ საუბარში ჩავერთვე.

საუბრის დროს სანდროსთან უფრო თამამად, ხოლო გალაკტიონთან მორიდებით ვიყავი. საუბრისას აბესალომ ტაბიძე ვახსენე. გალაკტიონმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა: შენ, ძამიკო, საიდან იცნობ ჩემს ძმას პროკლესო (აბესალომს პროკლესაც ეძახდნენ).

გალაკტიონს გავაცანი, რომ აბესალომი ჩემი პირველი მასწავლებელი იყო სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგნარის ორკლასიან სამრევლო სკოლაში 1915 წელს, რომ მან პირველმა მოგვიტანა ამბავი აკაკის გარდაცვალების შესახებ.

დიდ მგოსანს ძალზე ესიამოვნა, როცა დავსძინე – ვინახავ იმ სურათს, რომელიც გადაღებულია 1914 წელს, სამრევლო სკოლის პირველ გამოშვებასთან დაკავშირებით-თქო.

ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონმა ხელი მომკიდა და კლუბში შევედი. სანამ ჩვენს ადგილებზე დავჯდებოდით, შემაჩერა და მითხრა: შენი ლექსი „დედაზე“ მომეწონაო... დამისახელა სუსტი ლექსებიც. მითხრა, გმართებს თავისთავზე დიდი მუშაობა, დიდი პასუხისმგებლობა პოეზიის წინაშე. თუ ამას შეასრულებ შენგან კარგი პოეტი დადგებაო. მისი სიტყვები მუდამ შთამაგონებდა, მუდამ ახლობელი იყო ჩემთვის და ახლაც მოსაგონებლად ძვირფასია.

ლექსებს პირველად გვართ ვაქვეყნებდი. მხოლოდ 1927 წელს ზოგიერთების ფეხის ხმას აყვევი და დავირქვი ალეო ბეგალელი (ჩემი სოფლის სახელია). 1928 წელს ამ ფსევდონიმით გამოვეცი პირველი წიგნი – „ლექსები“. ეს დიდი სიხარული იყო ჩემთვის, მქონდა მომავლის რწმენა, მეძახდა ახალი ცხოვრება, მასზე ფიქრი და ოცნება, ვგრძნობდი, რომ დიდი პასუხისმგებლობა და დაკვირვება იყო საჭირო ცხოვრებისადმი, პოეზიისადმი.

ჩემი ახალი წიგნით ვასაჩუქრებდი ახლო მეგობრებს, ნათესავებს, მწერლებს. მაშინ მწერლები ხშირად იკრიბებოდნენ მწერალთა კავშირის ბაღში. ერთ ზაფხულის დღეს, ამ ბაღის ერთ მხარეს ვისხედით: პანტელეიმონ ჩხიკვაძე, პლატონ კეშელავა, არნო ონელი. ჩვენს მახლობლად იყვნენ: მიქელ პატარიძე, ტიცინან ტაბიძე და ნიკო ლორთქიფანიძე. მათ ცხარე კამათი ჰქონდათ გამართული წინააღმდეგობით მწერალთა კავშირის კლუბში ბენიტო ბუაჩიძის კრიტიკული გამოსვლის გამო ქართველ კლასიკოსებზე. ჩვენ მათ ყურადღებით ვუსმენდით. ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგები დავტოვე და, როცა სასახლიდან გამოვედი, დავინახე გალაკტიონი მობრძანდებოდა ჩვეული სიდინჯით მწერალთა კავშირისაკენ. მე სასწრაფოდ ახლად გამოსულ წიგნზე დავანერე: „დიდ გალაკტიონს პატარა მგოსნისაგან“. მოკრძალებული სალამის შემდეგ გადავეცი წიგნი. დახედა რა წიგნს, გაკვირვებულმა მკითხა ვინ არის, ძამიკო, ეს ბეგალელიო? მე არაფერი უუთხარი. როცა წიგნი გადაშალა და ჩემი სურათი დაინახა, მითხრა – ძამიკო, ფსევდონიმების დრო წავიდა, შენ კი კარგი გვარი დაგიკარგავს, არ გეპატიებაო.

გალაკტიონის რჩევა სავსებით სამართლიანი იყო. დავუფიქრდი, შეცდომა გამოვასწორე. მის შემდეგ ფსევდონიმით არაფერი გამომიქვეყნებია.

დიდ გალაკტიონზე მოსაგონარი ბევრი მაქვს. კიდევ მინდა ზოგი რამ გავიხსენო. თბილისში კომუნალურმა ბანკმა თავისი თანამშრომლებისათვის სახლი ააგო მარჯანიშვილის ქუჩაზე №4-ში, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, კომუნალურ ბანკს ჩამოერთვა ნაწილი აღნიშ-

ნული ბინებისა, რომლებშიც შესახლებულნი იქნენ მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, კალე ბობოხიძე, ელიზბარ ზედგენიძე, მარიამ გარიყული და სხვები.

ამავე სახლში, ჩემმა სიძემ, ევგენი ლეონტის ძე თევზაძემ, ბინა მიიღო პირველ სართულზე, რადგან ბანკის თანამშრომელი იყო და ამავე დროს ძველი ბოლშევიკი.

მწერალთა კავშირმა იმხანად ბინით ვერ დამაკმაყოფილა და ჩემ სიძესთან ვცხოვრობდი. ახლო მეზობლობამ განაპირობა ჩემი გალაკტიონთან უფრო დამეგობრება. იგი ჩემი სიძის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ჩემი და შურა განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული დიდი მგოსნისადმი.

გალაკტიონის ეზოში შემოსვლა თითქოს ცისკრის შემონათებას ჰგავდა. მისი გაშლილი შუბლი, ღიმილიანი სახე ყველას ნათელს ჰფენდა. ყველას უხაროდა მასთან საუბარი და მისი ოჯახში სტუმრობა. პირადად მე, თუ კი რაიმეს დამავალბდა მაშინვე ვუსრულებდი, რითაც დიდად ნასიამოვნები რჩებოდა.

იყო ხშირი შემთხვევა, როცა გალაკტიონი ჩემ დისშვილებს მურიკოს და ლელას აივნიდან კამფეტებს გადაუყრიდა. ეზოში შეიქნებოდა ჟრიაშული. ბავშვები კანფეტების აკრეფაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. გალაკტიონი აივანზე ღმერთკაცივით იდგა და ამ სურათს ღიმილიანი სახით გადასცქეროდა.

1957 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთვის მთელი ქვეყანა დიდი ზეიმით აღნიშნავდა. ამ დღისათვის ქართველი მწერლები სხვადასხვა საწარმო-დანესებულებებში ვიყავით მიწვეულნი და ლექსების კითხვითა თუ მოგონებებით გამოვდიოდით საზოგადოების წინაშე. მწერალთა კავშირის კლუბშიაც გაიმართა დიდი საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მწერალთა კავშირში ვმორიგეობდი მამია ასათიანთან ერთად. მეორე დღით ჩვენ შეგვცვალა სიმონ წვერაყამ და კალე ბობოხიძემ. მამია ასათიანი მწერალთა კავშირში მუშაობდა და დარჩა, მე კი შინისაკენ გამოვეშურე.

ლენინის მოედანთან რომ ჩავედი გალაკტიონი დავინახე. პირდაპირ გავეშურე მისკენ, რომ დამინახა – ესიამოვნა, მივესალმე, ოქტომბრის დღესასწაული მუფულოცეთ ერთმანეთს, მკითხა – საიდან მოვდიოდი, ტკბილი საუბრით რუსთაველის გამზირს გავყევით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისაკენ, როცა კუთხეში მივედი, შევჩერდით იქვე, სადაც საპარიკმახეროს სალონია, მანამდე კი აეროვაგზალი იყო. აი, იმ ადგილას იყო მაშინ განთქმული სასაუზმე, სადაც ჩემი ძველი ნაცნობი გაბო სუთიძე მუშაობდა. გალაკტიონი განწყობილი იყო სასაუზმეში შესასვლელად. მეც ვთხოვე და გაბოს ვეახლეთ.

სასაუზმედან რომ გამოვედით გალაკტიონმა სახსოვარი სურათის გადაღება შემომთავაზა. ეს ჩემთვის დიდი დაფასება იყო.

რუსთაველის გამზირზე, მოპირდაპირე მხარეს, იქ, სადაც ამჟამად რუსთაველის მეტროს სადგური და უნივერსალია აშენებული, პატარა ერთსართულიანი დუქნისმაგვარი სავაჭროები იყო ჩამწკრივებული. მათ შორის ფოტოგრაფიაც იყო მოთავსებული. ამ ფოტოგრაფიაში გადაიღეთ მე და გალაკტიონმა სურათი, რომელსაც სათუთად ვინახავ.

ალექსანდრე შანიძე – პოეტი

„რაც დავინწყებით არ იბინდება“

1943 წელი...

მიუხედავად იმისა, რომ ომის მძიმე დღეები იყო, ქართველმა ხალხმა გალაკტიონს დაბადების 50 წლისთავის იუბილე გადაუხადა ოპერისა და ბალეტის თეატრში, მეც მხვდა წილად ბედნიერება დავსწრებოდი ამ დიდებულ საღამოს. ბესარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოსხენება. მილოცვის მქუხარე სიტყვები და მისალმებები... თეატრიდან ზეიმმა პირდაპირ ქუჩაში გადაინაცვლა, სადაც ზღვა ხალხი შეეგება პოეტს. ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი, ქართული პოეზიის დიდი დღესასწაული, რომელიც რჩეულთა ხვედრია.

პირადი ნაცნობობა გალაკტიონთან მაინც 1955 წლიდან იწყება, როცა კომკავშირელი ახალ-

გაზრდების და პირადად მაშინდელი კომკავშირის რაიკომის მდივნების: ვახტანგ გოგაძისა და პავლე კორძაძის ინიციატივით გალაკტიონი მოვიწვიეთ ვანის რაიონში. გალაკტიონთან შეხვედრის ორგანიზაცია, როგორც პარტიის რაიკომის მეორე მდივანს, მე დამევალა.

1955 წლის 9 ივლისი.

გალაკტიონსა და მის მხლებელ სტუმრებს სამტრედიამი შევხვდით. ოცი წელია არ გამივლია ჩემს მშობლიურ კუთხეში და გზაში პოეტი ყველაფერს სიყვარულით ათვალთვლებდა.

შეხვედრა იმავე დღეს რაიონის ცენტრში ღია ცის ქვეშ მოედანზე გაიმართა. გალაკტიონის შემოქმედებაზე ისაუბრა კრიტიკოსმა ლავროსი კალანდაძემ და, როცა იგი გალაკტიონის შემოქმედების ორ პერიოდს შეეხო, პოეტმა ნერვიულად ჩამოისვა ხელი ხშირ წვერზე, გადმოიხარა ჩემკენ და აღელვებით მითხრა: „ძამიკო, ხედავ რას ამბობს მომხსენებელი? გალაკტიონი და ორი პერიოდი? არა, ძამიკო, ჩემს შემოქმედებაში არავითარი პერიოდები არ გახლავთ, წარმოუდგენელია გალაკტიონი და ორი პერიოდი.“

რაიონის დათვალთვლების შემდეგ მშრომელებმა მას სუფრა გაუმართეს სალხინოში, ჩემს ეზოში. ასწლოვანი კოპიტის ქვეშ საშუალება მომეცა ახლო მესაუბრა მასთან. დაინტერესდა მამაჩემით, დაწვრილებით გამოჰკითხა ძველი ამბები. სუფრაზე ლექსი წაიკითხა ჩემმა მეშვიდეკლასელმა გოგონამ. პოეტს მოეწონა ლექსი, გამოართვა პატარა ავტორს და თავის ყავისფერ პორტფელში შეინახა. იგი ამ საღამოს ძლიერ მხიარული იყო, მღეროდა, ცეკვავდა. ჩემი მეუღლის, მერის თხოვნით ჩვეული მომხიბვლელობით წაიკითხა ლექსი – „მერი“.

მეორე დღეს სოფელ შუამთაში შეხვედრის შემდეგ (იმ დღეს შუამთის კულტურის სახლს მისი დირექტორის გ. ახოზაძის ინიციატივით ეწოდა პოეტის სახელი, რითაც დიდად გაიხარა მან), ზეიმმა გალაკტიონის მშობლიურ ქყვიშში გადაინაცვლა. აქ კი თვით გალაკტიონი მასპინძლობდა. თანასოფლელებთან შეხვედრამ კიდევ უფრო გაახალისა იგი.

პოეტმა დაათვალთვრა ეზო-გარემო, მივიდა დედის საფლავთან (სურათიც გადაიღო). ახლადაქორწილი ყანების გავლით სოფლის მკვიდრ თანასოფლელებთან ერთად რიონიც მოინახულა, „აქ დღეთა ჩემთა აეშვა ფარდა“ ჩაიბუბუნა. მერე მაგიდას დაუბრუნდა, თამადად ახლობელი ბათა ტაბიძე აირჩია.

გალაკტიონს ლექსი უძღვნა პოეტმა ანდრო თევზაძემ. ექსპრომტი წაუკითხა ახალგაზრდა პოეტმა გიორგი ახოზაძემ. შუამთის კულტურის სახლის მხატვრულმა კოლექტივმა შეასრულა გალაკტიონის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

გვიან საღამომდე ხალისობდა პოეტი მშობლიურ ჭერქვეშ. დამშვიდობებისას გულთბილი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და პირობაც დადო, რომ იგი ხშირად მოვიდოდა მშობლიურ კუთხეში.

უკანასკნელად გალაკტიონს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, შევხვდი თბილისის სპეცსამკურნალო საავადმყოფოში. იგი ჩემს მეუღლეს შეხვდა დერეფანში, იცნო და მიესალმა:

„ქალბატონო, თუ არ ვცდები თქვენ ჩემი თანამემამულე და და მასპინძელი ბრძანდებით“. შემდეგ გამოიკითხა მისი აქ ყოფნის მიზეზი და, როცა შეიტყო ჩემი ავადმყოფობა, უთხრა: „ნუ ლეღავთ, რა გაუჭირდა ისეთ კაცს, რომელსაც თქვენისთანა მზრუნველი თავს დასტრიალებსო“.

მალე გამოვკეთდი. საშუალება მომეცა გალაკტიონთან საათობით მესაუბრა. ვიჯექით დერეფანში: გალაკტიონი, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე, ცენტრალური კომიტეტის მუშაკი ბოჭორიშვილი და მე. გალაკტიონი აღფრთოვანებული იყო ბოჭორიშვილით, რომელმაც პოეტის ძალიან ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად. ხუმრობით მიმართავდა კიდევ – „ძამიკო, მე ვარ გალაკტიონი, თუ თქვენო“. გალაკტიონი გვიყვებოდა თავის თავგადასავალს, ბავშვობის წლებს ეხებოდა ეს თუ მის პეტროგრადში ყოფნასა და რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებას, მწერლებთან თუ საზოგადო მოღვაწეებთან ურთიერთობას.

მეხსიერებაში ჩამრჩა ერთი ეპიზოდი. მედღას გალაკტიონისათვის საღამოობით მიჰქონდა წამალი ფხვნილის სახით, რომელსაც პოეტი ხელის გულზე დაიყრიდა და ენის წვერით ისე იღებდა, ნამცეციც კი არ დარჩებოდა ხოლმე. ეს უკვირდა ექთანს და ერთხელ ჰკითხა კიდევ: როგორ ახერხებთ ისე აიღოთ ფხვნილი, რომ წვერზე ნამცეციც კი არ მოგეკაროთო.

ჩვეულებისამებრ წვერზე ხელს ჩამოისვამდა და ღიმილით ეტყოდა: „ხელოვნებაა, ბატონო ეს, ხელოვნება!“.

ნოე ლორთქიფანიძე

ვანის რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი

უკანასკნელი მგ ზავრობა

ალექსანდრე ტაბიძე გალაკტიონის უსაყვარლესი ადამიანი იყო, დიდი პოეტის სიყვარული მან კაიკაცობით, პოეზიის უანგარო სიყვარულით დაიმსახურა.

სამწუხაროა, რომ ჩვენი „ბათა“ – ასე ეძახდნენ თანასოფლელები, დღეს ჩვენს შორის აღარ არის, გალაკტიონს რომ უყვარდა ისე ვერ შეხვდება და ვერ უთამაძებს სტუმრებს, გალაკტიონის უკვდავი პოეზიის თაყვანისმცემლებს.

მკითხველს ვთავაზობთ ალექსანდრე ტაბიძის მოგონების ორ ფრაგმენტს:

1955 წლის ივლისის პირველ რიცხვებში გალაკტიონი თბილისში შემხვდა და მითხრა – ძამიკო, მიმიწვიეს და ამ დღეებში ვანში უნდა წავიდეო, მეც არ დავაყოვნე და პოეტის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვედი სოფელში. გალაკტიონის გადწყვეტილება ვაცნობე მეზობლებსა და სახლიკაცებს.

9 ივლისს პოეტი მართლაც ეწვია მშობლიურ რაიონს. გალაკტიონი და მისი თანმხლები მწერლები სასტუმროში ისვენებდნენ. მე რომ სასტუმროში მივედი, გალაკტიონი და პოეტი ანდრო თევზაძე წარდს თამაშობდნენ, გალაკტიონს შევეკითხე: როგორ გაქვს საქმე, ხომ არ აგებ ანდროსთან? – „არა, როგორ გეკადრება, ძამიკო, სახალხო პოეტს ასე ადვილად ვინ მოუგებსო“ – ღიმილით თქვა და თამაში განაგრძო.

თამაშის დამთავრების შემდეგ გამიხმო: ხვალ აუცილებლად ჩემი ეზო და სახლი უნდა ვნახო, დიდი ხანია არ მინახავს და ძლიერ მენატრება ჩემს ეზოში გავლა და, აბა, შენ იციო.

მეორე დღეს მართლაც ეწვია პოეტი თავის მშობლიურ კარ-მიდამოს, ზღვა ხალხი იყო მოსული მასთან შესახვედრად. აგერ 85 წლის მოხუცი დიმიტრი ტაბიძე ეხვევა და კოცნის გალაკტიონს, მასთან არიან – რძალი ტატიანა ტაბიძე და ბიძაშვილი სიმონ ტაბიძე.

პოეტი სახეგაბრწყინებელი შეჰყურებს ყველას, ესალმება, ეხვევა პატარებს. შემდეგ შედის სახლში, ხელით ეფერება შუა ცეცხლით შებოლილ კედლებს, იმ ოთახის ნივთებს, სადაც არაერთი უკვდავი ლექსი დაუნერია, შემდეგ თავის რძალთან ტატიანა ტაბიძესთან ერთად იქვე სასაფლაოზე დედისა და მამის საფლავების მოსანახულებლად გადავიდა.... შემდეგ მწვანედ აბიზინებული ყანის გავლით რიონის სანაპიროს ეწვია... მეფის ჭალის გახსენება... ისევ თავის ეზოში, სადაც სახელდახელოდ გამართულ მაგიდასთან ინვევს თბილისელ სტუმრებს, შეხვედრაზე მოსულ თანამემამულეებს, მაგიდის ხელმძღვანელობა მე დამავალეს.

ბევრი გულითადი სიტყვა ითქვა, მაშინ გიორგი ახოზაძე (ამჟამად პოეტის სახლ-მუზეუმის დირექტორი) ლექსით მიესალმა პოეტს.

შემდეგ გალაკტიონს ვთხოვე წაეკითხა ლექსი „მერი“, არ მახსოვს, ძამიკო, მითხრა, მე ვიცოდი ასე რომ მეტყოდა და 1919 წელს გამოცემული მისი ლექსების მეორე წიგნი „არტიკული ყვავილები“ იქვე მქონდა და მივანოდე... რა გაეწყობაო და ახალგაზრდული გატაცებით წაიკითხა „მერი“.

შუამთის კულტურის სახლის (რომელსაც ამ დღეს ეწოდა პოეტის სახელი) აგიტმხატვრულმა ბრიგადამ სხვა სიმღერებთან ერთად შეასრულა გალაკტიონის ლექსზე შექმნილი სიმღერა – „მშობლიური ჩემო მიწავ“.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტს იმ დღეს ღვინო არ დაუღვია, ძლიერ მხიარულად იყო და ცეკვავდა ფატი ნიშნიანიძესთან.

გვიან საღამომდე გაგრძელდა ლხინი გალაკტიონის ჭერქვეშ, მერე კი ყველას სათითაოდ გამოემშვიდობა და...

ეს იყო მისი უკანასკნელი სტუმრობა მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

ალექსანდრე (ბათა) ტაბიძე
გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი

1931 წელს მთაწმინდის ძირას, ხიმშიაშვილების სახლში ვცხოვრობდი და ხშირად ავდიოდი პანთეონში სამეცადინოდ. მე და ჩემი ამხანაგები, ჩვეულებრივ, კიბის საფეხურებზე ვიყავით ხოლმე მოკალათებული.

ერთხელ, შემოდგომაზე, საღამო ხანს ნელი ნაბიჯით გალაკტიონ ტაბიძე მოგვიახლოვდა, ჩვენ სწრაფად წამოვდექით, გზა გავათავისუფლეთ და მივესალმეთ. პოეტი დინჯად ავიდა კიბეზე, შემოიარა მთელი პანთეონი და აკაკის საფლავთან შეჩერდა... აქ დიდხანს იდგა, იდგა უძრავად... შემდეგ კარგა ხანს გაჰყურებდა თბილისს... წასვლისას გამოგვკითხა, ვინ რას ვაკეთებდით და **როდესაც გაიგო, რომ ბუნებისმეტყველების დარგის ასპირანტები ვიყავით და სიცოცხლის საიდუმლოებათა აღმოჩენებზე ვოცნებობდით, დაგვმოძღვრა:**

„მთაწმინდის ჰაერი სუფთაა, მაგრამ აქ აზრი და ოცნება კიდევ უფრო ნათელი და სპეტაკია. გაიჟღინთეთ თქვენი ქვეყნის წარსულით, სინამდვილეს პირდაპირ თვალუბრით შეხედეთ და გახსოვდეთ, როდესაც მეცნიერებას ვნება და ზეშთაგონება თან ახლავს, მაშინ ისიც პოეზიაა“.

სამამულო ომის დროს, ერთ დღეს, გვიან ღამით რუსთაველის ძეგლის მახლობლად გალაკტიონი ტრამვაიში ამოვიდა, ლენინის მოედნისაკენ მიემგზავრებოდა. რამდენიმე გაჩერების შემდეგ მგზავრებში ჩოჩქოლი შეიქნა, ორ შუახნის კაცს ჩასასვლელი გზა ჩაეკეტათ, გასასვლელის ორ მოპირდაპირე სკამზე მსხდომნი ერთმანეთისაკენ შემოტრიალებულიყვნენ და ერთმანეთზე მიყრდნობით ეძინათ. ის იყო ერთ-ერთმა მგზავრმა მათი გაღვიძება დააპირა, რომ გალაკტიონი წამოდგა და მას მიმართა:

„ძალიან გთხოვთ, ნუ გააღვიძებთ, დავაცალოთ დასვენება, მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იცის, ისინი ყოველდღე რამდენ საათს მუშაობენ. ჩავიდეთ იქიდან, საიდანაც ამოვედით, მეც თქვენთან ერთად ჩამოვალ“. პოეტს ყველა უხმოდ დაემორჩილა, მგზავრები ვაგონის უკანა მხრიდან ჩამოვიდნენ.

1955 წლის ზაფხულში წყნეთში ვისვენებდი, ბინა გალაკტიონის აგარაკის ახლოს მქონდა, გზა ტყისკენ მის ღობესთან გადიოდა და დამსვენებლები მას ხშირად ეზოში ვხედავდით.

ერთხელ შუადღისას, პოეტის ეზოსთან ხალხი მოგროვდა, მეც მივედი, მინდოდა გამეგო თუ რა ხდებოდა. ვილაც ქალი გულამოსკვნილი ტიროდა „ჩემი ვაჟი დილით ადრე ტყეში შევიდა, აგერ დღის ორი საათი ხდება და ჯერაც არ დაბრუნებულა. რა ვქნა, როგორ მოვძებნო, დამეხმარეთ“. ამ ხმაურის დროს ღობეს მეორე მხრიდან გალაკტიონი მოადგა და იკითხა: ბავშვი რამდენი წლისაა და რა ჰქვიაო. უპასუხეს, 12 წლისაა და აჩიკოს ეძახიანო. გალაკტიონმა ბავშვის დედას მიმართა: „ჩემო დაიკო, დავაცადოთ პატარა არჩილს მარტოობა, მივცეთ თავისუფლება იგრძნოს ბუნება, ტყის მშვენიერება, ნუ წავართმევთ საუკეთესო საათებს“.

მოხდა უჩვეულო რამ: აჩიკოს დედა დამშვიდდა და პოეტს აღუთქვა, რომ ბავშვის ტყიდან დაბრუნებას სახლში დაელოდებოდა.

გალაკტიონ ტაბიძე 1944 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, პოეტი აკადემიას ყოველთვის უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა, აკადემიის შეკრებებს იგი უწოდებდა უმაღლესზე უმაღლეს აუდიტორიას, რომელმაც იცის სხვისა და თავისი თავის ფასიც.

აკადემიის ერთ-ერთი წლიური კრების შემდეგ მე მომმართა, როგორც აკადემიის აკადემიკოს-მდივანს:

„აკადემიის საერთო კრებაზე მომხსენებელი მოხსენებას კითხულობდა, მე კი ვფიქრობდი აკადემიის წევრების, წევრ-კორესპონდენტების, ასობით მეცნიერის, ამდენ შემოქმედებით ნამოღვანარს რატომ უნდა ეწოდებოდეს ანგარიში?! რამდენ სრულიად სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტს აწერია ეს სიტყვა, სად და რა ვითარებაში არ შეგხვდებათ იგი. შემოქმედება და ანგარიში?! იქნებ მოიფიქრებდეთ სხვა უფრო შესაფერ სახელწოდებას“.

ბატონი გალაკტიონის ეს სურვილი ჯერაც შეუსრულებელია. 1956 წელს აკადემიის საერთო კრების შემდეგ ნიკო მუსხელიშვილმა თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია, გალაკტიონთან

სურათი გადავიღოთო, პრეზიდენტთან შეიკრიბნენ: გალაკტიონ ტაბიძე, ივანე ბერიტაშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, რაფიელ აგლაძე, პეტრე ქომეთიანი და ამ სტრიქონების ავტორი. როდესაც ფოტოკორესპოდენტმა თავისი საქმე მოათავა, ბატონმა ნიკომ მოგვმართა:

„ჩვენ ახლა გალაკტიონთან სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარეთო“, გალაკტიონმა ჩვეულებისამებრ ჩაიქირქილა და გვითხრა: „ძამიკოებო, ხომ დამემონებით, რომ პრეზიდენტი არასოდეს არ ცდება?“.

სერგი დურმიშიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

პირველად რაიონული გაზეთის ფურცლებზე

1957 წელი... გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის.

თარიღამდე ერთი თვეა იყო დარჩენილი, როცა ქალაქ თბილისში მომიხდა წასვლა, შემოდგომის მომხიბლავი, წყნარი დილა იდგა, ის-ის იყო ჩემს თანამგზავრებთან შიო გიორგაძესთან და ამბროსი აბრამიძესთან ერთად რუსთაველის გამზირს ავყევი, როცა ახოვანი აღნაგობის ბრვე ადამიანმა უეცრად გზა გადაგვიჭრა.

გალაკტიონი! ჩვენი გალაკტიონი – აღმომხდა და გავირინდეთ. იგი რუსთაველის სახელობის თეატრის გვერდით მოთავსებულ შემნახველ სალაროში შევიდა, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა, მალე გამოვიდა და ლენინის სახელობის მოედნისაკენ განაგრძო გზა. ეტყობოდა, სადღაც მიეჩქარებოდა. მივესალმეთ პოტს, იგი წუთით შედგა, ფართო ალერსიანი თვალები მოგვაპყრო, გრძელი ქალარა წვერი ლამაზი ხელით მოჭმუჭნა, როგორც ჩვეოდა და მოგვესალმა... თითქმის ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, რომ სიტყვა „ვანი“ არ გვეხსენებინა. ახლა გალაკტიონი უფრო ახლოს მოვიდა, ხელი გამოგვიწოდა, ღვიძლივით გულში ჩაგვიკრა, ვინაობა გამოგვიკითხა, შემდეგ მოიგონა მშობლირი ვანი, შუამთა, ჭყვიში, მეგობრები და მეზობლები, ორიოდ წლის წინათ იქ მოწყობილი დაუფინყარი შეხვედრები.

ჩვენი გვარის ხსენებაზე უმაღლ თავისი ყრმობის მეგობარი, პოეტი და მასწავლებელი, 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე დავით ბაღდავაძე გაიხსენა...

გაგბედე და საუბარში ჩვენი რაიონული გაზეთის, კერძოდ, საიუბილეო ნომრისთვის ლექსი ვთხოვე დიდ პოეტს. თხოვნის შესრულებასაც დამპირდა, რამდენიმე ხანში მას ფოსტით მიიღებო დასძინა, თუმცა რომ გამოგადგეს ისეთი ლექსი აქაც მაქვს, ახალი დაწერილია, გადაბეჭდვა უნდაო მხოლოდ...

ყველა საბეჭდ მანქანაზე ვფიქრობთ, ასეთი აქვე, სასტუმრო „თბილისში“ მეორე სართულზე გვეგულება, მაგრამ გალაკტიონს როგორ შევკადროთ იქ წასვლა. თითქოს გულის ნადებს მიგვიხვდაო მგოსანი, ლექსს სასტუმროში გადავბეჭდავთო თქვა და მძიმე ნაბიჯით იქითკენ გაეშურა.

ვესტიბიულში საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმის. გალაკტიონი მბეჭდავ ქალს მიუახლოვდა, უბის წიგნაკი ამოიღო და მორიდებით ლექსის გადაბეჭდვა სთხოვა. მბეჭდავი სიამოვნებით დათანხმდა პოეტს, ალბათ თუ შეიცნო, მანქანიდან დაუმთავრებელი საბეჭდი ფურცელი სწრაფად ამოიღო და მოემზადა.

გალაკტიონმა სათვალე მოირგო, ხელნაწერი გულდასმით გადაათვალიერა, ზოგი რამ შეასწორა, შეცვალა და ბეჭდავც დაიწყო...

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ რა, მბეჭდავი ახალბედა გამოდგა, თითები არ ემორჩილებოდა, სიტყვები ზანტად გადადიოდა ქალაღზე. გალაკტიონი ვერ ისვენებს, მბეჭდავთან მიდის, ლექსის სტრიქონებს კარნახობს, ზოგჯერ ისეთ სიტყვებსაც, რომელიც ხელნაწერში არ არის...

ხშირად ჩვენკენ მობრუნდება და ისევ მშობლიურ მინა-წყალზე, მის ახლობლებზე განაგრძობს საუბარს, გამვლელ-გამოვლელი. მათ შორის უცხოელებიც, დერეფანში ჩერდებიან. ყველას ბაგეზე სიტყვა „გალაკტიონი“ აკერია.

კარგა ხანი გავიდა. მბეჭდავი თითქოს მორჩა საქმეს, მაგრამ რა... ლექსის მეორე პირი დაუბეჭდავი აღმოჩნდა, ისედაც მორიდებული ქალი სირცხვილით სულ დაინვა, გალაკტიონს

ლექსის ხელმეორედ დაბეჭდვა აღუთქვა და უმაღლეს საქმეს შეუდგა. თუმცა, ძალზე ჩქარობდა მგოსანი, მბეჭდავის სურვილს დაემორჩილა, კვლავ ლოდინი, საუბარი...

დაბეჭდილი ლექსი გალაკტიონმა ერთხელ კიდევ გულდასმით გადაიკითხა, სათაური – „40 წელი“ დაანერა. სასვენი ნიშნები დაუსვა, სიტყვაში გალაქტიონი ასო „ქ“ „კ-თი“ შეცვალა, სახელი და გვარი მოანერა, მბეჭდავს მადლობა უთხრა და გასამრჯელოდ ორი ათმანეთიანი გადაანოდა, მასპინძელი სახტად დარჩა, ლოდინისათვის ბოდიში მოუხადა და დასძინა – „ბატონო გალაკტიონ! ჩემთვის ბედნიერებად ისიც კმარა, რომ თქვენი ლექსის დაბეჭდვის ღირსი გავხდი“. პოეტმა გაკვირვებით შეხედა მბეჭდავს, მადლობა გადაუხადა და უკან გამობრუნებული უღმა წყნარად ჩაილაპარაკა – ეს პირველი შემთხვევაა, რომ ასეთ საქმეზე თბილისში ვინმეს ფული არ აეღოსო.

გალაკტიონმა ახლად გადაბეჭდილი, საღებავშეუშრობელი ლექსი „40 წელი“ გადმომცა და მითხრა, რომ დაბეჭდვამდე არავისთვის წამეკითხებინა, მითუმეტეს თბილისში, თუ რად თქვა ეს გასაგებია: პოეტს საერთოდ არ უყვარდა დაბეჭდვამდე თავისი ნაწარმოების სხვისთვის წაკითხვა.

გალაკტიონის გადმოცემული ლექსი დაიბეჭდა მაშინდელ რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის მნათობის“ 7 ნოემბრის ნომერში, ასეთი რამ პირველად იყო ჩვენი გაზეთის ისტორიაში, რომელსაც დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ გაზეთის მკითხველები.

ხსენებული ლექსი რამდენადმე შეცვლილი ვარიანტით ერთი დღით ადრე, 6 ნოემბერს დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ და შესულია გალაკტიონ ტაბიძის 12 ტომეულის 1968 წელს გამოცემულ მეექვსე ტომში, აქვე მოხსენიებულია ჩვენი გაზეთის ის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ეს ლექსი. ამრიგად, „კოლმეურნის მნათობში“ გამოქვეყნებული ლექსი „40 წელი“ ხელნაწერის შემდეგ პირველი ვარიანტია.

შოთა ბაღდავაძე

გაზეთ „კოლმეურნის მნათობის“, შემდეგში „განთიადის“ ყოფილი რედაქტორი

მოგონებათა ფურცლები გალაკტიონის ცხოვრებიდან

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს ეწვია გალაკტიონ ტაბიძე... ეს იყო 1958 წლის ივლისი.

გალაკტიონმა შემოაღო მუზეუმის დირექტორის კაბინეტის კარი და, რა დაგვინახა, რომ ვთათბირობდით, მაშნვე უკან გაბრუნება დააპირა ბოდიშის მოხდით... ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველამ ერთხმად ვთხოვეთ მობრძანდით, ბატონო გალაკტიონ, მობრძანდით!

– არა, ხელს არ შეგიშლით, მაპატიეთ უდროოდ სტუმრობა!

– რასა ბრძანებთ, ბატონო გალაკტიონ! მიმართა მუზეუმის დირექტორმა ვანო კაკაბაძემ, ჩვენ ხელი არ შეგვეშლება, მობრძანდით! გალაკტიონს ეუხერხულა, მაგრამ, რადგან დირექტორმა სთხოვა, უარი ვეღარ უთხრა და შემოვიდა...

ვანომ თავაზიანად მიმართა, რას გვიბრძანებთ ბატონო გალაკტიონ?

– ბრძანებისა რა უფლება მაქვს, მე პანია საქმეზე გეახელით, კულტურის სამინისტროდან თქვენთან გამომგზავნეს. მითხრეს, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დახმარება გამინიოთ ჩემი საიუბილეო გამოფენის მოწყობაში, ხელოვნების სახლმა გამოფენის მოსაწყობად თავისი შენობის ნაწილი დამითმო (რამდენიმე დარბაზი) და ახლა თქვენზედ ვარ დამოკიდებული... ხელოვნების სახლში მოენყობა აგრეთვე ჩემი საიუბილეო საღამო.

– სიამოვნებით დაგეხმარებით, ჩემო გალაკტიონ! თქვენ უარს როგორ გეტყვით. აი, მუზეუმის ჩვენი ძველი მუშაკი დავით შულღიაშვილი დაგეხმარებათ გამოფენის მოწყობაში, მას მრავალი გამოფენა მოუწყვია და თქვენი საიუბილეო გამოფენის მოწყობაც მას მივანდოთ.

გალაკტიონი დიდად გაახარა ჩემმა თანხმობამ, მომიბრუნდა და შემახსენა: ხომ გახსოვთ, ყმანვილო, მასწავლებელთა სახლში ნიკო ლომოურის შესახებ მოხსენება რომ წაკითხეთ მისი დაბადების ასი წლის თავზე და მე სიტყვით გამოვედი?

– მაგას რა დამავინყებს, ბატონო გალაკტიონ!

– ხომ, ძამიკო, ახლა თქვენი თავი მჭირია...

მუზეუმის დირექტორის დავალებით მეორე დღესვე მე და ნინო ჩიხლაძემ ერთად ვინახულეთ ხელოვნების მუშაკთა სახლში გალაკტიონ ტაბიძე, გავეცანით საგამოფენო ექსპონატებს. გალაკტიონს უამრავი მასალები შეუგროვებია წლების მანძილზე, როგორც ფოტოდოკუმენტების სახით, ისე ფერწერითი ტოლოები და სკულპტურული ნამუშევრები.

გალაკტიონის დახმარებით მოვახდინეთ მთელი საგამოფენო მასალებისა და ტექსტების კლასიფიკაცია და დავინყეთ ექსპოზიციის მოწყობა თემაზე: „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება“. საგამოფენო ექსპოზიციის მოწყობა სამ დღეს მიმდინარეობდა. გალაკტიონი ძალიან მხიარულ ხასიათზე იყო, საექსპოზიციო მასალებს თვითონ გვანოღებდა და ჩვენთან ერთად კედელზე კიდებდა...

– ხომ იცი, ძამიკო, მომმართა მე, ზეგ ჩემი საიუბილეო საღამოა (გ. ტაბიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 50 წლისთავი იყო, მისი პირველი ლექსი 1908 წელს დაიბეჭდა და ა. შ.), გამოფენაც მზად უნდა იყოს, რომ მოწვეულმა სტუმრებმა ყველამ ნახოს.

– ბატონო გალაკტიონ! უეჭველად მოგისწრებთ ზეგამდე, ბოლოს და ბოლოს საღამოობითაც ვიმუშავებთ! აპა ჰე, აპა ჰე! ისევ შესძახა თავისებურად და კმაყოფილების ღიმილით მოგვმართა:

– ახლა ძამიკო, დავით და ქალბატონო ნინო! უკვე სადილის დროა, ჩავიდეთ ქვევით, ბუფეტში. თუმცა კი, იქ ბევრი არაფერია, მაგრამ ცოტას მაინც დავნაყრდებით.

ჩავედით დაბლა ბუფეტში და სამივე შემოვუსხედით მაგიდას. გალაკტიონმა თვითონ მოიხურვა კერძებისა და საჭმლის მოტანა, რა თქმა უნდა, ჩვენც მოვეხმარეთ.

სადილობის დროს გალაკტიონმა გაიხსენა თავისი ცხოვრებიდან ერთი საინტერესო ეპიზოდი. მაგონდება, თქვა გალაკტიონმა, ქუთაისის ბულვარზე ერთად ვიყავით თავმეყრილი ახალგაზრდა პოეტები ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და მე. დილა იყო. პაოლომ თქვა ბიჭებო ამ დილით ხაში კარგი იქნება, ვისაც აქვს ჩვენში ფული იმან დაპატიჟოს სუყველაო. გავიჩხრიკეთ ჯიბეები, მაგრამ ფული არავის აღმოგვაჩნდა იმდენი, რომ ოთხივეს გვესაუზმა ხაშით... დავლონდით და ერთმანეთს შევცქეროდით...

ამ დროს, სად იყო და სად არა, თვალი მოვკარით შალვა დადიანს, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა, გაგვიხარდა, შალვა ჩვენთან შედარებით უფრო შემძლე და ამავე დროს დარდიმანდი იყო.

– გამარჯობათ ბიჭებო, შემოგვძახა, ჩვენც ერთხმად მივესალმეთ – გაუმარჯოს ჩვენს შალვას!

– რას დაფიქრებულხართ, ბიჭებო, ხომ არაფერი განუხებთო.

– არა, ჩემო შალვა, უპასუხა პაოლომ, მხოლოდ ბიჭებს ხაშის სურვილი გვექონდა, მაგრამ ჯიბეში არავის აღმოგვაჩნდა საკმაო ფული.

– წამოდით ჩემთანო გვითხრა, მამ შალვა დადიანი რალა დადიანია თუ მაგ სურვილს ვერ შეგისრულებთო?! გაგვიძღვა შალვა წინ და ჩვენც უკან გავყევით... მაგრამ რომელ სახაშეშიც არ მიგვიყვანა ხაში ყველგან გათავებული აღმოჩნდა...

შალვა ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ გაელიმა და მოგვმართა: ბიჭებო, მოდით ერთგან კიდევ მეგულება და იქაც ვნახოთ!... ნავედით ხუთივე და ვენვიეთ იმ უკანასკნელ სახაშესაც...

შალვამ მზარეულს მიმართა მისალმებისთანავე, თუ ამ ბიჭებს ახლა კარგი ხაშით არ გაუმასპინძლდები, შენთან მომსვლელი აღარ ვარო.

– პატივცემულო შალვა! ხაში უკვე გათავდა, სამაგიეროდ კარგი ყაურმა მაქვს თუ ინებებთო.

– რას იტყვით, ბიჭებო! მოგვიბრუნდა შალვა, ხაში აქაც გათავებულა, ვჭამოთ ყაურმა?

ჩვენ ისე გვშიოდა, უარს, აბა, როგორ ვეტყოდით...

შალვამ ყაურმასთან ერთად ერთი ბოთლი კონიაკიც მოატანინა... ყაურმას მადიანად შევექეციით.

შალვამ კონიაკი დაასხა, პაოლოს ჭიქა მიაწოდა. პაოლომ აიღო ჭიქა და შალვას სადღერგძელო შესვა ექსპრომტით:

ჩვენმა შალვა დადიანმა
თუმცა ბევრი გვაურვა,
მაგრამ მაინც გაგვიჩინა
მშვენიერი ყაურმა.

პაოლოს ამ ექსპრომტმა ყველას სახეზე ღიმილი მოჰგვარა. შალვამ კონიაკით სავსე ჭიქა ახლა ტიცინანს მიაწოდა, ტიცინანმაც არ დააყოვნა და შალვას სადღერგძელო დალია ექსპრომტით:

ამ ჩვენ შალვა დადიანმა,
ახოვანმა, მადიანმა,
ისე კარგად დაგვაპურა
შიმშილით გრძნობა დაგვიამდა...

გალაკტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის მონყობაზე მე და ნინო ჩიხლაძემ სამ დღეს ვიმუშავეთ. საგამოფენო მასალა უამრავი იყო, ოთახებში რომ ვერ დაეტია ექსპოზიცია აივნებშიც გავანწყვეთ.

გალაკტიონმა აღარ იცოდა რითი ეცა პატივი. დიდად კმაყოფილი იყო ჩვენგან გამართული საგამოფენო ექსპოზიციით, აღარ მოგვეშვა და წაგვიყვანა რესტორან „ინტურისტში“. დიდი პატივი გვცა... და გვთხოვა ორივეს, მე და ნინოს, რომ სალამოს გახსნაზე არ დაგვეგვიანა და უსათუოდ დავსწრებოდით.

მართლაც დათქმულ დროზე მივედით... ხელოვნების მუშაკთა სახლის კლუბში ხალხი უკვე მოსულიყო. აივნებიც სავსე იყო მონვეული სტუმრებით და გამოფენის სტენდებს გულმოდგინედ ათვალიერებდნენ... ხალხი თანდათან მატულობდა... ბოლოს იმდენი შეიქნა, რომ კლუბში აღარ ეტეოდა, ამიტომ ხელოვნების სახლის დირექციამ გადაწყვიტა საიუბილეო საღამო მოეწყოთ ხელოვნების მუშაკთა სახლის ფართო ეზოში, იქ, სადაც საზაფხულო კინოსურათს უჩვენებდნენ ხოლმე.

ათრთოლებული ხმით წაიკითხა თავისი რამდენიმე ახლადანერული ლექსი.

სალამოს დასრულების შემდეგ გალაკტიონს მიაართვეს ხილით, შამპანიურით და თაიგულებით შემკული დიდი კალათა და ცალკეული სუვენირები და ადრესები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

ბოლოს გალაკტიონმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და მონვეული პირები ყველა გაეშურა გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის სანახავად.

გამოფენის უნიკალურ სტენდებს იღებდნენ მოსული ფოტორეპორტიორები. ბოლოს მოვიდნენ თვით გალაკტიონის გადასაღებად გამოფენის ფონზე, მაგრამ გალაკტიონმა არ ისურვა მარტო სურათის გადაღება.

გალაკტიონმა ფოტორეპორტიორს მიმართა „ჩემი ეს შესანიშნავი გამოფენა პატივცემულმა დავით შულღიაშვილმა მოაწყო. ამიტომ მე მსურს არა მარტო მე, არამედ სურათი გადავიღოთ დავითთან ერთად. აქვე იყო გალაკტიონის მეგობარი მხატვარი ირაკლი თოიძე.

გალაკტიონმა ორივეს მოგვხვია ხელი და სამახსოვრო სურათი გადავიღეთ გამოფენის ფონზე ხელოვნების მუშაკთა სახლში.

დავით შულღიაშვილი

*გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო
ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი*

მის სუნთქვას გრძნობს ქუთაისი

გალაკტიონი, როგორც შემოქმედი, ქუთაისში დაიბადა, სიჭაბუკეში უქიმერიონზე სწავლობდა ცხრა წელიწადს. ის შემდეგაც, პერიოდულად ქუთაისში იმყოფებოდა. აქ დაინერა და დაისტამბა მისი კლასიკური ლექსები, 1914 წელს გამოიცა პირველი წიგნი, მშობლიურ ქალაქს მგოსანმა „ჩემი ქუთაისი“ უწოდა.

გავიხსენებ შთამბეჭდავ ფაქტებსა და მომენტებს, რაც დაკავშირებულია გალაკტიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

გალაკტიონი 1900 წელს შევიდა და 1908 წელს დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 1902 წლიდან 1906 წლამდე სწავლობდა და მოსწავლეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი.

გალაკტიონი წერს: თორმეტი წლის იყო მაიაკოვსკი, როდესაც 1905 წლის რევოლუციამ იფეთქა. მიუხედავად მცირეწლოვანებისა, მაიაკოვსკი მხურვალედ განიცდიდა 1905 წლის ამბებს. იგი დაუახლოვდა იმ წრეებს, რომლებთანაც მეც ახლოს ვიდექი, მე უფროსი ვიყავი მასზე ორი წლით. ეს რევოლუციური წრე იკრიბებოდა საღამოობით ჩვენს გვერდით, ნაცვლიშვილების სახლში, მდინარე რიონის ნაპირას, მაღლობზე. სახლი გადასცქეროდა მთელ ქუთაისს, ჩაფლულს მწვანეში. ეს მისამართი (ადგილსამყოფელი), როგორც რევოლუციონერთა თავშესაფარი ახლახან მიკვლეულ იქნა.

1973 წლის 3 ნოემბერს ქუთაისში ჩატარდა პოეტის დაბადების 80 წლის იუბილე და სოფელ ჭყვიშში გაიხსნა გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი საგამოფენო დაზოგბაზი. საკავშირო მწერალთა კავშირის დელეგაციას მეთაურობდა პოეტი ალექსი სურკოვი.

სახელმწიფო თეატრში აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ, როცა ქართული კულტურის, კერძოდ, პოეზიის გამდიდრებაში ქუთაისის წვლილზე შეჩერდა, განაცხადა: ქუთაისს შეუძლია იამაყოს სამი გენიოსი პოეტით. ქუთაისმა მეცხრამეტე საუკუნეში აკაკი გამოაბრწყინა, მეოცე საუკუნეში – მაიაკოვსკი და გალაკტიონი – საბჭოთა ეპოქის ეს ორი ტრუბადური. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გალაკტიონისათვის არ არსებულა კითხვა „მივიღო თუ არა რევოლუცია“, მან ამ კითხვის გარეშე დაწერა „დროშები, ჩქარა“.

ჩემს გამოსვლაში წარმოვთქვი, რომ გალაკტიონი ქუთაისში დაუახლოვდა სულმნათ აკაკი წერეთელს და პირადად გაიცნო რუსი პოეტები – ჯერ ვლადიმერ მაიაკოვსკი და შემდეგ კონსტანტინე ბალმონტი, რომ მაიაკოვსკი და გალაკტიონი გაერთიანებული იყვნენ რევოლუციონერთა წრეში. ეს წრე იკრიბებოდა ბესიკ გაბაშვილის გორაზე ნაცვლიშვილებისას.

ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის პირადი ნაცნობობის ფაქტი ქართველ ერს სამარადისოდ ეხსომება.

მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანის მემუარში ვკითხულობთ: გალაკტიონს ბავშვობიდანვე დავუმეგობრდი, ის თავდაპირველად ცხოვრობდა ჩვენს მეზობლად ანდრო წერეთლის ფიცრულ სახლში (ცაცხვების ქუჩაზე №32), 1899 წელს სწავლობდა დეკანოზ ნესტორ ყუბანიშვილის კერძო მოსამზადებელ სკოლაში (ბაგრატის ქუჩაზე №25), მახსოვს იგი მდგმურად იყო მუშა გიორგი ნაცვლიშვილთანაც (ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე №4).

სახელოვან მგოსანს განსაკუთრებით იზიდავდა უქიმერიონის მიდამოები, მარტო არასოდეს გამოცხადებულა, აქ სხვადასხვა დროს მას ახლდნენ მწერლები და ჟურნალისტები, ყოველ ამოსვლაზე გალაკტიონი გასწევდა ტაძრის სამხრეთ კედლის მარცხენა (პირველ) კარისაკენ და შეჩერდებოდა (ამ ადგილიდან აღიქვამდა ტაძრის შიგნითა ხედს) შემოუვლიდა ტაძარს, ავიდოდა უქიმერიონის მაღლობზე (აქ სამლოცველოს ნაშთია) გასცქეროდა ქალაქს, გელათსა და ხვამლს. დაათვალიერებდა მშობლიურ სკოლას, შემდეგ ისევ ტაძრის ეზოში დავსხდებოდით და ვსაუბრობდით, გაიხსენებდა სასულიერო ყოფას, იმჟამინდელ მეგობრებსა და მასწავლებლებს, ტაძრისა და უქიმერიონის მიდამოს კეთილმოწყობას შეხაროდა. ომის შემდგომ ერთხელ მგოსანი წყალტუბოდან ამოვიდა სათაფლიაზე, გეგუთი, გელათი და მონამეთა კი ბევრჯერ უნახავს.

1911-1912 წლებში გალაკტიონი ქუთაისის გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მის აქტიურ მონაწილეობაზე მეტყველებენ ჯგუფური ფოტოდოკუმენტებიც. გალაკტიონი აკაკი წერეთელთან ერთად (1914 წ), გალაკტიონი კონსტანტინე ბალმონტთან ერთად (1915 წ).

ფართო მასშტაბის მოვლენა იყო 1945 წლის ზეიმი, როცა გალაკტიონის მონაწილეობით გაიმართა მისი საიუბილეო საღამოები. სახელმწიფო თეატრში გუნდმა ლოტბარ ბიძინა ლოლობერიძის ხელმძღვანელობით შთამბეჭდავად შეასრულა სიმღერა – „წყალტუბოდან ქუთაისში“,

რამაც პოეტი აღაფრთოვანა, პედაგოგიურ ინსტიტუტში იუბილარმა თქვა: მე ვეტრფი ქუთაისს, ქუთაისის საყვარელია მრავალგზის, მიმზიდველია თუგინდ იმიტომაც, რომ აქ დაინერა მამია გურიელის „ადამიანი“, წაიკითხეთ ეს ლექსი, ისწავლეთ, შეიგრძენით და შეეცადეთ, რომ გახდეთ ადამიანები და თქვენ ბედნიერი იქნებით მარადის.

გალაკტიონი ხშირად სტუმრობდა ქუთაისის შემოქმედებით დაწესებულებებს (რედაქციებს, მწერალთა კავშირის განყოფილებას, თეატრს) ამ დაახლოებას ადასტურებს ყურნალისტებსა და მწერლებთან გადაღებული ორი ფოტოსურათი.

საყოველთაოდ ცნობილია დავით მხეიძის ნახელავი – გალაკტიონის შეუდარებელი პორტრეტი. ღრმად ჩაფიქრებული პოეტის სახეზე იკითხება დიდი შთაგონება, ჩაუქრობელი შინაგანი ცეცხლი.

სამახსოვროა გალაკტიონის წარწერა: „დიდი ბუნებრიობა, გრძნობა სინამდვილისა, კულტურა და მგზნებარე ნიჭი – აი, რა არის ძვირფასი ჩვენი ოსტატის ფოტოხელოვნებაში, ჩემი პორტრეტები პირდაპირ შედეგებია, დიდი მადლობა დავით კონსტანტინეს ძე მხეიძეს 1942 წ.

თუმცა, ლექსი ორიგინალური გააზრებითა და ფორმით გამოირჩევა, მაგრამ მისი გამოთქმა „მამის ქუთაისი“, მაინც ხომ აკაკისეული მხატვრული სახეა! აკაკი წერეთელს უწერია „ჩემო ქუთაისო“, მაგრამ ის გალაკტიონმა ისე შთამბეჭდავად აღმოთქვა, რომ უსათაურო ლექსს ქარისადმი „ჩემი ქუთაისი“ უნდა ეწოდოს. ერთი ხელნაწერის მიხედვითაც მისაღებია ლექსის ეს სათაური.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე წერს: „ჩემი ქუთაისი“ იშვიათი მარგალიტია გალაკტიონის საგანძურში. ეს ლექსი პოეტური უშუალობისა და ბუნებრიობის კლასიკური მაგალითია, გენიათითქოს ისვენებს და სუნთქავს როგორც გენია“.

მშობლიურ ქუთაისს გალაკტიონმა ადრეც მიუძღვნა ლექსები: „ბაგრატის ტაძარი“, „ცხის ნანგრევებთან“, „რა კარგი იყო ქუჩა ბალახუნის“.

გალაკტიონის მიერ 1946 წელს შესრულებული მისალაცი წერილიდან ცნობილია, რომ მწერლებისადმი გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ იშვიათად გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება შეუძლებელია არ აღინიშნოს.

შოვიდან დაბრუნებულმა გალაკტიონმა 1947 წლის 30 აგვისტოს მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საიუბილეო სხდომაზე ქუთაისის რაიონულ გაზეთ „სიმართლის“ მეხუთასე ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით, მილოცვა დაიბეჭდა „სიმართლის“ მეხუთასე ნომერშიც.

კლასიკური ლექსი „ნიკორწმინდა“ გალაკტიონმა 1947 წელს პირველად მოათავსა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ (№166) ამავე გაზეთში მან დაბეჭდა აგრეთვე „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“ (1938 წ) და „რევოლუციური საქართველოს“ (1941წ).

ქუთაისში არსებობს გალაკტიონის სახელობის სტამბა და ქუჩა, ახლახან მგოსნის სახელი მიეკუთვნა მეექვსე საშუალო სკოლას და 26 კომისრის სახელობის ბაღში დაიდგა პოეტის ბიუსტი.

ქალაქ ქუთაისს გალაკტიონის პოეზიის შუქი დაჰნათის.

მიხეილ ალავიძე

ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი

„ვერაზე წიგნების მალაზიაში ლერმონტოვს ვყიდულობდი.

– გამარჯობა ძამიკო! – მომესალმა ზურგს უკან ვილაც. მოვიხედე, გალაკტიონი იყო.

– გამარჯობათ, ბატონო გალაკტიონ! ლერმონტოვი გამოსულა ქართულად, უნდა ვიყიდო, თქვენც ხომ არ გნებავთ? – ვკითხე და ჯიბეზე გავიკარი ხელი.

– ნამოდი, ძამიკო, ჩემთან! – გალაკტიონმა მკლავში ხელი გამიყარა და ვერის ბაზრის გვერდით, ლუდხანაში შემეყვანა.

იმ წიგნის საყიდელ ფულსაც და ბევრ სხვასაც წირვა რომ გამოვუყვანეთ, გალაკტიონმა ლოყაზე ხელი მომითათუნა და ღიმილით მითხრა:

– ლერმონტოვი, პუშკინი და ტოლსტოი რუსულად უნდა იკითხო, ძამიკო, გალაკტიონი კი ქართულად, მხოლოდ ქართულად...

....და მართლაც რა უზენაესი ბედნიერებაა, როდესაც გალაკტიონს ქართულად კითხულობ და რა უბედურებაა, როდესაც პუშკინს ვერ კითხულობ რუსულად.

მე თუ მკითხავენ ვიტყვი: გალაკტიონის დაბადების დღიდან, დედამინის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია და რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული.“

ნოდარ დუმბაძე

საფრანგეთიდან ჩამოსული მწერლები მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა კავშირის სახლს ეწვივნენ. გაფაციცებით ეძებდნენ გალაკტიონს. ამ დროს გალაკტიონი მოედანზე ვილაციებთან სვამდა. როგორც იქნა მოძებნეს, მაგრამ არ უნდოდა წასვლა. იმდენი ეხვეწნენ რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა.

შევიდა თუ არა ყანნი აიღო და სადღეგრძელოს მაგივრად რაღაცა ლექსი თქვა ექსპრომტად და უცებ გამობრუნდა უკან.

გალაკტიონი და კონსტანტინე თურმე წალვერში ისვენებდნენ. ყოველ შეხვედრაზე კონსტანტინე გალას ასე ესალმებოდა:

– გამარჯობა ლომო!

გალა პასუხობდა:

– გაგიმარჯოს ვეფხვო!

ასე გრძელდებოდა კარგახანს.

მოსწყინდა კონსტანტინეს ვეფხვობა. სულ ეს რატომ უნდა იყოს ლომიო და ერთ მშვენიერ დილას ასე მიესალმა:

– გამარჯობა ვეფხვო!

გალაკტიონმა უპასუხა:

– გაგიმარჯოს კონია!

როცა გალაკტიონი აკადემიკოსად წარადგინეს. ამ საკითხს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი არჩევდა. ერთ-ერთი მწერალი წინააღმდეგი გამოვიდა და განაცხადა:

შეგვარცხვენს, ღვინო უყვარს, სულ მთვრალი დაიარებაო.

გალაკტიონი მშვიდად შეეკითხა:

– შენ, ძამია, ღვინო არ გიყვარს?

– არაო! – ამაყად წარმოსთქვა მოწინააღმდეგემ.

– არც მთვრალი ყოფილხარ ოდესმე?

– არა, არასოდეს! – კვლავ მედიდურად განაცხადა მანვე.

– ამხანაგებო, მაშ აირჩიეთ ეს კაცი აკადემიკოსად! – შეუძახა გალაკტიონმა.

ფარცხნალაში გალაკტიონის მასწავლებლობისას ერთი მოსწავლე გაკვეთილებზე ვერ მისულა;

გალაკტიონს სახლში მოუკითხავს იგი და თავისთვის რა ჰქონდა, ბავშვის დედისთვის ფული დაუტოვებია, რადგან, ეს ბავშვი სკოლაში იმიტომ ვერ წასულა, რომ დედამისის მიერ გარეცხილ შარვალს გაშრობა ვერ მოუსწრია;

ამ ფულით მეორე შარვალიც უყიდევო, უთქვამს ბავშვის დედისთვის.

ირაკლი წერეთელის მამას სიღამონ წერეთელს შეხვედრია ერთხელ გალაკტიონი. თურმე მთვრალი იყო გალაკტიონი და წვერზე ჰქონდა მწიკის ნარჩენი. სიღამონს მოუცლია ეს ნარჩენი და უთხოვია: ბატონო გალაკტიონ, შეიძლება თქვენთან ერთი სურათი გადავიღო?

– „თქვენ რა, ჩემთან ერთად გინდათ შეხვიდეთ ისტორიაში, ყმანვილო? არა, თქვენ თვითონ შედით!“ – ამაყად უპასუხია გალაკტიონს.

აკაკი ხინთიბიძე

„უნივერსიტეტთან შემხვდა გალაკტიონი, გამაჩერა და მითხრა:

– ჯანსუღ, ნიკოლაი ეჟოვი თუ გაგიგონია?

– კი, როგორ არა, გამიგონია.

– ანდრეი ვიშინსკი?

– ვიშინსკიც გამიგონია...

– ლავრენტი ბერიაც?

– დიახ, ლავრენტი ბერიაც...

– ჰო და თუ დაკვირვებინარ, რავა სტალინის კიტელებივით ჰგვანან ერთმანეთს?

ამ მსგავსებას მე არასოდეს დავკვირვებია, თუმცა გალაკტიონისა კი ძალიან გამიკვირდა და ცოტა ჩამაფიქრა ნათქვამმა, სულაც იმიტომ, რომ მაშინ 1956 წელი იყო – მარტი თუ აპრილი...“

„ვერის ხიდის მშენებლობაა, როგორც წესი, მშენებლობის წინ „საუცებისო“ საარყეები იყო ხოლმე... არყის დასალევად მივედით სტუდენტი მეგობრები – მე, ოთარ ჭილაძე, გივი სამსონიძე, უცებ გალაკტიონი მობრძანდა და დახლიდარს უთხრა: აბა, ძამიკო, ჩემი ულუფა ჩამომისხიო. დახლიდარმა 150-გრამიანი ჭიქა გაუვსო. გალაკტიონმა ჯერ ორი ყლუპი მოსვა, პირში დააღვარღვარა და იმწუთშივე გადმოაქცია, მერე წვერებში ხელით შეისხა და მაგრად შეიზილა... მე გაცეცხულმა ვუთხარი, ძია გალაკტიონ, ეგრე რათ აკეთებ-მეთქი, მან კი გახარებულმა მიპასუხა, – „ძამიკო, ახლა რომ გავალ ზემელზე, არყით ვიქნები აქოთებული, ხალხს მთვრალი ვეგონები, მე კი ფხიზელი ვიქნებიო“, – მითხრა და წავიდა“.

„1957 წელს წყნეთში გალაკტიონთან გამგზავნა ვახტანგ ჭელიძემ. მივადექი ღობეს და ვხედავ, გალაკტიონი ვილაც წყნეთელ მაყვლის გამყიდველს (რომელიც თავის მაყვალს „ჟივაკას“ ეძახდა) ეუბნება: რა ღირს, ძამიკო, შენი „ჟივაკა“? მუჭა-მუჭა ამოაქვს ვედროდან და მიირთმევს, თან ყოველ ჯერზე უმეორებს კითხვას. გამყიდველი გაცეცხული მიშტერებია, გალაკტიონმა კი ძირამდე დაიყვანა მაყვალი. ახლა გალაკტიონი მიაჩერდა გამყიდველს და ეკითხება: „ძამიკო, იცი რას გეტყვი? ფულს ვერ გადაგიხდი. ქართველმა კაცმა ის თუ არ იცის, რომ „ჟივაკა“ და „ეჟევიკა“ ქართულად მაყვალია, მაშინ არც ის სცოდნია, რასა ჰყიდისო.“ მიატოვა და სახლისკენ წავიდა. ვინაა ეგ კაციო, მკითხა წყნეთელმა. მე ვუთხარი: როგორ ვერ იცანი, ქალაქის მილიციის უფროსია-მეთქი. „ვაი-ვაიო“, ჩაილაპარაკა და წავიდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი
საქართველოს სახალხო პოეტი

სათნო, კეთილშობილი

გალაკტიონის დედა მაკრინე ადგილობრივი სათნო, კეთილშობილი ქალი იყო. მეზობლის ბავშვებს, როგორც საკუთარ შვილებს გვესიყვარულებოდა. ხშირად ვიკრიბებოდით მასთან, გამოიტანდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს და გვაკითხებდა. როცა კითხვას მოვრჩებოდით ჟურნალებს აკრებდა და სათუთად ინახავდა, ხილით გაგვიმასპინძლდებოდა, ხშირად საოჯახო საქმეშიც ვეხმარებოდით. დედშვილურად დაგვარიგებდა – ისწავლეთ კარგად და ბეჯითად, გაახარეთ მშობლები, როგორც მე გამახარეს ჩემმა შვილებმა. ხშირად გვეტყოდა ხოლმე.

უფროსი ვაჟი პროკლე იმხანად შუამთის საშუალო სკოლაში მუშაობდა დირექტორად. ერუდირებული მასწავლებელი იყო და დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა.

ერთხელ, ჩვეულებრივ, ბავშვებმა თავი მოვიყარეთ მაკრინე ბიცოლასთან, მას გახარება და აღელვება ეტყობოდა, სახლიდან გამოგვიტანა ჟურნალები და თან გვითხრა: ახლახან ქუთაისში ვიყავი, გალაკტიონის სალამოს დავესწარი, როცა მან ლექსები წაიკითხა, დარბაზში ტაში არ ცხრებოდა, აქა-იქ გაისმა ხმა, ნეტა შენს დედას! რა შვილი ეზრდებო. მე სიხარულით ავტირდი.

მეზობლებთან ამ ღვთიურ ქალს შესაშური ურთიერთობა ჰქონდა, ძალიან მოკრძალებული იყო. იშვიათად თუ ვინმეს შეანუხებდა. სამაგიეროდ იგი მუდამ დახმარების ხელს უწვდიდა ყველას, ვისაც კი ეს სჭირდებოდა, უებარი მალამოს დამზადება იცოდა, რაგინდ მძიმე ჭრილობა ყოფილიყო, სწრაფად მოაშუშებდა ხოლმე.

1931-1932 წლებში პოეტმა ერთი წელი დაჰყო მშობლივრ ჭყვიშში, მას რიონის პირას განმარტოებულს და ჩაფიქრებულს, ჩვენ, ბავშვები მალულად ვუცქეროდით შორიდან. გვაოცებდა მისი ვაჟკაცური და ახოვანი შესახედაობა, გვიკვირდა წვერი რომ ჰქონდა მოშვებული.

რიონისკენ მიმავალ ბილიკზე ერთხელ გალაკტიონი შემოგვხვდა, გვერდს ვერ ავუქცევდით, დედაჩემი მოკრძალებით მიესალმა, გალაკტიონი მოეხვია და უთხრა, როგორ გიკითხოთ ქალბატონო აგრაფინა? როგორაა თქვენი შვილები? აბა, შენ იცი, უმამობა არ აგრძნობინო.

თავზე ხელი გადამისვა, ღიმილით მომიალერსა, დამარიგა, დედა არ გააჯავრო, ხომ იცი, იგი ბევრს შრომობს თქვენთვისო. სიხარულისგან არ ვიცოდი რა მექნა, დაგვემშვიდობა და ჩვენ გზა განვაგრძეთ. დედა გამოერკვა და თქვა: რა დროს შემხვდა, სირცხვილით მოგვკვდი. დიდი ნასწავლი კაცია, შვილო, მაგია, რომ ამბობენ საუკეთესო ლექსებს წერსო.

ამ წლებში ინერებოდა მისი „რევოლუციურ საქართველოს“, „ეპოქა“ და სხვა პოეტური შედეგები.

ერთ დღეს მაკრინესთან გადავედით ბავშვები. გვანტიერესებდა პოეტის დანახვა, მაგრამ გალაკტიონი სახლში ვერ მოვიხილეთ. მაშინ პროკლეს ორსართულიანი სახლი ედგა. მაკრინე ბიცოლამ სამუშაო ოთახში შეგვიყვანა და გვითხრა: შვილებო, აქ წერსო ჩემი გატუნია...

1934-1935 წლებში პოეტის დედა ავადმყოფობდა, გალაკტიონი ხშირად ჩამოდიოდა თბილისიდან დედის სანახავად, ჩამოჰქონდა წამლები, სამტრედიიდან მგოსანი ექვთიმე ახობაძის ეტლით გამოდიოდა.

ერთხელ გალაკტიონს ამ მეეტლისთვის გასამრჯელო არ მიუცია, გადმომხტარა ეტლიდან და პირდაპირ ჩასულა ეზოში.

„ტარასი ბატონო, ამ ჭიშკარში კაცი რომ ჩავიდა, ფული არ მოუცია და მეც ვერ შევკადრე, „ვილაც დიდი კაცი უნდა იყოს“, – უთქვამს ექვთიმეს ბათა ტაბიძის მამისთვის. მას ტარასი ასე შეეხმინა: ნუ გეშინია, ჩემო ექვთიმე, მაგი ჩვენი დიდი პოეტია გალაკტიონ ტაბიძე – მასთან არაფერი დაგეკარგებაო.

ერთი კვირის შემდეგ, როცა პოეტის დედა უკიდურეს დღეში იყო, გალაკტიონი კვლავ ექვთიმეს ეტლით მოვიდა სოფელში. მეეტლეს უთქვამს: მაგის დედამ იცოცხლოს – იმდენი ფული მომცა, ხუთჯერ რომ გამოვიყვანო სამტრედიიდან უფასოდ, გული არ დამწყდებაო.

დედის სიკვდილს გალაკტიონი ძლიერ განიცდიდა, ადგილს ვერ პოულობდა თავის ჭერქვეშ, ცახცახებდა, ღამეებს ათევდა,

„დავტოვე ჭყვიში და დავტოვე დედის ახლად შეზვინული საფლავი“ წერს კიდევ ერთგან გალაკტიონი. დედის გარდაცვალების შემდეგ იგი იშვიათი სტუმარი იყო აქაურობისა და მაინც მუდამ ფაზისის კიდეს უვლიდა მისი ფიქრი და ოცნება.

დავით ტაბიძე

გ.ტაბიძის სახლ-მუზეუმის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი

საგანმანათლებლო ვითარების შესახებ XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

ქართველი ერის კულტურული წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა X-XI-XII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეებისა და მწიგნობრების საქმიანობას. ესენი იყვნენ: ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი იოანე მთაწმინდელი (920-1005 წ.წ.) და ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028 წწ); ექვთიმე მთაწმინდელის ტრადიციების გამგრძელებელი გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წ.წ.); XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი ეფრემ მცირე; XI-XII საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი, გელათის აკადემიის პირველი რექტორი არსენ იყალთოელი.

სწორედ ამ საუკუნეებში დაარსდა იყალთოსა და გელათის აკადემიები – საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრები. აქ ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა, მედიცინა და ითარგმნებოდა და ინერებოდა მნიშვნელოვანი თხზულებანი ქართულად (7:43-54). ამასთან ერთად, იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა მჭედლობა, კერამიკა, მევენახეობა.

თითოეულმა ამ მოღვაწემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ მეცნიერებათა ფორმირების საქმეში.

ასეთი წარმატებული მუშაობა, რაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა ძველ ბერძნულმა და ლათინურმა ენებმა, საუკუნეებით დაამუხრუჭეს-შეაჩერეს ქართული ცნობიერების მტრებმა, რომელთა მიზანი იყო ქართული ტერიტორიების მიტაცება-გავერანება და ქართული სულიერების განადგურება.

მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის დროდადრო გამოჩნდებოდნენ მამულის და რწმენის შეუპოვარი დამცველნი. მათი დიდი მცდელობის შედეგად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდა წინსვლა კულტურის დარგში და კერძოდ განათლებაში, რასაც დიდ ყურადღებას უთმობდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798 წ.წ.).

განათლების საქმის უშუალო ორგანიზატორი და წამმართავი იყო კათალიკოსი ანტონ I – ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788 წ.წ.), რომლის მეცადინეობით მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ან აღსდგა საუკუნეების განმავლობაში შეწყვეტილი კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება. ანტონ I ენერგიულად შეუდგა სასწავლებლების ორგანიზებას ქართლ-კახეთის მთელს ტერიტორიაზე.

მისი ინიციატივით, 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სემინარია. აქ ისწავლებოდა რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ანტონ I-ის მიერ 1753 წელს დაწერილი ქართული ენის გრამატიკა.

ანტონ I-ის უდიდესი დამსახურებაა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნა. მას ეკუთვნის: ასო, ხმოვანი, მარცვალნი, არსებითი სახელი, ზმნა, დადებითი ხარისხი, მდებრობითი, ზმნიზედა, ბრუნვა, სახელობითი, მძიმე, წერტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და სხვა.

გრამატიკული ამ ტერმინების შესახებ არსებობდა აზრი თითქოს ანტონ I-მა ისინი გადმოთარგმნა რუსული შესატყვისი ტერმინებიდან, რაც არაა მართებული. საქმე ისაა, რომ „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმრავლესობა ანტონის შექმნილია და გვხვდება გრამატიკის პირველსავე რედაქციაში, რომელიც დაიწერა 1753 წელს. საკმარისია

ბევრ ამ ტერმინს შევადაროთ რუსული შესატყვისი ტერმინი და სრულიად აშკარად წარმოიქმნება ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ კალკას, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ როცა ანტონი წერდა პირველ გრამატიკას მას წარმოადგენდა კი არ ჰქონდა რუსული ენის გრამატიკაზე.

მაშ, საიდან მივიღეთ ასეთი „აბსოლუტური“ დამთხვევები?

ქართული ენის გრამატიკის წერისას ანტონი იყენებდა ლათინური და სომხური ენის გრამატიკებს, რომლებშიც ყველა ეს ტერმინი კალკირებული იყო ბერძნული გრამატიკული ლიტერატურიდან. რუსული გრამატიკულ ლიტერატურაშიც ლათინურის მეშვეობით იმავე ბერძნული ტერმინების კალკასთან გვაქვს საქმე და ამიტომაც, რუსული და ქართული ტერმინები ასე ჰგვანან ერთმანეთს.

1758 წელს თელავში, მეფის სასახლეში დაარსდა საეკლესიო კადრების მოსამზადებელი სკოლა. 1782 წელს ის გადაკეთდა თელავის სემინარიად, რომელიც გაუქმდა 1803 წელს, როგორც ბუდე თვითმპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციისა. იქ ისწავლებოდა: მათემატიკა, ფილოსოფია, ღვთის-მეტყველება, გრამატიკა, რიტორიკა და მოსწავლეთა მიღება ხდებოდა წოდებრივი განსხვავების გარეშე.

ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო მისი გახსნის ინიციატორი, არქიმანდრიტი გაიოზ რექტორი (1746-1821 წწ).

გაიოზ რექტორმა 1789 წელს დაწერა ქართული „ღრამატიკა“, რაც 1796-1800 წლებში დაიბეჭდა მოზდოკში მის მიერვე 1796 წელს დაარსებულ სტამბაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქალაქ ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად 1756 წელს დანიშნულმა ანტონ I-მა, იმავე წლის დეკემბერში დაასრულა ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის ქრისტინ ვოლფის შვიდ ნაწილიანი „ფილოსოფიის“ მეშვიდე ნაწილისა „თეორიული ფიზიკა“. ამ წიგნის დედანი ინახება იოსებ (სოსო) გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაკეტილ სტენდზე (ხარფუხში).

ეს სახელმძღვანელო სავალდებულო იყო თბილისისა და თელავის სემინარიებში. თბილისის სემინარიაში ამ სახელმძღვანელოთი კითხულობდა თვით ანტონ I და მის ლექციებს ესწრებოდა ერეკლე II. თარგმნისას ანტონი სარგებლობდა სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წ.წ) „ლექსიკონი ქართულით“ და არსენ იყალთოელის (XI-XII ს.ს.) „ფისიკით“.

ვლადიმირში ყოფნის დროს, კერძოდ 1762 წელს, ანტონ I-ს ქართულად უთარგმნია ქრისტინ ბაუმისტერის (1709-1785 წ.წ) თხზულებანი: „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“, „საყოფაცხოვრებო ფილოსოფია“ ანუ ეთიკა და „განსაზღვრება ფილოსოფიისა“.

თბილისის სემინარიამ იარსება 1795 წლის სექტემბრამდე, ვიდრე ირანის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა (1742-1797 წ.წ) არ დაანგრია თბილისი. შაჰის ერთ-ერთი მიზანი იყო საბრძოლო იარაღების სახელოსნოების გაძარცვა-განადგურება და ხელოსნების წაყვანა ირანში. თელავის სემინარიამ კი იარსება საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლამდე (1801 წ.), რის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავამთავრებთ, თელავის სემინარიასთან დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო ფაქტის აღნიშვნით. საქმე ისაა, რომ თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე, 1783 წლის 28 მაისს, სემინარიაში გამართულ საჯარო დისპუტები (პაექრობანი), რაც მიზნად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებული მუშაობის შეჯამება-შემოწმებას და ეს იმართებოდა ამათუიმ დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ. პაექრობა წარმოადგენდა დიდ სადღესასწაულო აქტსაც.

რადგან თელავის სემინარიაში დიდი ყურადღება ექცეოდა საგრამატიკო დისციპლინებს, ამიტომ ეს საზეიმო სხდომაც სწორედ საგრამატიკო თემისადმი ყოფილა მიძღვნილი. ძირითადი მოხსენება ჩაუტარებია რექტორს, გაიოზ არქიმანდრიტს.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს

დავინყებთ იმ პოლიტიკური აქტის აღნიშვნით, რომლის თანახმადაც რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1777-1825 წ.წ.) გამეფების პირველსავე წელს, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ის მიერთებული იქნა რუსეთთან.

1802 წელს საქართველოს მთავარმართველად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს პავლე ციციანოვი (1754-1806 წ.წ.), რომელიც იყო კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. რუსეთის ბიუროკრატიულ ხელისუფლებას საქართველოსა და ამიერკავკასიისთვის სჭირდებოდა მოხელეთა დიდი შტატი. მაღალ, დიდ თანამდებობებზე მუდამ ნიშნავდნენ რუსებს, მაგრამ დაბალ ადგილზე საჭირო იყო ადგილობრივი წარმომადგენელიც, ოღონდ იგი რუსულის მცოდნე ან რუსულ სკოლაში ნასწავლი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ, ქართული სკოლების უმეტესობა დაიხურა. რუსეთის მმართველობამ საჭიროდ სცნო მხოლოდ რუსული სკოლების არსებობა, როგორც საიმედო საყრდენი თავისი პოლიტიკის განხორციელებისთვის საქართველოში. რუსული ორკლასიანი პირველი სასწავლებელი 1802 წელს იქნა გახსნილი, რაც იმავე წელს დაიხურა. მისი დახურვის მიზეზი იყო ის, რომ ის გამოდგა არა რუსულ-ქართული, პირვანდელი განზრახვის მიხედვით, არამედ წმინდა რუსული სასწავლებელი. მოსწავლეებს არა ესმოდათ-რა არც თავისი მასწავლებლისა, არც სკოლისა საერთოდ და იძულებული იყვნენ მალე მიეტოვებინათ იგი.

რუსული პოლიტიკის უკეთ გატარების მიზნით, 1803 წლის 27 ივლისის მოხსენებით ციციანოვი მეფეს არწმუნებდა თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნის აუცილებლობაში იმით, რომ რუსული ენის ცოდნა აუცილებელია ამ მხარეში, სადაც სამართლის წარმოება რუსულადაა და თარჯიმნებიც არიან, მაგრამ ადგილობრივი თავადაზნაურობა იმდენად უფიცია, რომ წესისამებრ მშობლიურ ენაზეც ვერ საუბრობსო.

ციციანოვის ინიციატივით, 1804 წელს თბილისში აღადგინეს ქართული სტამბა, რომელიც მტრებმა 1723 წელს გაანადგურეს.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ციციანოვს გაუხსნია 1804 წლის 31 მაისს და ამ სასწავლებელს უარსებია 26 წელი, რომელიც სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდა და მოხელეებს ზრდიდა. მაგრამ მოწაფეობა სასწავლებელს გაურბოდა, განსაკუთრებით ათიან წლებში, როცა საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა.

კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი იყო ალექსი პეტრიაშვილი, რომელსაც სასწავლებლის გახსნის დღეს მგზნებარე სიტყვით მიუმართავს საზოგადოებისთვის. სასწავლებელი 1814 წლამდე საქართველოს მთავარმართველის სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციაში შედიოდა, ხოლო 1814 წლიდან კი გადარიცხულ იქნა ხარკოვის სასწავლო ოლქის უწყებაში.

ამ სასწავლებელში 1828 წელს მიუბარებიათ საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოს-ქიმიკოსი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (1818-1876 წ.წ.), რომლის მიერ შექმნილი „მუდმივეფექტიანი წყვილი“ კეთილშობილი ლითონების, კერძოდ ოქროს მისაღებად ცნობილი იყო რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში 1843 წლიდან (10:24-30).

1811 წლის 1 ოქტომბერს, უწმინდესი სინოდის მიერ თბილისში დაარსდა მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარია. ეს იყო მეორე ოფიციალური რუსული სასწავლებელი, რომელიც მეფის მთავრობამ გახსნა საქართველოში. ეს სემინარია დაიხურა 1917 წელს, რომლის ერთადერთი ქართველი რექტორი 1916-1917 წლებში იყო დეკანოზი კორნელი კეკელიძე (1879-1962 წ.წ.).

თბილისის სასულიერო სემინარიას დასახული ჰქონდა ორი ძირითადი მიზანი: 1). მას უნდა აღეზარდა კულტურის მსახურნი და თვითმპყრობელობისთვის საიმედო, სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები და 2) მოემზადებინა მისიონერები მთაში ქრისტიანობის დასაწარმოად, რომ ხელისუფლება უფრო მტკიცედ გაბატონებულიყო და დაემონა კავკასიის მთის ხალხებზე.

დარეჯან დედოფლისეულ (მეფე ერეკლე II-ის მეუღლის მიერი) სასახლეში, ავლაბარში, გახსნილმა ამ სემინარიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში.

თბილისის სასულიერო სემინარიისა და მის სისტემაში შემავალ სკოლათა რეორგანიზაცია გატარდა 1835 წლის 1 სექტემბრიდან. სემინარია დაუქვემდებარეს კიევის აკადემიის ოლქს და ამიერიდან ამ ოლქს უნდა ეზრუნა და ხელმძღვანელობა გაენია მისთვის. რეორგანიზაციის გატარების შემდეგ სასწავლებელში რუსულის სწავლება მიანდეს მხოლოდ რუსებს, ქართველს აღარ ნიშნავდნენ.

სასულიერო სემინარიაში მსოფლიო ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა რუსეთის ისტორია, ხოლო საქართველოს ისტორია საეკლესიო ისტორიასთან ერთად.

საქართველოში ფიზიკისა და გეოფიზიკის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1844 წელს თბილისში გეოფიზიკური ობსერვატორიის გახსნამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ობსერვატორიის არსებობა დაფიქსირებულია 1158 და 1258 წლებშიც კი. გარდა ამისა, ამინდზე პირველი დაკვირვება დაიწყო 1932 წლიდან.

თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას გააჩნია განვითარების საინტერესო ისტორია.

1825 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ისწავლებოდა: ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თარგმნა, ცეკვა, თათრული ენა, საღვთო სჯული, გეოგრაფია, ისტორია, ხატვა, გეომეტრია, ალგებრა, რუსული და ქართული სიტყვიერება, ფორტიფიკაცია, გეოდეზია. მოსწავლეთა დატვირთვა იყო 40-46 საათი კვირაში და გაკვეთილები ტარდებოდა დილით და საღამოს 4-4 საათი.

1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ. ეს დებულება ითვალისწინებდა ერთ გიმნაზიას თბილისში და 20 სამაზრო (საერო) სასწავლებელს თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის სამაზრო ცენტრებში.

ამ დებულებით, სამაზრო სასწავლებელი ორკლასიანი იყო, ხოლო 1835 წლის დებულებით ისინი გადაკეთდა სამკლასიან სასწავლებლად.

თბილისში გიმნაზია გაიხსნა 1830 წლის მარტში, საქართველოს მთავარმმართველ პასკევიჩის დროს. უფრო სწორად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად და მასთან ერთად გაიხსნა პანსიონიც აზნაურთა შვილებისთვის.

თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ჯერ სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წ.წ.) და მისი დაპატიმრებიდან, 1832 წლიდან ვიდრე 1868 წლამდე კი მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ზაქარია ყორღანოვი.

1837 წელს მეფე ნიკოლოზ I ესტუმრა ამიერკავკასიას. მის მგზავრობასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში გამოაშკარავდა მრავალგვარი ბოროტმოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მაშინდელი მთავარ მმართველი როზენი თავისი ოჯახის ყველა წევრითურთ. მექრთამეობა და სახაზინო ფულის მითვისება „სავალდებულოდ“ ითვლებოდა ყველა მოხელისთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს გასსენ მილერს გაუფლანგავს გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლების მშენებლობისთვის გადადებული 50 000 მანეთი. დირექტორი ამ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც გამჟღავნდა 1839 წელს, ციმბირში გაგზავნეს ყოველგვარი უფლების აყრით. მეფის მგზავრობას შედეგად მოჰყვა როზენის განთავისუფლება მთავარმმართველობიდან.

თბილისში საჯარო ბიბლიოთეკების დაარსება იწყება მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებიდან. 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის (1811-1887 წ.წ.) ინიციატივით ქართველი ინტელიგენცია აარსებს ბიბლიოთეკას, რომელიც 1846-1848 წლებიდან საფუძვლად დაედო მთავრობის საჯარო ბიბლიოთეკის დასრულებას.

1848 წლის დებულებით, თბილისის გიმნაზიაში ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო იყო ქართული და თათრული ენები, მაგრამ სწავლების სირთულის გამო მხოლოდ ერთი ენა გახდა სავალდებულო.

თბილისის გიმნაზია, რომელიც ერთადერთი იყო მთელს ამიერკავკასიაში, შედარებით ნა-

კლები მომზადებისა და ცოდნის ახალგაზრდებს უშვებდა. ამის გამო, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა პირდაპირ შესულიყო მოსკოვის უნივერსიტეტში.

მეორე გიმნაზია საქართველოში დაარსდა ქ. ქუთაისში 1848 წელს და მათ (თბილისის და ქუთაისის გიმნაზიებს) მიეცათ ის უფლებები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ რუსეთის გიმნაზიებს სრულიად რუსეთის 1828 წლის წესდებით. იმავე წელს საქართველოში გიმნაზიის კურსი 8-წლიანი გახდა.

1851 წელს თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი, ხოლო საკმაოდ გვიან, 1917 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

აღზრდა-განათლება და სკოლა იყო მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი საბრძოლო საკითხი.

მონინავე ქართული პრესა ბრძოლას აწარმოებდა ერთი მხრივ იმისთვის რათა ხალხის მშრომელი მასების ცნობიერებაში შეეტანა იმის შეგრძნება, რომ „განათლება ყველაზე უფრო ძლიერი ძალაა“ და რომ ახლა თოფითა და ხმლით მეზობელ ქართველ ვაჟკაცთა დრო აღარ არის, რომ ახლა დადგა სწავლისა და მეცნიერების დრო; მეორე მხრივ პრესა ბრძოლას აწარმოებდა ხალხის განათლების უფლებისთვის, სკოლების რიცხვის გადიდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

1864 წელს მთავრობამ შემოიღო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ორი ტიპი: კლასიკური და რეალური. ეს გიმნაზიები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, როგორც სასწავლო გეგმით და სწავლის შინაარსით, ისე უფლებებით. აქ პირველად დაარსდა პედაგოგიური საბჭო სასწავლო და აღმზრდელობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. უქმდებოდა წოდებრივი პრივილეგიები და ფიზიკური დასჯა „როზგი“-„განკეპვლა“.

1865 წელს თბილისში დაარსდა ქალთა პირველი თანრიგის ღია სახელმწიფო სასწავლებელი, პედაგოგიური ციკლით. იმავე წელს კი, ქუთაისში გაიხსნა ქალთა ელემენტარული სკოლა.

1866 წელს ქ. თელავში გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებელი (თბილისისა და ქუთაისის ასეთივე სასწავლებლის სტრუქტურით, გეგმით და პროგრამით), რომელიც 1867 წლიდან განთავსდა ერეკლე II-ის სასახლეში.

1867 წლის დებულებით, ქართული ენა სავალდებულო გახდა მხოლოდ ქართველებისთვის, სომხური-სომხებისთვის და თათრული-თათრებისთვის.

პირველი ნაბიჯი ქართული ენის შესაკვცევად გადაიდგა 1861 წელს, როდესაც საშუალო სასწავლებლებში მკვეთრად შეამცირეს ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა.

მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ კავკასიის მოსახლეობის, კერძოდ ქართველების მიმართ განათლების დარგში გამოხატულება ჰპოვა 1873 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაში, რომლითაც ადგილობრივი ენები კავკასიის საშუალო სასწავლებლებში რჩებოდა მხოლოდ ოთხ კლასში და ისიც, როგორც არასავალდებულო საგანი-ვისაც სურდა ადგილობრივი ენის გაკვეთილები, მას ხელფასი უნდა გადაეხადა მასწავლებლისთვის.

ამ დებულების შესამუშავებლად, 1871 წლის დეკემბერში სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროვმა თბილისში მოიწვია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორების ყრილობა.

ჯერ კიდევ ყრილობამდე, ოლქის ინსპექტორი ილიაშენკო აღნიშნავდა: მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების წინ წამოწევისა ზიანის მომტანია რუსული ენისთვის. ამ პოლიტიკით ჩვენ მივდივართ არა რუსი ხალხების არა ასიმილაციისკენ, რაც ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს, არამედ მათ საშუალებას აძლევს ადვილად გავიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე თავიანთი ბუნებრივი ენით.

კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად 1878 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა კირილე იანოვსკი, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.

იანოვსკის დანიშვნას სიხარულით შეხვდნენ: ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი და სხვები. თუმცა სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ იანოვსკი ორმაგ თამაშს ეწეოდა: 1879 წლის 22 დეკემბრის წერილში იგი მხარს უჭერდა ადგილობრივ ენაზე სწავლებას დაბალ კლასებში, ხოლო 1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით ხელქვეითებს ამცნობს, რომ კავკასიის ხალხები უმეცარნი არიან, რომელთა შორის უნდა განმტკიცდეს რუსული ცივილიზაცია რუსული ენის საშუალებით. თუკი ამ ერების გადაგვარება ვერ შეძლეს წარსულში დამპყრობლებმა, ამის მიზეზია დამპყრობელთა უკულტურობა, გაუნათლებლობა. სკოლა კი, რომელსაც ცარიზმი ფლობს, იანოვსკის აზრით, მძლავრი იარაღია, რომელიც აქ განამტკიცებს რუსულ ცივილიზაციას.

იანოვსკის ერთის მხრივ უნდოდა გაეტარებინა თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში, გაედევნა ქართული ენა, გადაეგვარებინა ქართველი ახალგაზრდობა და ამით ლახვარი ჩაეცა ეროვნული კულტურისა და შემოქმედებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გადაგვარებული თაობების სახით ხელისუფლებისთვის მიეცა გონებით დაკნინებული და სულით დამონებული მოხელე-ჩინოვნიკობა.

იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ განაპირა ქვეყნებში სკოლა უნდა იყოს რუსული ცივილიზაციის დამწერგავი და ადგილობრივი კულტურის შემმუსვრელი.

1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით, იანოვსკი თავის ხელქვეითებს წერდა: კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მათში სასწავლად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად... ეს ცივილიზაცია აღმოჩნდება წინათ აქ არსებულ ცივილიზაციაზე უფრო მტკიცე.

იანოვსკის ცბიერი და ორმაგი ბუნება კარგად გამოავლინა ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“: იანოვსკის ისე, როგორც ყველა ფლიდსა და გაიძვერა მოხელეს, თავი მოაქვს ქართველი ერის მეგობრად და ქართველი ერის ახალგაზრდობის მოამაგედ.

80-იანი წლების მიწურულში ხელისუფლება აუქმებს 1881 წლის სასწავლო გეგმას და დაწყებითი სკოლებიდან სავსებით დევნის ადგილობრივ ენას და ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე საგნების სწავლებას აწყობს რუსულ ენაზე. მაგრამ რუსული ენის შესწავლის პროცესში მასწავლებელს სჭირდებოდა მშობლიური ენის მოშველიება უცხო სიტყვებისა და ფრაზების ასახსნელად. განათლების მესვეურნი მალე დარწმუნდნენ, რომ ამ მეთოდით მიზანს ვერ მიაღწევდნენ. გარუსების საქმეში მეტი ეფექტის მისაღწევად, განათლების მესვეურებმა ორ მთავარ ზომას მიმართეს: რუსული ენის შესწავლის საქმეში მშობლიური ენის სრულ აკრძალვას და ბავშვის საზოგადოებრივ ენად რუსულის ენის გადაქცევას.

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორ ლევიტსკის აზრით, მშობლიური ენა ხელს უშლის სხვა ენის შესწავლას და ის არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა (რუსული) ენის შესასწავლად.

1881 წლის მიწურულში გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლობა და აღდგენილ იქნა მთავარ მმართველობა. რეაქციის გაძლიერებას განათლების დარგში მოასწავებდა რეაქციონერ დელიანოვის დანიშვნა განათლების მინისტრად.

მეფის რუსეთის ბრძოლა განათლების წინააღმდეგ, საზოგადოდ, სწორედ ასეთი ფორმით წარმოდგა საქართველოში. თვით რუსეთში კი, ეს ბრძოლა მიმდინარეობდა სახვა ფორმით. სახელდობრ: „ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ რუსეთი დარწმუნდა თავის ძლიერებაში და ალექსანდრე I და ნიკოლოზ I იმპერატორები მეცნიერებას აღარ აქცევდნენ ყურადღებას. მეტიც, ალექსანდრე I-ს ზოგიერთები ურჩევდნენ ყაზანის უნივერსიტეტის დაწვას, რადგან მასში ურწმუნოებისა და რევოლუციის იდეები სუფევს. ხოლო პეტერბურგის საუკეთესო პროფესურა სამუშაოდან დაითხოვეს და მეტიც: უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების „გაძლიერების“ მიზნით ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორად დანიშნეს უბნის პოლიციის უფროსი“.

სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში ქართული ენის გაუქმებამ დიდი უკმაყო-

ფილება გამოიწვია მოსწავლეებში და ზოგიერთ მასწავლებელში. მოსწავლეებს და არასაიმედო მასწავლებლებს დაუწყეს თვალთვალი და ეს უფრო გაძლიერდა, როცა ცნობილი გახდა სემინარიელების მიერ საეჭვო ლიტერატურით სარგებლობის შემთხვევები.

სემინარიელების დაინტერესებას სხვადასხვა ლიტერატურით ხელს უწყობდა სემინარიის ბიბლიოთეკის გამგე იაკობ გოგებაშვილიც (1840-1912 წ.წ.).

ქართველი ახალგაზრდობის გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა ე.წ. „ივანოვის ბიბლიოთეკამ“. 1870 წლის „დროების“ №47-ში განთავსებული წერილი „სამნიგნობრო და საკითხავი ოთახი“ იტყობინებოდა, რომ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს ფოსტის ქუჩაზე, სემინარიის მოპირდაპირედ ზუბალოვის სახლში გაიხსნა აღნიშნული ოთახი, სადაც წიგნებით სარგებლობა შეიძლება როგორც ადგილზე, ისე სახლში წაღებით გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

საქმე ისაა, რომ იმ დროს გაზეთები ცალობით არ იყიდებოდა და მხოლოდ თვეობით გამოიწერებოდა თანხის წინასწარ გადახდით, რასაც ყველა მსურველი ვერ შეიძლებდა. ვინმე ივანოვმა თავისი ფული ჩადო საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში და არ დაუწყია მევახშეობა.

მოსწავლეების მიერ სემინარიის ბიბლიოთეკით სარგებლობა მკაცრად კონტროლდებოდა. სინოდის ოპერ-პროკურორის 1884 წლის 4 მაისის განკარგულებით სემინარიის ბიბლიოთეკიდან ამოიღეს მრავალი „არასასურველი“ წიგნი, მათ შორის დ. მენდელეევის წიგნი „ქიმიის საფუძვლები“.

1883 წლის მაისში თბილისის სემინარიის რექტორად დაინიშნა პავლე ჩუდეცკი, რომელმაც მაშინვე დაიწყო სემინარიელების გაკონტროლება არასაიმედო ლიტერატურით სარგებლობასთან დაკავშირებით.

თბილისის სემინარიის მოსწავლეთა მღელვარების მიზეზები იყო ცუდი ნიშნებისთვის დასჯითი რეჟიმი, თვით კარცერში რამდენიმე საათით მოთავსებით, ცუდი კვება და დაგლეჯილი ტანსაცმელი. ჩუდეცკის მიერ ბევრი მოსწავლე იქნა გარიცხული სემინარიიდან აკრძალული ლიტერატურით სარგებლობისთვის.

სემინარიის ადმინისტრაციამ რეპრესიები გააძლიერა მას შემდეგ, რაც 1885 წლის დეკემბერში მას ხელში ჩაუვარდა სემინარიის უდემდამო მოსწავლე იოსებ ლალიაშვილის „დღიური“, საიდანაც გამჟღავნდა ბევრი საიდუმლოება: არალეგალური ჟურნალ „ყვავილის“ არსებობა და საიდუმლო წრის არსებობა მისი წევრების დასახელებით. 1885 წლის 9 დეკემბერს სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ ი. ლალიაშვილი ამორიცხა სემინარიის საერთო საცხოვრებლიდან და ამიტომ მოუხსნეს სახაზინო ხარჯი. სანაცვლოდ დაუნიშნეს 6 მანეთი თვეში. ი. ლალიაშვილი იძულებული გახდა ბინისა და სადილის საფასურისთვის მიეცა კერძო გაკვეთილები. მაგრამ ჩუდეცკიმ აიძულა მოსწავლის მშობლები, უარი ეთქვათ ი. ლალიაშვილის მასწავლებლობაზე.

ამის შემდეგ, ი. ლალიაშვილს სახლში უპოვეს აკრძალული ლიტერატურა და ჩუდეცკიმ აიძულა იგი თხოვნა შეეტანა სემინარიიდან ამორიცხვის მიზნით. ეს თხოვნა მან დაწერა 1886 წლის 13 მარტს და იგი გარიცხულ იქნა თბილისის სემინარიიდან.

ი. ლალიაშვილმა რამდენჯერმე თხოვა ჩუდეცკის სემინარიაში აღდგენა ან ცნობის მიცემა, რომ მას დამთავრებული ჰქონდა გორის სასულიერო სემინარია. ორივე თხოვნაზე მან უარი მიიღო. იგივე თხოვნით, იგი ჩუდეცკისთან კაბინეტში მისულა 1886 წლის 24 მაისს დილის 11 საათზე და ისევე უარი მიიღო. ამის შემდეგ მან ტანსაცმლის ქვეშ დამალული ხანჯალი ჩასცა ჩუდეცკის, რომელიც კაბინეტიდან გავარდნილა მეზობელ ოთახში და კისერში ხანჯლის დაკვრით იქ იქნა მოკლული.

საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარ ეპისკოპოსმა პავლემ (პეტრე ვასილის ძე ლებედევმა, 1827-1892წ.წ.) ჩუდეცკის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში დასწყევლა მკვლელი იოსებ ლალიაშვილი. ამავე სიტყვაში მან ანათემას გადასცა მთელი ქართველი ერი, რის გამოც დიმი-

ტრი ყიფიანმა სადგურ ხაშურიდან პავლეს გაუგზავნა ისტორიული წერილი, სადაც იგი პავლეს ურჩევდა დაეტოვებინა მის მიერ შეურაცხყოფილი საქართველო.

ყოველივე ამას მოჰყვა ეგზარქოსის გადაყენება და დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც იგი 72 წლის ასაკში მოკლა ვინმე რუსმა ბერმა თავში უროს ჩარტყმით. დიმიტრი ყიფიანი დაკრძალულია მთაწმინდაზე. მის ხსოვნას აკაკი წერეთელმა უძღვნა ლექსი

გ ა ნ თ ი ა დ ი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

.....
„დედა-შვილობამ მეტს არ გთხოვ:
შენს მინას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

[1892 წ.]

იოსებ ლალიაშვილი გასამართლებულ იქნა 1886 წლის 16 ივნისს და მას მიესაჯა 20 წლით გადასახლება კუნძულ სახალინზე. განაჩენის გამოტანისას გათვალისწინებულ იქნა მისი არასრულწლოვანება-იგი დაბადებულა 1866 წლის 2 იანვარს და ჯერ კიდევ არ იყო 21 წლის. სახალინიდან იგი გაქცეულა იაპონიაში და 1889 წელს კი ამერიკაში, სადაც იგი გარდაცვლილა სან-ფრანცისკოში 1913 წელს (ვინმე ჭავჭავაძის თქმით). სინოდმა კი სემინარიის რექტორ ჩუდეცკის ნაცოლევს და პავლე ეგზარქოსის საყვარელს, მარიამს თვეში 100 მანეთი პენსია დაუნიშნა. იმ დროს, თბილისის სასულიერო სემინარიის ზოგიერთი მასწავლებლის ხელფასი 40-50 მანეთს არ აღემატებოდა.

ჩუდეცკის მკვლელობის შედეგად მთავრობამ სემინარია გაანადგურა. მხოლოდ ერთ დღეს სემინარიიდან დაითხოვეს 34 მოსწავლე; ბევრი კიდევ მანამდე ან მას შემდეგ. გახშირდა სემინარიელების მღელვარება, რასაც ხშირად იწვევდა ადმინისტრაციის უადგილო მოთხოვნები და შენიშვნა-გაფრთხილებები. იყო შემთხვევები სემინარიიდან გარიცხვისა და სხვა სემინარიაში შესვლის აღკვეთით ან ქ. თბილისში ცხოვრების აკრძალვით.

დიდი არეულობა მომხდარა სემინარიაში 1893 წლის 1-4 დეკემბერს. ამ გამოსვლების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, რექტორ სერაფიმეს მოთხოვნით შედგენილ იქნა სია საეჭვო მოსწავლეებისა მათი მოკლე დახასიათებით. ამ დროისთვის სემინარიაში ყოფილა 412 მოსწავლე. 1-4 დეკემბრის არეულობის გამო სემინარია დახურეს 1894/5 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

მეცხრამეტე საუკუნის სემინარიელების უკმაყოფილებანი, სწავლების მაშინდელი სისტემის მიმართ, გაგრძელდა მეოცე საუკუნის პირველ ათიან წლებშიც. უკმაყოფილება გრძელდებოდა იმის გამო, რომ ხელისუფლება ცდილობდა რუსულ ენას მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა საქართველოში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ორი შემთხვევა.

1903 წელს დირექტორების, ინსპექტორების, პედაგოგების, მეურნეთა, სასულიერო პირთა ერთ-ერთ ფართო შეკრებაზე პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა განაცხადა, რომ რუსული ენისთვის ზიანის მომტანია მისი ცალკე საგნად სწავლება და რომ ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზეო. როსტომაშვილის ამ გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა იაკობ გოგებაშვილმა, რის შემდეგაც როსტომაშვილმა უკან წაიღო თავისი სიტყვები.

1905 წელს მთავრობამ შექმნა რევოლუციასთან მებრძოლი შავრაზმული ორგანიზაცია, რომლის წევრი იყო ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი ტიმჩენკო-იაროშჩენკოს

ქალი. იგი რუს მოსწავლეებს ასე მიმართავდა: გახსოვდეთ რომ ხართ რუსი, საჭირო არ არის ქართველების ველური ინსტიქტების მიბაძვაო. ეს მოხდა 1912 წელს. ამის გამო საჩივარი შევიდა მთავრობაში 200 მშობლის ხელმოწერით, მაგრამ შედეგი სავალალო იყო: რამდენიმე რუსი და ყველა ქართველი მასწავლებელი გადაიყვანეს ქუთაისიდან. სასწავლებლის ინსპექტორმა კონსტანტინე ლოლობერიძემ კი თავი მოიკლა-მას ბრალს სდებდნენ ტიმჩენკოს წინააღმდეგ ქმედებაში.

აი, ასეთი მძიმე რეჟიმის პირობებში უხდებოდათ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების მიღება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ა. საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I. ტფ., 1937, 51-65.
2. ბაკურაძე ი. ტფლისის სასულიერო სემინარია 1817-1835 წლებში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I. ტფ., 1937, 107-126
3. ბერიძე ვუკ. დავით რექტორი-ლექსიკოგრაფ საბა-ორბელიანის გამგრძელებელი. ტფლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I. 1936, 310-332.
4. გამსახურდია ს. სწავლა-განათლება ძველ საქართველოში. თბ., 1975.
5. ერემიშვილი ი. ცხოვრება და ღვაწლი ანდრია რაზმაძისა. ქუთაისი, 1997.
6. ვართაგავა ი. მოგონებები, II. თბ., 1962.
7. თავზიშვილი გ. უმაღლესი განთლების ისტორიისთვის საქართველოში, ნარკვევი პირველი. თბ., 1938.
8. თავზიშვილი გ. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870. თბ., 1948.
9. პარკაძე ვ. დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“. თბ., 1954.
10. საქართველოს ფიზიკოსები, შეადგინა ვ. პარკაძემ. თბ., 1982.
11. ტორაძე გ. მუსიკის სამყაროში. თბ., 2010.
12. ფოცხიშვილი ა. პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო. თბ., 1990.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2., 1977.
14. ლამბაშიძე რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბ., 1986.
15. ჩაკვეტაძე ვ. გელათის აკადემია. თბ., 1958.
16. წერეთელი ქ. სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში. თბ., 1978.
17. ხუნდაძე არკ. რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი. ტფ., 1932.
18. ხუნდაძე ტრ. საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული I. ტფ., 1937, 74-106.
19. ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1951.
20. ხუნდაძე ტროფიმე. ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან. თბ., 1976.

მადლითა და სიკეთით სავსე ფურცლები უფალთან მისატან სიცოცხლის წიგნში

ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბატონი ბიჭიკო პაიკიძე

ჟურნალისტურ საქმიანობაში უამრავი საკითხი განიხილება და ვრცელდება. თემები ერთ-მანეთისაგან თავისთავად შინაარსით განსხვავდება და ყოველი მათგანი ინტერესთა საზომით იზომება. ეფექტურ და ყველასათვის მიმზიდველ თემად უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ კატეგორიის ადამიანთა დახმარება, გვერდით დგომა და მორალურ-ზნეობრივი თუ ფინანსური შემწეობა. ქველმოქმედება ერთ-ერთი ყველაზე ზეალმატებული თვისებაა ადამიანისა, რომელიც უფალმა მომადლა კაცთა მოდგმას. ის დაახლოებით ასე განიმარტება – სამადლო საქმის კეთება, მონყალეობა, საჩუქრების გაცემა ანუ დასაჩუქრება და გაჭირვებულთა დახმარება. ბოლო დროს აშკარად შეინიშნება ის ტენდენცია, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძალიან გაიზარდა და იზრდება ქველმოქმედთა რიცხვი, რაც სახელმწიფოსაც ეხმარება და იმ ადრესატსაც, ვისთვისაც ეს თანხაა გამიზნული. ისინი ხომ თავიანთ მდგომარეობას იმისთვის იყენებენ, რომ წინა პლანზე წამოწიონ სერიოზული და მთავარი პრობლემები.

მაინც რა ძალა აქვს ქველმოქმედებას? იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეოცე საუკუნის დასაწყისშიც. ოკეანის გადაღმა ქვეყანაში, ფინანსურმა მაგნატებმა ენდრიუ გარნემა და ჯონ როკფელერმა გადაწყვიტეს, თავიანთი თანხები გაჭირვებულთა დასახმარებლად გამოეყენებინათ და გაამართლა კიდევ – ამის შემდეგ ათიათასობით ისეთი ორგანიზაცია დაარსდა, რომელთაც თავიანთი ბენეფიციალი დღემდე ჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. შეჭირვების ჟამს ქართულ სამოქმედო სივრცეშიც გამოიჩინა ამდაგვარ ადამიანთა წყება, რომლებმაც უშურველად გაიღეს სიკეთე და ამას ვერ დაფარავს იმ ერთეულ უთვისტომოთა უმადურობის გრძნობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოიხატა და ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, თუმცა სიკეთე არ იმალება და ამდაგვარი მოქმედება მეტ-ნაკლები ფორმით საჭირო იქნება მანამ, სანამ ქვეყნის ეკონომიკის სიმყარე თითოეულ ადამიანს არ მისცემს საშუალებას ცხოვრება და მოღვაწეობა არ დაემყაროს მხოლოდ ქველმოქმედებას. მაგრამ, სანამ ამ საკითხს ჩვენს ქვეყანაში მოვევლება, როგორც ითქვამს არსებობენ ადამიანები, რომელთაც გენეტიკური კოდით აქვთ მონიჭებული სიკეთის კეთება. ჩვენი კრებული არაერთხელ შეეხო ზემოთ ხსენებულ საკითხს თავის ფურცლებზე. ჩვენი რაიონის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს სპეციფიური ნიჭი უანგარო მატერიალური დახმარებისა, არაერთ პიროვნებას გამოუჩენია – გეფერძეს, ბაღდავაძეს, ნაქაძეს, თათვიძეს, ბაზიარს, ლეჟავას, ტყეშელაშვილს, ადეიშვილს, კაშიას და ა. შ.. ეს ის არასრული ჩამონათვალია, რომელთაც სასულიერო თუ საერო საქმიანობაში, თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი. ამათგან ორი მათგანი-ბატონები ზაურ თათვიძე და ბეჟან ნაქაძე უკვე გავაცანით მკითხველს. ისინი კრებულ „მატიანეს“ დაარსებიდან უდგანან გვერდით. რომ არა მათი შემწეობა, ალბათ ჩვენი რაიონის შესახებ ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვერ იხილავდა საზოგადოება. ვერ იამაყებდა იმ ისტორიული ეპიზოდებით, რომელთაც არაერთხელ მოუყვანია ალფრთოვანებაში ჩვენი კრებულის ნამდვილი მკითხველი და არა უბრალოდ გადამკითხველი. აღვნიშნეთ, რომ მათი საქმიანობა რაიონში ფართოვდება და ათეულობით ადამიანს მიუჩინეს მყარი სამუშაო ადგილი ჯეროვანი ანაზღაურებით. გამოცდილებამ ისიც დაგვანახა, რომ სიკეთის გაკეთებას მაინცდამაინც ჭარმაგი წლები არ სჭირდება, მაგრამ მაინც იშვიათობას წარმოადგენს იყო ესოდენ ახალგაზრდა და იმდენი სიკ-

ეთე გქონდეს გაკეთებული, როგორც ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრს, ბატონ ბიჭიკო პაიკიძეს აქვს ჩანერილი მადლით სავსე ფურცლებად, უფალთან მისატან სიცოცხლის წიგნში.

ის ჯერჯერობით მხოლოდ 36 წლისაა. დაიბადა ქართული ტრადიციების მატარებელ, კულტურულ ოჯახში. ბაბუა – ბიჭიკო პაიკიძე, საგზაო ინჟინერი ხელმძღვანელობდა ვანის საგზაო სამშენებლო სამმართველოს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი რაიონის აღმშენებლობის პროცესში. ბებია – ჟუჟუნა გიორგაძე, ფიზიკის საგანს ასწავლიდა გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლაში. ამასთანავე, თითქმის 30 წელი გახლდათ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და თითქმის მთელი სიცოცხლე შეაღია მომავალი თაობების აღზრდისა და განსწავლის საშვილიშვილო საქმეს. რაც შეეხება მშობლებს, ორივეს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. მამა – ანგარდაცვლილი გელა პაიკიძე ფიზიკა-მათემატიკოსი იყო და ასევე დამთავრებული ჰქონდა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. დედა – ინგა ადვიშვილი თეატრმცოდნეა. თბილისის სახელმწიფო თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა რაიონის კულტურის განყოფილებაში.

ბიჭიკო პაიკიძემ სწავლა გ. ტაბიძის სახელობის №2 საშუალო სკოლაში დაიწყო, ხოლო 1996 წლიდან სწავლა თბილისის N16 საშუალო სკოლაში განაგრძო. 2000 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, როგორც ფინანსისტ-ეკონომისტმა, მუშაობა დაიწყო ლოჯისტიკის კომპანიაში ლოჯისტიკის სპეციალისტად. 2004 წლიდან 2006 წლამდე სხვადასხვა თანამდებობები ეკავა-იყო ფინანსური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ხოლო 2006 წლიდან გენერალური დირექტორი. ამავე წელს ანკარაში გაიარა ფინანსების შემსწავლელი კურსები და საფუძვლიანად დაეუფლა თურქულ ენას. ანკარიდან დაბრუნებულმა, 2007 წლის მაისის თვის დასაწყისში დაარსა სამშენებლო კომპანია – „სერვის კომპანი“ და აქტიურად ჩაერთო ამ სფეროში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით აგებდა გზებს, ხიდებს და ასრულებდა ნაპირსამაგრ სამუშაოებს. ამას მოჰყვა სხვა არაერთი კომპანიის დაარსება, მათ შორის იყო „ბიპი ტრანსიც“. საფინანსო საქმეებისა და ეკონომიკის სფეროში უფრო ღრმა ცოდნის მიღების მიზნით, 2012 წელს, იგი აშშ-ში გაემგზავრა. დაბრუნდა რა საქართველოში, იმავე კომპანიის სახელით გააგრძელა მუშაობა. მისი მოქმედების არეალი დღემდე სრულიად საქართველოა. ყველაზე რთული ნაპირდამცავი ნაგებობები აგებული აქვს შავი ზღვის სანაპიროზე და სხვადასხვა რეგიონებშიც. 2013 წლიდან კიდევ ორი ახალი კომპანია დაარსა – „ჯორჯია ენერჯი“ და „ბაი & ბიპი“, რომელთა სპეციფიკა ერთი და იგივეა – „ჯორჯია ენერჯი“ მშენებლობებს აწარმოებს, ხოლო „ბაი & ბიპი“ საერთაშორისო გადაზიდვებს ემსახურება. 2014-2018 წლებში კომპანია სამუშაოებს აწარმოებდა კაზრეთში ოქროს მოპოვების საბადოებზეც. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი – ტყუპები გელა და ნინო და მესამე – გიორგი პაიკიძე.

ბატონ ბიჭიკოს მშობლიურ რაიონთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. გულით უყვარს ვანი და ვანელები. ამაცობს მისი წარსულით და იმედი აქვს უკეთესი მომავლის. კომპანიაში სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებულთა 80% სწორედ ვანელებითაა დაკომპლექტებული და არაერთი სამუშაო აქვს ჩატარებული ვანის არეალში. კერძოდ, ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე რიონზე, სულორზე. ასევე ბეტონის საფარით დაგებული გზები ყუმურში, ციხესულორში, ძულუხში, ბზვანში და გადიდში. ახლახან დაასრულა ნაპირსამაგრი სამუშაოები გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმთან 1კმ.100 მეტრზე. ამავდროულად მიმდინარეობს მშენებლობა ვანის სოფლების – ციხესულორის, შუამთის მიმართულებით, დაახლოებით 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთის ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და მისი კომპანია ჩართულია აგრეთვე ვანი-დაფნარის გზის მშენებლობის პროექტში.

კომპანიისგან დაკისრებული ოფიციალური მოვალეობის გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონი ბიჭიკოს საქმიანობის ხერხემალი უთუოდ ქველმოქმედებაა. მისი ძალისხმევით,

2018 წელს, სოფელ გადიდის ცენტრში 33 მეტრიანი ჯვარი აღიმართა, ნაწილობრივ მისივე თანადაფინანსებულია გადიდის ეკლესიის მშენებლობაც, აღადგინა რომანეთის ეკლესიის გუმბათი, აღაშენა ძულუხის ეკლესიის სამრეკლო და შესწირა ზარიც, საკმაოდ დიდი წვლილი აქვს შეტანილი სოფელ სალხინოსა და ვანის საკათედრო ტაძრების მშენებლობაშიც.

ბოლო ხანს ჩატარებულ ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში ქალაქის ამომრჩეველთა თითქმის 80%-მა დაუჭირა მხარი ბატონი ბიჭიკო პაიკიძის კანდიდატურას. „განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს ნდობისთვის და ჩემგან დიდი სიყვარული მათ ამ არჩევანისთვის. ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები გავამართლო მათი იმედები სასარგებლო და კეთილი საქმეებით“ – გვითხრა მან.

დიახ, სიკეთის კეთება უკვე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. რაოდენობა არ დაუფიქსირებია და არც დაუთვლია, თუ რამდენ ავადმყოფს დაუფინანსა ოპერაციის გაკეთება, რამდენი წიგნი და საჭირო ინვენტარ – მოწყობილობა შესძინა ვანის ცენტრალურ ბიბლიოთეკას და გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლას... ამასთან, თავის დედუღეთში – ზეინდარში, დახმარება გაუწია ოჯახს, რომელსაც სახლი დაენვა – აუშენა, სახურავის ქვეშ მოაქცია და საცხოვრებელ მდგომარეობაში გადასცა დაზარალებულს. ამავე დროს, ბატონი ბიჭიკო არის ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სადაც საკრებულოდან გამოყოფილ ხარჯებს ხელფასის სახით არ იღებს და უკლებლივ ურიცხავს ვანის შშმ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე) საზოგადოებას და ამ წერილის ეს ბოლო აკორდი, საბოლოოდ გიმყარებს დადებით შთაბეჭდილებას იმ ადამიანზე, რომელსაც ქვეყნისთვის ყველმომქმედი ჰქვია...

სხვა დანარჩენი მაღლმოსილი საქმე, მას-ბიჭიკო პაიკიძეს არ ახსოვდა... ამჯერად რაც მოაგონდა ის გვიამბო... ის დანარჩენი უფალმა იცის – მისთვის ამ ნიჭთა მომნიჭებელმა იცის რა ღირსეულად ზიდავს დაკისრებულ ჯვარს... ვინ იცის ალბათ რამდენი დედა ლოცავს და ღვთისმშობელს ავედრებს მის თავს, რამდენჯერ დაინერება თეთრზე შავით მისი სიკეთით სავსე საქმეები... დიახ, ასეა, რადგან ბატონი ბიჭიკო, ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა...

თაიშურაზ ადამიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე

პროფესორი ვალტერ კაშია – მეცნიერი და მეცნიერების ორბანიზატორი

მომავალ, 2020 წელს, მსოფლიოში ცნობილ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს, რომელიც ამჟამად ლტოლვილია და თბილისში წარმატებით ფუნქციონირებს, დაარსებიდან 75 წელი უსრულდება. ეს თარიღი სათანადოდ უნდა აღინიშნოს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ბევრმა არც კი იცის, რომ მას 2000-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ვანის რაიონში დაბადებული და საშუალოგანათლება-მიღებული, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვალტერ გიორგის ძე კაშია**.

სანამ ამ დიდი გაქანებისა და ერუდიციის მქონე ადამიანის უშუალო დახასიათებას შევუდგებოდეთ, მანამდე ორიოდ სიტყვით შევხვით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსებისა და ფუნქციონირების მოკლე ისტორიას.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ფაშისტური გერმანიის აღმოსავლეთი – ბირთვულ პრობლემებზე მომუშავე ცნობილი ინსტიტუტების განლაგების დიდი ნაწილი – იქ მომუშავე მაღალკვალიფიცირებული მეცნიერ-ფიზიკოსები და სხვა დარგის სპეციალისტები ოკუპაციაში მოხვდნენ. ომმა აჩვენა ატომბირთვული ფიზიკისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობა. **სტალინის** მთავრობამ გერმანელ მეცნიერებს შესთავაზა თავიანთი სამეცნიერო მოღვაწეობის საბჭოთა კავშირში გაგრძელება. რასაკვირველია მოლაპარაკებები, რომლებსაც **ლ. ბერია** ხელმძღვანელობდა ძალზე ძნელი იყო, რომელთა შედეგადაც მეცნიერებს უფლება მიეცათ საცხოვრებლად და სამუშაოდ საბჭოეთის სხვადასხვა შეთავაზებული ადგილი აერჩიათ. მათმა დიდმა უმრავლესობამ, რომელთა შორის იყვნენ ნობელისა და შემდეგ სტალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი **გუსტავ ლუდვიგ ჰერცი**; სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი **მანფრედ ფონ არდენე**; სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი **პეტერ ტისენი**; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი პროფესორი **მაქს შტეინბეკი**, სტალინური პრემიის ლაურეატი დოქტორი **ჰაინც ბარზინი**; სტალინური პრემიის ლაურეატი გდრ-ის მეცნიერებათა აკადემიის მომავალი პრეზიდენტი პროფესორი **მაქს ფორმერი**; სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი პროფესორი **ნიკოლაუს რილი**; დოქტორი **გეორგ დეპელი**; სტალინური პრემიის ლაურეატი **ვ. ერმინი**; დოქტორი **გ. ტიპპე**; დოქტორი **ვერნერ ჰარმანი**; დოქტორი **ვილჰელმ მენკე** და სხვა გამოჩენილი გერმანელი სპეციალისტი საბჭოთა ცნობილ მეატომეებთან ერთად საცხოვრებლად და სამუშაოდ ქ. სოხუმი აირჩია. აქ სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. სტალინის ხელმოწერით შეიქმნა ორი ინსტიტუტი.

ერთი მათგანი განთავსდა სოხუმის შიგნით, დენდროპარკის ტერიტორიაზე, საკავშირო ცენტრალური აღმასკომის სანატორიუმ „სინოპის“ შენობაში, რომელიც გამოჩენილი გერმანელი ინჟინერ-ფიზიკოსის **მანფრედ ფონ არდენეს** პატივსაცემად „ა“ ასოთი აღინიშნებოდა, ხოლო მეორე ინსტიტუტმა ბინა დაიდო დაბა გულრიფშში სანატორიუმ აგუძერას ტერიტორიაზე და მას **გუსტავ ჰერცის** პატივსაცემად „გ“ ობიექტი უწოდეს.

თავდაპირველად „ა“ და „გ“ ობიექტებზე მხოლოდ გერმანელები მუშაობდნენ. მოგვიანებით, მათი რიგები შეივსო სპეციალისტებით საბჭოთა მოქალაქეებიდან და გერმანელი ტყვეებიდან. ამ ორი ობიექტის ორგანიზაციულ გაერთიანებას დაერქვა საფოსტო ყუთი ნომერი 0908.

ორივე ობიექტი სინოპიდან იმართებოდა და მას სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული გენერალი **ა. კოჭლავაშვილი** ხელმძღვანელობდა. 1949 წ. „ა“ და „გ“ ობიექტები სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად (სკი-ა), ხოლო 1950 წლიდან სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტად გადაკეთდა. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად გენერალი **ა. კოჭლავაშვილი** დაინიშნა 1951-1954 წწ. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა პროფესორი **ვლადიმერ ვალერიანეს ძე მიგულინი**, რომელიც შემდეგ მოსკოვში გადაიყვანეს და აკადემიკოსის რანგში დედამიწის მაგნეტიზმის, იონოსფეროსა და რადიოტალღების გავრცელების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მომდევნო ეტაპზე – 1954-1958 წწ. სფტი-ის დირექტორი გახლდათ სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი პროფესორი ბ.მ. ისაევი.

შემდგომი 1958-1961 წლები, როცა დირექტორი **ილია ქვარცხავა** გახლდათ, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა პლაზმური პროცესების კვლევების მიმართულებას. 1962-1968 წწ. სფტი-ს ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი **ირაკლი გვერდნითელი**, რომლის თაოსნობით დაიწყო სხვადასხვა ელექტროდიანი ექსპერიმენტული თერმოელექტრული გარდამქმნელების კვლევები და რეაქტორ-გარდამქმნელების შემადგენელი თერმოემისიური ელექტროგენერაციული არხების დამუშავება.

1969-1974 წლებში ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ სსრკ-სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფესორი **ნ.ი. ლეონტიევი**. 1974-2000 წლებში ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ჩვენი თანამემამულე სახელმწიფო და მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, მაღალი ენერჯიების ფიზიკის გამოჩენილი სპეციალისტი აკადემიკოსი **რევაზ სალუქვაძე**, რომლის ხელმძღვანელობით ელექტრონული ინჟექტორების ბაზაზე შეიქმნა მაღალი სიმკვრივის ელექტრონული დენის წრფივი რეზონანსული ამარქარებელი, რომლებმაც გამოყენება ჰპოვეს, როგორც დიდი პროტონული სინქროტრონების ინჟექტორებმა. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ბატონი რეზის დირექტორობის პერიოდში ინსტიტუტში მკვეთრად მოიმატა ქართველი სპეციალისტების რაოდენობამ.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების (1992-1993 წწ.) დასრულების შემდეგ ინსტიტუტში იმ დროისათვის მომუშავე თანამშრომლების დიდი ნაწილი იძულებული გახდა სოხუმი დაეტოვებინა და თბილისში გადმოსულიყო. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სფტი 1993 წლის დეკემბერში თბილისში დაფუძნდა. სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის უშუალო მიმართვით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისადმი, სამეცნიერო ფონდებისა და პროგრამების დამფუძნებელ სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, თბილისში დამკვიდრებულმა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტმა სამართლებრივი აღიარება მიიღო. ინსტიტუტისათვის და მთლიანად საქართველოსათვის იმ მძიმე ომის შემდგომ წლებში ინსტიტუტს თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში თანადგომას უწევდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონი“, სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი და სხვ.

2000-2005 წლებში სფტი-ს ხელმძღვანელობდა თერმოემისიური გარდამქმნელების ფიზიკის ცნობილი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ და საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი, პროფესორი ვალტერ გიორგის ძე კაშია.

იგი დაიბადა 1948 წლის 1 სექტემბერს ვანის რაიონის სოფელ ქვედა გორაში მოსამსახურის ოჯახში. 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით „მყარი სხეულების ფიზიკა, დიელექტრიკები და ნახევარგამტარები“. 1971-73 წლებში **ვ. კაშიამ** ოფიცრად იმსახურა საბჭოთა ჯარების პოლონეთის დაჯგუფებაში.

1973 წლიდან გარდაცვალებამდე ის მუშაობდა სოხუმის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის

ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, სწავლულ მდივანად და არატრადიციული ენერგეტიკის განყოფილების ხელმძღვანელად. 2000 წლიდან გახდა ამავე ინსტიტუტის დირექტორი. ის მუშაობდა მყარი ტანის ფიზიკაში, არატრადიციულ ენერგეტიკასა და ეკოლოგიაში.

ბატონი ვალტერის კვლევის ძირითადი საგანი იყო დენის თერმოემისიური და თერმოელექტრული გენერატორების ფიზიკა, მათი ეფექტურობისა და ბირთვული ენერგეტიკული დანადგარების უსაფრთხოების ამალღების პრობლემები. თერმოემისიური გენერატორებისათვის მუშა სხეულების მაღალეფექტური მყარტანიანი წყაროების მრავალპარამეტრული კვლევა ნახევარგამტარებისა (ბისმუტი, გერმანიუმი, სელენი, სტიბიუმი) და დიელექტრიკების (თერმოემისიური გენერატორების კონსტრუქციული მასალების ოქსიდები) ცეზიუმთან შენაერთების საფუძველზე. ჰეტეროგენული ბინარული სისტემების ნახევარგამტარი-ტუტე მეტალის ორთქლი, კინეტიკური და თერმოდინამიკური თვისებების შესწავლის საფუძველზე ექსპერიმენტულად არის დაფიქსირებული ფენოვანი სტრუქტურის მქონე ნივთიერებების მონოკრისტალების ანიზოტროპული ანომალური გაფართოების მოვლენა და ფენოვან-ჩაკეტილ სტრუქტურებში ექსტერკალაციის ეფექტი, რომელსაც გარკვეული სინათლე შეაქვს ანიზოტროპულ გარემოში მასის გადატანის შემთხვევაში.

1993 წელს ამ სამუშაოებმა დაიმსახურეს სოროსის ინდივიდუალური გრანტი. პირველად, თერმოემისიური გენერატორების პრაქტიკაში შემოთავაზებული, დამუშავებული და დანერგულია მაღალეფექტური მუშა სხეულების მყარტანიანი ტერნარული წყაროები. ორიგინალური ცეზიუმბარიუმის ორთქლის გაერთიანებული წყარო შეიძინა ამერიკულმა ფირმამ „შპაცე პონერ ინცორპორატედ“ – მა, საყოველთაოდ ცნობილი სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ფარგლებში ვარსკვლავეთის ომებისათვის განკუთვნილი „შპ-100“ დანადგარისათვის. ბატონი ვალტერი არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. მათ შორისაა 22 გამოგონება და პატენტი. ნაშრომები დაბეჭდილია ისეთ პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორცაა „ტექნიკური ფიზიკის ჟურნალი“, „ნერილები ტექნიკური ფიზიკის ჟურნალში“, „მაღალი ენერჯების თბოფიზიკა“, „ექსპერიმენტების ხელსაწყოები და ტექნიკა“, „არაორგანული მასალები“, „ატომური ენერჯია“, „საქართველოს საინჟინრო სიახლეები“ (ინგლისურად), „ალტერნატიული ენერჯისა და ეკოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი“ (ინგლისურად), „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ „მეცნიერება და ტექნიკა“ და შემოსაზღვრული ტირაჟის ჟურნალებში – „თბური ენერჯის პირდაპირი გარდაქმნა და სათბობი ელემენტები“, „ენერჯის სხვადასხვა სახეების გარდაქმნა ელექტრობაში“, „ენერჯის პირდაპირი გარდაქმნა“, „ელექტროგენერაციული არხების ფიზიკა – მასალები და ტექნოლოგია“.

ბატონი ვ. კაშია მრავალი სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე და უშუალო მომხსენებელია (ქ. პოდოლსკი, ქ. ობნისკი, ქ. მოსკოვი, ქ. ეინდჰოვენი, ქ. სან-დიეგო, ქ. სოხუმი, ქ. სანკტ-პეტერბურგი, ქ. ნოვოსიბირსკი, ქ. თბილისი, ქ. პრალა, ქ. ლას-ვეგასი, ქ. საროვი). მოხსენებები დაიბეჭდა საერთაშორისო რეიტინგის მქონე კრებულებში: „ბირთვული ენერგეტიკა კოსმოსში“, „კოსმოსში ბირთვული მძლავრი ნეგებობები“, „თერმოელექტრონული ენერჯის გარდამქმნელების ფიზიკა“, „ინტერსაზოგადოებრივი ენერჯის გარდაქმნის მონეობილობები“, „პროექტის განვითარებისა და გარდაქმნის საქართველოს კონფერენცია“.

ბატონმა ვალტერმა 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1988 წ. კვალიფიკაციის ამალღების ცენტრალურ ინსტიტუტში გაიარა ხელმძღვანელი მუშაკების კურსი სახელწოდებით „პერსპექტული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები და მათი ეფექტურობის ამალღება“. 1985 წლიდან ის ლექციების სპეციალურ კურსებს კითხულობდა სოხუმის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ხოლო 1995 წელს აირჩიეს ამ უნივერსიტეტის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის პროფესორად.

1996 წელს ვალტერ კაშია აირჩიეს აფხაზეთის მეცნიერებათა რეგიონალურ აკადემიაში, ხოლო 1997 წელს კი საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი ვალტერი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას იყო – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულების სადისერტაციო საბჭოს წევრი, ჟურნალ მეცნიერება და ტექნიკის რედკოლეგიის წევრი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭოს წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული, ატომური ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების კომისიის წევრი. ის გახლდათ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის საკოორდინაციო საბჭოში.

პირადად ჩემი და ვ. კაშიას ურთიერთობა 1998 წლიდან დაიწყო. მაშინ ის შეთავსებით მუშაობდა ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტში და საგრანტო საკითხებს კურირებდა. როდესაც ვანის რაიონის სოფელ ყუმურში კოსმოფიზიკური ობსერვატორია ფუნქციონირებდა ყოველნაირად ხელს უწყობდა მის ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრისა და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის მიერ დაფინანსებული კონვერსიული ტიპის საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, ვ. კაშიას უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დამუშავდა ბირთვული ენერგეტიკული დანადგარების თხევადმეტალური კონტურებიდან სითბომატარებლის გაჟონვის კონტროლის უნივერსალური მეთოდი და მისი კომბინირებული ვარიანტი. ის საშუალებას იძლეოდა რეალურ დროში განხორციელებულიყო მუშა სხეულის გაჟონვის მომენტის ფიქსაცია და მომხდარიყო გაჟონილი ტუტე მეტალის დაუყონებლივი უტილიზაცია. შეიქმნა ენერგეტიკული დანადგარების სხვადასხვა ტიპის ცირკულაციური კონტურებისა და მაგისტრალური მილსადენების მთლიანობის მონიტორინგის დისტანციური სისტემა, რომელიც საშუალებას იძლეოდა დროში უწყვეტად გაკონტროლებულიყო მილსადენის შემადგენლობაში არსებული ყველა შენადული ნაკერი, რომლებიც პოტენციურად ყველაზე საშიშ უბნებს წარმოადგენენ თხევადი მუშა სხეულის, ნავთობის აირის გაჟონვის ასპექტში. ჩატარებული იყო დიდი მოცულობის თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევები ნახევარგამტარულ მაკროელექტრონიკაში, ფოტოენერგეტიკასა და კრიოტექნიკაში. დამუშავდა ქარის ენერჯიაზე მომუშავე ავტონომიური წყალსაქაჩი დანადგარი და შეიქმნა კოსმოსური, მიწისზედა და წყალქვეშა დანიშნულების თერმოელექტრული გენერატორების რადიაციულად მედეგი მასალები. განხორციელდა ფოტოენერგეტიკის თვალსაზრისით საქართველოს ჰელიოენერგეტიკული პოტენციალის პერმანენტული შესწავლა. ამ პრობლემების კვლევა-დამუშავება განხორციელდა მსოფლიოს ისეთ წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან ერთად, როგორცაა „არგონის ეროვნული ლაბორატორია“ (აშშ), „ლოს ალამოსის ეროვნული ლაბორატორია“ (აშშ), „ნასა“ (აშშ), „ცეკუბა“ (იაპონია), „ფრაუნჰოფერ-გესელშაფტი“ (გერმანია).

ბატონი ვალტერის ჰობი გახლდათ პოეზია, ნადირობა, ჩოგბურთი. ის შესანიშნავი ლექსების კრებულის ავტორია, რომელშიც მშობლიური ვანის სილამაზესაც უმღერის. მას გააჩნდა სამართლიანობის, შრომისმოყვარეობის, გულისხმიერებისა და სიკეთის უანგარო კეთების სურვილი. განსაკუთრებით ზრუნვა მეგობრებზე, კოლეგებზე და მომავალ თაობაზე.

სამწუხაროდ ადრე შეწყდა ბატონი ვალტერის მაჯისცემა, მის უდრეკ ნებასა და უნარს კიდევ რამდენი საქართველოსათვის საჭირო ამოცანის გადაწყვეტა შეეძლო, მაგრამ უკურნებელმა სენმა თავისი გაიტანა და კარგი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და მეოჯახე ამ სამზეოდან უდროოდ წაიყვანა. ნათელში იყოს მისი სული სამუდამო სასუფეველში.

კრეპულ „მატიანეს“ რედაქციისგან

ამ სტატიაში საუბარია ვანელ კაცზე, პიროვნებაზე ამ სიტყვის უზადოდ გაგებით, ბატონ ჯონი ისიდორეს ძე შანიძეზე, რომელიც საქართველოს ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავში მოღვაწეობს, ის 1948 წლის 1 იანვარს დაიბადა ვანის რაიონის დაბა ვანში, დღესდღეობით ცნობილი მეცნიერია, რუსთავი ამყოფს მისით და ვამყოფთ ჩვენც ვანელები. ბატონი ჯონი თავმდაბალი მეგობარიცაა და 2018 წლიდან ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეც. ნარმატებები იყოს მისი კაცურ-კაცობის გზამკვლევი.

კაცი, ვინითაც ამაყოფს რუსთავი

არიან ადამიანები, ჩვენი თანამედროვენი და, არც თუ ისე ბევრნი და არც თუ ისე ცოტანი, ვისაც საამყოფდ მიაჩნია თბილისელობა, თბილისში კი ვაკელობა ან ვერელობა, რომ ის სწავლობდა ლონდონში, ან დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი... ზოგი ყველას თავს ამეტებს იმით, რომ მუშაობს იქ(!), მაღალ თანამდებობაზე, აქვს სამეცნიერო ხარისხი: დოქტორია და სულაც არ ფიქრობს იმაზე, თბილისი თუ ამყოფს, ან ვერა და ან ვაკე იწონებს თავს მისით. ასევე, რომელიმე უნივერსიტეტს ან სამეცნიერო დაწესებულებას რაიმეს თუ ეუბნება მისი გვარ-სახელი... დიახ, ზოგ-ზოგს ავინყდება, ან სულაც არ იცის და არც აინტერესებს იცოდეს, რომ სადაურობა, თანამდებობა, სამეცნიერო ხარისხი, ლაურეატობა და ჯილდოები არ ამშვენებს ადამიანს, პირიქით, ადამიანი, პიროვნება ამშვენებს ქალაქს, სასწავლებელს, თანამდებობას, ხარისხს, წოდებას, ჯილდოებს... ეს, რა თქმა უნდა, უკეთეს შემთხვევაში!

ერთ რუსთაველ კაცზე მინდა გიამბოთ, ვინც ჭეშმარიტად ამშვენებს რუსთავს, ამშვენებს მის თანამდებობას, სამეცნიერო ხარისხს, პრემიებს, ჯილდოებს... ამშვენებს თავისი ცოდნით, განათლებით, დამსახურებით, პიროვნული თვისებებით.

დავინყებ შუადან, ერთი შეხედვით თითქოს არც თუ ისე ფართო მასშტაბის, მაგრამ დიხაც ქართული სულისკვეთების, ქართველკაცობის, ინტელექტუალობის დამადასტურებელი ფაქტით. მისი ინიციატივით რუსთავში, „ავტომატმრენვის“ საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიმდებარედ დაიდგა ლეგენდარული ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ორიგინალური ბიუსტი, რომელმაც შემდეგ, გარემოებათა გამო, მწერალთა სახლთან იქიდან კი სამუსიკო სასწავლებლის წინ გადაინაცვლა, მაგრამ რუსთავში ხომ მაინც დამკვიდრდა!

ეს ფაქტი, ყველა დროისა და ეპოქის დიდი ქართველის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ძეგლის რუსთავში მობრძანება, ბევრ რამეზე და, უპირველესად, ინიციატორისა და მეცნიერის განსწავლულობაზე, ტექნიკურ მეცნიერებასთან ერთად ქართული სულიერი კულტურის ცოდნითა და მისი ფესვებით დაინტერესებაზე მიუთითებს.

რა იყო მანამდე და შემდეგ?

იყო ახალგაზრდა მეცნიერის სწავლითა და ძიებით, დაუღალავი, მიზანმიმართული შრომით სავსე ყოველდღიურობა. ქალაქ ვანის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ ასევე წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაასრულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და მექანიკის ფაკულტეტის, შემდეგ – კიევის ავტომატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

მისი მოღვაწეობა თავიდანვე მტკიცედ დაუკავშირდა რუსთავს და დაიწყო მის ბიოგრაფიაში სერია – „რუსთავის ისტორიაში პირველად“...

დიახ, რუსთავის ისტორიაში პირველად – მოსკოვის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის საპატიო სამეცნიერო წოდება.

ასევე, რუსთავის ისტორიაში პირველად – 1980 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის მას მიენიჭა საქართველოს ეროვნული სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

რუსთავის ისტორიაში პირველად – 1982 წელს მისი ინიციატივით წარმატებით ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა დღეები.

რუსთავის ისტორიაში პირველად – 2007 წლის ივნისში მას მიენიჭა უკრაინის კომპიუტერული მეცნიერებისა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსობა.

რუსთავის ისტორიაში პირველად – მისი უშუალო მონაწილეობით შედგა ქალაქში წყლის უწყვეტი მიწოდებისა და მომარაგების რეაბილიტაციის ბიზნეს-გეგმა, რომელმაც მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და რუსთავში დაიწყო წყლის მიწოდების სისტემის რეაბილიტაცია და მონესრიგება.

1978-1984 წლებში იყო რუსთავის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე. ამ პერიოდში რუსთავში ჩატარდა მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, გამოქვეყნდა კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები.

1980 წლიდან იყო სამეცნიერო-კვლევითი „ავტომატმრეწვის“ თანამშრომელი, 1983 წლიდან 2008 წლამდე – ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ავტორია 9 სახელმძღვანელოს, 3 მონოგრაფიის, 56 სამეცნიერო ნაშრომისა და 2 გამოგონებისა.

მისი მოღვაწეობა მარტო სამეცნიერო სფეროს როდი მოიცავს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, გამორჩეული პროექტითა და დიზაინით რუსთავში აშენდა 7 პარკი, სკვერი, ბავშვთა გასართობი და დასასვენებელი მოედანი, მათ შორის ცურტაველის ქუჩაზე დიდების ხეივანი, მეგობრობის პროსპექტზე ბავშვთა გასართობი სკვერი კომპლესა და ცხვრების ქანდაკებებით და სხვა.

მისივე ხელმძღვანელობით დაპროექტდა და აშენდა შვეციის დაძმობილებულ ქ. კირუნას სახელობის სკვერი. დაპროექტდა და სასტუმრო „რუსთავის“ თავზე დამონტაჟდა ახლად შექმნილი ერთ-ერთი ტელეკომპანიის საინფორმაციო კომპლექსი. ასევე, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, უმოკლეს დროში დაპროექტდა, დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში გაიშვა რუსთავის ცენტრალური სტადიონის საინფორმაციო სპორტული ტაბლო. რუსთავის ცენტრალურ პროსპექტზე დაიდგა ელექტრონული საათები.

2005-2007 წლებში მოიპოვა აშშ – უკრაინის საერთაშორისო გრანტი, 12400 აშშ დოლარი, რომელიც მან წარმატებით შეასრულა.

დღეს მისი განსაკუთრებული ზრუნვისა და მოვლის საგანია რუსთავში დონეცკელ მეტალურგთა ქუჩის მე-7 და მე-9 კორპუსებს შორის შექმნილი ულამაზესი სკვერი ბავშვთა დასვენებისა და გართობისათვის.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ყველაფერი ერთი კი არა, რამდენიმე კაცის ბიოგრაფიას დაამშვენებდა, არადა, ერთი კაცის, ჯონი შანიძის ბიოგრაფიის ნაწილია, თანაც, მშრალი ჩამონათვალი და ვინ აწონის, რამდენი შრომაა მასში ჩადებული, რამხელა ძიების შედეგია. მე ჯონი შანიძის საქმეები გაგაცანით. არადა, ეს მაინც ყველაფერი როდია.

აი, მისი – ჯონი შანიძის სადღეისო საანკეტო მონაცემები:

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; უკრაინის კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

ღირსების ორდენის კავალერი – რუსთავის აღმშენებლობაში მიღებული აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა აღზრდა-ჩამოყალიბებაში განეული წვლილისათვის, წარმატებული სამეცნიერო მოღვაწეობისათვის...

ეს, რაც ამ ერთ საგაზეთო წერილში შემოგთავაზეთ, ჯონი შანიძის სწავლის, მოღვაწეობისა და ცხოვრების გზაა.

ჯონი შანიძე ღირსეული რუსთაველი კაცია, ვისაც ჭეშმარიტად ამშვენებს მისი საქმეები, მიღწევები სამეცნიერო მოღვაწეობაში და ვინც თავისი ბიოგრაფიით თვითონაც ამშვენებს რუსთავ-ქალაქს...

ეს – მისი საქმეები, საქართველკაცონი და საინტერესოა, თვითონ რას იტყვის ბატონი ჯონი თავის თავზე, როგორ შეაფასებს განვლილ გზას? რას ფიქრობს მომავალზე? როგორი პიროვნება დგას მისი საქმეების უკან?

და, რაც ყველაზე მეტად ახასიათებს და კიდევაც მოეთხოვება ქართველ კაცს, როგორია ჯონი შანიძე – ოჯახის თავკაცი?

ჯონი შანიძე: – „მეამაყება, რომ ცნობილი და სასახელო კოლექტივის, „ავტომატმრენვის“ მეცნიერ-მუშაკების მიერ ყოფილ საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, პირველად, მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის ქ. მნიშეკში განხორციელდა ალუმინის დიდი ქარხნის ტექნოლოგიური პროცესების სრული ავტომატიზაცია და მართვა. ამ საქმის ორგანიზებასა და წარმართვაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დამეკისრა და საქმე წარმატებით დასრულდა. ქ. მნიშეკის ცენტრალურ მოედანს კი რუსთავის სახელი ეწოდა, რაც ძალზე მეამაყება და ყოფილ თანამშრომლებთან შეხვედრისას ვიხსენებ“.

დიახ, ქართველი კაცი ფასდება ოჯახით, იმით, თუ როგორი ოჯახის მამაა, როგორ შვილებს უზრდის სამშობლოს, მე ჩემი ოჯახით ვამაყობ. მყავს სიყვარულსა, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ოჯახი. მეუღლე – ნაირა ჭაავა მათემატიკოსთა ტრადიციული ოჯახიდანაა, წლების მანძილზე მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად რუსთავის მე-16 სკოლაში. ორი ვაჟკაცის: დავითისა და თორნიკეს მამა ვარ. დავითი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია, საბანკო-საფინანსო საქმიანობითაა დაკავებული, ჰყავს მეუღლე – ქეთევან გოგობერიშვილი, რომელიც ასევე საბანკო საქმის ცნობილი სპეციალისტია. მათ ჰყავთ 3 წლამდე ასაკის შვილი დავითი... თორნიკემ დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, წლების მანძილზე მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში, ჰყავს მეუღლე – მარიამ ჯანჯალია და ჯერჯერობით ერთი ქალიშვილი – ბების მოსახელე, წარმატებული მეორეკლასელი ქეთევანი.

– ბატონო ჯონი, რას გვეტყვით დღევანდელ ახალგაზრდებზე?

– მოდის უნიჭიერესი, უკომპლექსო, განათლებული, ერუდირებული და ანალიზის უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდობა, რომელიც აუცილებლად ასახელებს ჩვენს ქვეყანას – სამშობლოს, ერს... ოღონდ მათ ასპარეზი სჭირდებათ...

ბატონმა ჯონიმ დამსახურებულად დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი რაიონის სახელოვან ადამიანთა გვერდით. ისლა დაგვრჩენია კრებულ „მატიანეს“ სახელით დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები ვუსურვოთ მას, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გაზეთი „რუსთავი“ – მასალა მოგვანოდა გ. ტაბიძის სახელობის №2 საჯარო სკოლის დამსახურებულმა პედაგოგმა **ლუიზა ტაბიძემ**

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

– ვანის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე გოგორიშვილს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს (დეპუტატს) – ბატონ **ბიჭიკო პაიკიძეს** „მატიანეს“ მე-17 ნომრის გამოცემაზე ფინანსური დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის, „კვლევის ცენტრის“ ყველა თანამშრომელს.

– სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

სარედაქციო კოლეჯია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ურჩა დვალისვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალისვილი – პროფესორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

რედაქტორ-გამომცემელი – ბეჟან ნაქაძე

ზაურ თათვიძე

ბიჭიკო პაიკიძე

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებული გამოდის 2014 წლიდან



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაკური კილაძის მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54